სასუსხათო პოლიტიკა

- განვითარების მექანიზმები
- ხეგულირება
- სტრატეგია
- მარკეტინგი

UDC (უაკ) 339.138:338.439
დ–161

მონოგრაფიაში სათანადო ლიტერატურული წყაროებისა და მდიდარი ფაქტობრივი მასალების გათვალისწინებით თანმიმდევრულად არის განხილული სასურსათო პოლიტიკის განმსაზღვრელი როლი არა მხოლოდ საქართველოს აგროსასურსათო სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებში, არამედ განხილულია მსოფლიო მოსახლეობის წინაშე არსებული სასურსათო პრობლემის დაძლევის გზებიც.

მონოგრაფია განკუთვნილია როგორც მეცნიერ-ეკონომისტებისათვის, სახელმწიფო მართვის სპეციალისტებისათვის, მენეჯერებისათვის და ფერმერებისათვის, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისათვის, დოქტორანტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, ბაკალავრებისათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი:

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი
ევგენი ბარათაშვილი

რეცენზენტები:

ე.მ.დ., პროფესორი
კარლო ღურწკაია

ე.მ.დ., პროფესორი
თინა გელაშვილი

ე.მ.დ., პროფესორი
პაატა კოღუაშვილი

ა.დ., ასოც. პროფესორი
მერაბ ვანიშვილი

© გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2013.
© ე. დათაშვილი, ბ. თეთვაძე.

ISBN 978-9941-0-5605-5

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკაში XXI საუკუნის დასაწყისში მიმდინარე გლობალურმა ტენდენციებმა განაპირობა სასურსათო სისტემის ტრანსფორმირება. გაიზარდა სურსათის წარმოებისა და გადანაწილების მნიშვნელობა, როგორც სიღარიბის დაძლევის ფაქტორი და არსებული ფინანსური კრიზისის პირობებში - მდგრადი ეკონომიკური ზრდის გარანტი.

მიუხედავად ასეთი ტენდენციებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპებთან მოთხოვნათა გარკვეული შეუსაბამობებისა, ასევე, ტექნოლოგიისა და მომსახურების სფეროების ეკონომიკური როლის მნიშვნელოვანი შემცირებისა, სასურსათო სისტემა მსოფლიო ეკონომიკაში ინარჩუნებს გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორის ფუნქციას. სასურსათო სისტემის შესაძლებლობები – მოახდინოს ინფორმატიზაციისა და ტექნოლოგიზაციის მიღწევების აკუმულირება, განსაზღვროს ძლიერი ინდუსტრიული, ფინანსური და სამომხმარებლო სექტორების ფორმირება და განახორციელოს შრომის პროდუქტიულობის სტიმულირება – იწვევს მსოფლიო ეკონომიკის აღნიშნული სფეროს ფუნქციონირების თავისებურებათა კვლევის აქტუალიზაციას, განსაკუთრებით, ფინანსური არასტაბილურობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორებზე ეკონომიკური როლის გადაფასების კონტექსტში.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს აქვს უნიკალური პოტენციალი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ გარემოში ინტეგრაციისათვის.

აღნიშნული მომავალში შექმნის არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის დამატებით ინსტრუმენტებს, არამედ განაყითარებს ქვეყანას

რეგიონის მასშტაბით, გაზრდის ეროვნულ კონკურენტუნარიანობას და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტაბილურობას.

მონოგრაფიაში განხილულია სასურსათო სისტემის განმსაზღვრელი როლი მსოფლიოში მოსახლეობის წინაშე არსებული სასურსათო პრობლემების დაძლევის პროცესში, განისაზღვროს შიდაეკონომიკური პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხები და ახალი შესაძლებლობები ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო სასურსათო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

საყოველთაო გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციების გაძლიერების პირობებში კაცობრიობა ახალ ათასწლეულს შეხვდა შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული საფრთხეებით. ამიტომ უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში აგროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სასურსათო სისტემის განვითარების, როგორც მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის ფაქტორის, როლის წინ წამოწევა.

სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემა მეტად მრავალმხრივი და მრავალასპექტიანია. იგი ერთდროულად ბუნებრივი მოვლენაცაა, ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც, რომელიც აისახება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე; სასურსათო სისტემის განუვითარებლობა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ პრობლემისადმი მიძღვნილია მდიდარი სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

სადღეისოდ, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულია სასურსათო სისტემის განვითარების პარამეტრები და, შესაბამისად, ადამიანთა კვების სამედიცინო ნორმები, თვით შიმშილისა და არასაკმარისი კვების ცნებები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის

ორგანიზაციის (FAO)[1] შეფასებით, კვების სამაგალითო ნორმა ერთი ადამიანისათვის შეადგენს 2400-2500 კკალ-ს დღე-ღამეში. მკაფიოდ გამოხატული არასაკმარისი კვების მდგომარეობა დგება მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ეცემა 1800 კკალ-ზე ქვემოთ, ხოლო აშკარა შიმშილის მდგომარეობა, - მაშინ, როდესაც ის გადის "კრიტიკულ ზღვარს" (1000 კკალ დღე-ღამეში). კვება, რომლის დროსაც არასაკმარისია არამარტო კალორიები, არამედ აგრეთვე ცილები, ცხიმები, ვიტამინები, იწოდება არასრულფასოვნად. მას ფარულ შიმშილსაც უწოდებენ.

მოშიმშილედ მიიჩნევა ყველა ის ადამიანი, რომლის ყოველდღიური დიეტა 1700 კილო/კალორიაზე ნაკლებს შეიცავს. ბუნებრივია, რომ ოფიციალური ქართული სტატისტიკა ვერც ასეთთა საერთო რიცხვს აზუსტებს, სამაგიეროდ, აცხადებს, რომ საქართველოში (2011 წლის მონაცემებით) მოსახლეობის 51,8 პროცენტია სიღარიბის ზღვარს მიღმა. აქედან გამომდინარე, ალბათ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებთა, სულ ცოტა, დასახელებული პროცენტი მაინც შიმშილობს.

უცხოელ და ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს შესწავლილი აქვთ გლობალური სასურსათო სისტემის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ასე, მაგალითად, რუსი მკვლევარის ვ. მაქსაკოვსკის მონაცემებით, მთლიანად მე-20 საუკუნის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მსოფლიოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებლები. თუ 30-იან წლებში საშუალო მოხმარება ერთ სულზე გაანგარიშე-

[1] საგულისხმოა, რომ საქართველო აღნიშნული ორგანიზაციის წევრი 1995 წელს გახდა. 2004 წელს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სუბრეგიონული წარმომადგენელი აკრედიტებულ იქნა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლად საქართველოში. თბილისში ორგანიზაციის ოფისი ოფიციალურად გაიხსნა 2004 წლის 4 ნოემბერს და დაწესდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლის თანაშემწის თანამდებობა.

ბით შეადგენდა 2100 კკალ-ს ღღე-ღამე'ში, 60-იანი წლების დასაწყისისათვის აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 2300, 70-იანი წლების დასაწყისისათვის - 2450, ხოლო 90-იანი წლების ბოლოსათვის 2700 კკალ-მდე ღღე-ღამე'ში.

ზემოთმოყვანილი მაჩვენებლები სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს გლობალური სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემა ამჟამად უკვე გადაჭრილია. პირიქით, მოშიმშილეთა რაოდენობა თანამედროვე მსოფლიოში კვლავ უკიდურესად მაღალი რჩება.

FAO-ს ერთ-ერთი გამოკვლევის მონაცემების თანახმად, ღღეისათვის მსოფლიო'ში დაახლოებით 815 მლნ ადამიანი იტანჯება შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან, ნაცვლად შიმშილის შემცირებისათვის ბრძოლის საკითხებზე 2013 წლის გაზაფხულზე გამართულ რომის სამიტზე დაფიქსირებული 815 მლნ-ისა; 1,0 მლრდ-მდე კაცი მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებებს (2150 კკალ ღღე-ღამე'ში) იკმაყოფილებს და შიმშილის ზღვარზე იმყოფება; 2,0 მლრდ კაცზე მეტი იტანჯება ორგანიზმისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტების (იოდის, რკინის, ვიტამინების და სხვ.) არასაკმარისი მოხმარებით გამოწვეული ე. წ. "შიმშილის ფარული ფორმებისაგან".[2] მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი (დაახლოებით 3,0 მლრდ კაცი) განიცდის საკვები ცილების ნაკლებობას, მისი დაახლოებით მეექვსედი ნაწილი კი მოკლებულია უსაფრთხო სასმელი წყლის გამოყენებას.

ბელორუსი მეცნიერ-ეკონომისტების ზ. ილინას და ი. მიროჩიცკაიას შეფასებით, თანამედროვე პერიოდ'ში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომებში. კერძოდ, ახალი მიდგომის თანახმად, სასურსა-

[2] საგულისხმოა, რომ ორგანიზმში მიკრომკვებავი ნივთიერებების უკმარისობა დაახლოებით 10%-მდე ამცირებს სწავლისადმი ბავშვთა უნარიანობას და ყოველწლიურად 128 მლრდ აშშ დოლარის ზარალს აყენებს განვითარებად ქვეყნებს მარტოოდენ შრომის მწარმოებლურობაში დანაკარგების ხარჯზე.

თო სისტემის განვითარება და სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებლად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო მისი მეშვეობით - გლობალური მასშტაბითაც, ე.ი. პრობლემის გადაწყვეტა მოიაზრება უკვე პრინციპით - "კერძოდან ზოგადისაკენ".

იმასთან დაკავშირებით, რომ სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის მისაღები დონის მიღწევა წარმოადგენს არა მხოლოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის გლობალურ, არამედ აგრეთვე აქტუალურ ეროვნულ პრობლემას, იგი ცენტრალურ ადგილს იკავებს ცალკეულ სახელმწიფოთა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიაში. როგორც პრობლემის ცნობილი რუსი მკვლევარები ვ. ბოევი, ე. რუმიანცევი და ვ. დადალკო შენიშნავენ, ამჟამად სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავარი ყურადღების ცენტრშია და მთავრობათა უპირველესი ყურადღების ობიექტია, რაც პრაქტიკულად გამოვლინდება განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო სისტემის განვითარების ეროვნულ სტრატეგიათა შემუშავებითა და წარმატებული რეალიზაციით.

სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით კვლევა შედარებით ახალია ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოში სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემის შესწავლა და მისი უზრუნველყოფის გზების ძიება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო (მას შემდეგ, რაც შემუშავდა საქართველოს პირველი სასურსათო პროგრამა 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის). იმ დროისათვის ძირითადად შესწავლილ იქნა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისა და აგრარული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების საკითხები. მაგრამ, რაც შეეხება ქვეყნის სასურსათო კომპლექსის საბაზრო პირობებთან ადაპტაციისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ,

რეგიონულ და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, ისინი ბოლომდე არაა შესწავლილი. დღემდე არაა შემუშავებული საქართველოს ერთიანი აგრარული და სასურსათო სტრატეგია, მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები და მიმართულებები მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის კონტექსტში.

აღნიშნული პრობლემის ცალკეული თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. აბრალავამ, რ. ასათიანმა, ე. ბარათაშვილმა, ვ. ბურკაძემ, ზ. გარაყანიძემ, ჰ. გიორგაძემ, ვ. დათაშვილმა, თ. დუდაურმა, მ. ვანიშვილმა, ზ. ვაშაკიძემ, ვ. ზეიკიძემ, პ. კოღუაშვილმა, თ. ლაჭყებიანმა, პ. ლემონჯავამ, ნ. მოდებაძემ, რ. ოთინაშვილმა, ბ. რამიშვილმა, მ. სანაძემ, კ. ღურწკაიამ, გ. ყუფუნიამ, თ. ჩიკვაიძემ, ნ. ჭითანავამ, ო. ქეშელაშვილმა და სხვა ცნობილმა ქართველმა მკვლევარებმა.

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გამოირჩევა პ. კოღუაშვილის მონოგრაფია - "საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები", რომელშიც განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სასურსათო უშიშროება, როგორც მსოფლიოს გლობალური პრობლემა; საქართველოში სასურსათო უშიშროების არსებული მდგომარეობის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება; აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსში მიმდინარე რეფორმების სტრატეგია და ტაქტიკა; სასურსათო სექტორის განვითარების პერსპექტივები საქართველოში; საქართველოს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები ახლო და შორეულ პერსპექტივაში.

ასევე მნიშვნელოვანია მ. ვანიშვილის მონოგრაფია "საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები", რომელშიც, სათანადო ლიტერატურულ წყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულადაა განხილული სასურსათო უსაფრთხოების როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხები; ახსნილია სასურსა-

თო უსაფრთხოების არსი, სტრუქტურა, დონეები, კრიტერიუმები, მაჩვენებლები და პარამეტრები; ქვეყნის სასურსათო სექტორში მიმდინარე საბაზრო გარდაქმნების სიღრმისეული და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, შეფასებულია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა; გამოვლენილია მისი პრობლემური სასიათის განმაპირობებელი საშინაო და საგარეო ფაქტორები; განსაზღვრულია პრობლების გადაჭრის შესაძლებლობები, პერსპექტივები და კონკრეტული მიმართულებები.

ბუნებრივია, არც აღნიშნული მონოგრაფიების ავტორებს და არც ზემოთდასახელებულ სხვა მკვლევარებს არ შეეძლოთ კომპლექსურად გადაეწყვიტათ ამ რთული და მრავალასპექტიანი პრობლემის ყველა მხარე და საკითხი, კვლევისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის ან უკმარისობისა და უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში სიტუაციის სწრაფად ცვალებადობის გამო.

ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო რეფორმებმა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) საქართველოს გაწევრიანებამ სადისკუსიო გახადა და, შესაბამისად, სამეცნიერო კვლევას დაუქვემდებარა სურსათის ეროვნულ მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხი.

მნიშვნელოვანია პ. კოღუაშვილია და მ. ვანიშვილის ნაშრომები, რომლებმაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ამ უკანასკნელის კვლევის სფეროში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამჟამად სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემის უკეთ გადაჭრისათვის საჭიროა ახალი მიდგომებისა და მეთოდების ძიების გაგრძელება.

ნაშრომში გამოყენებულია შპს „მეძანიზატორისა“ და შპს „საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანიების“ კვლევის მასალები. ავტორები დიდ მადლობას უხდიან ამ კომპანიების თანამშრომლებს თანადგომისა და დახმარებისათვის.

თავი 1. სასურსათო სისტემა ძვეყნების მსოფლიო-სამეურნეო პოზიციირების სტრუქტურაში

1.1. საერთაშორისო შრომის გადანაწილების ფაქტორები მსოფლიო სასურსათო მარკეტინგში

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის სტაბილიზაცია და გაუმჯობესება დგას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი ათეული ქვეყნის წინაშე. ქვეყნები, რომლებიც წლობით იმყოფებიან კრიზისში, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ისინი განიცდიან გრძელვადიან ან განმეორებით კრიზისებს და აქვთ სათანადო რეაგირების შეზღუდული პოტენციალი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების საკითხს და მათ დაუცველობას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მხარდაჭერა საკვანძო ელემენტია გრძელვადიანი კრიზისების დაძლევის პროცესში. ადგილობრივ ინსტიტუტებს აქვთ საკმარისი პოტენციალი და შესაძლებელია მათი გამოყენება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის დაძლევისას. სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა გრძელვადიანი კრიზისის ქვეყნებში წარმოადგენს მოსახლეობის საარსებო საშუალებების ძირითადი წყარო.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკა და არსებული მონაცემები.

რა აძლევს ბიძგს ამერიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას?

ეს არის კითხვა, რომელიც აინტერესებს ყველას, ვინც აშშ-ის სოფლის მეურნეობის წარმატების მიზეზის გაგებას ცდილობს.

როგორც პენსილვანიის უნივერსიტეტის (პენსილვანიის ფერმერთა სკოლა 1855 წელს დაარსდა და დღეს ამერიკა-

ში ძალიან ცნობილი საგანმანათლებლო ცენტრია), სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პროფესორი ლუ მორი განმარტავს, დასაბამიდან დღემდე (ევროპელთა ჩასახლებიდან) აშშ-ის სოფლის მეურნეობამ ოთხი ეტაპი გაიარა: საჭაპანო, მექანიკური, სამეცნიერო,საინფორმაციო.


აშშ-ის მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით 1%-ით იზრდება. საინტერესოა, რომ 1915-დან 1985 წლებამდე ამერიკაში ამავე ტემპით ვითარდებოდა და იზრდებოდა სოფლის მეურნეობაც.

ბოლო ათწლეულებში საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებით, ამერიკამ შეძლო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მოსახლეობის მატების ტემპზე სწრაფად გაეზარდა და მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყველაზე დიდი ექსპორტიორი გამხდარიყო.


დღეს ექსპერტები ამბობენ: - ეს არის ქვეყანა, სადაც იციან, ეფექტიანად როგორ მართონ სოფლის მეურნეობა.

ამჟამად ამერიკაში 305 მლნ კაცი (დედამიწის მოსახლეობის 5%) ცხოვრობს, მაგრამ მსოფლიოში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სულ რაღაც 6%-ზე (რასაც ის ფლობს), მსოფლიოში მოხმარებული ბამბის 17%-ს, სიმინდის 43%-ს; სოიოს 60%-ს; ვაშლის 22%-ს აწარმოებს.

ნახ №1



აშშ-ში ფერმების რაოდენობა



სტრატეგია – ფერმერი[3]. დიდი დეპრესიის პერიოდში აშშ-ში ყოველწლიურად, დაახლოებით 32500 ფერმა იხურებოდა, მაგრამ მიწა დაუმუშავებელი მაინც არ რჩებოდა, რადგან ტექნოლოგიებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ძლიერი ფერმერები სულ უფრო მეტ ფართობებს იძენდნენ და ამუშავებდნენ.

ფერმების გამსხვილებასთან ერთად, ამერიკაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება. წლევანდელი მონაცემებით სოფლის მეურნეობაში ამერიკის მოსახლეობის მხოლოდ 2%–ია დასაქმებული. ამ რიცხვში შედიან სეზონური მუშებიც, უმეტესად მექსიკელები, რომლებიც ისეთ სამუშაოს ასრულებენ, რომელზეც ბევრი ამერიკელი უარს ამბობს, ფერმაში სამუშაოდ არ მიდის.

პენსილვანიაში, ისევე როგორც აშშ-ს უმეტეს შტატებში, შემოსავლების მიხედვით ფერმები სამ კლასად იყოფა:

შტატში მოქმედი ფერმების 59%-ის შემოსავალი 100 000 დოლარამდე მერყეობს. მათთვის ფერმერობა ძირითადი

[3] აშშ-ს სოფლის მეურნეობა – მე, ფერმერების შთამომავალი ვარ! ნოდარ ბრეგვაძე, ჟურნ. აგრარული საქართველო: №6, თბილისი, ნოემბერი, 2010 წ.

საქმე არ არის, უფრო მეტად ცხოვრების სტილი და დამატებითი შემოსავლის წყაროა. ისინი ცხოვრობენ ფერმაში, იქვე ხრდიან შვილებს, აძლევენ განათლებას. ასეთი ფერმერები სოფლის მეურნეობაში შექმნილი მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 2 პროცენტს აწარმოებენ.

იმ ფერმერების რაოდენობა, რომელთა შემოსავალი 100 000 დოლარს აჭარბებს, 16 პროცენტია, მაგრამ ისინი აშშ-ს სოფლის მეურნეობაში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 75 პროცენტს ქმნიან. სწორედ ეს ფერმები ფლობენ სასოფლო-სამეურნეო საყარგულების 57.4 %-ს.

ამის მიუხედავად, მთავრობა იმ ფერმების მხარდასაჭერად, ვისი შემოსავალიც 100 000 დოლარზე ნაკლებია, მუდმივად ამუშავებს დახმარების პროგრამებს. აქ ფერმერად ითვლება ისიც, ვინც ქმნის 1000 ან ნაკლები აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციას, რადგან სახელმწიფოსთვის ცნება, **ფერმერი** ძალიან მნიშვნელოვანია

ამერიკის საზოგადოებაში ფერმერობა გაიდეალებულია, როგორც შინაგანი ღირსების შეგრძნების, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ამერიკელს მიაჩნია, რომ ეს მისი ოჯახის, ქვეყნის უსაფრთხოებისა და ძლევამოსილების გარანტია.

ამერიკის მთავრობა ფერმერობასთან მიმართულებით ოთხწლიან პოლიტიკას ატარებს. ამჟამად ობამას ადმინისტრაციის ღღევანდელი მიდგომა მცირე ფერმერების მხარდაჭერისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებისკენ არის მიმართული, რათა მომხმარებელმა აღგილობრივი ფერმერებისგან შეიძინოს პროდუქცია.

განურჩევლად იმისა, ფერმა დიდია თუ პატარა. რა წვლილი შეაქვს ეკონომიკაში, ყველას, ვინც ორგანულ, ეკოლოგიურად სუფთა საკვებს აწარმოებს, სახელმწიფო აჯილდოებს და ეხმარება.

რაც შეეხება საქართველოს, აქ სურათი სხვაგვარადაა წარმოდგენილი, კერძოდ, უმუშევრობის დონე სოფლად, ჩვეულებრივ, ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქად (2007

წლის მესამე კვარტალში, თითქმის 8 – ჯერ) და მთლიანად ქვეყანაში (დაახლოებით 4-ჯერ). დამკვიდრებული ტენდენციისამებრ, 2007 წლის მესამე კვარტალში ქალაქად უმუშევრობის დონე ძალზე განსხვავდებოდა სოფლად უმუშევრობის დონისაგან: 26,8 და 30,4 %, შესაბამისად, "მკაცრი" და" შერბილებული" სტანდარტებით (თბილისში, შესაბამისად, 28 და 30.8 %). სოფლად უმუშევრობის დონე, როგორც ყოველთვის, ბევრად დაბალი იყო, ვიდრე ქალაქად და ერიანული მაჩვენებლები არარეალურად იყო წარმოდგენილი.

დასაქმების შესახებ არსებული კანონი, რომელიც ასახვას ჰპოვებს გამოკვლევის კითხვარებში, ხელს უწყობს სოფლად და, ასევე მთლიანად ქვეყანაში, დასაქმების მდგომარეობის შესახებ არასწორი წარმოდგენის შექმას. იმის გამო რომ, სასოფლო-სამეურნეო მიწის 1 ან მეტი ჰექტარის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები დასაქმებულად ითვლებიან, სოფლის ცხოვრებთა უმეტესობა ავტომატურად გამოირიცხება უმუშევართა კატეგორიიდან. ამასთან, სოფლის ბევრი მაცხოვრებელი დაკავებულია საოჯახო საწარმოში, სადაც უსასყიდლოდ მუშაობს და თვითდასაქმებულად ითვლება – ანუ მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელიც მთლიანი დასაქმების უდიდეს ნაწილს შეადგენს. ამგვარად, ეს იწვევს როგორც სოფლად, ასევე მოლიანად ქვეყანაში, უმუშევრობის მაჩვენებლის ხელოვნურად შემცირებას, მონაწილეობის კოეფიციენტის ზრდასა და შრომის ბაზარზე საერთო მდგომარეობის არასწორად ასახვას. სინამდვილეში, თუ მიწის ნაკვეთი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოფლად მინამეურნეობათა უმეტესობისათვის და უზრუნველყოფს მათ საარსებო მინიმუმით, სოფლის ბევრი მაცხოვრებელი, განსაკუთრებით ის, ვინც არც თუ ისე დიდი ნაკვეთის მფლობელია და ვისაც საშუალება არა აქვს დაამუშაოს საკუთარი მიწა, ძლივს ახერხებს თავის რჩენას.[4]

---

[4] სამუშაო ძალის ბაზარი, შემოსავლები და სოციალური უზრუნველყოფა. ურნ საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, კვარტალური მიმოხილვა, №1, 2005 წ.

სოფლად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ხანდაზმულები არიან, ხოლო ახალგაზრდები სამუშაოს საძებნელად ქალაქში მიდიან. მაშინ, როცა ზოგიერთი მათგანი ახერხებს სამუშაოს შოვნას და ზოგჯერ სოფელში ნათესაებსაც კი ეხმარება, სხვები ქალაქად უმუშევართა რიცხვს ემატებიან. ქალაქად „იმედგაცრუებულ" მუშაკთა რაოდენობა ასევე აღემატება ქალაქად უმუშევართა მაჩვენებელს და, თუ ზოგიერთი სოფლის მაცხოვრებელი მაინც ახერხებს თავის რჩენას, ქალაქად „იმედგაცრუებულ" უმუშევრებს შემოსავალი საერთოდ არ გააჩნიათ.

სამი მთავარი საკითხი, რომლებიც, ჩვენი აზრით არსებობს, ყველაზე მეტად ფასეულია საყუძვლის ადამიანების სოფელში გადასახლების ტენდენციისათვის ჩასაყრელად, ტენდენციისა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკის გამოკეთება შეუძლია:

ა) მცირე ფერმერების - გლეხების დახმარება წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში. რასაც შეუძლია არსებითად შეცვალოს მოსახლეობის დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის მიმართ.

ბ) მოსავლის დაზღვევა, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაბედოს და გადადგას ნაბიჯი სოფლისაკენ, თავი დაცულად იგრძნოს ძირითადი რისკებისაგან.

გ) არსებული და პოტენციური ფერმერების სწავლება-ინფორმირება - როგორ აწარმოონ საკუთარი მეურნეობა, რა ტექნოლოგიები იქნება ეფექტური ამისათვის, რისი წარმოება, რა მოცულობით და რა მახასიათებლებით შეიძლება იყოს ყველაზე რენტაბელური, მიზანშეწონილი და საინტერესო ბაზრისათვის.

თუ ხელისუფლება ეფექტურად შეძლებს ამ ამოცანების გადაწყვეტას, დაიწყება სოფლისკენ მოძრაობის ტენდენცია, რომლის შედეგადაც ყველა დანარჩენი პრობლემა ან თავისით, კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით, ნაწილი კი ისევ ხელისუფლების მიერ, მაგრამ უკვე ნაბიჯ-ნაბიჯ

გაცილებით უფრო იოლად მოგვარდება.

გაყიდვების ხელშეწყობისათვის ყველაზე ეფექტური საშუალება შეიძლება გახდეს აგრარული ბაზრების და პერიოდული ბაზრობების ორგანიზება. თუ სახელმწიფო ყველა დიდ ქალაქში, პირველ ეტაპზე თუნდაც ერთ ასეთ ბაზარს მოაწყობს და რეკლამას გაუკეთებს მას, როგორც ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვის ადგილს, მათ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას. დღეს ამ მიმართულებით მოსახლეობაში უკვე არსებობს ჩამოყალიბებული მოთხოვნა, თუმცა იმდენად არაორგანიზებულია ბაზარი, იმდენად ცოტაა წარმოება, რომ ქართული პროდუქციის ყიდვა ძვირიც არის და ძნელი საშოვნელიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც იმპორტირებულ პროდუქციას გარეგნულად ამსგავსებენ ქართულს და ბეცრად უფრო ძვირად ყიდიან. ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ზრდამ ფასებიც უნდა დაარეგულიროს და ადვილად საშოვარიც გახადოს.

ამას თუ დაერთვის დამატებითი კამპანია, რომელიც მოსახლეობას მოუწოდებს იყიდონ ადგილობრივი პროდუქცია და ამით დაეხმარონ სოფლის მეურნეობის განვითარებას, ფერმერებს და ქვეყანას, ეს კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას საქართველოში ნაწარმოებ პროდუქტზე და ამ ტიპის ბაზრებსაც მუდმივი კლიენტებით უზრუნველყოფს.

ტექნიკურად კი ალბათ უმჯობესი იქნება აგრარული ბაზრებზე განაწილდეს დახლები და სხვა სავაჭრო ადგილები რაიონების, სოფლების მიხედვით მოხდეს, შეთანხმება რაიონების ხელმძღვანელებთან შემოსატანი პროდუქციის სახეობაზე, რაოდენობაზე (მაგალითად, პომიდორი ჭოპორტიდან, კარტოფილი სამცხე-ჯავახეთიდან, ვაშლი - შიდა ქართლიდან წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით) და ხარისხსა და წარმოშობაზეც პასუხისმგებლობა რაიონის გამგეობას დაეკისროს.

ის, რომ მხოლოდ ადგილობრივი პროდუქციას გაყიდვას, ჩვენის აზრით ხელს შეუწყობს თვითონ ამ ბაზრის

რეკლამირება როგორც აღგილობრივი პროდუქციის გაყიდვის აღგილისა. ვფიქრობთ, გამყიდველები თვითონაც არ დაუშვებენ ვინმეს მიერ გასაყიდად თურქული, ირანული ან ჩინური საქონლის შეტანას. თუმცა ბაზრის პერიოდული ინსპექტირება, მწარმოებელი გლეხის შემოწმება, პროდუქტის,თუნდაც ვიზუალური დათვალიერებაც კი შეიძლება საკმარისი იყოს იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვის ფაქტების მინიმიზაციისათვის.

მოსავლის დაზღვევა. დღეს უკვე არსებობს მოსავლის დაზღვევის, კარგად ჩამოყალიბებული მოთხოვნა. ბევრი გლეხისათვის და ფერმერისთვის მოსავლის დაზღვევა უპირატესად ბუნებრივი მოვლენების შედეგად დაზიანებისაგან თავისდასაცავი მეტად აქტუალური საჭიროებაა. ძირითდი პრობლემა სადაზღვევო კომპანიების სკეპტიკური დამოკიდებულებაა ამ პროდუქტის მიმართ, რაც, ერთის მხრივ, თითქოს ბაზრის სიმცირის, ხოლო მეორე მხრივ ამ მიმართულებით გამოცდილების არ არსებობით არის გამოწვეული. სოფლისაკენ ადამიანების დასაძრავად მნიშვნელოვანი ორი ტიპის სადაზღვევო პროდუქტი: "პირველი" მოსავლის დაზღვევა, რომელიც ფაქტობრივად ბიზნეს რისკის დაზღვევას წარმოადგენს, მოსავლის ჩვეულებრივი (ყოველწლიური) დაზღვევა, რაც სხვა ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული.

ვფიქრობთ მოსავლის დაზღვევის გავრცელება ისეთივე მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, როგორიც ჯანმრთელობის დაზღვევა ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის. შესაბამისად, ვფიქრობთ, სახელმწიფო ვალდებულია ამ ბაზრის გააქტიურებას დრო, ყურადღება და რესურსები დაუთმოს. რისთვისაც მან უნდა შექმნას თავდაპირველი გარანტირებული ბაზარი სადაზღვევო კომპანიებისთვის რაც მათ მოტივაციას, გაუჩენს, შეისწავლონ ეს მიმართულება, და დაიწყონ მისთვის პროდუქტების შექმნა. ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს საბაზისო პროდუქტის

დაფინანსება, რომელიც მხოლოდ ძირითად რისკებს დააზღვევს. ხოლო სადაზღვევო კომპანიებს უნდა მიეცეთ წინადადება გააკეთონ საკუთარი დანამატები ამ პროდუქტზე და მის გავრცელებაზეც თვითონ იზრუნონ.

რაც შეეხება სწავლებისა და ინფორმაციის მიწოდების პრობლემის მოსაგვარებლად, სხვა საკითხებთან ერთად აუცილებელია ფერმერებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა ყველა რაიონში, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ გადაწყვეტილება რა მიმართულებით განავითარონ მეურნეობები, რა ტექნოლოგიები გამოიყენონ, როგორ გაყიდონ და ა.შ. ამ ცენტრების საშუალებით უნდა მოხერხდეს მიწების და ყველა სხვა რესურსის უფრო ეფექტური გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სპეციალური საინფორმაციო ბიულეტინების, ლიტერატურის, სარეკლამო ინფორმაციის გავრცელება. ასეთი ცენტრების შექმნით სახელმწიფო ხელს შეუწყობს უპირატესად ინფორმაციის და ცოდნის გავრცელებას, რათა თითოეული ფერმერებისათვის კიდევ უფრო ადვილი გახდეს მეურნეობის მართვა და განვითარება.

მაინცდამაინც სოფლიდან ჩამოსული ხალხის უკან დაბრუნება სულაც არ იქნება თვითმიზანი. ადვილი არ იქნება იმ ადამიანების დარწმუნება და მოტივირება რომლებიც ჩამოვიდნენ და ადგილი დაიმკვიდრეს ქალაქში, მათი უკან წასასვლელად. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ძალიან ბევრი შუახნის ცოლქმარი (20-30 000 მაინც), რომლებსაც შვილები ასე თუ ისე დაბინავებული ჰყავთ და ქალაქებში ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, დათანხმდებიან წავიდნენ სოფელში, იქირაონ ან იყიდონ მიტოვებული სახლები, რომლებიც ჩვენი ვარაუდით 50 000 ზე მეტია დღეს საქართველოში; იქირაონ ან იყიდონ მიტოვებული მიწა ან აიღონ ის გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით და დაიწყონ მეურნეობის წარმოება. ამით ისინი შეძლებენ არა მარტო საკუთარი თავის უზრუნველყოფას, არამედ შვილებსაც დაეხმარებიან. ამისათვის კი

საჭიროა, მათ ვინმემ ასწავლოს, რა და როგორ აწარმოონ, საჭიროა დაუზღვიონ პირველი მოსავალი ტექნიკური შეცდომის გამო მიღებული ზარალი იმის გარდა რომ ბუნებრივი მოვლენების უარყოფითი გავლენისგან დაიზღვეონ პროდუქციას, ასევე კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მათ მისცემს საშუალებას გაიტანონ წარმოებული პროდუქცია და გაყიდოს. ასეთ შემთხვევაში ბევრი ადამიანი არ მიაქცევს ყურადღებას იმას, რომ სოფელში არ არის ნორმალური სკოლები, გართობის და დასვენების საშუალება, არ არის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა. ადამიანები წავლენ სოფელში და იქ უკვე თვითონ დაიწყებენ ყოველივე ამის ნაბიჯ-ნაბიჯ შექმნას.

ვფიქრობთ, რომ ზემოთთქმულს შეუძლია გაუადვილოს სოფელს ბევრი პრობლემის მოგვარება, სოფლის მეურნეობის განვითარებასაც შეუწყოს ხელი. რაც შეეხება სახელწიფოს, მისთვისაც უფრო ადვილი იქნება ურთიერთობა ასეთ წარმონაქმნთან, ვიდრე ინდივიდუალურად ფერმერებთან. მათ ის წაახალისებს პრივილეგიებით ყველაზე წარმატებული მეურნეობებისათვის, მიაქირავებს ადგილს კოლექტორებში, მექანიზაციას, ადგილებს სპეციალურ ბაზრებზე დიდ ქალაქებში, რომლებსაც სახელმწიფოვე გაუკეთებს პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვების ადგილს; დაეხმარება ასეთ მეურნეობებს საკვებით, თესლით და სხვა საჭირო საბრუნავი საშუალებებით. ასეთი მეურნეობებისთვის უფრო ადვილი იქნება ბანკებთან ურთიერთობაც, და მათი სწავლებაც გაიოლდება. იმის ნაცვლად რომ ყველა გლეხს ასწავლო ყველაფერი მენეჯერს ასწავლი მართვას, ბუღალტერს-ბუღალტერიას, ტექნოლოგს ახალ ტექნოლოგიებს და ა.შ. მოკლედ, ძალიან ბევრი რამე შეიძლება გამარტივდეს ასეთი მეურნეობების წახალისებებით, რაც არც თუ ისე რთული უნდა იყოს წესით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეუძლია ორგანიზება გაუკეთოს სხვადასხვა კვლევების ჩატარებასა და საჯაროდ გამოქვეყნებას. ამით იგი ხელს შეუწყობს სოფ-

ლის მეურნეობით ან გადამამუშავებელი მრეწველობით დაინტერესებულ პირებს საქმიანობის პროცესში უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში.

კვლევები შეიძლება ეხებოდეს წარმოების მოცულობებს, ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკას, სხვა ქვეყნების ანალოგიურ გამოცდილება და ა.შ.

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის მიზნით აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგში კოოპერირების პროცესს და ფერმერებსა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის მიზანმიმართულ თანამშრომლობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რეგიონების მიხედვით ტრადიციული გადამამუშავებელი მცირე და საშუალო საწარმოების რეაბილიტაცია და განვითარება, რომლებიც შეასრულებენ „შუამავლის“ ფუნქციას საფინანსო ინსტიტუტებსა და ფერმერებს შორის.

1.2. მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციები, სასურსათო მარკეტინგის არსი და როლი მათი განვითარების პროცესში

მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება ორი ტენდენციით, ესენია: გლობალიზაცია და ინტეგრაცია.

რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის (რეი) პროგრამების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. რომლის მოქმედების სფერო საკმაოდ ფართოა და ხასიათდება სხვადასხვა დონის სიღრმით და ზომით.

რეი-ს დადებითი და უარყოფითი შედეგები ქვეყნებს შორის არათანაბრად ნაწილდება, რაც შესაძლოა მიუთითებდეს შემოსავლების კომპენსაციისა და გადანაწილების პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე. ეუთო–ს რეგიონის ფარგლებში, სასურსათო სისტემის რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელების რამოდენ-

იმე მაგალითი არსებობს, განსაკუთრებით გარდამაყალი ეკონომიკის ქვეყნებში.

როგორც ყველაზე მოწინაყე რეგიონალური ინტეგრაციის პროგრამამ, ევროკაგშირმა შეიძინა უნიკალური და სერიოზული გამოცდილება. ევროკაგშირის ინტეგრაციის პროცესს ხელს უწყობს სხვადასხვა ინსტიტუტები და სპეციალიზებული ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ფართო სპექტრის საერთო პოლიტიკასა და მოქმედებებს სასურსათო სისტემაში.

ევროკაგშირი ვითარდება როგორც გაღრმაყების, ასევე გაფართოების მიმართულებით. გაღრმაყება ნიშნავს არსებული პოლიტიკის მოქმედების სფეროს ზრდას და/ან ახლის შემოღებას. ძველი სტრუქტურის გაუქმების შემდეგ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა ხელი შეუწყვეს რეგიონალური ინტეგრაციის სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას. დსთ, მათ შორის მიზნად ისახავს წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კაგშირების გაუმჯობესებას. ამას მოჰყვა ისეთი ქვერეგიონალური ინიციატივები, როგორიცაა ბელორუსი-რუსეთის კაგშირი, suuam–ი, CES და სხვა. მათი შეფასება ამ ეტაპზე ნაადრევია. მიუხედავად ამისა, შესაბამისობის დონე საჭიროებს დეტალურ შეფასებას, ვინაიდან ამ ქვეყნებში ხორციელდება რამოდენიმე პროგრამა.

რეგიონალური ინტეგრაციის შეთანხმებები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წესებთან შესაბამისობაში უნდა იყოს. აუცილებელია ასევე ვაჭრობის წახალისება. ქვეყნების განვითარების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვმო–ში გაწევრიანებასა და ვაჭრობის ხელშეწყობას, ეფექტიანი ინტეგრირების გარეშეც კი, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს.[5]

---

[5] რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია: შერჩეული საკითხები (ეუთოს რეგიონალურ მონაცემებზე დაყრდნობით) დანიელ ლინოტი, უფროსი მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში, ეუთო-ს სამდივნო, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ – ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, კვარტალური მიმოხილვა, 2005 წელი.

სასურსათო სისტემა არის სისტემა, რომელიც მოიცავს სურსათის წარმოებას, რეალიზაციას, ფასთა წარმოქმნასა და მოხმარებას, ასევე ქვეყანაში სურსათთან დაკავშირებულ კომპონენტებს – ინფრასტრუქტურასა და ვაჭრობას.

სურსათით უსაფრთხოება წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელზეც სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის, ბუნებრივი კატაკლიზმების და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე თითოეული ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. აქედან გამომდინარე, ისეთი მასშტაბის ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია არსებული სასურსათო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და მიზანმიმართული განვითარება.[6]

კრიზისთან მიმართებაში ჩინეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნებს სურსათზე. აგრარული ეკონომიკა სამუშაო ძალი ძირითად წყაროდ რჩება მრეწველობისა და მომსახურების სფეროსთვის (დასაქმებულთა ხვედრი წილი სოფლის მეურნეობაში შემცირდა 1978 – 2005 წწ. 92 – სან 45%-მდე). ჩინეთის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია წვრილი კერძო მიწათსარგებლობა, მიწაზე სახოგადოებრივო საკუთრების შენარჩუნების პირობებში. მიწის პრივატიზაციის აკრძალვა ზღუდავს ფერმერობის განვითარებას. იმავდროულად, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დაბანდების პირობებში (მთელი ბიუჯეტური ხარჯების 8-9%) ხორციელდება აგრარული წარმოების დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია: იზრდება მეცხოველეობის ხვედრი წილი (15-დან 31%-მდე 1978 – 2005წწ). მარცვლეულის წარმოებით ჩინეთი სტაბილურად ინარჩუნებს მსოფლიო ლიდერობას, დაახლოებით 500 მლნ ტ. მარცვლეულის წარმოებით ყოველწლიურად. ამას ხელს

[6] საქართველოს სოფლის მეურნეობის 2009-2011 წლების განვითარების სტრატეგია, გვ. 4.

ეწყობას საგადასახადო შეღავათები (კერძოდ, 2006წ. გაუქმებულ იქნა 260 წელზე მეტხანს არსებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და რიგი ადგილობრივი მოსაკრებელი სოფელში) და გლეხთა პირდაპირი საბიუჯეტო დოტირება-სახელმწიფოს მხრივ.[7]

მიუხედავად ასეთი ტენდენციებისა და მოთხოვნათა გარკვეული შეუსაბამობებისა საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპებთან, ასევე ტექნოლოგიისა და მომსახურების სფეროების ეკონომიკური როლის მნიშვნელოვანი შემცირებისა, სასურსათო სისტემა მსოფლიო ეკონომიკაში ინარჩუნებს გლობალური ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორის ფუნქციას. სასურსათო სისტემის შესაძლებლობები – მოახდინოს ინფორმატიზაციისა და ტექნოლოგიზაციის მიღწევების აკუმულირება, განსაზღვროს ძლიერი ინდუსტრიული, ფინანსური და სამომხმარებლო სექტორების ფორმირება და განახორციელოს შრომის პროდუქტიულობის სტიმულირება – იწვევს მსოფლიო ეკონომიკის აღნიშნული სფეროს ფუნქციონირების თავისებურებათა კვლევის აქტუალიზაციას, განსაკუთრებით ფინანსური არასტაბილურობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორებზე ეკონომიკური როლის გადაფასების კონტექსტში.

სასურსათო სისტემა განსაზღვრავს საწყისს, საბაზისო ელემენტებს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის. სისტემის განვითარება ქმნის საინვესტიციოდ მიმზიდველ გარემოს და განაპირობებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას. სასურსათო პროდუქციის წარმოების, როგორც ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზატორის როლი უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მსოფლიო ბაზარზე სურსათზე მზარდი ფასები სტიმულირებას ახდენს და განაპირობებს

[7] „ჩინეთი: ეკონომიკის ანტიკრიზისული პოტენციალი და მსოფლიო კრიზისრეალური სექტორი: ინდუსტრიალიზაცია გლობალიზაციის პირობებში", პროფ. პაატა კოლუაშვილი, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბილისი, 2011.

ქვეყნის შიდა ბაზარზე მოთხოვნილების ზრდას.

სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში ცნობილი იყო ტერმინი „აგროსამრეწველო კომპლექსი", რომლის სტრუქტურული წყობის პრინციპები ფართოდ განიხილებოდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განვითარებულ ქვეყნებში კანონზომიერი პროცესების ურთიერთქმედების შედეგად აღნიშნულმა კომპლექსმა განიცადა ევოლუცია და ჩამოყალიბდა აგრობიზნესის სახით. მისი ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უცხოურ კომპანიებს შორის მრავალმხრივმა სახელშეკრულებო ურთიერთობების დამკვიდრებამ შუამავალი (საბროკერო) ფირმების მეშვეობით.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო პერიოდში ბევრი ნაშრომი ეთმობა ამჯერად უკვე არა აგროსამრეწველო კომპლექსის, არამედ აგროსამეწარმეო სექტორის, სასურსათო სფეროს, აგრარულ ეკონომიკას, აგროსამეწარმეო კომპლექსს, აგროსისტემასა და აგრობიზნესს.

საერთო ჯამში სასურსათო სისტემა წარმოადგენს ღია სისტემას, რომელიც მისი განვითარების დინამიური პროცესის გავლენით მერყეობს „არამდგრადი წონასწორობიდან მდგრად უწონასწორობამდე" და პირიქით[8].

საქართველო ახალი დამოუკიდებელი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა. მდგრადი განვითარების საერთო პრობლემებთან ერთად, მის წინაშე სპეციფიკური პრობლემები დგას, რაც ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან, ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენასთანაა დაკავშირებული. ტრანსფორმაციის პერიოდის მოყლენების შედეგად ეკონომიკა დეფორმირებულია, არაა მიღწეული მისი ადრე არსებული დონე, დარღვეულია სოციალური წონასწორობა, არსებობს გარეპოლიტიკური საფრთხე. რეალური ეკონომიკის წამყვანი დარგები – მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მეტისმეტად ნელა გამოდის უკი-

[8] „ბუნება-საზოგადოება-ადამიანი": მდგრადი განვითარების სისტემა; კუზნეცოვი ო. მოსკოვი, 2000.

დურესად დაქვეითებული მდგომარეობიდან. დიდია სოციალური უთანასწორობა (უსამართლობა), მაღალია სიღარიბის დონე, მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს, მდიდართა სიმდიდრე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყნის სიმდიდრე და ა.შ. ამრიგად საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის მეტი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე ტრადიციული გზით მიმავალ ქვეყნებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის დაძლევას, ტექნოლოგიური გარღვევის აუცილებლობას, ენერგო, სასურსათო და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ზღვარგადასული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრას, ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას, ეკონომიკის ფუნქციონირებაში არასტაბილურობის, კრიზისული მოვლენების, უმუშევრობის, ინფლაციის დაძლევას და ა.შ. ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქართველ მეცნიერთა ტექნოლოგიურ დამუშავებათა დანერგვა პრაქტიკაში, მეცნიერებისა და ინოვაციურ სფეროში არსებული უძრაობის ტენდენციის გადალახვა, ქვეყნის სამეცნიერო და საერთო ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება, მსოფლიო ტექნოლოგიურ მიღწევათა გამოყენება[9].

ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობა, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, არის ხელისუფლების აქტიური საქმიანობა ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე პროგრესული პროცესების მხარდაჭერისთვის. როლი, ცალკეული ადამიანების შეხედულების საწინააღმდეგოდ, მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწორად და ეფექტიანად განვითარებისათვის, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში პროგრესული ცვლილებებისათვის.

გადამწყვეტი აქტიური ძალაა მთელი საზოგადოება, ბიზნესი, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები, ქვეყნის მთელი ადამიანური რესურსები, მათი სოციალური

---

[9] სოციალური ეკონომიკის პრობლემები, *გიორგი მალაშხია*, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №5 (11), 2010.

ენერგიის, შრომითი პოტენციალის სრულად გამოყენება, რის გარეშეც ხარისხიანი განვითარების პრობლემა ქვეყანაში ვერ გადაწყდება, გლობალურ-ცივილიზაციურ პროცესში ჩართვა ვერ მოხდება.

საქართველოს აქვს მდგრადი განვითარების გზაზე წარმატების საკმაო შანსი – ინტელექტუალური სოციალური ენერგია, ისტორიული მემკვიდრეობა, ბუნებრივი რესურსები საქართველო არ უნდა ჩამორჩეს ცივილიზაციის ტემპს, არ დაკარგოს შესაძლებლობები, უნდა გამოიყენოს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. ყოველივე ამის მოლოდინი დიდია და ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

სასურსათო სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ქვემოთ მოცემული სისტემის სახით, სადაც ნათლადაა წარმოჩენილი მისი ფუნქციები და საქმიანობის სახეები.

ცხრილი №1

სასურსათო სისტემის ფუნქციონირება და მიზნები	
ქვეყნის უსაფრთხოება ეროვნული წარმოების სარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, რეგიონებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან შესაბამისობაში	
სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს გამართული სასურსათო სისტემით უზრუნველყოფა - როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილი	
სოფლის მოსახლეობისათვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის უზრუნველყოფა	
სოფლად მოსახლეობის მდგრადი განვითარების შესრულება და უზრუნველყოფა; სოფლის დონეზე ეროვნული წარმოების ძალისხმევების გაერთიანება	
სასურსათო წარმოების პროცესში გამოყენებული ნარჩენების და ეკოსისტემების შენარჩუნებისა და აღდგენა-წარმოქმნის უზრუნველყოფა	
ფუნქციები	**საქმიანობის სახეები**
• ინფორმაციული • ინსტიტუციონალური • ინფრასტრუქტურული • ინოვაციური • მწარმოებლური • ტექნიკურ-ტექნოლოგიური • ეკონომიკური • სოციალური	სურსათით ვაჭრობა
	ინფორმაციით/სწავლებით უზრუნველყოფა
	ხელოსნული, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებებით უზრუნველყოფა
	სურსათის, წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირება
	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სხვა პროდუქტების სათანადო საცავებში შენახვით უზრუნველყოფა
	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება
	აგრარული ინფრასტრუქტურის და მომსახურების სფეროს ვარეობითარების დაბალი დონე

13. სასურსათო მარკეტინგის განვითარება, როგორც მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის წინაპირობა და მისი ხელისშემშლელი ფაქტორები

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შიდა პრობლემების დაძლეასთან სასურსათო სისტემის დამოკიდებულების მიხედვით მსოფლიოში განასხვაებენ ქვეყნების სამ ტიპს:

პირველი ტიპის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ეფექტი და სიღარიბის დაძლევა მიიღწევა აგრარულ სექტორში წარმოების ზრდის შედეგად, მისი დიყერსიფიცირების, ქვეყნის შიდა ვაჭრობაში არსებული მარკეტინგული პირობების, მზარდი ექსპორტისა და ქვეყანაში ვალუტის შემოსვლის, სასურსათო კომპლექსისა და ქვეყნის ეროვნული მეურნეობების სხვა სფეროთა ურთიერთდამოკიდებულებით.

მეორე ტიპის ქვეყნებს განეკუთვნება ის სახელმწიფოები, რომლებშიც ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამრეწველო წარმოების დონეზე, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტი გადატანილია სოფლის მეურნეობის სფეროში შრომის ნაყოფიერების ზრდასა და სიღარიბის ურბანიზაციის საფრთხის დაძლევაზე.

და ბოლოს, სასურსათო სისტემის როლი **მესამე ტიპისად** მიჩნეული ქვეყნების ეკონომიკის ზრდაში მდგომარეობს მსოფლიო სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მიწოდებაში და ასევე აგრარულ რაიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სფეროში კვლავ რჩება რიგი პრობლემები, რომელთა მოგვარება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ სასურსათო სისტემის, როგორც მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის ფაქტორისათვის, არამედ საქართველოში სოფლის მეურ-

ნეობის, როგორც დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

არსებული პრობლემებიდან შეიძლება გამოვყოთ დარგისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პრობლემა, კერძოდ:

• სასურსათო სექტორში კოოპერირების დაბალი დონე და მისი განვითარების ნელი ტემპი;

• აღგილობრივი პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა;

• სუსტად განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა და წარმოებული პროდუქციის ხარისხი;

• არასრულყოფილი ინფორმაცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ;

• სასურსათო პროდუქციისათვის შიდა და გარე ბაზრებზე შესაბამისი სეგმენტის მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების არათანმიმდევრულობა და არასაკმარისი ფინანსური უზრუნველყოფა;

• ამორტიზებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, უმნიშვნელოვანეს პრობლემად გვევლინება აგრარულ სფეროში დაზღვევის მექანიზმების პრაქტიკულად არარსებობა.

საქართველო გამონაკლისი არ არის, ყველგან ხდება ბუნებრივი მოვლენები, ყველგან ნადგურდება ან მცირდება მოსავალი, მაგრამ უმეტეს ქვეყნებში განვითარებულია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, როგორიცაა დაზღვევა, რომელის მიზანია გაუთვალისწინებელი ბუნებრივი მოვლენების შედეგად შესაძლო დანაკარგების რისკების შემცირება.

რამდენადაც სოფლის მეურნეობის დარგი საკმაოდ სპეციფიკურია, კერძოდ, რისკების შეფასების, კონტროლისა და ზარალის დაანგარიშების დიდი სიძნელეებია და ამ ყველაფრის გამო სადაზღვევო პრემია სოლიდურ ციფრამდე ადის, ქართული სადაზღვევო კომპანიები ვერ ახერხებენ (და არც ცდილობენ) ახალი სადაზღვევო პროდუქტე-

ბის შემუშავებას და დანერგვას, სახელმწიფო კი ნაკლებად ერევა ამ პროცესების სტიმულირებაში.

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა სხვა განვითარებული, განვითარებად და კერძოდ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არსებული სიტუაცია და გაგვეგო, როგორ ახერხებენ ამ ეკონომიკურად ძვირადღირებული პრობლემის გადაჭრას.

ევროკავშირი

2004 წლის მონაცემებით ევროკავშირმა აწარმოა 162 მლრდ ევროს ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აქედან დაზღვეული იყო 37 მლრდ ევროს მოსავალი, ანუ მთლიანის 23%. სადაზღვევო პრემიის საშუალო განაკვეთმა შეადგინა 4%, საიდანაც 32% დაფარული იქნა სახელმწიფოს მიერ სუბსიდიის სახით.

პოლონეთი

პოლონეთში ძირითადად განვითარებულია აგროდაზღვევის 2 მიმართულება: მოსავლის და საქონლის დაზღვევა. სტატისტიკით, ფერმერების მხოლოდ 3% აზღვევს მოსავალს, თუმცა 2009 წლიდან უკვე სახელმწიფო იღებს სერიოზულ თანამონაწილეობას და აჟინანსებს 40%-ს მოსავლის დაზღვევაში და 50%-ს საქონლის დაზღვევაში.

ავსტრია

სადაზღვევო პრემიის 50%-ს იხდის ფერმერი, 50%-ს - სახელმწიფო. დაზღვეულია მთლიანი მინდვრების 75%, ვენახების 60%, ბოსტნეულის 90%, ბაღჩეულის - 80%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 30%.

ყაზახეთი

ყაზახეთი, როგორც გამოკვეთილად აგრარული ქვეყანა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდ ყურადღებას უთმობს აგროდაზღვევის ნორმატიული ბაზის განვითარებას და სახელმწიფო რეგულირებას.

ყაზახეთის კანონმდებლობით აგროდაზღვევა სავალდებულოა და ტარიფები შემდეგნაირად არის განსაზღვრული: მარცვლოვნები 5.8% საშუალოდ, სეთოვანი-კულტურები- 3.4%, შაქრის-ჭარხალი - 8.3% და ბამბა - 1.3%;

გარდა ამ ქვეყნებისა, სახელმწიფოს ჩართულობა სოფლის მეურნეობის საქმიანობის დაზღვევაში საკმაოდ მაღალ დონეზეა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, კანადა და ა.შ.

ზოგადი ტენდენცია არის ასეთია: ყველა ქვეყანა უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს დაზღვევის განვითარებას და მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობს მცირე თუ მასშტაბური ნაბიჯების გადადგმას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის რისკის დაზღვევის მექანიზმის შემოღებას, წარმოების დანახარჯების ნაწილობრივი კომპენსაციისა და გარანტირებული ფასების (გარანტირებული მოგების მიღებისა და კვლავწარმოებისათვის), საკრედიტო და საგადასახადო შეღავათების შემოღებას იმ ფიზიკური და იურიდიულ პირებისათვის, რომლებიც თავიანთ სახსრებს აბანდებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუ საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის კულტურა ჩამოყალიბდება?

პირველ რიგში, მოქმედ თუ დამწყებ ფერმერს აღარ ექნება იმის შიში, რომ დაიწყებს საქმეს და მოგვიანებით მთელი წვალება და ფული წყალში ჩაეყრება. ეს სტიმულს მისცემს ფერმერებს, რაც შეიძლება მეტ ფართობზე დათესონ სხვადასხვა კულტურა ან რაც შეიძლება მეტი საქონელი იყოლიონ.

მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანია, რომელიც დაინტერესებულია იყოს რაც შეიძლება ნაკლები სადაზღვევო შემთხვევა, ანუ პოტენციური ზარალი, ყველანაირად აიძულებს ფერმერებს გამოიყენონ თანამედროვე და ყველაზე გამართლებული ტექნოლოგიები, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ დანაკარგების რისკს. ეს კი, საბოლოო ჯამში, ისევ ფერმერების და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას მოემსახურება.

საბოლოოდ კი სახელმწიფო მოახერხებს იმას, რომ ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგი სწრაფად და ეფექტურად განვითარდეს.

ალბათ დროა, რომ სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით, ჩართოს პროცესებში სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, დონორები, კერძო კომპანიები და მათი დასმარებით სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს.

რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგა საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისთვის პირველ ეტაპზე, შეიძლება შეირჩეს სოფლის მეურნეობის ერთი ყველაზე პრიორიტეტული და პრობლემური დარგი, მაგალითად, სორბლის წარმოება.

სახელმწიფომ შესაძლოა, მთლიანად (ან ნაწილობრივ, თანადაფინანსებით) თავის თავზე აიღოს მომავალი წლის მოსავლის დაზღვევა ისეთი რისკებისგან, როგორიცაა: გვალვა, ხშირი წვიმები, სეტყვა და ა.შ. და ეს თანხები უკვე 2014 წლის ბიუჯეტშიც გაითვალისწინოს.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად იწარმოება დაახლოებით 100-120 ათასი ტონა ხორბალი. თუ დაიზღვევა მოსავლის ნახევარი, ანუ 50 000 ტონა (20 მლნ-მდე ღირებულების) და დაზღვევის საშუალო განაკვეთი იქნება 5%, მთლიანი სადაზღვევო პრემია შეადგენს დაახლოებით 1,000,000 ლარს, ანუ სახელმწიფოს წილი 50%-იანი თანადაფინანსებით იქნება 500 000 ლარი.

ამის შემდეგ უნდა გამოცხადდეს ტენდერი სადაზღვევო კომპანიებს შორის და შეირჩეს ის კომპანია (კომპანიები), რომლებიც ყველაზე საუკეთესო პირობებს წარმოადგენენ.

სახელმწიფომ პარალელურად უნდა აწარმოოს პიარკამპანია ხორბლის მწარმოებელ ფერმერებსა და პოტენციურად ამ საქმის დამწყებ პირებს შორის. უნდა დაარწმუნოს ისინი, რომ დააზღვიონ თავიანთი მოსავალი[1]. (მსგავსი ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან უკვე გადაიდგა 2011

წელს სიმინდის პროგრამის მიმდინარეობის დროს).

ფერმერს, რომელსაც აქვს 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მისი სავარაუდო მოსავალი არის 300 ტონა ხორბალი, (დაახლოებით 100 000 ლარის ღირებულებისა), მოუწევს სადაზღვევო პრემიის გადახდა 2500 ლარის ოდენობით, ანუ ერთ კილოგრამზე არა უმეტეს 1 თეთრისა.

ამ პროცესებში შეიძლება აქტიურად იქნას გამოყენებული ბანკების და მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების შესაძლებლობები, რომლებიც დააფინანსებენ ფერმერებს სადაზღვევო პრემიის გადახდის მიზნით.

ამ ყველაფრის განხორციელების შემდეგ სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიებთან ერთად უნდა დაამუშაოს მკაცრი კონტროლის სისტემა, რათა გამორიცხულ იქნას სადაზღვევო თანხების არამიზნობრივად და ბოროტად გამოყენება.

ამ სქემის განხორციელება იქნება პირველი სერიოზული ნაბიჯი საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისა, რომელიც იქნება ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების საწინდარი, ისევე როგორც სახელმწიფომ მოახერხა სამედიცინო დაზღვევის ხელშეწყობით ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტიმულირება.

სასურსათო სისტემის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემებია:

- ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება და მიწების დანაწევრება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა;
- ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის დეფიციტი;
- საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, ფალსიფიკაცია, სტანდარტები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა, კონტროლის სუსტი სისტემა და სხვა.
- ფინანსური რესურსების დეფიციტი ხელმისაწვდომი კრედიტების სიმცირე და მაღალი საპროცენტო განაკვეთი;

• სოფლის მეურნეობის სექტორში სადაზღვეო ინსტიტუტების აქტიურობის დაბალი დონე;

• სოფლად ალტერნატიული სამუშაო ადგილების ნაკლებობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის სოფლიდან ქალაქში მიგრაცია;

• არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა თუ წარმოების ადგილის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და სასაქონლო ნიშნების დაუცველობა.

1.4. სახელმწიფოს მიზნობრივი პროგრამები და არსებული რესურსების ოპტიმიზაცია, როგორც სასურსათო ბიზნესის განვითარების მექანიზმი

მთავრობამ უნდა შეძლოს ეკონომიკურ ურთიერთობათა ოპტიმალური რეგულირება მიზნობრივად შემუშავებული პროგრამების განხორციელებით. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამები (ერთეული გამონაკლისების გარდა) ჩვენთან არ დამუშავებულა.

დღემდე არ გაგვაჩნია სასურსათო პროდუქტების გარკვეული (აუცილებელი) ნაწილის ხელში თავმოყრის, ამ პროდუქტთა რესურსების ფორმირებისა და განაწილების ერთიანი სისტემა. საჭიროა მისი შექმნა.

საქართველოს აგრარული სექტორი საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას (რეგულირებას), რადგანაც საკუთარი რესურსებით მისი პოტენციალის სრულ ამოქმედებას რამდენიმე ათეული წელი შეიძლება დასჭირდეს, ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ საქმე ეხება სექტორს, რომელიც დღეს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკის ფორმას და შინაარსს (აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფოს სტატუსს). ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები და საწარმოო პოტენციალი არ შეესაბამება ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ სტრუქტურას და

ამდენად, ის არ შეიძლება მომავალში ღღეანდელ ღონეზე დარჩეს. საწარმოო ძალთა, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე სოფლად მოსახლეობის რიცხვი თანდათან შემცირდება და იგი განვითარებული ქვეყნისათვის დამახასიათებელ დარგებში – მრეწველობაში, ტრანსპორტში, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სფეროში გადაინაცვლებს. ამ პერიოდისათვის საქართველოს უკვე ექნება ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსი (სეგანვითარებული სოფლის მეურნეობით) და ქვეყნის გეოპოლიტიკური პირობების შესატყვისი სატრანზიტო, საზღვაო, საგზაო, საბანკო, ნავთობ და გაზსადენი კომუნიკაციების, საკურორტო და ტურიზმის მომსახურების კარგად ორგანიზებული ინფრასტრუქტურა.[10]

სასურსათო პრობლემების გადაწყვეტა პრაქტიკულად ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. ამ მსრივ გასათვალისწინებელია გფრს კანცლერის, *კონრად ადენაუერის* სამთავრობო განცხადება 1949 წელს გერმანიის სურსათის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ამოცანების განსაზღვრისას: "უფრო მეტად, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება და განთავისუფლება ზედმეტი ხარჯებისაგან. ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო სასურსათო პროდუქტების 50% და თუ გერმანიის ეკონომიკას სურს 1952 წლამდე მიაღწიოს გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, უნდა მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შემცირდეს სურსათისათვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა". საკუთარი წარმოების სასურსათო უზრუნველყოფა თუ ასე საეალდებულო იყო გერმანიისათვის, მით უმეტეს, აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: საქართველოშ თურქეთიდან, ირანიდან, ჩინეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს

[10] პროფ. პაატა კოლუაშვილი. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბილისი, 2011.

ბოსტნეული, მწვანილი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, როცა ადგილად შესაძლებელია აღვილზე ვაწარმოოთ უფრო მაღალხარისხიანი და დაბალფასიანი პროდუქცია.

იმ კონკრეტულ ვითარებაში, როცა ქვეყანას არ გააჩნია საკმარო რაოდენობით ვალუტა სურსათის დეფიციტის შესავსებად ობიექტურად აუცილებელი ხდება სასურსათო დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება და აღგილობრივი წარმოების საკვები პროდუქტებით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა.

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში აღგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, თუმცა მიღწომა პრაქტიკულად ყველგან ერთნაირია. კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკა მრავალ ქვეყანაში კანონის რანგშია აყვანილი და როგორც წესი, გამიზნულია ხანგრძლივი პერიოდისათვის. ჩვენში ასეთი პოლიტიკა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ჯერ არ არის შემუშავებული და, ბუნებრივია, არც ხორციელდება. პირიქით, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უკანასკნელ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ისეთი პარიტეტი ჩამოყალიბდა, რომელიც ამ უკანასკნელისთვის სასარგებლოა. არაფერს ვამბობთ სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობაზე, კარგი ჯიშის თესლითა და პირუტყვით უზრუნველყოფაზე და სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნორმალურ პირობებში სახელმწიფოს ხელშეწყობით უნდა რეგულირდებოდეს.

სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი უნდა მოიცავდეს აგროპროდუქციისა და ნედლეულის გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებას და რეალიზაციას. მარკეტინგის არხებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომხმარებლამდე მოძრაობის პროცესში განვითარებულ ქვეყნებში ჩართულია პროდუქციის დამამზადებელი და შემფუთ-მახარისხებელი

საწარმოები, მარცვლეულის ელევატორები, ხილ-ბოსტნეულის საცავები, გადამამუშავებელი მრეწველობის ქარხნები და ფაბრიკები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელი, საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო კომპანიები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ჯიშიანი თესლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქების მწარმოებელი, პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოთა ასოციაციები, კოოპერატივები, კორპორაციები და სხვა, რომელთა დამფუძნებლები, ძირითადად, თვით ფერმერები არიან.

გლობალიზაციისაკენ მიმავალი მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს სასურსათო სისტემის და შიდა ბაზრის პრიორიტეტულობის – როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, აუცილებელია რიგი ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციონალური ზომების გატარება. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის შეიძლება გამოვყოთ მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ბრუნვა, (მათ შორის, დამუშავების ოდენობა) ქონებაზე საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა და ვალდებულებათა შესრულების გარანტიები, უცხოელი ინვესტორების და აგრარულ სფეროში მომუშავე მუშახელის მოზიდვა, დიფერენცირებული მიდგომის ჩამოყალიბება და დანერგვა სურსათით ვაჭრობის საერთაშორისო ჯაჭვში.

ეკონომიკის განვითარების პროცესს საქართველოში ახასიათებს ისეთი პრობლემები, რომლებიც თანმდევია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის. სუსტად ვითარდება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები, შეიმჩნევა მწარმოებელთა ნებაყოფლობითი გაერთიანების სიმცირე, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს დარგების რეაბილიტაციის მიმდინარეობაზე; არამყარია სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, რაც საბოლოოდ სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, მნიშვნელოვნად დიდია განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის, რაც გამოიხატება უარყოფითი სალდოთი.

ზემოდაღნიშნული მიზეზების ფონზე სასურსათო სე-

ქტორის განვითარებისათვის ფინანსური რესურსების სიმცირე T-ერთი ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია. საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპზე საბანკო სისტემისათვის სასურსათო სფეროში კრედიტების გაცემა არაპრიორიტეტული მიმართულება. თავის მხრივ, ეს მდგომარეობა განპირობებულია სექტორის თავისებურებებით როგორიცაა:

- საბრუნავი საშუალებების დაბანდების ხანგრძლივობით;
- წარმოების რისკები;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- კომპანიების სუსტი მენეჯმენტი;
- კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთი;
- პროდუქციის შესანახი მეურნეობების არარსებობა (და შესაბამისად, შენახვისა და მისი დროული რეალიზაციის პრობლემა).

იმისათვის, რამ გამოყენებულ იქნას ქვეყნის აგროსამრეწველო სექტორში არსებული პოტენციალი, დასაქმდეს მოსახლეობა სოფლად და ამაღლდეს მისი სოციალური მდგომარეობა, გაიზარდოს ექსპორტი და ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს სასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქციით, აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა, რაც უნდა გამოიხატოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებაში[11], საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებასა და დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების გაცემაში, საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვაში და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვანია ისეთი დარგებისათვის, რომლებსაც სერიოზული შესაძლებლობები აქვთ. მოსახლეობის დასაქმების, საექსპორტო პოტენციალის გაზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით.

[11] ავტორის შენიშვნა: აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე არსებობს პრეცედენტი, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ 2010-2011 წლებში დაწყებულ სიმინდისა და ხორბლის წარმოების ხელშეწყობის პროგრამებით, ასევე აგროსერვისული ცენტრის – შპს "მექანიზატორის" შექმნით.

1.5. გლობალური სასურსათო მარკეტინგის კომპონენტები, როგორც ეკონომიკური არასტაბილურობის ნეგატიური შედეგების შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი

გლობალური სასურსათო სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტად გვევლინება ინფრასტრუქტურა და სასურსათო პროდუქტებით მსოფლიო ვაჭრობის ინსტიტუტების ფუნქციონირება, რომლებიც განსაზღვრავენ სასურსათო სისტემის როლს გლობალურ ეკონომიკურ პროგრესში და სამეურნეო არასტაბილურობის ნეგატიური შედეგების შემცირებაში.

მსოფლიოში სურსათით ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის ხდებოდა დავისა და კამათის მიზეზი საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებზე, ფასებისა და სუბსიდიების განსასაზღვრად გამართულ ეროვნულ დებატებში; რიგ შემთხვევებში ქვეყანათა შორის იწვევდა პოლიტიკური დაძაბულობას (ძირითადად გარდამავალი ტიპის ქვეყნებში) ან ღარიბ ქვეყნებში განვითარების პროგრამების განმახორციელებელ პარტნიორებსა და ხელისუფლებას შორის განაპირობებდა რთულ, დისკუსიურ დიალოგს.

სასურსათო ბაზრის ლიბერალიზაციის ტენდენციებმა რიგი განვითარებადი ქვეყნებისა აიძულა მიეღოთ თავდაცვითი ზომები ქვეყანაში სურსათის იმპორტის შემცირებისათვის, რაც განპირობებული იყო OECD-ში[12] შემავალ ქვეყნებს შორის შიდა სავაჭრო პოლიტიკით. ამ გადაწყვეტილების არგუმენტებად ასახელებენ იმ მიზეზებს, რომ OECD-ის პროტექციული ზომები გრძელვადიანი ვაჭრობის შედეგად დადგენილ

[12] Organization for Economic Co-operation and Development – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაცია განვითარებული ქვეყნებისა, რომლებიც ცნობენ წამომადგენლობითი დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს; შეიქმნა 1948 წელს სახელწოდებით "ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია" (Organisation for European Economic Co-operation – OEEC) მარშალის გეგმის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციის პროექტების კოორდინირებისთვის.

ფასებზე მეტად ამცირებს ყურსათზე ფასებს, რაც ყველას სარალს აყენებს ქვეყნის შიგნით წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ანაცვლებს რა მას მსგავსი სახის იმპორტირებული საქონლით. ეს ფაქტი თავის მხრივ ასუსტებს და აქრობს სასოფლო-სამეურნეო სექტორში კაპიტალის დაგროვების პროცესებს და ზრდის ქვეყნის შიგნით სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციას. ამიტომ, იმპორტისაგან დაცვას ამართლებენ როგორც ზომას ეროვნული წარმოების შენარჩუნებისა და განვითარების საშუალებას.

თუ ეკონომიკურ ზრდას მსოფლიო ეკონომიკის აგრარულ სექტორში აქვს სიღარიბესთან ბრძოლის უნიკალური შესაძლებლობები, რატომ არ გამოიყენება ეს სტრატეგია განვითარებად ქვეყნებში სიღარიბესთან საბრძოლველად? ვიეტნამში, ინდოეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში სიღარიბე მნიშვნელოვნად შემცირდა, როცა ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა თავბრუდამხვევი მასშტაბით ვითარდებოდა. ანალოგიურად, იაპონიაში მრეწველობის განვითარებამ და მოსახლეობის შემოსავლის სწრაფმა მატებამ, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარება გამოიწვია. ამის მიუხედავად, დღესაც, თანამედროვე აგრარულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა ნაკლებად გამოიყენება ეკონომიკური ზრდისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის. სასურსათო სისტემების პოტენციალი აგრარულ რაიონებში სრული მოცულობით არ გამოიყენება სიღარიბის დაძლევასთან მიმართებით. მსოფლიო სასურსათო სისტემის პროდუქტულობის ზრდა იმ დონემდე, რომ მან ქვეყნის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტის როლი ითამაშოს, არც თუ ისე იოლი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ძირითად სირთულეებს სწორედ ღარიბი ქვეყნები წააწყდებიან. სოფლის მეურნეობის ზრდა უნდა განაპირობებდეს არა მხოლოდ პროდუქტულობის მატებას, არამედ ქვეყნის განვითარების პროცესში უნდა უზრუნველყოფდეს მცირე მესაკუთრეთა და ფერმერთა აქტიურ ჩართულობას.

სასურსათო სისტემის განვითარების თანამედროვე კომპლექსურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, შეღგენილ იქნა რეიტინგი, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავეს იმ ქვეყნებმა, რომლებიც ბუნებრივ უპირატესობებთან ერთად ფლობენ მაღალი დონის სასურსათო სისტემას და განვითარებულ სასოფლო ინფრასტრუქტურას. ამ ქვეყნებში განვითარებული ინფრასტრუქტურა მოიცავს ხელმისაწვდომ სასოფლო-სამეურნეო ბაზარს; სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიალიზაციის მაღალ დონეს; კომუნიკაციის ყველა საშუალების ხელმისაწვდომობას აცრარულ სექტორში მომუშავე პირთათვის და ოპტიმალურად გადანაწილებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს. (ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, ისრაელი, აშშ).

ეროვნული სასურსათო სისტემისათვის ქვეყანაში ხელსაყრელი პირობების შექმნით საქართველო შეძლებს ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდას მსოფლიო ბაზარზე და ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო სასურსათო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის წარმატებას.

ქვეყნის სასურსათო სფეროში არსებული მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებას.

სასურსათო სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყოს ფერმერული მეურნეობების შექმნას, რომლებსაც ეყოლება მენეჯერი, ზედამხედველთა საბჭო, ტექნოლოგიები, გაყიდვებზე პასუხისმგებელი ადამიანები. ეს ყოველივე დაასაქმებს სოფლის მოსახლეობას, რომლის შემადგენლობაშიც აქციონერებიც მეურნეობა სტრატეგიულ ჯიშებზე აიღებს აქცენტს, რესურსებს უფრო ეფექტურად გამოიყენებს, სოფლებში ხალხის დაბრუნებაზე მოტივირებული იქნება და იზრუნებს კიდეც.

თავი 2. მსოფლიო სასურსათო ბაზრის განვითარება სტაბლიზაციისა და ანტიკრიზისულ ღონისძიებათა რეგიონალიზაციის პირობებში

2.1. მსოფლიოში სურსათით ვაჭრობა და აგროპროტექციონიზმის ესკალაცია

გლობალური სასურსათო სისტემის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად გვევლინება სურსათით ვაჭრობის ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ინსტიტუტები, მათი ურთიერთქმედება მსოფლიო სასურსათო ბაზრის სხვა ელემენტებთან, რომლებიც განაპირობებენ სასურსათო სისტემის როლს გლობალური ეკონომიკის პროგრესში.

სურსათით მსოფლიო ვაჭრობის საკითხებზე არსებული კითხვები და რიგი საკითხები ყოველთვის იყო და დღესაც არის საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების დროს მწვავე კამათისა და დისკუსიის, ასევე, ქვეყნის შიგნით, ეროვნულ დონეზე ფასებისა და სუბსიდიების ოდენობის განსასაზღვრად გამართული მსჯელობის საგანი. აღნიშნულ საკითხებს არაერთხელ გამოუწვევია ეკონომიკის გარდამავალ საფეხურზე მყოფი ქვეყნების შიგნით პოლიტიკური დაძაბულობა, ღარიბ ქვეყნებში კი განვითარების პროგრამების განმახორციელებელ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების მიზეზი გამხდარა.

ვაჭრობის სფეროში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორი პოლიტიკურად მგრძნობიარე და განსახორციელებლად რთულია აღნიშნული საკითხი. ამავე დროს, სასურსათო პროდუქციით ვაჭრობის განვითარებას შეუძლია არსებითი სარგებელი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას.

ცნობილია, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის

დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები გამოირჩევიან მაღალი საგადასახადო განაკვეთებით იმ ფერმერული მეურნეობების მიმართ, რომლებიც ექსპორტისათვის აწარმოებენ პროდუქციას, რამდენადაც ამ ჯგუფის ფერმერებს მიიჩნევენ საბიუჯეტო შემოსულობების ძირითად წყაროდ. განვითარებულ ქვეყნები მისწრაფვიან უზრუნველყონ ფერმერები მსხვილი სუბსიდიებით. ეს განსხვავება ხშირად განაპირობებს მოსახლეობის ღარიბი ფენისა და წვრილი ფერმერების ინტერესების სათანადოდ დაუცველობას როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე.

ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა განვითარებად ქვეყნებზე განვითარებული ქვეყნების ნეგატიური გავლენის შემცირებას, მათ შორის, ამ უკანასკნელთა ბაზარზე განვითარებადი ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქციის შეტანის ხელისშემშლელი ფაქტორების შემცირებას და სახელმწიფო სუბსიდირების გაზრდას ქვეყნის შიგნით მწარმოებლურობის მომატების მიზნით.

განარჩევენ ინსტრუმენტების სამ ტიპს[13], რომლებიც მსოფლიო ბაზარზე სასურსათო პროდუქციით ვაჭრობის მასტიმულირებელ ფაქტორებად განიხილება:

- **ქვეყნის ბაზარზე დაშვება** იმპორტის ტარიფები და ქვოტები, რომლებიც იცავენ მწარმოებლებს უცხოელი კონკურენტებისაგან;
- **ექსპორტის სუბსიდირება** სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სუბსიდიები ექსპორტიორთა ხარჯების ნაწილის დასაფარად პროდუქციის ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრებისათვის ხელშესაწყობად;
- **ქვეყნის შიგნით მხარდაჭერის ზომები** ფერმერთათვის პირდაპირი დახმარებები ფერმერული მეურნეობების სახეობების, მწარმოებლურობისა და წარმოებული პროდუქციის სახეობების გათვალისწინებით.

---

[13] ვ. კენინი, KODEX ALIMENTARIUS და მისი დანერგვის პროცესი საერთაშორისო ბაზარზე. ჟურ. ეკონომიკა და მართვა, №12, 2008. გვ. 17.

განვითარებული ქვეყნების გაძლიერებულმა აგროპროტექციონიზმმა და მისმა ნეგატიურმა გავლენამ განვითარებად ქვეყნებზე 80-იან წლებში ცხადყო ის ფაქტი, რომ საკითხი დიდ ყურადღებასა და სათანადო ზომების გატარებას საჭიროებდა. 1986 წელს დაწყებული მოლაპარაკებები, რომელიც „ურუგვაის რაუნდის" სახელითაა ცნობილი, ამ მხრივ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია. სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოებული პროდუქციის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის გამართულ ურუგვაის რაუნდზე მხარეებმა ჩამოაყალიბეს „კერნის ჯგუფი" და მიაღწიეს იმას, რომ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ხელმომწერმა ქვეყნებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად სასურსათო სფეროში რეფორმების აუცილებლობა და დარგის სუბსიდირების აუცილებლობა დააყენეს. საკითხის რეგულირების ერთ-ერთი შემდეგი ნაბიჯი იყო „დოჰას რაუნდის" ფარგლებში 2003 წელს კანკუნში მინისტრების კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება აგროპროტექციული ზომების შესუსტების მიზნით დიდი ოცეულის (G-20) ჯგუფის შექმნის შესახებ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD - Organisation for Economic Co-operation and Development) წევრი ქვეყნები დღესდღეობით დაკავებული არიან არსებული აგრარული პოლიტიკის გადახედვით, თუმცა საქმე არცთუ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სასურსათო მწარმოებლურობის საშუალო მაჩვენებელი 2003-2005 წლებისათვის 1986-1988 წლებთან შედარებით 37%-ით შემცირდა.[14] ეს მაჩვენებელი, რომელიც მწარმოებელთა მხარდაჭერის შეფასების სახელითაა ცნობილი, გვიჩვენებს ყოველწლიურ მოცულობას სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთათვის მომხმარებლის მიერ გადახდილ ფულადი გადასახდელების ოდენობას.

როგორც ცნობილია, წლების მანძილზე მაკროეკო-

[14] OECD-ს ოფიციალური ვებ-გვერდი, სტატისტიკური მონაცემები. http://www.oecd.org/document/0,3746,en-2649-201185-46462759-1-1-1-1,00.html

ნომიკური პრინციპები განაპირობებდა აგრარული მეურნეობების მაღალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრას, ვიდრე ეს ივარაუდებოდა აგრარული პოლიტიკის შემუშავებისას.

1980-1984 წლებსა და 2000-2004 წლებში პირველი განვითარებადი ტიპის ქვეყნებში (ძირითადად საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებში) გატარებულმა რეფორმებმა საგადასახადო განაკვეთები აგრარულ სექტორზე თითქმის ორჯერ 28%-დან 10%-მდე შემცირდა. მიუხედავად მაკროეკონომიკური კორექტირებებისა, 80-იან წლებში ამ ქვეყნებში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო ფასები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

1990 წლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: საერთაშორისო ბაზარზე არსებული შედარებით სასურველი ფასები, განგრძობადი მაკროეკონომიკური და აგრარულ სექტორში განხორციელებული რეფორმები გახდა მიზეზი იმისა, რომ ქვეყნის შიდა ბაზარზე სასურსათო წარმოების პროდუქტების საექსპორტო ფასები რეალურად გაზრდილიყო.

2000-2007 წლებში პირველი ტიპის ქვეყნებმა დაწიეს საქონლის იმპორტისაგან თავდაცვის საშუალებები და დაახლოებით 46%-დან 19%-მდე შეამცირეს საგადასახადო განაკვეთები სასურსათო მწარმოებელთა საქმიანობაზე.

მეორე ტიპის ქვეყნებში სასურსათო წარმოების საგადასახადო განაკვეთმა 15-დან 4%-მდე დაიკლო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის - შედარებით განვითარებულ - ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. მათი ნაწილი დღემდე ცდილობს მკაცრი პროტექციული ღონისძიებებით საკუთარი სასურსათო მწარმოებლურობის გაძლიერებას (მაგალითად: ინდონეზია, ინდოეთი, მალაიზია, ტაილანდი), სხვები კი განაგრძობენ სასურსათო სისტემის მაღალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრას (ეგვიპტე, სენეგალი). ამ ტიპის ქვეყნებმა 2000-2007 წლებში მცირ-

ედით შეასუსტეს აგრარული იმპორტისაგან თავდაცვითი ღონისძიებები და იმპორტის საბაჟო განაკვეთი 13-დან 11%-მდე დაწიეს, ხოლო საგადასახადო განაკვეთები 29%-დან 13%-მდე შეამცირეს.

მესამე ტიპის ქვეყნებმა საგადასახადო განაკვეთები სასურსათო წარმოებაზე შეამცირეს და საშუალოსტატისტიკურად 9%-მდე დაწიეს 2000-2007 წლებში. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ურბანიზებულმა ქვეყნებმა აღნიშნულის პარალელურად გაატარეს პროტექციული ღონისძიებები საკუთარ სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში, კერძოდ კი, 1992-1993 წლებთან შედარებით 2002-2003 წლებში საგადასახადო განაკვეთები სასურსათო სფეროში 31%-მდე გაიზარდა. მიუხედავად მსგავსებისა, მესამე ტიპის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია: მაგალითად, ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ 1992-1993 წლებში შემოიღეს 30%-იანი გადასახადი აგრარული სექტორის პროდუქციაზე. აგროპროტექციონიზმის გაძლიერების მიზნით იყო განპირობებული სლოვენიის მოქმედება, როდესაც საბაჟო გადასახდელების ოღენობა აგრარულ პროდუქციაზე ამავე პერიოდში გაიზარდა 13-დან 38%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნების ფერმერები დღესდღეობით ნაკლებად განიცდიან აგროპროტექციონიზმის მავნე ზეგავლენას მათ განვითარებაზე 1980-იან წლებთან შედარებით, ჯერ კიდევ შეიმჩნევა მსგავსი ტენდენციები სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებით. თითქმის ყველა ქვეყანაში აგრარულ სფეროზე არსებული საგადასახადო განაკვეთი საკმაოდ დაბალია, თუმცა ზემოდხსენებული ტენდენციები მაინც შეინიშნება რიგი ქვეყნების ეკონომიკაში. თუ შევადარებთ საგადასახადო განაკვეთებს იმპორტირებულ და ესპორტირებულ საქონელზე, მაშინ აღმოჩნდება, რომ ბევრ ქვეყანაში ექსპორტი ისევ დიდი საგადასახადო განაკვეთებით იბეგრება, თუმცა, ამაყდროულად, იმპორტირებული საქონლის რიგ სახეობებზე გადასახადები არც თუ ისე მცირეა.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აუცილებელია სამომავლოდ შემუშავებულ იქნას რეფორმები თითოეული ქვეყნის განვითარების დონისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობას დიდი ადგილი უკავია ეროვნული შიდა პროდუქტის წარმოქმნაში, აუცილებელი იქნება გაგრძელდეს სასურსათო სისტემის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა, რათა სახელმწიფო უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი შემოსავლითა და დამატებითი მატერიალური რესურსებით განვითარების უფრო ღრმა და ფართო პროგრამების განსახორციელებლად.


ჩვენი ქვეყნის მაგალითზე უნდა ითქვას, რომ საქართველო არის საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანა 4.5 მლნ-იანი მოსახლეობით. სამხრეთ კავკასიაში მას არამხოლოდ სავაჭრო თვალსაზრისით უკავია სტრატეგიული ადგილმდებარეობა. ქვეყნის შემოსავალი 2009 წელს ერთ სულ მოსახლეზე იყო 2,414 დოლარი, რაც 2.6-ჯერ აღემატებოდა 2003 წლის დონეს, როდესაც დიდი ხნის ეკონომიკური დაცემის შემდეგ მდგრადი ზრდა იქნა აღდგენილი.

1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ დაიწყო გარდაქმნები კომუნისტური პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული საკმაოდ დაბალი შემოსავლების, არასაკმარისი ფისკალური რესურსების და სუსტი ინსტიტუციური და ადმინისტარციული შესაძლებლობების პირობებში. რეჟიმის დამხობასთან ერთად დაინგრა სოციალური დაცვის სისტემა, სოციალური ინფრასტრუქტურა და შრომის ბაზარი. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამწვავებას ახლდა სამოქალაქო კონფლიქტები, შიდა ომები, რასაც მოჰყვა სავაჭრო გზების ბლოკადა. 1991-1993 წლებში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში ომებს მოჰყვა მიგრაცია, ეკონომიკური დანგრევა და დაცემა.

90-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მთავრობამ სტაბილიზაციის პროგრამის დანერგვის გზით მიაღწია

ნახ. №3

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი[15]



მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.


საქართველოს ეკონომიკამ განვითარების ახალი სტიმული მიიღო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. მთავრობამ განახორციელა საკმაოდ ამბიციური რეფორმები, რის შედეგად დამყარდა მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მშპ-ის ზრდა სწრაფი ტემპებით განხორციელდა.

ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ცნობილმა მსხვილმა კომპანიებმა, რომელთაც ინვესტირება გააკეთეს საქართველოში, უკვე ნახეს მოგება და თანაც საკმაოდ დიდი ოდენობით.

უცხოელი ინვესტორებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტირების განსახორციელებლად მიმზიდველ წინაპირობებს ქმნის შემდეგი ფაქტორები:

- საწვავისა და ელეტქრო ენერგიის კონკურენტული ფასები
- გლობალურ ბაზარზე საკვებ პროდუქტების ზრდის ტენდენცია
- ბიზნესის შესაძლებლობა არა მარტო მეურნეობის, არამედ ტექნიკის მიწოდებისა და მომსახურების სფეროში

[15] წყარო: საერთაშორისო მონეტარული ფონდი.



კომპანია		დარგი	ინვესტიციის მოცულობა და დაწყების წელი	ინვესტორის წარმომავლობის ქვეყანა	
Perdue		მეფრინველეობა	ნა / 2011	აშშ	
JablunevіyDar		ხორცი და წვენი	FR მილ. 2007	უკრაინა	
Wimm Bill Dann Georgia(Soplis Nobati)		რძე და რძის პროდუქტები	$ 15 მილ. 2009	რუსეთი	
Geolive		ზეითუნის ზეთი	$ 1 მილ. 2009	თურქეთი	
Schuchmann Wines		ღვინო	€6 მილ. 2008	გერმანია	
Hipp		ხილი და წვენი	€8 მილ. 2007	გერმანია	
Ferrero		თხილი	€6 მილ. 2007	იტალია	
Chateau Mukhrani	CHATEAU MUKHRANI	ღვინო	$ 35 მილ. 2003	დანია	
Unifarm		რძე და რძის პროდუქტები	$3 მილ. 1997	შვედეთი	
LLCGWS		ღვინო	ნა / 1994	დანია	

- იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობა შიდა მეურნეობით. საქართველოში ძირითადი საიმპორტო პროდუქტებია:
  - ხორბალი
  - ნერგი და თესლი
  - ხორცი და ფრინველი
  - სპეციფიკური ტიპის პესტიციდები და სხვ.
- კონსოლიდაციის შესაძლებლობა. საქართველოში მიწის მესაკუთრეები ძალიან ფრაგმენტირებულია, ეს ინვესტორს აძლევს მიწების კონსოლიდაციის და ეფექტურ-

ობის გაზრდისა შესაძლებლობას.

ამჟამად საქართველოში მიმდინარე რეფორმები მიმართულია ადამიანური განვითარების საჭიროებებისკენ. საქართველომ დაიწყო საავაჭრო პოლიტიკის რეგულირების რეფორმები და ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას. ამავდროულად, საქართველო ცდილობს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების მიღწევას ევროკავშირთან, რომელიც რეგიონში უკეთესი და ღრმა ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს.

საქართველო სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP+) უპირატესობებით ევროკავშირის ბაზარში შესასვლელად, მაგრამ ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული, ინფორმაციული, ადამიანური კაპიტალის, ტექნოლოგიების და სხვა სირთულეებიას თუ არასაკმარისი რესურსების გამო საქართველოსთვის დამახასიათებელია პროდუქციის ექსპორტის დაბალი ტემპები.

მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სავაჭრო პოლიტიკის, რეგულირების, ინფრასტრუქტურის და ადამიანური გან-

ცხრილი №1. ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის შესაბამისად გადანაწილებული ხარჯები (ქვეყნების ტიპების მიხედვით)

ქვეყნების ტიპი ერიან ქვეყნებში	დანახარჯების განაწილება სოციალური მიზნების მიხედვით (%)		
	განვითარებადი ქვეყნები	განვითარებული ქვეყნები	ჯამში
განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა მოცემულ სფეროებში			
სოფლის მეურნეობა და სასურსათო პროდუქტების წარმოება	9,8	6,6	16,4
სხვა სექტორები	5,2	23,0	28,4
განვითარებული ქვეყნების პოლიტიკა მოცემულ სფეროებში			
სოფლის მეურნეობა და სასურსათო პროდუქტების წარმოება	9,1	38,0	47,0
სხვა სექტორები	5,9	2,4	8,4
ზემოდასახელებული ქვეყნების საერთო პოლიტიკა	30.0	70.0	100,0

ვითარების გაუმჯობესების გეგმა ვაჭრობასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენისა და პრიორიტეტების დადგენის გზით ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების კონტექსტში; იგი მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების (სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესასოციაციების ჩათვლით) აქტიურად ჩართვას და მონაწილეობას სასურსათო, მაკროეკონომიკური და ბიზნეს გარემოს გარდაქმნასა და ადამიანური განვითარების პროცესის რეგულირებაში; საქართველოსათვის აგრარული სფერო და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები უდავოდ პრიორიტეტულია, ამიტომ საჭიროა დაიწყოს მუშაობა იმ სფეროების და ობიექტური პრიორიტეტების გამოვლენაზე, სადაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დონორების დახმარება და სპონსორობა.

შეიქმნას ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, გაზარდოს ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობები და ქვეყანამ მიიღოს სარგებელი სავაჭრო შეთანხმებებიდან.

გლობალური საერთო დანახარჯები მიმდინარე სავაჭრო სტრატეგიებისათვის რომლებსაც ახორციელებენ როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნები, ცხადყოფს, რომ სუბსიდირების როლი უახლოეს 4 წელიწადში კვლავ მნიშვნელოვანი იქნება სასურსათო სისტემის განვითარებისათვის. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით მსგავსი წლიური ხარჯები 2015 წლისათვის 100-დან 300 მლრდ აშშ დოლარამდე იქნება.[16] სავარაუდოდ, ამ თანხის 2/3 დაიხარჯება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის საბაჟო მოსაკრებლის ხარჯების სუბსიდირებისთვის, ხოლო დარჩენილი 1/3 გადანაწილდება ეკონომიკის სხვა სექტორების სუბსიდირებისათვის.

მსოფლიო ბანკის 2006 წლის კვლევებზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია გამოიწვევს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე

[16] მონაცემები აღებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის - www.wto.org ოფიციალური ვებგვერდიდან.

სოფლის მეურნეობის პირველად პროდუქციაზე ფასების გაზრდას საშუალოდ 5.5%-ით, ხოლო გადამუშავებულ საკვებ პროდუქციაზე - 1.3%-ით. განვითარებადი ქვეყნების ხელსრით წილი ექსპორტირებული პროდუქციის ბაზარზე, საგარაუდოდ, გაიზრდება 9 ნიშნულით 54%-დან 65%-მდე[17].

მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში სასურსათო მწარმოებლურობის ზრდამ ბოლო წლებში მოიმატა 3,9%-დან 4,2%-მდე. ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს 10 წლისწადში მაჩვენებელი 8%-ით გაიზრდება. თუ პროცესები ამ სცენარით განვითარდა, ეს გაცილებით მომგებიანი იქნება ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნებისათვის, ხოლო სამხრეთ აზიის, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის შეიძლება ზარალის მომტანიც კი იყოს.

სურსათით ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან ყველა სახელმწიფო, ბუნებრივია, მოგებული ვერ იქნება, ზოგიერთი სახელმწიფოს ან უმეტესი მწარმოებლისათვის ეს პროცესი წამგებიანი დარჩება. სავაჭრო რეფორმები ქვეყანაში სიღარიბის დაძლევასთან მიმართებით მოითხოვს ყართომასშტაბურ, განსოგადებულ მიდგომას. შეიძლება გამოვყოთ

ცხრილი №2. სასურსათო სისტემის ზრდა მსოფლიო ვაჭრობის გლობალური რეფორმირების პირობებში

რეგიონი, ქვეყნების ჯგუფები	სასურსათო სისტემის ყოველწლიური ცვლილების ტემპი	რეგიონი, ქვეყნების ჯგუფები	სასურსათო სისტემის ყოველწლიური ცვლილების ტემპი
განვითარებული ქვეყნები	- 1.7	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	0.0
განვითარებადი ქვეყნები (მ.შ. საქართველო)	0.3	ახლო აღმოსავლეთი	0.0
მათ შორის			
აფრიკა (საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნები)	0.4	ევროპა და ცენტრალური აზია	- 0.1
სამხრეთ აზია	- 0.2	ლათინური ამერიკა	2.0

[17] წყარო - მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებგვერდი http://www-wds.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTWDS/0,,detailPagemenuPK:64187510~mcnuPK:64187513~pagePK:64187848~ piPK:64187934~searchPagemenuPK:64187283~siteName:WDS~theSitePK:523679,00.html

ზოგადი ხასიათის მქონე რამდენიმე კანონზომიერება:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის რეფორმირება განვითარებად ქვეყნებში გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აგრარული პოლიტიკის ცვლილება განვითარებულ ქვეყნებში. იმპორტის გადასახადის შემცირება ან გაუქმება გამოიწვევს პროდუქციაზე ფასების შემცირებას და ხელმისაწვდომს გახდის მას მოსახლეობის ფართო მასებისათვის ძირითადად ღარიბი ფენისათვის. ამავე დროს, ამ ღონისძიებით მცირდება ქვეყანაში ამ პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლებიც, რომლებიც ჭარბი რაოდენობით აწარმოებენ მას. მაგალითად, მექსიკაში საბაჟო ტარიფების დაწევის შემდეგ უნდა ველოდოთ სოფლად ფერმერული მეურნეობების შემოსავლების შემცირებას და სიღარიბის ზრდას.

საერთო ჯამში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ვაჭრობის სფეროში გატარებული რეფორმები დროულად და კომპლექსურად ხორციელდება, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, შეიმჩნევა მოსახლეობის სიღარიბის დონის კლებისა და ზოგადად - ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ტენდენცია.

ვაჭრობის გლობალური ლიბერალიზაციის გზით განვითარება არაა იოლი საქმე, რაც ურუგვაისა და დოჰას სავაჭრო მოლაპარაკებების რაუნდებმა დაამტკიცა კიდეც. გავლენიანი სამრეწველო და სავაჭრო წრის წარმომადგენლები მყარად არიან დაფუძნებულნი და შეთვისებული აქვთ მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, შესაბამისად, სკეპტიკური არიან განწყობა აქვთ ცვლილებების მიმართ და მეტიც არ სურთ ისინი.

სავაჭრო მოლაპარაკებების დოჰას რაუნდი იძლევა შესაძლებლობას, რომ რეალიზებული იყოს ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად ქვეყნების ეკონომიკის მასტიმულირებელი გარემოებები, თუმცა, საყარაუდოდ, აღნიშნული გაცილებით ეფექტური და მომგებიანი იქნება განვითარებადი ქვეყნების მიმართ, ვიდრე განვითარებული

ქვეყნებისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ დოჰას რაუნდის მოლაპარაკებები ძირითად აქცენტს აკეთებს ექსპორტის სუბსიდირების გაუქმებასა და შიდა წარმოების გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების შემცირებაზე და არა საბაჟო განაკვეთების ოდენობის შემცირებაზე განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, ორივე მიმართულების კომპლექსურად და ეფექტურად დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასა და ზრდას.

დოჰას რაუნდის ფარგლებში გამართული სავაჭრო მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა 29 იულისს, სასურსათო საკითხებზე აშშ-ს, ინდოეთსა და ჩინეთს შორის შეთანხმების მიუღწეველობის გამო. საკითხი ეხებოდა ინდოეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სპეციალურ დაცვით მექანიზმებზე (SSM - Special Safeguard Mechanism) მხარეების აზრთა სხვადასხვაობას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ შექმნილიყო მექანიზმი, რომელიც ღარიბ ფერმერებს დაიცავდა გარკვეული ტიპის საქონელზე იმპორტის გაზრდით გამოწვეული ფასების დავარდნისაგან.[18]

რამდენადაც ვაჭრობა განვითარებად ქვეყნებს შორის მათი საერთო სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს, ურთიერთსანაცვლო დაშვება ერთმანეთის ბაზარზე ორმხრივად სასარგებლო იქნებოდა სავაჭრო ურთიერთობის მონაწილე ქვეყნებისათვის და საბოლოოდ მიიყვანდა მათ დადებით შედეგამდე.

გლობალური ვაჭრობის 1/3-ზე მეტი მოდის იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც დადებული აქვთ ურთიერთშემოგებიანი არამრავალმხრივი ხელშეკრულებები. ასეთი ხელშეკრულებების დადება, მრავალმხრივი ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, გაცილებით ადვილად შეიძლება უპირველესად მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა სიმცირის გამო, ასევე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მხარეებმა ზუსტად იციან საკუთარი ინტერესები და ხელშეკრულების მეორე

[18] http://en.wikipedia.org/wiki/Doha-Development-Round

მხარის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაც (საზღვრის გადაკვეთისას ფორმალური ბარიერების შემცირება, გამარტივებული რეჟიმები და სხვ.) მხოლოდ მათ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, უნდა ითქვას რომ ყველა ამგვარ ხელშეკრულებას ქვეყნები არ მიჰყავს ვაჭრობის მოცულობის ზრდისკენ. მაგალითად, ქვეყნებს, რომელთაც მაღალი აგროპროტექციონიზმი და იმპორტისათვის დაწესებული ბარიერები ახასიათებთ, შეუძლიათ მაქსიმალურად შეზღუდონ სავაჭრო პარტნიორების აქტივობა საკუთარ ბაზრებზე, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის მოცულობა ზრდადი იქნება. აფრიკის ქვეყნებმა დადეს ოთხი რეგიონალური შეთანხმება ვაჭრობის საკითხებზე, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა - შვიდი, რაც ქმნის ამ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობისათვის საკმარისად მნიშვნელოვან ბარიერებს.

განვითარებად ქვეყნებს შორის ხელშეკრულებების არსებობის მიუხედავად, ზოგიერთისათვის ნაკისრი ვალდებულებების რეალიზაცია მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული: სახელმწიფოებრივი ბარიერები და საბაჟო ფორმალობები ართულებს ტვირთბრუნვასა და საავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. აუცილებელია ქვეყნებმა მოახდინონ საავაჭრო სფეროში პოლიტიკის ჰარმონიზაცია, დაძლიონ ნეგატიური ბარიერები, შემცირდეს ფორმალობები და კორუფცია საზღვრებზე, მოგვარდეს სავალუტო გადარიცხვებთან დაკავშირებული პრობლემები და ბიუროკრატიული მექანიზმები და განვითარდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

2.2. სურსათის ბიზნესის ლიბერალიზაციის პერსპექტივები და შედეგები

გაეროს მონაცემებით, 2010 წლის სექტემბერში მსოფლიოს ბაზრებზე სურსათის ფასები დაეცა, თუმცა ისინი

მაინც უფრო მაღალი იყო წელთან შედარებით. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის განცხადების თანახმად, საკვებზე ფასის ინდექსი აგვისტოსთან შედარებით 2%-ით დაეცა. დაეარდა ფასები შაქარზე, ხორბალზე და ზეთზე. ეს გლობალური ეკონომიკის სისუსტემ და ამერიკული დოლარის გამყარებამ გამოიწვია.

ამჟამად მსოფლიოს 32 სახელმწიფო სურსათის სასწრაფო მიწოდებას საჭიროებს, და მათი უმრავლესობა აფრიკაში მდებარეობს. ასევე მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ავღანეთსა და პაკისტანში.

არასამთავრობო საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ოქსფამის" მონაცემებით, სურსათის განაწილება მსოფლიო მასშტაბით კრიტიკულ მდგომარეობაშია. ორგანიზაციამ 2011 წელს საგანგებო საერთაშორისო კამპანია წამოიწყო. ორგანიზაციის ცნობით, მსოფლიო მოსახლეობიდან დაახლოებით 925 მლნ ადამიანი შიმშილს განიცდის. მხოლოდ აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონში 8 მლნ სურსათის მუდმივი უკმარისობის პირობებში ცხოვრობს.

„ჰორიზონტზე გამოჩენილი კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ სურსათის ფასი შემდეგი ოცი წლის მანძილზე შეიძლება გაორმაგდეს, რაც მშიერი ხალხის რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის," აღნიშნა ამერიკაში „ოქსფამის" პოლიტიკისა და კვლევის დირექტორმა გაეაინ კრიპკემ VOA-სათვის მიცემულ ინტერვიუში.

მსოფლიო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ მსოფლიოს მოსახლეობა განუხრელად იზრდება. ექსპერტების შეფასებით, 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 9 მილიარდს მიუახლოვდება. ამას გარდა, ხალხის გამდიდრების პარალელურად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სასურსათო პროდუქტების მოხმარების ტენდენციები იცვლება. მაგალითად, გლობალური მოთხოვნა ხორცსა და რძის ნაწარმზე სწრაფად იზრდება. სურსათის ამ კატეგორიების წარმოება კი უფრო მეტი რესურსებისა და

სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების მზარდ გამოყენებას მოითხოვს, რაც უახლოესი 40 წლის მანძილზე სურსათზე მოთხოვნას 70%-ით გაზრდის[19].

იმავდროულად მსოფლიოს სურსათის წარმოების უნარი თანდათან მცირდება. 1990-იანი წლებიდან დღემდე სოფლის მეურნეობის სფეროში მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი თითქმის განახევრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სასურსათო პროდუქტების გარკვეულ სახეობებს ახლა ბიოსაწვავისთვის იყენებენ, რაც საკვები პროდუქციის დეფიციტს ამწვავებს.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ ამჟამად სასურსათო პროდუქტების ბაზარს რამდენიმე მსხვილი კომპანია აკონტროლებს. ყურადღების გადატანა მცირე ფერმერებზე ბევრ პრობლემას გადაჭრის. ინვესტიციების დაბანდება მცირე წარმოებაში სოფლის მეურნეობის პოტენციალის აღორძინებასა და ნაყოფიერების ზრდას შეუწყობს ხელს. ამგვარი მიდგომა გამოიწვევს არა მხოლოდ სასურსათო წარმოების ზრდას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაეხმარება იმ ხალხს, ვინც ყველაზე გაჭირვებულია, ვისაც სურსათზე ფასების მომატება და კლიმატის ცვლილება ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის.

არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომელიც არსებული პრობლემის გადაჭრას სხვა გზით მიიჩნევს შესაძლებლად და განმარტავს, რომ სასურსათო კრიზისს არა მსოფლიო ბაზრის ლიბერალიზაცია და უშუალოდ საკვები პროდუქტების ბაზარი ქმნის[20]. ექსპერტები განმარტავენ, რომ მსოფლიო ბაზარზე სურსათზე ფასი დიდად მერყეობს, რადგან სურსათის პროდუქტების სამომავლო მიწოდების დაპირებებით ვაჭრობა ბაზარზე მოვაჭრე პირებისთვის უაღრესად მომგებიანი გახდა. უძრაკი ქონების ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის მსგავსად, ეს სასურ-

[19] http://www.oxfam.org/en/search/apachesolr-search/Gawain%20Kripke?page=1

[20] ჰეიდი ჩოუ - ბრიტანეთში მდებარე არასამთავრობო ჯგუფის „მსოფლიო განვითარების მოძრაობის" (World Development Movement) კამპანიის ოფიცერი, http://www.wdm.org.uk/about/heidi-chow

სათო პროდუქტების ფასს ამახინჯებს და მიწოდება-მოთხოვნის წესებს არ ასახავს.

ბოლო რამდენიმე წელიწადში ჩვენ გავხდით მოწმენი იმისა, რომ ფასები სწრაფად იზრდება და კლებულობს. ამდენად მართალია აქ სხვა ფაქტორებიც მნიშვნელოვანია, სურსათით სპეკულაცია რეალურ გამოწვევებს უფრო ამწვავებს და ფასების ხელოვნურ ზრდას უწყობს ხელს.

„ოქსფამის" ცნობით, განვითარებად ქვეყნებში 500 მლნ მცირე ფერმა მდებარეობს. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ სამომავლო ინვესტიციები სწორედ მცირე ფერმების განვითარებას უნდა მოხმარდეს.

ჩინეთსა და ინდოეთში საკვებზე მოთხოვნილების გაზრდის გამო რუსეთი მსოფლიოს სასურსათო ლიდერი ხდება, თუმცა, ამისთვის რუს ფერმერებს გარკვეული სირთულეების დაძლევა მოუწევთ.

საუკუნის წინ, როდესაც მეფის რუსეთი ევროპისთვის პურის ბეღელი იყო, ამერიკელი ჯონ დირის კომპანია რუსი გლეხებისთვის გუთნებით ვაჭრობდა. საუკუნის შემდეგ კომპანია რუსეთში ბრუნდება. ამჯერად თოხი, ბარი და გუთნები ტრაქტორებით და მოსავლის ამღები კომბაინებით შეიცვალა, რომლებშიც კომფორტული და კონდიცირებული კაბინებია განთავსებული. რუსეთს, რომელიც უზარმაზარი ტერიტორიის მფლობელია, სოფლის მეურნეობის უდიდესი პოტენციალი აქვს. მსოფლიოს მტკნარი წყლების და სახნავი სავარგულების 10 პროცენტი რუსეთზე მოდის, თუმცა მისი მოსახლეობა მსოფლიოს საერთო მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტია. 20 წლის წინ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთის დამუშავებული მიწების ფართობი ერთი მესამედით შემცირდა. ამ და სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ მსოფლიო ბაზარზე ქვეყანა ერთ-ერთი ლიდერი და დომინანტია.

2011 წელს ძლიერმა გვალვებმა რუსეთში მარცვლეუ-

ლის ექსპორტი მკვეთრად შეამცირა. ამან კი მსოფლიოში სურსათის ფასების რეკორდული მატება გამოიწვია. შესაბამისად, ამ ვითარებას ღარიბ ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ზოგიერთი ანალიტიკოსი არაბულ რევოლუციებსაც სწორედ სურსათზე ფასების ზრდას უკავშირებს. 2013 წელს რუსი ფერმერები უზარმაზარ ტერიტორიაზე ელოდებიან მოსავალს, რაც ფართობით კალიფორნიის შტატს აღემატება კიდეც. სურსათის ფასები საერთაშორისო ბაზარზე კვლავ გაიზრდება - სტატისტიკა დრამატულად გამოიყურება მარცვლოვან კულტურებში, სადაც ფასებმა 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით 60%-ით მოიმატა.

გაეროში არსებულმა სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ საგანგაშო განცხადება გაავრცელა: საერთაშორისო ბაზარზე კვების უმთავრესი პროდუქტების ფასები კვლავ მატულობს. ზედიზედ რვა თვის განმავლობაში მიმდინარე ხრდამ თებერვალში უკანასკნელი 2 ათწლეულის ფასების პიკს მიაღწია. შაქრის გამოკლებით ყველა მთავარი პროდუქტის ფასი ივნისის შემდეგ სტაბილურად იზრდება. მათ შორის, კრიტიკულ ნიშნულზეა ბურღულეულის, რძის და ხორცის ნაწარმის ფასები. ფასების ზრდაზე საუბრისას არ აქვს მნიშვნელობა რეალურ ფასებს ვიგულისხმებთ, ინფლაციის დონეს, თუ ნომინალურ ღირებულებას, - ფაქტია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკვებ პროდუქტებზე საერთაშორისო საბაზრო ფასმა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, ანუ - მას შემდეგ, რაც გაეროში არსებულმა სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ მასზე მონიტორინგი დააწესა.

ეგვიპტესა და ტუნისში კვების უმთავრეს პროდუქტებზე ფასების ზრდა, ფაქტობრივ, ამ ქვეყნებში არეულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. საქმეს ახლა კიდევ უფრო ართულებს ლიბიაში მიმდინარე მოვლენები, რადგან საწვავზე ფასების ზრდა სურსათის გაძვირების ხელახ-


ალ ტალღას წარმოქმნის. ორგანიზაციის მთავარმა სპეციალისტმა მარცელოვანი კულტურების დარგში, აბდოლრეზა აბასიანმა, განაცხადა, რომ საწვავის გაძვირებას აქვს მეორე, მომხმარებლისთვის შედარებით უცნობი ეფექტიც. საქმე ისაა, რომ როდესაც საწვავი ძვირდება, იზრდება მოთხოვნილება ბიოლოგიურ საწვავზე და შესაბამისად მოსავლის უფრო მეტი ნაწილი ხმარდება მის წარმოებას. ეს უკვე მოხდა 2007-2008 წლებში, როდესაც საწვავის გაძვირებამ ბიოლოგიური საწვავის, კერძოდ, ეთანოლის, წარმოება ერთიორად გაზარდა.

მილიონობით ადამიანი შიმშილობს და კიდევ უფრო მეტი შიმშილის ზღვარზეა. ამ ფონზე გაეროში არსებული სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია დაბეჯითებით მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, შეწყვიტოს საწვავის ფასებით დამატებითი სპეკულაცია, რათა შემცირდეს მოთხოვნა ბიოლოგიურ საწვავზე. უდავოა ის, რომ თუკი ეს არ მოხდება, სურსათის ფასები კიდევ უფრო გაიზრდება: სავსებით ნათელია, რომ მანამ, ვიდრე საწვავის ფასი ზრდას განაგრძობს, შესაბამისად გაძვირდება მთავარი საკვები პროდუქტებიც, განსაკუთრებით ეს ეხება ბურღულეულ კულტურებს.

მთავარი და მნიშვნელოვანი განსხვავება დღევანდელ და 2008 წლის სასურსათო კრიზისს შორის ის არის, რომ ბრინჯის ფასი შედარებით სტაბილურია და 2012 წლის შემდეგ ოთხ პროცენტზე მეტად არ გაზრდილა. ცნობილია, რომ ბრინჯი მთელი რიგი ქვეყნების უმთავრეს საარსებო საკვებ პროდუქტს წარმოადგენს.

თუმცა, სტატისტიკა ბევრად უფრო დრამატულად გამოყურება ხორბლეულის ჯიშებში, სადაც ფასებმა 2010 წელთან შედარებით 60%-ით მოიმატა. 94%-ით გაიზარდა სიმინდის ფქვილის ფასი, რადგან ის ბიოლოგიური საწვავის წარმოების მთავარი შემადგენელი ნაწილია.

ცხრილი №5. მსოფლიო ბაზარზე სასურსათო პროდუქტების ფასთა დინამიკა და სამომავლო პროგნოზი[21]



2.3. მსოფლიო სასურსათო ბიზნესის ინოვაციური მოდერნიზაცია

მიწისა და წყლის რესურსების მზარდი დეფიციტის პირობებში მწარმოებლურობის ზრდა უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდისა და განვითარების ძირითადი წყარო, მნიშვნელოვანი საშუალება საკვებ პროდუქტებზე არსებული დიდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. გლობალიზაციისა და მიწოდების ახალი ჯაჭვების წარმოქმნის პირობებში, იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას კონკურენტუნარიანობა, ყურმერებისა და სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია გატარდეს ინოვაციური ღონისძიებები ბაზრის ცვალებად პირობებთან ადაპტაციის უზრუნველყოფისათვის. ამასთან, აღნიშნული ინოვაციები უნდა მოიცავდეს და ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს: წყლისა და ენერგიის რესურსების ეკონომიური გამოყენება, რისკების შემცირება, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ზრდა, გარემოს დაცვა, წარმოების პროცესში ჩაბმული მოსახლეო-

[21] http://www.imf.org/external/np/speeches/2008/061908.htm – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები

ბის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.

ბიოლოგიისა და ინფორმატიკის მეცნიერებებში რევოლუციური აღმოჩენები შესაძლოა მოგვეველინოს იმ ფაქტორებად, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ფერმერების მიერ განვითარებად ქვეყნებში მორწყვის პრობლემის მოგვარებას. ბაზრის განვითარებისას ინოვაციური მეთოდების შექმნის მოთხოვნა მცირე წილად მოდის სამეცნიერო სექტორიდან (შემოთავაზების მხარე), ხოლო დიდწილად - ბაზრის მხრიდან (მოთხოვნის მხარე). ახალ სასურსათო კომპლექსში ინოვაციები მოითხოვენ ურთიერთსაპასუხო კავშირებს მომხმარებელთან, სწავლებასა და კოლექტიურ მოქმედებებს.

სოფლის მეურნეობა ესაა ბიოლოგიური პროცესი, ამიტომ მასში რეალიზებული ტექნოლოგიური ინოვაციები განსხვავებულია სხვა სექტორებისაგან. მე-20 საუკუნის 50-70-იანმა წლებმა დაგვანახვა, რომ გენეტიკური გაუმჯობესებები ისეთ ტექნოლოგიებში, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და შინაური პირუტყვის სელექცია, ხასიათდება ადგილობრივი სპეციფიკაციით და მთლიანობაში, კონკრეტული ქვეყნისა და მოსახლეობის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით ნაყოფიერად ინერგება და აქვს სამომავლო განვითარების პოტენციალი.

თუ გავაანალიზებთ გასული საუკუნის მეორე ნახევარს, შეიძლება გამოიყოს ის ინოვაციები, რომლებმაც არსებითი როლი იქონიეს მსოფლიოში სასურსათო სისტემის განვითარების ყველა ტრაექტორიაზე:

- გაუმჯობესებული ჯიშების უწყვეტი გავრცელება;
- მოსავლიანობის სტაბილიზაციისათვის ტექნოლოგიის განვითარება;
- ბიოტექნოლოგიის განვითარება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მენეჯმენტის სისტემების შექმნა და წარმოების პროცესებში დანერგვა:

სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლურობის ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული სფეროში ჩადებული ინვესტიციე-

ბის რაოდენობასთან.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ინვესტირება განვითარებადი სექტორის სოფლის მეურნეობას დინამიკურ სექტორად გარდაქმნის, სადაც სწრაფი ტექნოლოგიური ინოვაციები აჩქარებს ეკონომიკის ზრდას და ამცირებს სიღარიბის დონეს ქვეყანაში. ბაზარზე არსებული პრობლემები - როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სფეროში ინვესტიციების სერიოზულ დეფიციტს, განსაკუთრებით - განვითარებად ქვეყნებში და ასევე იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკაც აგრარულ სფეროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული (მაგალითად, აფრიკის კონტინენტის აგრარული ეკონომიკის ქვეყნები).

აგრარულ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი შრომების დაფინანსებასა და განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინვესტიციები, რომელთა მოცულობაც ბოლო წლებში მცირდება მაკროეკონომიკური პრობლემების პოლიტიზების პროპორციულად.

ქვეყნებს შორის სურსათით საერთაშორისო ვაჭრობა და მისი მეშვეობით ეკონომიკური ზრდა უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკურ დიპლომატიასთან. ტერმინი ეკონომიკური დიპლომატია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრდა და დღეისათვის აქტიურად გამოიყენება სპეციალიზებულ ლიტერატურაში. მიჩნეულია,რომ ეკონომიკური დიპლომატიის ჩამოყალიბება რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო ეკონომიკისა და დიპლომატიის ფარგლებში მიმდინარეობდა[22], მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის როლის ზრდის ფონზე. თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია დიპლომატიაში ეკონომიკის შემად-

[22] ზურაბ კოსმაია.ეკონომიკური დიპლომატიის არსი,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სასულმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი, თბილისი, 2010.

ცხრილი №4. საერთო სახელმწიფოებრივი დანახარჯები აგრარულ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებაზე რეგიონების მიხედვით (1981-2010 წლები)[23]

	1981	2010	1981	2010
	1196	1461	0,81	0,72
	3047	7532	0,36	0,41
	1049	3150	0,41	0,4
	533	1858	0,18	0,34
	761	1382	0,61	0,66
	1897	2554	0,88	1,15
	690	1020	1,15	1,81
	6904	12819	0,52	0,53
	1832	1658	1,45	3,62
	2533	3828	1,31	2,65
	8293	10191	1,41	2,36
	15197	23010	0,79	0,8

გენელი ერთეულების – ბიზნესის, ფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ენერგეტიკის, წარმოებისა და ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ინოვაციური ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო ეკონომიკურ სფეროში დიპლომატიის ფუნქციების გაფართოება იყო მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის მოდერნიზაციის ლოგიკური განვითარება ყველა (ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ) დონეზე. აღსანიშნავია ზოგიერთი ცვლილება, რაც დღესდღეობით გლობალურ

[23] შედგენილია Agricultural Science and Technology Indicators, 2008 - მონაცემებზე დაყრდნობით.

ეკონომიკურ ბაზარზე და საერთაშორისო ურთიერთობებში შეიმჩნევა. ეს ცვლილებებია:

გლობალური მოდერნიზაციის პროცესში მონაწილე ქვეყნების და აქტორების (ტრანსნაციონალური კორპორაციები, მსხვილი ინვესტორები და სხვ.) გაზრდილმა რაოდენობამ და მსოფლიო ბაზრის განვითარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური დიპლომატიის ამოცანათა საერთო დონის ზარდას, კერძოდ, დაისახა ახალი ტენდენცია, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური და სასურსათო პრობლემების გადაჭრას, არამედ მოიცავს გლობალური დონის საკითხების დარეგულირებას;

სურსათით საგარეო ვაჭრობისათვის დიპლომატიური დახმარების აღმოჩენა გულისხმობს საზღვარგარეთ ქვეყნის ეროვნული ინტერესების ხელშეწყობას ყველა ეტაპზე: უცხოურ ბაზარზე შესვლა, გარანტიების უზრუნველყოფა, ეროვნული ეკონომიკის ინტერესების საგარეო პოზიციების განვითარებასა და განმტკიცების ღონისძიებებში ეროვნული კომპანიებისა და კერძო პირებისათვის პროტექციონიზმის ორგანიზება. ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ეკონომიკური დიპლომატიისათვის პრიორიტეტული გახდა.

სასურსათო ბაზრის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბაზარი ცდილობს დაეპატრონოს ეროვნულ ეკონომიკას. ეს კი, თავის მხრივ, სერიოზულ ამოცანას უსახავს ეკონომიკურ დიპლომატიას, რათა განავითაროს და შეათანხმოს თამაშის საერთო წესები მსოფლიო ბაზარზე, და ამავე დროს, გაითვალისწინოს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფაქტორები, მწარმოებლების ინტერესების გათვალისწინებით.

ეკონომიკური დიპლომატია საშუალებას იძლევა განვითარებადმა ქვეყნებმა არა მხოლოდ გადაჭრან მიმდინარე და ახლო მომავალზე ორიენტირებული საგარეო ეკონომიკურ ამოცანები, არამედ გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზეც.

თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატიის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა გლობალურმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ: მსოფლიო ბაზარზე საქაჭრო ურთიერთობებს დაემატა, კაპიტალის მოძრაობის გაზრდილი როლი და მნიშვნელობა; ღია ეკონომიკის ზეგავლენით მიმდინარეობს სწრაფით ვაჭრობის ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების ინტენსიური პროცესი, რომელშიც ძალების გეოგრაფიული განთავსება, წარმოება და გასაღება სულ უფრო მეტად განისაზღვრება გლობალური საბაზრო კონიუნქტურით.

სწრაფით ვაჭრობაში გლობალური ეკონომიკა სულ უფრო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის პროპორციებს, ურთიერთქმედების მექანიზმებს, ფუნქციონირების ნორმებსა და სტანდარტებს. ამ პროცესის ფარგლებში ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, კომპანიებისა და ბანკების საერთაშორისო შერწყმა და გამსხვილება.

კვლევები ადასტურებს, რომ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების განვითარებას და წარმოებაში ინოვაციური მეთოდების დანერგვას ცალსახად დადებითი ზეგავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ფერმერული ორგანიზაციების საქმიანობაში ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრაციის პროცესში სერიოზულ პრობლემებს ქმნის ის, რომ ლიდერ ფერმერულ მეურნეობებს არ ჰყავთ სათანადო კადრები სიახლეების დანერგვისა და რეალიზაციისათვის, ფერმერებს არ ჰყოფნით სათანადო განათლება და სოციალური სტატუსი განვითარებული ქვეყნების ამავე სფეროში დასაქმებულ პირებთან შედარებით. ეს სხვაობა კიდევ უფრო თვალნათელია მოსახლეობის ღარიბ ნაწილთან მიმართებით.

განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ფერმერულ მეურნეობებში მნიშვნელოვანი განსხვავება მწარმოებლურობასა და რენტაბელურობაზე ეფუძნება განვი-

თარებად ქვეყნებში მცირე ფერმერული მეურნეობების წინაშე არსებულ ეკონომიკურ მექანიზმებთან სელმისაწვდომობის პრობლემას. არასაკმარისი წვდომა მწარმოებლურ აქტივებსა და კრედიტებთან, სფეროში არსებული ბარიერები, მაღალი რისკების აღების შეუძლებლობა ხელს უშლის სასურსათო სფეროში მომუშავე მცირე ფერმერებს მეურნეობების განვითარებაში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ[24], რეგიონულ დონეზე ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებული პირების პროფესიულ საკითხებზე ინფორმირებულობის დონის ამაღლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეურნეობების განვითარებაში. ამ მასშტაბური მიზნის რეალიზაციაში წამყვან როლს სახელმწიფო ორგანოები უნდა ასრულებდნენ. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო დანახარჯები აგრარულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებისა და სწავლებისათვის აჭარბებს სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე განხორციელებული კვლევების დანახარჯებს.

ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე იქნა გატარებული მსოფლიოს 70 ქვეყანაში, იყო მსოფლიო ბანკის მიერ 1975-1995 წლების პროგრამა „სწავლება და მონახულება". ინფორმირებულობის დონის ამაღლებისა და სწავლების ეს მოდელი მიმართული იყო ქვეყნის შიგნით სწავლებისა და ინფორმაციის გაცვლის სისტემების განვითარებაზე, მათი ხელმძღვანელი პირების პროფესიული განვითარებისა და რეგულარული სწავლებების ციკლთა ფორმულირების გზით.

ამ კუთხით მსოფლიოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდი ტემპებით განვითარება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობამდე ინფორმაციის დროულ და ეფექტურად გაცვლასთან დაკავშირებით. საკომუნიკაციო საშუალებებსა და მომსახურებაზე ფასების დაწევა საშუალებას აძლევს ყველა

[24] აგროსასურსათო სისტემაში მმართველი კადრების მომზადება, კ. კამილკოვი, აგროსასურსათო ეკონომიკა, №9, 2008.

დონის ფერმერული გაერთიანებას, მიიღოს ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეს მასზე. დღესდღეობით, გაეროს სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ჩინეთში სოფლის მოსახლეობის 83% აქვს სტაციონარული[25] საკომუნიკაციო საშუალებები, 56%-ს ხელი მიუწვდება მობილურ კავშირგაბმულობაზე. ინდოეთში 77%-ს აქვს ტელეფონი, ხოლო ტერიტორიის 25% დაფარულია მობილური კავშირგაბმულობის საშუალებებით.

უდავოა, რომ მსოფლიო სასურსათო სისტემის - როგორც წარმოების პროცესისა და სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის - მოლერნიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ინოვაციებს. პირველ რიგში საჭიროა გლობალურ დონეზე, რესურსებზე მზარდი მოთხოვნილებისა და ენერგიის დიდი დანახარჯების გათვალისწინებით, გაიზარდოს მეცნიერების როლი წარმოების პროცესებში. მეორეც - ყველა ქვეყანაში მეცნიერება და ინოვაცია - ძირითადი ფაქტორია ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისათვის როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, ისე საერთაშორისო ვაჭრობებში.

სასურსათო სისტემის ინოვაციური მოდერნიზაცია, რომლის მიზანიც სასურსათო სისტემის მაღალტექნოლოგიური, გენერირების უნარის მქონე საერთაშორისო ეკონომიკის კომერციულ სექტორად გადაქცევაა, დღესდღეობით არის ერთადერთი ეფექტური ინსტრუმენტი მისი გლობალური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. სასურსათო სისტემის ინოვაციური სპეციფიკა დაფუძნებულია მის ბიოლოგიურ თვისებებზე, სოციალურ მნიშვნელობაზე, სამეწარმეო საქმიანობის შემოტანის უნიკალურ თვისებებზე, პროექტების წარმატებულობისა და ლიკვიდურობის სანგრძლივობაზე და მოითხოვს სახელმწიფო ფინანსების აქტიურ ჩართულობას და სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროტექციული ხასიათის პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის სასურსა-

[25] მონაცემები მოცემულია 2010 წლის მდგომარეობით.

თო საკითხებზე თანამშრომლობით მიღწეული შედეგები და დასახული ამოცანები მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ სახელმწიფოები შეძლებენ ინდივიდუალურად, სასურსათო სფეროს მწარმოებელთან არსებითი ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას და ქვეყნის ეკონომიკაში მათ რეალიზებას, ასევე საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი მწარმოებლების ინტერესების დაცვას.

2009 წლის გაზაფხულზე ევროკავშირის მიერ წამოყენებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა", რომლის მიზანია საქართველოში, ისევე, როგორც აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, სომხეთსა და უკრაინაში, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა, გულისხმობს ქვეყნებისათვის ალტერნატიული ბაზრებს გახსნას; შესაბამისად, მათი ეკონომიკის განვითარებას და ამ ქვეყნების რუსული ეკონომიკური გაელენებისგან გათავისუფლებასაც. რუსული ემბარგოს ფონზე ევროპული ბაზრების წვდომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ეს ყველაფერი უახლოესი წლებში ძნელად პროგნოზირებადი პერსპექტივაა.

2.4. სასურსათო ბიზნესი, როგორც საერთაშორისო ინტეგრაციის საფუძველი. გლობალური და ადგილობრივი განსაზღვრებები

„როცა გუთანი ფანქარია თქვენს ხელში და 1000 კილომეტრით ხართ დაშორებული სიმინდის მდელოს" დუაიტ ეიზენჰაურის ეს ფრაზა დღესაც აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ ესმის, რომ მოსახლეობის დაკმაყოფილება სასურსათო პროდუქტებით დღევანდელობის მთავარი ფაქტორია მსოფლიო მოსახლეობაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის კუთხით.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოწინავე აგროგანვი-

ცხრილი №5. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისთვის


წელი	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან
2001	2121	48.2
2002	2087	47.7
2003	2076	47.8
2004	2063	47.8
2005	2064	47.8
2006	2091	47.5
2007	2086	47.5
2008	2078	47.4
2009	2076	47.3
2010	2086	47.0
2011	2098	46.9

თარებული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ იქცა აუტსაიდერად, რომელიც კრიზისის დაძლევას გაჭირვებით ცდილობდა. დღევანდელი მდგომარეობა გვაჩვენებს, რომ ამჟამად საჭიროა შემუშავდეს უკეთესი მექანიზმი და სასურსათო ბაზარზე განვითარდეს ინტეგრირებული მიდგომა პრობლემის გადაჭრის წარმოებისას და სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზებისათვის, რათა ქვეყნამ ორიენტაცია აიღოს და უსრუნველყოს თავისი სასურსათო დამოუკიდებლობა.

სასურსათო ბაზრის განვითარება პირდაპირპროპორციულად უწყობს ხელს სიღარიბის დაძლევას, მაგალითად: ჩინეთში, ინდოეთში, ვიეტნამში და სხვა ბევრ განვითარებად ქვეყანაში სიღარიბის დონემ დაიკლო მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა დაიწყეს სოფლის მეურნეობის განვითარება.

დღესდღეობით მსოფლიო ეკონომიკაში ძალიან ნათლად განისაზღვრა მეურნეობის 2 სისტემა, რომელთა შორის საფუძვლიანი განსხვავებაა ეკონომიკის განვითარების მხრივ, რაც გამოიხატება საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში და მეურნეობის ტექნოლოგიურ განსაკუთრებულობაში. ერთ მხარესაა განვითარებული ქვეყნები და მეორ მხრივ კი - განვითარებადი ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკით. როგორ მოახერხებს საქართველო ჩაეწეროს მსოფ-

ნახ. №6



ლიო ეკონომიკურ სივრცეში, რომელსაც უნიკალური განსაკუთრებულობა ახასიათებს მეურნეობისა და საზოგადოებრივი წყობის.

განვითარებული ქვეყნებისთვის ჩვეულია შემდეგი ხასიათის მეურნეობის მახასიათებლები: ამ ქვეყნებში განვითარებული ტექნოლოგიები და საბაზრო ინსტიტუტები, დაგროვილი დიდი სიმდიდრეები, რომლებიც მოიცავს მატერიალურ-კულტურულ და ინფორმაციულ რესურსებს, ფუნქციონირებადი ბაზრები სრულად შევსებულია. მიმდინარეობს ტრადიციულ სურსათად მიჩნეული მწარმოებლების დონის სტაბილიზაცია, იკლებს უნერგო და მატერიალდამოკიდებულება წარმოებაში, ვითარდება ეკოლოგიური მოთხოვნები მწარმოებელთა მიმართ.

მეორე მხრივ, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია:

ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა. უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში ასევე არ არის განვითარებული საბაზრო ინსტიტუტები. სიღარიბე და მატერიალური სიმდიდრის სიმცირე ერთ-ერთი დამხასიათებელი ელემენტია გარ-

დამავალი ქვეყნებისა (ან ცოტაა, ან მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს). მატერიალური წარმოება ი'სრდება, ან უნდა ი'სრდებოდეს, რომ ბაზარი შეივსოს, მაგრამ ამას განვითარებად ქვეყნებში მივყავართ ბუნებრივი რესურსების სიმცირესთან, განსაკუთრებით როცა სწრაფად ი'სრდება მოსახლეობის რაოდენობა.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუ'შავებული სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი გეგმა ფაქტობრივად მთლიანად მიმართულია იქით რომ საქართველო გახდეს მსგავსი ევროკავ'შირის პატარა ქვეყნებისა, რომლებმაც საკუთარი სოფლის მეურნეობა ძლიერ განავითარეს.

რამდენად შეძლებს საქართველო ევროპის დონემდე მისვლას და რა გზა უნდა გაიაროს ამისთვის ქვეყანამ? გავაანალიზოთ მისი დღევანდელი მდგომარეობა, რა შეიძლება მოიმოქმედოს ჩვენმა ქვეყანამ წარმატების მისაღწევად?

საქართველოს არ გააჩნია წიაღისეული და ენერგორესურსები, რომლებიც შესაძლებელი იქნებოდა დასავლეთში ექსპორტისთვის, რაც ძალიან დაეხმარებოდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას.

ძალიან ძვირია საწვავის და დიზელის ფასები, რაც აფერხებს წარმოებას და ქმნის არარენტაბელურ წარმოებას. ადგილობრივი მუშახელი უფრო ძვირია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ხარისხი - უფრო ცუდი, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამის გამო ჩვენს მუ'შახელზე მსოფლიოში მოთხოვნა ძალიან დაბალია. მატერიალურ წარმოებაში ძირითადი ნაწილი ასაკოვან ხალხს უკავია, ახალგარდები არ არიან დაინტერესებულნი აქ დასაქმდნენ, ინტელექტუალური შესაძლებლობები იკარგება გახშირებული იმიგრაციით. ახალგაზრდობა ცდილობს წავიდეს საზღვარგარეთ და გამოიმუშაოს უფრო მეტი.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საქართველო'ში არსებობს, არის თანამედროვე სამეწარმეო გარემოს უქონ-

ლობა. მენეჯმენტი არ შეესაბამება თანამედროვე დასაქლეთის სტანდარტებს. მარკეტინგი, ანუ შესაძლებლობა იმუშაო ბაზარზე და მომსმარებლისთვის, თითქმის არ არსებობს.

განვითარებადი ქვეყნებისთვის უახლოეს ათწლეულში დიდი მნიშვნელობა ექნება მიმართულებებს, როგორიცაა: დემოგრაფიული, ეკოლოგიური, სურსათის, ენერგეტიკის და წიაღისეულის პრობლემები.

საქართველოში არ არის ისეთი დემგორაფიული ბუმი, როგორიც, მაგალითად, სამხრეთ აზიის ქვეყნებში, თუმცა მაინც შესამჩნევია პრობლემები, რომლებსაც აწყდება ჩვენი ქვეყანა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით. ძალიან ბევრია დაუმუშავებული, წლების წინ მიტოვებული მიწა, რომელიც საბჭოთა დროიდან შემდგომ არ დამუშავებულა.

2050 წლისთვის, მაგალითად, ჩინეთში ერთ ადამიანზე მოვა 0.06 ჰექტარი მიწა, ბანგლადეშში - 0.04, ინდოეთში - 0,11 ხოლო საქართველოში - 1,2 რაც ერთმნიშვნელოვნად კარგი ფაქტორია. უბრალოდ, საჭიროა ეს მიწები იქნას ათვისებული.

სასურსათო მდგომარეობა მსოფლიოში ურთიერთგამომრიცხავია. ექსპერტების ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ უახლოეს მომავალში აფრიკასა და აზიაში მათზე მოთხოვნა გაორმაგდება, ნაწილი ექსპერტებისა ამტკიცებს რომ სასურსათო კრიზისი მთელ მსოფლიოს მოიცავს. განვითარებად ქვეყნებში თითქმის მთლიანად არის ათვისებული სასოფლო-სამეურნეო მიწები და ტექნოლოგიურადაც გამართული სისტემით მუშაობენ, თუმცა მათაც აქვთ პრობლემები, რაც გამოიხატება მოსახლეობის ზრდაში და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო სასურსათო კრიზისი ახლოვდება, საქართველოსთვის შემდეგი სახის სტრატეგიაა გასათვალისწინებელი: გამოყენებულ იქნას ახალი თანამედროვე ტექნოლოგიები, რათა პირველ რიგ-

ში დაკმაყოფილდეს იქნას საქართველოს შიგნით მცხოვრები მოსახლეობა. ეს სტრატეგია საჭიროებს ძალიან დიდ ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს აგრარულ სექტორში, მაგრამ დიდი ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობა მას მიმზიდველს ხდის.

საქართველომ უნდა ეძებოს საკუთარი ადგილი საერთაშორისო მუშახელის გადანაწილებაში განვითარებად ქვეყნებს შორის, ეს უფრო რეალურია და საერთოდ არ აგდებს საქართველოს უკან. ეს მოგვცემს საშუალებას, ავაწყოთ ისეთივე სისტემა, როგორიც არის, მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში.

პრობლემა, რომელიც ეხება სურსათის წარმოებას, საქართველომ უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრას და რაც შეიძლება სწრაფად, იმიტომ, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს სასოფლოსამეურნეო პოტენციალის გაქრობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ნიადაგი, რომელიც განიცდის სასუქების ქრონიკულ ნაკლებობას კარგავს თავის ბუნებრივ ნაყოფიერებას. ძალიან დიდია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე დამოკიდებულება, რაც ერთმნიშვნელოვნად ართულებს მდგომარეობას.

თუმცა უახლოეს წლებში ჩატარებული რეფორმების შედეგად გარკვეული ფორაც კი შეიქმნა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მანქანების და მეორადი ტექნოლოგიების შეგროვება და გაყიდვა უფრო ადვილი ტექნოლოგიაა ვიდრე, თანამედროვე სასოფლოსამეურნეო ტექნიკა, რომელიც იყენებს ბიოტექნოლოგიებს, გენურ ინჟინერიას და თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა მიღწევებს.

მაღალი მიზნების მიღწევა საჭიროების დიდი ინვესტიციებს, საქართველომ იმავე მაჩვენებელს რომ მიაღწიოს როგორიც, მაგალითად, ჩვენზე პატარა, მაგრამ, მსგავს ისრაელშია, საჭიროა დაახლოებით 24 მილიარდი დოლარი, რაც არარეალური ციფრია და მისი განხორციელება წარმოუდგენელიცაა, ამიტომ საჭიროა ეტაპობრივი წვრილ-


წვრილი ინვესტიციები, რომლებიც შეძლებს სოფლის მეურნეობის გამოღვიძებას და მის წაყვანას პოზიტიური მხარისაკენ. უკანასკნელ წლებში დაიწყო მსგავსი პატარა-პატარა ინვესტიციების ჩადება, რაც ერთმნიშვნელოვნად დაეტყო საქართველოს სოფლისმეურნეობის სისტემას.

მთავარი პრობლემა, რაც აფერხებს ინვესტიციების ჩადებას, არის საკანონმდებლო ბაზა - არ არის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის შემუშავებული ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც შეძლებენ მოიზიდონ ინვესტიციები ქვეყნაში და მიიღონ სარგებელი.


სწრაფი ექსპორტის განვითარებისა და სასოფლო–სამეურნეო წარმოების ზრდისთვის საჭიროა:

- ეკონომიკური პროგრამის შემუშავება მსოფლიოში სასურსათო ბაზრის სიტუაციის პროგნოზირებით, რომელიც გაითვალისწინებს უახლოეს ათწლეულში წარმოების პოტენციალს საქართველოში.
- იურიდიული საკითხის მოგვარება, რაც უპირველესად ეხება სასოფლოსამეურნეო ბიზნესს, პირველ რიგში - მიწის ბრუნვას.

ნახ. №7



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
სავარგულები რეგიონების მიხედვით (ჰა)



• ისეთი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც იმუშაებს პროექტებზე, საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის.

• ისეთი ინსტიტუციონალური ეკონომიკური რეფორმების მოგვარება საქართველოში, რომლებიც ორიენტირებულია სასოფლოსამეურნეო წარმოების გაზრდისკენ.

ცხრილი №6

რეგიონი	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავი	ნახვენი	სათიბი	საძოვარი	სულ სავარგული
სამცხე ჯავახეთი	77,721	3,009	3,920	-	31,607	280,142	396,399
სამეგრელო-ზემო სვანეთი	69,600	38,400	385,000	-	270,400	152,533	915,933
აჭარა	10,309	15,899	1,736	-	7,159	37,759	72,862
რაჭა-ლეჩხუმი	8,555	3,172	-	-	25,230	75,302	112,259
მცხეთა მთიანეთი	38,400	7,500	-	-	14,500	229,300	289,700
კახეთი	203,349	47,347	-	-	2,587	330,698	583,981
გურია	17,155	13,088	-	-	1,066	19,419	50,728
შიდა ქართლი	79,300	38,300	-	-	7,500	88,400	213,500
იმერეთი	72,101	12,246	-	193	-	3,871	88,411
ქვემო ქართლი	133,500	6,400	-	-	41,600	197,900	379,400
სულ სავარგული	709990	185361	4 +05	193	401649	1415324	3,803,173.00

• დაწესდეს შეღავათები იმ ბიზნესმენებისათვის, რომლებიც გადაწყვეტენ სასოფლო-სამეურნეო სექტორში ინვესტირებას.

პრობლემად რჩება იმ მიწის მფლობელების საკითხი, რომლებიც სასოფლოსამეურნეო მიწას წლების მანძილზე არ ამუშავებენ. საჭიროა დაწესდეს გადასახადები, რომლებიც დაავალდებულებს მათ ან დაამუშაონ ეს მიწები, ან გასცენ იჯარით.

სახელმწიფო საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს, აირჩიოს სოფლის მეურნეობის წარმოების გაზრდის და არა ბაზრის ფორმალური დამკვიდრების კურსი. ამისათვის უნდა შეისყიდოს დაუმუშავებელი მიწები მისი მომცალში იჯარით გაცემის უფლებით. ბერების ჩამოყვანა ამ ეტაპის დასაწყისია. საჭიროა გაგრძელდეს მსგავსი ტენდენცია.

მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო სისტემა სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალური ინტეგრაციის ინსტრუმენტს აგროსამრეწველო კომპლექსისთვის. ვერტიკალურ ინტეგრაციას ორგანიზებას უკეთებენ სამრეწველო,სავაჭრო და ფინანსური ჯგუფები. ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროდუქციის რაოდენობას, მის ხარისხს, ფასს, მოწოდების დროს, მცენარეულის კლასს, ცხოველთა ჯიშს, სასუქების და პესტიციდების კომპლექტებს, მათი მოხმარების ნორმებს, განსაზღვრავს ვეტერინალურ ღონისძიებებს და ა.შ.

ახალი კანონების მიღების შემდეგ დღეისათვის უკვე შესაძლებელია შეიქმნას საერთო, ქართულ-უცხოური წარმოებები, რაც ბოლო წლების განმავლობაში მომრავლდა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს დაცვის გარანტიები უცხოელი პარტნიორებისთვის. საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა უკანასკნელი წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიაში ბიზნესმენები ინვესიტებას მაინც ერიდებიან.

რა სქემები და მოდელები უნდა შემუშავდეს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ჩაიდოს ქართული და უცხ-

ოური ინვესტიციები?

- სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც გამოიყენებს საბიუჯეტო სახსრებს.
- ქარიველი იმპორტიორების ინვესტიცია ადგილობრივ ბაზარზე.
- საკვები პროდუქტების მწარმოებელთა ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სფეროში.
- ქართველი მწარმოებლებისთვის მიკროკრედიტების გაცემა (მაგალითად, საკრედიტო თანამეგობრობიდან).
- ინვესტირება დასაელეთიდან (ევროპა, მსოფლიო ბანკი).
- ინვესტორების და ფერმერების შემოყვანა აზია-აფრიკიდან (სამხრეთ აფრიკელი ბურები).

დღევანდელი სოფლის მეურნეობის და ფინანსება იმდენად მცირეა, რომ, არც თუ დიდად მისი გაზრდა ვერ მოგვცემს სწრაფ რეზულტატს.

სახელმწიფო უკვე შეუდგა თანადაფინანსებით დაწყებული პროექტების განხორციელებას და სახელმწიფო დებს ფულს სოფლის მეურნეობაში. დიდი ხნის პაუზის შემდეგ საქართველოში დაიწყო მექანიზაციის პარკის განახლება, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოფლის მეურნეობის გაძლიერებისათვის. 2010 წლიდან 2015 წლამდე საქარიველოში შემოვა 1500-ზე მეტი ტრაქტორი, 5000-მდე მისაბმელი, 1000-მდე კომბაინი და ეს სახელმწიფოს დაფინანსებით მოხდება. მეორე და მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართველ საკვებმწარმოებლების დაინტერესება სოფლის მეურნეობაში ინვესტირებით. „მარნეული", „ეკოფუდი", „კამპა", „კულა" ეს კომპანიები ვითარდებიან ძალიან ეფექტურად, თუმცა არ აქვთ დიდი სახსრები, რათა მოახდინონ ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სექტორში. მნიშვნელოვანია ასევე სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების დახმარება დაკრედიტების წესით, რაც გულისხმობს საკრედიტო კოოპერატივების შემქმნას და მათგან დაფინანსების მიღებას ან მსხვილი ბანკების - მაგალითად, თიბისის, ვითიბის და

საქართველოს ბანკის - დაფინანსების მოპოვება. სპეციალურ ანგარიშებზე მოსახლეობის და იურიდიული პირების მიერ გროვდება ფული სოფლის მეურნეობის სექტორის კრედიტირების მიზნით, ხოლო შემოდგომისთვის ფული ბრუნდება პროცენტით ან საქონლით. მნიშვნელოვანი იქნება პროდუქტის შენახვის მიზნით ჩაერთონ სავაჭრო ორგანიზაციებიც.

შესაძლებელია განვითარდეს საკრედიტო კოოპერატივები პატარა ქალაქებში, რადგან იქ ადვილია თვალყური ადევნო პროცესებს, სად მიდის ფული, ხოლო დიდ ქალაქებში ფული უნდა წამოვიდეს დიდი ბანკებიდან, რომლებიც ბიზნესგეგმის ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტენ ვის მისცენ კრედიტი და ვის არა.

დასავლეთის ქვეყნებისთვის საქართველო ნამდვილად ითვლება მიმზიდველ ქვეყანად თავისი გეოგრაფიული და კლიმატური მდგომარეობიდან გამომდინარე. საქართველო კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის სექტორში, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ეს უპირატესობა დაიკარგა. ბოლო წლებში ჩატარებულმა რეფორმებმა და სოფლის მეურნეობის სტიმულირებისთვის გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოს მისცა შესაძლებლობა დაბრუნებულიყო სასოფლო სამეურნეო რუკაზე.

მნიშვნელოვან ელემენტად განიხილება ასევე ინვესტიციების მოზიდვა განვითარებადი ქვეყნებიდან, რომლებიც განიცდიან მიწის ნაკლებობას. ასეთია, მაგალითად, ჩინეთი. თუმცა ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქალაქეებისთვის ზიანის მიუყენებლად, ანუ პირველ რიგში მსგავსი ინვესტიციით უნდა დასაქმდნენ ადგილობრივი მოქალაქეები.

მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის ჩართვა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაში, რადგან საქართველოში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო საქონლის ძირითადი ნაწილი სწორედ თურქეთიდან შემოდის. საჭიროა შეიქმნას ერ-

თობლივი საწარმოები იმ პროდუქციისათვის, რომლის წარმოებაც საქართველოს შეუძლია, ალტერნატიულად თურქ ბიზნესმენებს სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს ქართულ პროდუქციაში ჯუღის ჩადება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეამცირებს იმპორტს და გაზრდის ექსპორტს.


დიდ პრობლემად რჩება სოფლის დაცლა მოსახლეობისგან. ექსპერტების აზრით, დემოგრაფიული პრობლემები 2015 წლისთვის საკმაოდ შედეგებს მიაღწევს, საჭიროა სოფლის მოსახლეობის სტიმულირება და, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სოფლის მოსახლეობა განაპირობებს ერის სიცოცხლისუნარიანობას. მიგრაცია მომავალში უფრო გაიზრდება და ამისთვის საჭიროა მისი რეგულირება სახელმწიფო დონეზე, თუმცა ეს ყველაფერი არ უნდა ლახავდეს ადამიანის უფლებებს.

მნიშვნელოვანია არაბული ქვეყნების დაინტერესება ჩვენი პროდუქციით შემდგომში მოყვანილი პროდუქტის

ნახ. №9

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან ძირითადი შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ჯამად შემოსავლებში (პროცენტებით)

2006	2007	2008	2009	2010
10.6	7.8	6.7	6.0	6.7



არაბეთში ექსპორტისათვის. ეს განვითარების ძლიერ ბიძგს მისცემს ქართულ სოფელს. კულტურიდან გამომდინარე, არაბულ ქვეყნებთან დიალოგის დაწყება საქართველოსთვის იმახე მარტივი იქნება, ვიდრე, მაგალითად აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის.

ამ პროცესში დიდი ყურადრება უნდა მიექცეს ოჯახური მეურნეობების განვითარებას, სასოფლოსამეურნეო სექტორის საკმაოდ დიდ ნაწილს იკავებენ ოჯახური მეურნეობები, მათი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც, მაგალითად, კანადაში ხდება. სასუქზე დაბალი ფასები, დიზელით დამსარება ოჯახური მეურნეობებისათვის დიდი შეღავათი იქნება.

ინვესტირების სქემები და ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას, რომ მივცეთ უპირატესობა ერთ გამორჩეულს, ხოლო მეორეს უარი ვუთხრათ. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირების დროს ეკონომიკური ფორმების კონკურენცია აუცილებელია, იმიტომ, რომ განსხვავებული სახის ინვესტიციები მომგებიანი იქნება სხვადასხვა სახის ნიშისათვის. ამას გარდა პრაქტიკული ფუნქციონირების დროს გაჩნდება ბევრი შეკითხვა, რაც ახლა რთული წარმოსადგენია, ერთი ორგანიზაციული და ეკონომიკური სქემა ეფექტურად გადაწყვეტს ერთი ჯგუფის შეკითხვებს, ხოლო სხვა სქემების გამოყენება შეიძლება სხვა მოცემული კითხვებისთვის. სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმების კონკურენცია და თანამშრომლობა შეძლებს საფუძვლიანად დააჩქაროს ქართული აგროსამრეწველო კომპლექსის პროგრესი და გახადოს მისი განვითარება უფრო სტაბილური.

გრძელვადიანი პერსპექტივაში უნდა გაკეთდეს შემდეგი:

პირველ რიგში, საქართველომ უნდა გაიაროს მძიმე რეგულაციის პერიოდი სასურველი ეკონომიკური მოდელის შემუშავებისათვის, როცა მთელი ქვეყანა იღწვის ერთი მიზნისათვის - ესაა ქართული სოფლის მეურნეობის სე-

ქტორის აღდგენა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოქალაქემდე მიეიდეს ინფორმაცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი აღნიშნული სექტორის განვითარებაში.

უდაოვა, რომ ეროვნული სასურსათო სისტემის პრიორიტეტული განვითარება არ უნდა უშლიდეს ხელს მრეწველობის, სერვისული და მაღალტექნოლოგიური სფეროების განვითარებას. მნიშვნელოვანია ქვეყანამ უზრუნველყოს ბალანსირებული განვითარების საფუძველი ადგილობრივი სამეურნეო სტრუქტურებისათვის; საყუძვლები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ინტეგრაციის წყალობით ნაციონალურ სამეურნეო სივრცეში უზრუნველყონ ეროვნული ეკონომიკის ყველა სექტორის შეუფერხებელი განვითარება. ეს გულისხმობს ინოვაციურობას, შესაძლებლობას, წარმოაჩინო საქართველო საერთაშორისო საჯარო და ფინანსურ ბაზრებზე, ასევე, ჩვენი ქვეყნის რეპოზიციონირებას საერთაშორისო მუშახელის დანაწილების სტრუქტურაში.

საქართველომ უნდა მოახდინოს რეგიონალური დიფერენციაცია, რათა ამაღლდეს რეგიონებს შორის კონკურენტუნარიანობა, გადაიჭრას მათი სოციალური პრობლემები. 2012 წელს მოსახლეობისთვის დარიგებული 30 ლარიანი ვაუჩერი მცირე, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი დახმარება იყო. მსგავსი სახის დახმარებებმა სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს, რათა ფერმრებმა შეძლონ წელში გამართვა.

მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიების მხრიდან სოფლის მეურნეობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება: ქართული კომპანიები პრაქტიკულად არ აზღვევენ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთ ფერმერებს. სახელმწიფომ აქაც აქტიური როლი უნდა ითამაშოს და მიღებული რეგულაციებით უნდა აიძულოს სადაზღვევო კომპანიები, რომ მოახდინონ სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავეთა დაზღვევა. ტარიფები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რეალობას. ბანკებმაც აქტიური როლი უნდა ითამაშონ


კომპანიებთან თანამშრომლობის პროცესში და მათთან ერთად შეიმუშაონ სპეციალურად სოფლის მეურნეობებისთვის განკუთვნილი პაკეტები, რომლებიც ქართველი ფერმერებისთვის ხელსაყრელი და მიმზიდველი იქნება. შესაძლოა ასევე სახელმწიფო დაზღვევის პოლიტიკის გარანტიები, ანუ სახელმწიფომ გარკვეულ სექტორში უნდა იკისროს საკუთარ თავზე დამზღვევის ფუნქცია. სადაზღვევო კომპანიების ჩართულობა და ბანკების მონაწილეობა სოფლის მეურნეობის სექტორში, აღნიშნულ დარგს უფრო მიაახლოებს ევროკავშირის სტანდარტებს და გამოიწვევს უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგით.

როგორც ცხრილში ვხედავთ, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2005 წლიდან მოყოლებული კლებულობს, რაც ნამდვილად ნეგატიური ფაქტორია.

ქვეყანამ, რომელშიც 57% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, მნიშვნელოვანია, თავისი მთლიანი

ნახ. №10

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (%)



ეკონომიკური კურსი აიღოს სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ. სოგიერთი ექსპერტის აზრით, ქვეყნებისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების წინა პლანზე წამოწევა დამაზიანებელია, მაგრამ ეს ასე არ არის. სასურსათო სისტემა არ ითვლება ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ, პრიმიტიულ დარგად. ათობით ქვეყანაში ის თანამედროვე ეკონომიკის კაპიტალსა და მეცნიერებაზე დაფუძნებელი მიმართულებაა. ევროპული ქვეყნების მიღწევების ერთიან რეალიებში გადმოტანა მოგვცემს საშუალებას, დაინერგოთ და გამოვიკვლიოთ ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: ბიოტექნოლოგია, გენური ინჟინერია, სასოფლო-მანაქანათმშენებლობა, რაც მოგვცემს საშუალებას, შევქმნათ ბევრი ადგილობრივი პროდუქტი. განვითარებადი ქვეყნების გუნდში საქართველოს მონაწილეობისთვის სწორი გათვლების გაკეთება და სასურსათო დარგში ფართო ინვესტიციების მოზიდვა, საქართველოს რეალურად ჩართავს გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. პირველ რიგში, ჩვენი წვლილი ამ კუთხით იქნება წყლის რესურსები, რაც ჩვენს ქვეყანას საკამარისად გააჩნია. საქართველოს შეუძლია წარმატებით ჩაერთოს საერთაშორისო მუშახელის გადანაწილების პროცესში და სხვა პერსპექტიულ მიმართულებებში.

2.5. *საქართველოს სასურსათო ბიზნესის პოტენციალი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროცესში*

კრიზისი, რომელიც ფინანსურ სექტორში დაიწყო, მოედო მთლიან ეკონომიკას. ეს, რასაკვირველია, ძალიან ცუდად აისახა მსოფლიოს ქვეყნების სასურსათო სექტორზეც, მაგრამ ეკონომიკურ კრიზისს მოაქვს არა მარტო დანაკლისები, არამედ ახალი შენაძენებიც. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ კრიზისს საქართველოსთვის დიდი ზიანის მიყენება არ შეეძლო, რადგან ქვეყ-

ნის სოფლის მეურნეობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მეშვიდობის კრიზისულ ვითარებაში. შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული სახელმწიფოს მხრიდან და არ გადაიდგა სათანადო ნაბიჯები სოფლის მეურნეობაში, თუმცა არის პოზიტიური მომენტებიც. მაგალითად, ქართველმა ფერმერებმა და გლეხებმა ისწავლეს გადარჩნენ არააღექვატურ ეკონომიკურ პირობებშიც კი. საქართველოს აქვს იმის უნარი, რომ ეკოლოგიის დაუზიანებლად მიაღწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდას. ძალიან ბევრ ქვეყანაში მსგავსი შესაძლებლობები ამოწურილია. ასე რომ, საქართველოში წარმოებული პროდუქცია ყოველთვის მოთხოვნადი იქნება ბაზარზე, რაც შეიძლება არ ითქვას სხვაგან წარმოებულ პროდუქტზე.

გაეროში არსებულმა სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ საგანგაშო განცხადება გაავრცელა: საერთაშორისო ბაზარზე კვების უმთავრესი პროდუქტების ფასები კვლავ მატულობს. ზედიზედ რვა თვის განმავლობაში მიმდინარე ზრდამ თებერვალში უკანასკნელი 2 ათწლეულის ფასების პიკს მიაღწია. შაქრის გამოკლებით ყველა მთავარი პროდუქტის ფასი ივნისის შემდეგ

ცხრილი №7

რეგიონი	2011 ტრაქტორი რაოდენობა	2011 ტრაქტორი მაგდენობის პროცენტი	2011 კომბაინი რაოდენობა	2011 კომბაინი მაგდენობის პროცენტი	2011 მისაბმელი რაოდენობა	2011 მისაბმელი მაგდენობის პროცენტი	2012 ტრაქტორი რაოდენობა	2012 ტრაქტორი მაგდენობის პროცენტი	2012 კომბაინი რაოდენობა	2012 კომბაინი მაგდენობის პროცენტი	2012 მისაბმელი რაოდენობა	2012 მისაბმელი მაგდენობის პროცენტი
კახეთი	188	65%	44	70%	565	65%	453	78%	66	80%	1180	78%
ქვემო ქართლი	184	60%	46	60%	367	60%	259	75%	83	75%	590	75%
შიდა ქართლი	124	55%	31	55%	283	55%	208	73%	48	73%	490	73%
სამცხე-ჯავახეთი	60	60%	10	40%	168	60%	116	75%	16	69%	285	75%
აჭარა	87	45%	5	45%	179	45%	124	68%	7	68%	268	68%
სამეგრელო	107	55%	13	40%	148	55%	132	73%	20	65%	211	73%
დანარჩენი	125	45%	15	60%	239	45%	171	68%	24	75%	207	68%
საქართველო სულ	875	55%	164	57%	1843	55%	1463	73%	264	71%	3231	73%

სტაბილურად იზრდება. მათ შორის, კრიტიკულ ნიშნულზეა ბურლულეულის, რძის და ხორცის ნაწარმის ფასები. ფასების ზრდაზე საუბრისას არ აქვს მნიშვნელობა რეალურ ფასებს ვიგულისხმებთ, ინფლაციის დონეს, თუ ნომინალურ ღირებულებას - ფაქტია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკვებ პროდუქტებზე საერთაშორისო საბაზრო ფასმა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ანუ - მას შემდეგ, რაც გაეროში არსებულმა სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ მასზე მონიტორინგი დააწესა.

როგორც ცხრილში ვხედავთ, 2001 წელთან შედარებით, ტრაქტორების რაოდენობა 2012 წელს გაორმაგდა და ტექნიკის მსადგურიც სასოფლოსამეურნეო სამუშაოს შესრულების პროცესისთვის გაიზარდა. ეს ძალიან პოზიტიური მოვლენაა და, რასაკვირველია, ქვეყანა ამაზე არ უნდა გაჩერდეს. საჭიროა მსგავსი პროგრამები გაგრძელდეს და ტექნიკური პარკის განახლება მოხდეს ყოველწლიურად, რათა საქართველომ შეძლოს უპასუხოს დასავლურ სტანდარტებს.

რეგიონში საქართველოს აქვს აშკარა უპირატესობები და ეს უნდა გამოვიყენოთ, ნოყიერი მიწა, ყველაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ფართობი. რასაკვირველია, უნდა შემცირდეს იმპორტირებული საქონლის რაოდენობა, რათა დაიწყოს აღნიშნული სექტორის განვითარება.

პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ იმპორტი იზრდება, ხოლო ექსპორტი მცირდება. საჭიროა აღნიშნული ვითარება სასწრაფოდ გამოსწორდეს. ადგილობრივი ფერმერების და ოჯახური მეურნეობების წახალისებაც სწორედ იმპორტის კლებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება. ცხრილში ნაჩვენებია თითქმის ყველა პროდუქტის იმპორტი აღემატება ექსპორტს, რამდენიმე წელიწადში ყოველივემ შეიძლება საეალალო სტატისტიკამდე მიგვიყვანოს. ეკონომიკური კრიზისის პირობებში იზრდება იმპორტი. 2010 წელს საქართველოში სასურსათო პროდუქტებზე იმ-

ცხრილი №8

დასახელება	2010 იმპორტი		2010 ექსპორტი		2011 იმპორტი		2011 ექსპორტი	
	1000 $	წლ. %	1000 $	წლ. %	1000 $	წლ. %	1000 $	წლ. %
ხორბალი	236.64	174.16	35.62	7.26	623.92	184.23	19.72	6.17
პურის ფქვილი	4.78	1.47	0.00	0.00	4.68	1.82	0.00	0.00
კარტოფილი	2.05	0.71	0.00	0.00	50.94	13.85	0.00	0.00
ბრინჯი	10.78	5.91	0.00	0.00	11.71	7.68	0.00	0.00
ზაჭარი	134.38	74.23	0.20	0.13	119.59	69.74	0.00	0.00
ხორცი (ფრინველის გარდა)	12.02	24.02	0.00	0.00	14.82	39.65	0.00	0.00
ფრინველის ხორცი	40.12	47.95	0.00	0.00	44.12	66.10	0.00	0.00
თევზი (დაკონსერვებული ნაწარმის)	21.21	35.49	0.00	0.00	21.46	42.05	0.00	0.00
რძე, კვლავი, იოგურტი	2.52	3.77	0.00	0.00	2.59	4.26	0.00	0.00
შენკლავებული რძე რძის ფხვნილი	5.85	15.74	0.00	0.00	5.96	17.42	0.00	0.00
კარაქი	1.68	6.60	0.00	0.00	1.45	7.22	0.00	0.00
კვერცხი	9.6986	1.28	0.00	0.00	7.31	1.60	0.00	0.00
შეკნარული ზეთი	41.50	48.49	0.10	0.12	44.63	67.00	1.82	2.57
მარგარინი	15.87	20.85	0.00	0.00	16.84	27.28	0.00	0.00
ბოსტნეული	61.61	32.86	21.19	5.12	120.93	60.37	8.14	4.85
სიმინდი	28.04	26.07	0.00	0.00	46.18	38.42	0.00	0.00
სიმინდი (ცხოველების გარდა)	0.00	0.00	25.93	69.20	0.00	0.00	29.36	134.70
მინერალური წყლები	0.00	0.00	48.14	30.16	0.00	0.00	71.80	47.61
უალკოლო სასმელები	0.00	0.00	24.41	13.42	0.00	0.00	24.90	15.05
ლუდი	0.00	0.00	0.52	0.32	0.00	0.00	2.97	1.78
ღვინო	0.00	0.00	12.15	39.27	0.00	0.00	16.90	54.10
სპირტიანი სასმელები	0.00	0.00	10.97	54.57	0.00	0.00	11.67	67.85
სულ	1,118.76	521.61	179.22	219.57	1,137.32	668.70	187.27	334.68

უარყოფითი საგაჭრო ბალანსი	2010	2011
რაოდენობა 1000 ტონა	-939.54	-950.05
მლნ აშშ დოლარი	-302.04	-334.02
სულ	-1,680.71	-1,658.60

პორტმა შეადგინა 521,6 მლნ დოლარი, ხოლო ექსპორტი - 219,57 მლნ დოლარი. 2011 წელს სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა იმპორტმა შეადგინა 668,7 მლნ დოლარი ხოლო ექსპორტმა - 334.68 მლნ დოლარი. 2011 წელს სხვაობა 31,98 მლნთ გაიზარდა. 2012 წელს. ექსპერტების აზრით, სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება.

კრიზისის პერიოდში უარესდება ეკონომიკური სიტუაცია და ჩნდება რისკები, მათ შორის, მაკროდონეზე. იმატებს საშიშროება სხვადასხვა სახის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის, რომელთაგან ძალიან მნიშვნელოვანი


ნაწილი სასურსათო დამოუკიდებლობაზე მოდის, მისი დამოუკიდებლობის მოპოვება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთგვარი სოფლის მეურნეობის განვითარებით. ამიტომაც საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დოქტრინისთვის მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება, საჭირო რაოდენობის ძირითადი სასურსათო საკვების წარმოება მთელი ქვეყნის მასშტაბით. კრიზისის პერიოდში ფინანსების მოხმარება ძნელდება და სწორედ ამ მომენტში უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ძირითადი ფუნქცია და გამოყოს საამისოდ ფინანსები.

ასევე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობას კრიზისის პერიოდში სხვა დარგებთან შედარებით უპირატესობა აქვს, იმის ფონზე, როცა კატასტროფულად კლებულობს ფასები სხვადასხვა სახის ნაწარმზე, ხალხის მოთხოვნა საკვებზე ფაქტიურად უცვლელია. ყოველდღიური მოთხოვნა საკვებზე აყენებს პროდუქტის სტაბილურად წარმოების საკითხს და თუ მანქანების, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმლის ყიდვის რაოდენობა მცირდება საკვებზე მოთხოვნა სტაბილური რჩება.

2012 წელს საქართველოს მთავრობამ პოზიტიური

ნახ. №11

მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში (%)



ნაბიჯი გადადგა და სოფლის მეურნეობაში ჩართულ კომპანიებს დამატებითი ღირებულების გადასახადი მოუხსნა. ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭიროა მსგავსი ნაბიჯები მომავალშიც გადაიდგას. საჭიროა ერთგვარად გამოცხადდეს „საგადასახადო არდადეგები" კომპანიებისათვის. ამჟამად გადასახადები რომლებსაც სახელმწიფო კრებს აგრობიზნესიდან, მოგების სტრუქტურის წარმოადგენს ძალიან მცირე ნაწილია. ეტაპობრივად უნდა დაიწყოს იმპორტჩანაცვლება; ადგილობრივ მწარმობელს უნდა დაენიშნოს სხვადასხვა სახის შეღავათები. უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტებზე უნდა დაწესდეს მკაცრი შემოწმება, რომ დაბალხარისხიანი საქონელი არ ხვდებოდეს ჩვენს ბაზარზე. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც იხელმძღვანელებს. მსგავსი რეგულაციები ქვეყანას საშუალებას მისცემს ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგოს, შეძლებს ეროვნული მრეწველობის განვითარებას და რაც მთავარია, შესძლებს დაიცვას საქართველოს მოსახლეობა უხარისხო საქონლის შემოტანისაგან.

საქართველოს აქვს უნარი, რომ შეინახოს საკუთარი თავი საჭირო სასურსათო პროდუქტით. ქვეყნისთვის საჭიროა მექანიზმი, რომელიც მან უნდა შეუმუშაოს ბაზრის რეგულირების მიზნით, სახელმწიფო დონეზე. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ინტენსიური შეძენა, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ნამდვილად დაიწყო. შეძენილ იქნა ასობით ტრაქტორი, კომბაინი, ათასობით მისაბმელი ტექნიკა. ანუ ამ ნაბიჯით საქართველომ ერთგვარად განაცხადი გააკეთა, რომ ის მზადაა გაუმკლავდეს მის მიერ დასახულ ამოცანებს და პირნათლად შეხვდეს საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოებს. შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რაც აგრეთვე ითვალისწინებს სასურსათო ბაზრის რეგულაციას. პროექტი მოიცავს ასევე სხვა მიმართულებებსაც, რომლებიც განპირობებულია სახელმწიფოს მხარდაჭერით დარგის მიმართ, ადგილობრივი

სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე სტრატეგიაში გათვალისწინებულია ზომები, მიმართული სოფლის ტერიტორიების განვითარებისკენ, ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის. სტრატეგია მოიცავს ასევე ღონისძიებებს წყალმომარაგებასა და გაზიფიკაციაში. სტრატეგიაში ცალკეა გამოყოფილი რეგიონალური კონკურენტუნარიანი აგრომეწარმეობის, ნიადაგის ნაყოფიერების საკითხი, მელიორაცია, ქიმიზაცია, ინფორმაციული და საკონსულტაციო სისტემების განვითარება. პროგრამაში წარმოდგენილია სასურსათო სისტემის განვითარების პრინციპულად ახალი მოდელები, რომლებშიც დაცულია ეროვნული სასურსათო ინტერესები და მნიშვნელოვანი რგოლი უჭირავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასაც.

რეგიონებში ვაწყდებით პრობლემას: ფერმერებს აღებული აქვთ კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე და ვერ ახერხებენ მის გასტუმრებას. საჭიროა დაიხვეწოს ამ საკითხისადმი სახელმწიფოს მიდგომა. ფერმერები ვერ ახერხებენ კრედიტის დაფარვას იმიტომ, რომ ვერ შეძლეს საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია, საჭიროა სახელმწიფო მხარდაჭერა ამ საკითხის მოსაგვარებლად, რათა მოინახოს ბაზრები და ფერმერებს შეღავათი მიეცეთ ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებაში. შესაძლებელია სუბსიდიების გამოყოფა. ამას გარდა, მნიშვნელოვანია სურსათზე არსებული ფასები.

მნიშვნელოვანია დავიცვათ სურსათმწარმოებლების ინტერესები და უზრუნველვყოთ ისინი სასურველი სარეალიზაციო ფასებით. ეს შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ბაზრების შექმნით, ორგანიზაციებით, რომლებიც კონცენტრირებულია სასოფლოსამეურნეო პროდუქციის ყიდვა-გაყიდვებზე და მსგავსი ზომების მიღებით.

მნიშვნელოვან ნაწილად რჩება სამრეწველო ფონდის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ადგილობრივი აგრომწარმოებლების პროდუქციის თავმოყრა. ციხეები,

საავადმყოფოები, ჯარი - ეს მძლავრი მიმართულებაა, სადაც უპირატესობა ადგილობრივი პროდუქციის მიღებას უნდა მიენიჭოს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბიუჯეტიდან სუბსიდიების გამოყოფა გრძელვადიანი პროცესია, რომელიც საჭიროებს გარკვეულ დროს. საჭიროა ეფექტურ სუბსიდირებაზე გადასვლა. სუბსიდირებისას უფრო ადვილი იქნება სახელმწიფოსთვის ინოვაციური პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობის ინდუსტრიაში. ფინანსური სუბსიდიები რეგიონებისთვის უნდა აწყოს შემდეგი პრინციპით: „სად შეიძლება და სადაა საჭიროა სუბსიდია. დანარჩენ შემთხვევებში უნდა მოხდეს საკრედიტო რესურსების გამოყენება"

ასევე უდიდეს პრობლემად რჩება სოფლის მოსახლეობის დაუსაქმებლობა. უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება, სადაც სოფლის მოსახლეობა შეძლებს შეისწავლოს ახალი ტექნოლოგიები და უკეთ გაერკვეს მსოფლიო ბაზარზე არსებულ ტენდენციებში. საქართველოში ამის ნათელ მაგალითად შეიძლება ნაი-

ცხრილი №9

ძირითადი სახეობათა პროდუქტების საშუალო წლიური ინდექსები (წინა წლის საშუალო დონე = 100)

	2006	2007	2008	2009	2010
ხორბლის ფქვილი	97.8	116.0	127.7	91.3	101.9
პური	100.9	114.8	123.5	94.8	106.1
პური და ბურღეული	102.0	115.2	121.3	94.8	107.4
საკონდის ნაწარმი	118.1	100.6	109.0	101.3	104.7
თევზი ცოცხალი	113.6	106.4	105.3	99.7	92.1
თევზი გაყინული	114.2	110.4	99.9	93.8	103.3
თევზის კონსერვი	98.9	103.1	100.6	108.7	95.2
რძე და რძის პროდუქტები	114.1	113.6	109.0	93.8	108.4
ახალი რძე	105.5	113.6	113.0	102.4	96.2
ყველი	115.6	114.2	110.1	86.7	112.0
კვერცხი	145.2	86.7	108.6	96.4	103.6
კარაქი და ცხიმი	101.5	115.0	127.8	83.4	109.2
ცხოველური კარაქი	96.6	102.0	104.5	100.6	104.6
მზესუმზირის ზეთი	104.4	119.7	146.1	73.5	111.6
ხილი და ბოსტნეული	120.8	123.1	99.8	107.2	124.5
კარტოფილი	135.6	115.9	95.3	109.2	135.2
შაქარი, ყავა, ჩაი	121.4	95.0	98.7	118.0	123.9
უალკოჰოლო სასმელები	103.8	100.9	109.4	103.1	105.2
ალკოჰოლური სასმელები	105.0	109.9	109.4	103.1	110.9
ქსელა და სასმელები სახლის გარეთ	106.0	106.7	107.3	110.1	105.4
თამბაქოს ნაწარმი	104.7	90.0	99.4	99.9	107.5

თვალოს კომპანია „მექანიზატორი", რომლის მეშვეობითაც ბოლო 2 წლის განმავლობაში გადამზადდა 400-მდე საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლე. გადამზადების პროცესი უნდა დაიწყოს მუნიციპალურ დონეზე, სადაც ყველაზე უკეთ ესმით ადგილობრივი სპეციფიკა. უნდა მოხდეს მუშახელის რესურსების სისტემის შემუშავება, რეგიონების მიხედვით.

რუსეთის ემბარგომ და მსოფლიოში არსებულმა კრიზისმა საქართველოს სასურსათო ბაზარი ძალიან დააზარალა, თუმცა ხდება ახალი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც.

აღნიშვნის ღირსია ის, რომ, როგორც კი საქართველო შექმნის ხელსაყრელ შიდა პირობებს ნაციონალური სასურსათო სისტემის ფუნქციონირებისათვის, ქვეყანა სწრაფად შეძლებს არსებული კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორებას. საქართველო ჩამოყალიბდება, როგორც კონკურენტუნარიანი ქვეყანა და დარგს კრიზისიდან გამოიყვანს. მთავარია კურსი, რომელიც ქვეყნის შიდა წარმოების გაზრდაზე იქნება მიმართული, არ შეიცვალოს და საქართველომ ეტაპობრივად გაიაროს ყველა ნაბიჯი.

მსოფლიო სასურსათო სისტემა განსაზღვრავს ეკონომიკურ ზრდას და შესაძლებლობას, შეებრძოლოს გლობალურ პრობლემებს. ის განსაზღვრავს ქვეყნის პოზიციონირებას მსოფლიო ბაზარზე და მუშახელის გადანაწილების პროცესში ქმნის პლატფორმას ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღვივებისათვის.

ცხრილი №10

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში – სოფლის მეურნეობის სექტორში

პერიოდი	1000 აშშ დოლარი	პერიოდი	1000 აშშ დოლარი	პერიოდი	1000 აშშ დოლარი
I კვ. 2009	5,544	I კვ. 2010	3,296	I კვ. 2011*	1,612
II კვ. 2009	4,248	II კვ. 2010	2,910	II კვ. 2011*	1,858
III კვ. 2009	4,935	III კვ. 2010	752	III კვ. 2011*	5,727
IV კვ. 2009	7,600	IV კვ. 2010	1,674	IV კვ. 2011*	4,411
2009	22,327	2010	8,632	2011*	13,607

საკუთარი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომავალი პროგრესის უზრუნველყოფის პროცესში, მსოფლიო სასურსათო ბაზარი მაქსიმალურად პოლიტიზებულია, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოებისათვის, საკითხები რომლებიც ეხება მის ლიბერალიზაციას და საბაზრო კონიუნქტურებში მოქცევას საბაჟო რეგულაციებით, შიდა საგადასახადო სისტემებით და სუბსიდირებით, მაქსიმალურად პრიორიტეტულია, რადგან მსოფლიო მოთამაშეებისათვის სოფლის მეურნეობა და სასურსათო სისტემა საციცოცხლო მნიშვნელობისაა.

ბაზრის ფუქციონირების მექანიზმების გამოკვლევა, სასურსათო მოდერნიზაციის ინოვაციური პრობლემატიკის კომპლექსის შესწავლა, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზაცია გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული დასკვნა.

1. სასურსათო საქონლის წარმოება და სახალხო მეურნეობების მასში ჩართვა უზრუნველყოლფს ეკონომიკურ პროგრესს, როგორც ეკონომიკური მოგების წყარო და როგორც ეკოლოგიური მომსახურების მომწოდებელი, რაც მათ უნიკალურ ელემენტად ხდის ქვეყნის განვითარებისა და ნაციონალური უსაფრთხოების შემუშავებისთვის. თუ ქვეყანა გამართულად უზრუნველყოფს საკუთარ სასურსათო სისტემას და მისი საექსპორტოდ გატანის საშუალება აქვს, შეძლებს ასევე გამოიწვიოს ქვეყნის სხვადასხვა დარგების განვითარებაც. როცა სოფლის მეურნეობის წარმოების მოგება იხარჯება არაექსპორტული წარმოების ნაციონალურ საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც წარმოებს ქვეყნის შიგნით, ის სტიმულის აძლევს ეროვნული პროდუქციისა და სერვისის მოთხოვნას.

2. სურსათის წარმოების როლი სხვადასხვა ქვეყანაში არათანაბარია და განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არიან ეს ქვეყნები ორიენტირებულნიი სოფლის მეურნეობაზე, როგორც ეკონომიკური ზრდის მომტანსა და სიღარიბის დონის შემამცირებელზე. ამის მიხედვით შესაძლებელია

ქვეყნების 3 კატეგორიად დაყოფა. აგრარული ეკონომიკის ქვეყნებში მთავარ როლს ასრულებს ძირითადი კულტურების წარმოება და ექსპორტი. განმასხვავებელ ფაქტორად გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის ითვლება შემოსავლების ძალიან ძლიერი სხვაობა სოფლისა და ქალაქის მცხოვრებლებს შორის. ყველაზე ეფექტური, რამაც შეიძლება აღნიშნული მდგომარეობა შეცვალოს, არის სახელმწიფოს ჩარევა მეშახელის მწარმოებლურობაში.

3. პრაქტიკამ ნათელყო, რომ აუცილებელია სამომავლოდ შემუშავდეს რეფორმები თითოეული ქვეყნის განვითარების დონისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობას დიდი ადგილი უკავია ეროვნული შიდა პროდუქტის წარმოქმნაში, აუცილებელი იქნება გაგრძელდეს სასურსათო სისტემის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრა, რათა სახელმწიფო უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი შემოსავლითა და დამატებითი მატერიალური რესურსებით განვითარების უფრო ღრმა და ფართო პროგრამების განსახორციელებლად.

4. ამჟამად საქართველოში მიმდინარე რეფორმები მიმართულია ადამიანური განვითარების საჭიროებებისკენ. საქართველომ დაიწყო სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების რეფორმები და ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას. ამავდროულად, საქართველო ცდილობს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების მიღწევას ევროკავშირთან, რომელიც რეგიონში უკეთესი და ღრმა ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს.

საქართველო სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP+) უპირატესობებით ევროკავშირის ბაზარში შესასვლელად, მაგრამ ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული, ინფორმაციული, ადამიანური კაპიტალის, ტექნოლოგიების და სხვა სირთულეებისა თუ არასაკმარისი რესურსების გამო საქართველოსთვის დამახასი-

აუცილებელია პროდუქციის ექსპორტის დაბალი ტემპები.

მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების, ინფრასტრუქტურის და ადამიანური განვითარების გაუმჯობესების გეგმა ვაჭრობასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენისა და პრიორიტეტების დადგენის გზით ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების კონტექსტში; იგი მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების (სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესასოციაციების ჩათვლით) აქტიურად ჩართვას და მონაწილეობას სასურსათო, მაკროეკონომიკური და ბიზნესგარემოს გარდაქმნასა და ადამიანური განვითარების პროცესის რეგულირებაში; საქართველოსათვის აგრარული სფერო და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები უდავოდ პრიორიტეტულია, ამიტომ საჭიროა დაიწყოს მუშაობა იმ სფეროებისა და ობიექტური პრიორიტეტების გამოვლენაზე, რომლებისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დონორების დახმარება და სპონსორობა.

5. მიწისა და წყლის რესურსების მზარდი დეფიციტის პირობებში მწარმოებლურობის ზრდა უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდისა და განვითარების ძირითადი წყარო, მნიშვნელოვანი საშუალება საკვებ პროდუქტებზე არსებული დიდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. გლობალიზაციისა და მიწოდების ახალი ჯაჭვების წარმოქმნის პირობებში, იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას კონკურენტუნარიანობა, ფერმერებისა და სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია გატარდეს ინოვაციური ღონისძიებები ბაზრის ცვალებად პირობებთან ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. ამასთან, აღნიშნული ინოვაციები უნდა მოიცავდეს და ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს: წყლისა და ენერგიის რესურსების ეკონომიური გამოყენება, რისკების შემცირება, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ზრდა, გარემოს დაცვა, წარმოების პროცესში ჩაბმული მოსახლეობის გენდერული თანასწორობის

უსრულველყოფა.

6. ბიოლოგიისა და ინფორმატიკის მეცნიერებებში რევოლუციური აღმოჩენები შესაძლოა მოგვევლინოს იმ ფაქტორებად, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ფერმერების მიერ განვითარებად ქვეყნებში ირიგაციის პრობლემის მოგვარებას. ბაზრის განვითარებისას ინოვაციური მეთოდების შექმნის მოთხოვნა მცირე ნაწილით მომდინარეობს სამეცნიერო სექტორიდან (შემოთავაზების მხარე), ხოლო დიდი ნაწილით კი - ბაზრიდან (მოთხოვნის მხარე). ახალ სასურსათო კომპლექსში ინოვაციები მოთხოვენ ურთიერთსაპასუხო კავშირებს მომხმარებელთან, სწავლებებსა და კოლექტიურ მოქმედებებს.

7. სასურსათო ბაზრის გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბაზარი ცდილობს დაეპატრონოს ეროვნულ ეკონომიკას. ეს კი, თავის მხრივ, სერიოზულ ამოცანას უსახავს ეკონომიკურ დიპლომატიას, რათა განავითაროს და შეათანხმოს თამაშის საერთო წესები მსოფლიო ბაზარზე, ამავე დროს, გაითვალისწინოს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფაქტორები, მწარმოებლების ინტერესების გათვალისწინებით.

ეკონომიკური დიპლომატია საშუალებას იძლევა განვითარებადმა ქვეყნებმა არა მხოლოდ გადაჭრან მიმდინარე და ახლო მომავალზე ორიენტირებული საგარეო ეკონომიკური ამოცანები, არამედ გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზეც. თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატიის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა გლობალურმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ: მსოფლიო ბაზარზე საგაჭრო ურთიერთობებს დაემატა კაპიტალის მოძრაობის გაზრდილი როლი და მნიშვნელობა; ღია ეკონომიკის ზეგავლენით მიმდინარეობს სურსათით ვაჭრობის ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების ინტენსიური პროცესი, რომელშიც ძალების გეოგრაფიული განთავსება, წარმოება და

გასაღება სულ უფრო მეტად განისაზღვრება გლობალური საბაზრო კონიუნქტურით.

იმისმიხედვით, რომ მსოფლიო სასურსათო პრობლემა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, შესაძლებელია საქართველოს სტრატეგიული განვითარება შემდეგი მიმართულებით: საქართველომ უნდა აიღოს მაგალითი დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და გამოიყენოს ისეთივე ტექნოლოგიები როგორც არსებობს აღნიშნულ ქვეყნებში, სადაც კლიმატური და ნიადაგის პირობები მსგავსია ქართული რეალობისა.

უდავოა, რომ მსოფლიო სასურსათო სისტემის როგორც წარმოების პროგრესისა და სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის მოდერნიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ინოვაციებს. პირველ რიგში, გლობალურ დონეზე, რესურსებზე მზარდი მოთხოვნილებისა და ენერგიის დიდი დანახარჯების გათვალისწინებით, მეცნიერების როლი წარმოების პროცესებში უნდა გაიზარდოს. მეორეც - ყველა ქვეყანაში მეცნიერება და ინოვაცია ძირითადი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილიზაციისათვის, როგორც შიდა ბაზარზე, ისე საერთაშორისო ვაჭრობებში.

სასურსათო სისტემის ინოვაციური მოდერნიზაცია, რომლის მიზანსაც სასურსათო სისტემის მაღალტექნოლოგიური, გენერირების უნარის მქონე საერთაშორისო ეკონომიკის კომერციულ სექტორად გადაქცევა წარმოადგენს, დღესდღეობით არის ერთადერთი ეფექტური ინსტრუმენტი მისი გლობალური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. სასურსათო სისტემის ინოვაციური სპეციფიკა დაფუძნებულია მის ბიოლოგიურ თვისებებზე, სოციალურ მნიშვნელობაზე, სამეწარმეო საქმიანობის შემოტანის უნიკალურ თვისებებზე, პროექტების წარმატებულობასა და მომგებიანობის ხანგრძლივობაზე. იგი მოითხოვს სახელმწიფო ფინანსების აქტიურ ჩართულობას და სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროტექციული ხასიათის

პროგრამების თანმიმდევრულ განხორციელებას.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის სასურსათო საკითხებზე თანამშრომლობით მიღწეული შეღეგები და დასახული ამოცანები მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ სახელმწიფოები ინდივიდუალურად, სასურსათო სფეროს მწარმოებელთან არსებითი ინტერესების შესაბამისად შეძლებენ პოლიტიკის შემუშავებას და მათ რეალიზებას ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე შეძლებენ საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი მწარმოებლების ინტერესების დაცვას.

2009 წლის გაზაფხულზე ევროკავშირის მიერ წამოყენებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა", რომლის მიზანიც საქართველოში ისევე, როგორც აზერბაიჯანში, ბელორუსში, მოლდოვაში, სომხეთსა და უკრაინაში, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერაა, გულისხმობს ქვეყნებისათვის ალტერნატიული ბაზრებს გახსნას; შესაბამისად, მათი ეკონომიკის განვითარებას და ამ ქვეყნების რუსული ეკონომიკური გავლენებისგან გათავისუფლებასაც. რუსული ემბარგოს ფონზე ევროპული ბაზრების წვდომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ეს ყველაფერი უახლოეს წლებში ძნელად პროგნოზირებადი პერსპექტივაა.

თავი 3. საქართველოს სასურსათო ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის კონტექსტში

3.1. სასურსათო ბიზნესის განვითარების ძირითადი ორიენტირები და სტრატეგია

აგრარული სტრატეგიის შემუშავებისადმი დამოკიდებულებით მსოფლიოს ქვეყნები პირობითად შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად დაიყოს:

- იმპორტზე ორიენტირებული ქვეყნები;
- პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნები;
- საკუთარი წარმოების ხარჯზე შიდასასურსათო ბაზრის უზრუნველმყოფი ქვეყნები.

სურსათის იმპორტზე ორიენტაცია დამახასიათებელია მის საწარმოებლად არახელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებისათვის, აგრეთვე, ზოგიერთი მდიდარი ქვეყნისათვის (ტიპური წარმომადგენელია ინგლისი), რომელიც ეკონომიკურად დამოკიდებული სახელმწიფოა, მაგრამ სასურსათო "იარაღს" არ იყენებს მეტროპოლიების წინააღმდეგ.

მსოფლიო ბანკი განასხვავებს სურსათის იმპორტზე ქრონიკულ და დროებით დამოკიდებულებას. ქვეყანა ქრონიკული სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფება მაშინ, როდესაც კვების პროდუქტების მოხმარება არასაკმარისია მუდმივად ერთი წლის განმავლობაში, სურსათის აუცილებელი რაოდენობის წარმოების ან შეძენის შეუძლებლობის გამო. დროებითი სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობა ჩნდება პერიოდულად, სურსათზე ხელმისაწვდომობის სტაბილურობის დარღვევების შემთხვევაში მოუსავლიანობის, კვების პროდუქტებზე ფასების ზრდის ან შემოსავლების დონის დაცემის მიზეზით.

სურსათის იმპორტზე ქრონიკულ და დროებით დამოკიდებულებას აუცილებელია დაემატოს პოტენციური სა-

სურსათო დამოკიდებულება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო უძლური აღმოჩნდება გარე კრიზისებისა და რეცეებისადმი. ამ შემთხვევაში პოტენციური სასურსათო დამოკიდებულების საფრთხე შეიძლება გადაიზარდოს დროებითი ან ქრონიკულ სასურსათო დამოკიდებულების მდგომარეობაში.

სასურსათო დამოკიდებულების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას და რთულად წყდება დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. ასეთ პირობებში შიმშილის საფრთხისაგან თავის დასაცავად ამ პრობლემის ცნობილი მკვლევარი პ. ლინდერტი გვირჩევს შიმშილის გამომწვევი შემდეგი ვარიანტების გათვალისწინებას: დროებითი ცუდი მოსავალი; ბუნების არახელსაყრელი მოვლენებით გამოწვეული ცუდი მოსავალი; მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მიერ დროებითი დაპყრობა ან ბლოკადა[26].

პირველ ორ ვარიანტში იგულისხმება, რომ ეროვნულ აგრარულ სექტორს არ ძალუძს საკუთარი წარმოების გაზრდა. სურსათის ეროვნული მწარმოებელთა დაცვისაგან მიღებული პირდაპირი მოგება დიდი არ იქნება, რამდენადაც არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მოსაელიან წლებში დამატებით წარმოებული პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი საგანგებო გარემოებათა შემთხვევებისათვის დასაწყობდება და არ წავა მიმდინარე მოხმარებაში.

მხოლოდ მოსავლიანი წლების სურსათის საკმარისი მოცულობის მარაგების პირობებში შეიძლება საგანგებო ვითარების დროს მისი მიწოდების გარანტიების შექმნა. ამ შემთხვევაში ამოსავალია ადგენს სურსათის შენახვა და არა მხოლოდ მისი შიდა წარმოება. თუ მოსავლიან წლებში ქვეყანაში იმპორტირებული სურსათი უფრო იაფია ადგილობრივ წარმოებულთან შედარებით, სახელმწიფო საიმპორტო მიწოდებათა გზით ზოგავს რესურსებს თავისი საგანგებო მარაგების ფორმირებით, და არა შედარებით

[26] Ильина З.М., Мирочицкая И.В. Рынки селъско-хояйственного сырья и продовольствия. Минск: Наука, 2000, 226 с.

ძვირი ადგილობრივი წარმოების ხარჯზე.

თუ იმპორტით სურსათის შემოსვლა შეფერხდება მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა ქმედებებით, ეროვნულ მწარმოებელთა დაცვის პოლიტიკა დამოკიდებული იქნება ჩარევის ვადების მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური პირობაა სასურსათო ფონდის ფორმირება და საკუთარი წარმოების ხარჯზე მარაგების დაგროვება საგანგებო გარემოებათა შემთხვევებისათვის, იმპორტისათვის ყოველგვარი ბარიერების შეუქმნელად. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი ხდება შიდა წარმოების მაღალი კონკურენტუნარიანობა და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენება.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების მდგომარეობა ძირითადად ყალიბდება სასურსათო წარმოების დაბალი ეფექტიანობის შედეგად. ამასთან, სასურსათო დამოკიდებულების საფრთხე შეიძლება გაჩნდეს არა მხოლოდ კვების პროდუქტების დეფიციტის, არამედ, აგრეთვე მათი ექსპორტის, საგარეო ვალდებულებათა შესრულების და ეროვნული ვალუტის არასტაბილური კურსის პირობებშიც.

სურსათის ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნები, როგორც წესი, ფლობენ მისი წარმოებისათვის საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ან იყენებენ ფასობრივი რეგულირების ღონისძიებათა ისეთ კომპლექსს, რომლის დროსაც კვების პროდუქტების გატანა არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ ეკონომიკურად ხელსაყრელიცაა. უკანასკნელ პერიოდამდე რეგულირების ეს ფორმა, საექსპორტო სუბსიდიებთან ერთად, ძირითადი იყო აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის ფინანსურ მხარდაჭერაში (შესაბამისად, 60 და 70%).

ძირითადად საკუთარი წარმოების ხარჯზე შიდა ბაზრის სურსათის უმნიშვნელოვანესი სახეებით უზრუნველმყოფი ქვეყნები სასურსათო უსაფრთხოების გარან-

ტიის მიზნით ატარებენ პროტექციონისტულ პოლიტიკას. სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა საკუთარი წარმოების ხარჯზე სულ უფრო მეტ გაურცელებას პოულობს როგორც ცალკეულ სახელმწიფოებში, ასევე მათ ბლოკებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური უპირატესობის კრიტერიუმების ფართოდ პროპაგანდა ხდება მრავალი ეკონომისტის მიერ, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკაში იგი არ გამოიყენება. პრიორიტეტულად ითვლება ეროვნული ინტერესები. ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველი სახელმწიფოს მიერ განისილება განცალკევებულად, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები კი განისაზღვრება ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით.

მსოფლიო რესურსების ფორმირებაში თანამედროვე და მოსალოდნელი ტენდენციების სირთულეების გათვალისწინებით, სახელმწიფოთა სასურსათო უსაფრთხოება პერსპექტივაში, ისევე როგორც ამჟამად, უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი წარმოების ხარჯზე. ეს, ჯერ ერთი, მოხსნის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისაგან დამოკიდებულებას და, მეორეც, უზრუნველყოფს ქვეყნის ხელთ არსებული სასურსათო პოტენციალის უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენებას. ამასთან, სურსათით თვითუზრუნველყოფა არ გამორიცხავს ამ რესურსების როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის შესაძლებლობებს, რაც იძლევა შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა სრულად გამოყენების საშუალებას.

საქართველოში ევროგაერთიანება TACIS-ის პროექტის საერთაშორისო ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად საქართველომ შეიძლება სასურსათო სექტორის განვითარების სამი ძირითადი მიმართულება აირჩიოს:

- სურსათზე მოთხოვნილების სამამულო წარმოების

პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;

- სურსათზე მოთხოვნილების იმპორტული პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
- შერეული (სურსათზე მოთხოვნილების როგორც სამამულო წარმოების, ასევე იმპორტული პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული) პოლიტიკა[27].

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოსთვის ყველაზე უფრო მისაღები გზაა მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტული პროდუქციით - ამ ორი მიმართულების რაციონალური დაბალანსებით, პერსპექტივაში კი ორიენტაციის აღება თვითუზრუნველყოფასა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე.

ეს მოსაზრება განპირობებულია მრავალი ფაქტორით: საქართველოს ჯერ-ჯერობით არ ძალუძს მთლიანად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე - მარცვლეულზე და, აქედან გამომდინარე, ხორცისა და რძის პროდუქტებზე. ამასთან, დღეისათვის ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგიური და საწარმოო პოტენციალი, რათა მხოლოდ სამამულო წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ყველა სახის სურსათზე.

სასურსათო სიტუაციის სირთულე საქართველოში და მისი შესაძლო დამოკიდებულება პროდუქტების საზღვარგარეთ შესყიდვაზე, დღის განრიგში აყენებს პროდუქტების გარკვეული ჩამონათვალის მიხედვით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების გადაუდებელ ამოცანას. მათგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

- სასურსათო კომპლექსის სტაბილური განვითარებ-

[27] გეგენავა ლ., ლაჭყეპიანი თ.,შოშიაშვილი ლ. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. - ჟურ. "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, 6, გვ. 59-60.

ის სტიმულირება კვების პროდუქტების ძირითადი სახეების სახელმწიფოებრივი სასურსათო ფონდების სრულად ფორმირებისა და საექსპორტო ორიენტაციისათვის საკმარის დონემდე;

- კვების პროდუქტების მიმართ მსყიდველობითი უნარის ამაღლების ხელშეწყობა 3500 კკალ/დღის მოხმარების დონემდე, საოჯახო ბიუჯეტში სურსათზე დანახარჯების 30-35%-მდე შემცირების პირობებში;
- სურსათის დანაკლისის იმპორტისათვის აუცილებელი სავალუტო რესურსების რეზერვის შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის გაფართოებისა და მისი სტრუქტურის სრულყოფის ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, ამ პრობლემის გადაწყვეტა მოუწევს, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სასურსათო კომპლექსის სტაბილური განვითარების გზით. ამ მიმართულებას ალტერნატივა არა აქვს.

სასურსათო უსაფრთხოების საიმედოობის მისაღწევად საკუთარი წარმოების ხვედრითმა წილმა სასურსათო რესურსებში უნდა შეადგინოს 80-85% (უსაფრთხოების ქვედა ზღვარია 60%).

საქართველოს სასურსათო კომპლექსის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა და შენარჩუნება, ე.ი. პროდუქტთა 9 უმნიშვნელოვანესი ჯგუფის მიხედვით სურსათით თვითუზრუნველყოფამ საკუთარი წარმოების ხარჯზე უნდა შეადგინოს საერთო მოთხოვნის არანაკლებ 80%.

სასურსათო და სანედლეულო რესურსების უმნიშვნელოვანესი სახეების რაოდენობრივი პარამეტრები, რომლებიც საკმარისია მოსახლეობის ერთ სულზე შიდა მოხმარების უზრუნველყოფისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებიდან გამომდინარე, და აგრეთვე საექსპორტო პოტენციალის ფორმირებისათვის, შემდეგნაირად ყალიბდება: მარცვლეული 1400 ათასი ტონა, კარტოფილი

460, ბოსტნეული - 550, ხილი და კენკრა - 600, მცენარეული ცხიმები - 30, შაქარი - 180, ხორცი (ცოცხალი წონით) - 140, ძროხის რძე 960 ათასი ტონა და კვერცხი 600 მლნ ცალი.[28]

თანამედროვე ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონეც, რომლის დროსაც შიდასასურსათო ბაზრის საერთო ბალანსი საკუთარი წარმოების ხარჯზე უზრუნველყოფილია დაახლოებით 60%-ით.

საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის კრიტიკული დონისათვის, რომლის ქვემოთაც იწყება სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და დაკარგვა, საიმპორტო მოწოდებაზე დამოკიდებულების გაძლიერება, რაოდენობრივ გამოხატულებაში საკვებით რეალურია შემდეგი პარამეტრები: 800 ათასი ტონა მარცვლეული, 240 ათასი ტონა კარტოფილი, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, 330 ათასი ტონა ხილი და კენკრა, 20 ათასი ტონა მცენარეული ცხიმები, 110 ათასი ტონა შაქარი, 85 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 580 ათასი ტონა რძე და 360 მლნ ცალი კვერცხი. ეს დონე უნდა იქცეს სურსათის წარმოების ზრდის ტემპებისა და სასურსათო ბაზრის გაჯერებულობის ათვლის ზღვრად.

ამრიგად, აგრარული სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღებ-

---

[28] „აღნიშნული სტრატეგიული მიზნის რეალიზაცია მოითხოვს სასურსათო კომპლექსის დარგთა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გადაიარაღებასთან, საწარმოო პოტენციალის განმტკიცებასთან, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციასთან, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას". ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

ის გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას სასურსათო რესურსების ფორმირებაში. პირიქით, საუბარია ექსპორტისათვის წარმოების ზრდის და იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, რაც, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სასურსათო დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

3.2. სასურსათო ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა

ქვეყნის სასურსათო სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად აუცილებელია მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც იმავდროულად შექმნის ხელსაყრელ პირობებს სასურსათო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა, როგორც წესი, დარგის (დარგთა კომპლექსის) განვითარების ან პრობლემის გადაწყვეტის წინასწარ შემუშავებულ კონცეფციას ემყარება.

თანამედროვე პირობებში სასურსათო სისტემის განვითარების ირგვლივ არსებული თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტი ფაქტობრივად მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ისინი იმდენად მსოფლიო თანამეგობრობის რეალურ ძალისხმევას არ ასახავენ, რამდენადაც მის სურვილებსა და მისწრაფებებს. სინამდვილე კი მთლიანად პრაგმატული მოსაზრებებით საზრდოობს და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც მათში გაცხადებულ იდეებს. ამიტომ ამ დოკუმენტების შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებს არ მოსდევს სათანადო ეფექტი.

აქედან გამომდინარე, სასურსათო სისტემის განვითარე-

ბის ირგვლივ არსებულ თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტს საკითხის გადაწყვეტის სიმძიმე გადააქვს სწორედ ეროვნულ დონეზე, რასაც საფუძვლად ედება ზოგიერთი განვითარებული სახელმწიფოს მდიდარი გამოცდილება აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

სასურსათო სისტემის, როგორც ეროვნული მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სასურსათო სისტემის განვითარების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სისტემა.

ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა აშშ-ში, იაპონიასა და ევროკავშირის ქვეყნებში. სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემის ირგვლივ აქ არსებული კანონმდებლობა იმ უზარმაზარი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელსაც აღნიშნულ სახელმწიფოებში სასურსათო სექტორის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო-სამართლებრივი და ფინანსურ-ადმინისტრაციული ღონისძიებები ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისათვის იდენტურია, მათი განხორციელების გზები და მეთოდები რამდენადმე მაინც განსხვავებული და თავისებურია.

აშშ-ში სასურსათო სისტემის განვითარების საკითხი უმაღლეს ეროვნულ ინტერესთა სფეროშია მოქცეული. სასურსათო სისტემის განვითარების კონცეფცია უკვე კარგა ხანია იპყრობს ქვეყნის კონგრესისა და პრეზიდენტების ყურადღებას. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ მათი სიძლიერე სურსათშია და მისი დაკარგვა არ შეიძლება. მართლაც, აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა სურსათის წარმოებისა და ექსპორტის მხრივ. ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას სასურსათო კომპლექსის მიმართ ისიც განაპირობებს, რომ ეს დარგი ქვეყნის ეკონომიკის საფუძვე-

ლია. აქ პირდაპირ ან ირიბად იქმნება მშპ-ის მეოთხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს.

ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ აშშ-ში სასურსათო კომპლექსი ყველაზე უფრო პროტექციონისტულად დაცული სფეროა. მთავრობა არ იშურებს ფინანსურ სახსრებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის, რისთვისაც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 60-65 მლრდ დოლარი გამოიყოფა, ეს კი ფედერალური ბიუჯეტის 4-5%-ია[29]. ამისათვის მიღებულია სპეციალური ნორმატიული აქტები, რომლებიც მიმართულია სტაბილური სასურსათო მომარაგების უზრუნველყოფაზე, საკუთარი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და მისი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების გზით.

ეს კურსი ტარდება ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან და იგი დაგვირგვინდა აგრობიზნესის მძლავრი, მაღალგანვითარებული სისტემის შექმნით, რომელიც ორიენტირებულია შიდა ბაზართან ერთად, მსოფლიო სასურსათო ბაზრის დაუფლებაზე და პოლიტიკური მიზნების მიღწევაზე საზღვარგარეთ.

აშშ-ში სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის პრობლემა, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, რეგულირდება ე.წ. "აგრარული კანონებით," რომელთაც კონგრესი 5-7 წლის პერიოდულობით იღებს, და რომლებიც მათი მოქმედების პერიოდში ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტებია. ამ მიზნით 1981 წელს მიღებულ იქნა კანონი "სოფ-

---

[29] „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე მიმართული მრავალმილიარდიანი სახსრები უზრუნველყოფს "სასურსათო უსაფრთხოებას და სურსათის სტაბილურ ფასებს აშშ-ში."ასეთი მდგომარეობისათვის, სენატორ კონრადას სიტყვებით, თითოეული ამერიკელი საშუალოდ იხდის 14 ცენტს ღღიურად, რომელიც ბიუჯეტის მეშვეობით მიდის ფერმერთა დაფინანსებაზე". Рушкой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. - Журнал `АПК: экономика, управление", Москва, 1997. №2, с. 7-14.

ლის მეურნეობისა და სურსათის შესახებ," რომელიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისკენ. აღნიშნული კანონით ნავარაუდევი იყო მარცვლეულის შესყიდვა სახელმწიფო რეზერვად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა ქვეყნებისადმი სასურსათო დახმარების გაწევის მიზნით.

საგულისხმოა, რომ 80-იანი წლების შუახანებიდან აშშ-ში გაჩნდა გარკვეული შეშფოთება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფის თაობაზე. შეშფოთების ტალღა მას შემდეგ აგორდა, რაც 1982 წელს შეფასებულ იქნა აშშ-ს ნათესი ფართობების ეროზიის მასშტაბები.

წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შედეგად ქვეყანაში ნიადაგის მთლიანი დანაკარგები შეფასდა 3 მლრდ ტონით. ამასთან, წყლისმიერი ეროზიის შედეგად იკარგებოდა მიწის ნაყოფიერი ფენის 60%, ხოლო ქარისმიერის შედეგად - 40%. სახნავის ერთ ჰა-ზე, ეროზიის შედეგად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დანაკარგები წელიწადში საშუალოდ 20 ტონით შეფასდა, მაშინ, როდესაც ეროზიის დასაშვებ მაქსიმუმად აღიარებულია 12,5 ტონა ჰა-ზე.

ამის გამო აშშ-ში დაიწყო მიწის დამუშავების ახალი ტექნოლოგიების პროპაგანდა და უსწრაფესი გავრცელება, რომელიც გულისხმობს "მიწის მინიმალური დამუშავების" პრინციპს. ეს ტრადიციულ ტექნოლოგიებთან შედარებით უფრო იაფია, მაგრამ ბევრად უფრო მწარმოებლური.

1985 წლის კანონმა "სასურსათო უსაფრთხოების შესახებ", 1986 წლის კანონმა "სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების შესახებ" და 1990 წლის კანონმა "სურსათის, სოფლის მეურნეობის, კონსერვაციისა და ვაჭრობის შესახებ" გააფართოვეს და განამტკიცეს ამერიკელ ფერმერთა მხარდაჭერის ღონისძიებების სისტემა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებაზე სუბსიდიების ჩათვლით.

90-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ის სასურსათო სისტემის განვითარებისა და გარანტირებული სასურსა-

თო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სასურსათო დახმარების სახელმწიფო პროგრამებს. ამ მიზნით ქვეყანაში შეიქმნა "სურსათისა და მომხმარებელთა მომსახურების სამსახური." მოცემული სამსახურის ძირითადი ამოცანები იყო: ერის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მოსახლეობის იმ ფენებისათვის სასურსათო დახმარების გაწევის გზით, რომლებიც ამას საჭიროებენ; სასურსათო სექტორის მხარდაჭერა და განმტკიცება, სურსათის მომხმარებლებთან მისი პირდაპირი კავშირების სრულყოფის გზით; მოსახლეობის ინფორმირებულობის საკმარისი დონის შექმნა რაციონალური კვების საკითხებში.

1995 წლისათვის აშშ-ში უკვე მოქმედებდა ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასურსათო დახმარების 16 პროგრამა. მათ შესრულებაზე სახელმწიფომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით გამოყო 40454 მლნ დოლარი, რამაც შეადგინა ამ უწყების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 65%. ამ პროგრამების რეალიზაციით სასურსათო დახმარება გაეწია 74,4 მლნ კაცს[30].

აშშ-ში უკანასკნელი აგრარული კანონი ძალაში შევიდა 1996 წლის 4 აპრილს. მისი მოქმედებით დაიწყო ახალი ეტაპი ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში. აღნიშნული კანონის მოქმედების ვადა განისაზღვრა 1996-2002 წლების პერიოდისათვის. მასში ასახულია ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების ფარგლებში გამართულ ურუგვაის შეხვედრაზე ამერიკის მიერ აღებული ვალდებულებები, რაც სახელმწიფოს მიერ აგრარული სექტორისადმი გაწეული ფინანსური დახმარების შეზღუდვას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით საინტერესოა 1996 წლის ფედერალური აგრარული კანონის სპეციალური ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს სასურსათო პროდუქციის ექსპორტს და იმავდროუ-

[30] Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продоволъственная безопасность: международные и внутреннис аспекты. Москва, 2002, 393 с.

ლად საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება. ამ ნაწილში წარმოდგენილია ისეთი ტრადიციული პროგრამები, როგორიცაა: "სურსათი მშვიდობისათვის," "სურსათი პროგრესისათვის," "საექსპორტო კრედიტების გარანტიების პროგრამა." აღნიშნული პროგრამები მიმართულია განვითარებად, ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სურსათის ექსპორტის ხელშესაწყობად, აგრეთვე ამ სახელმწიფოების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისათვის კრედიტების გამოყოფისათვის სურსათის შესაძენად.

მსოფლიო სასურსათო ბაზარზე ამერიკის პოზიციების გამყარებას ემსახურება "ექსპორტის მხარდაჭერის," საგარეო ბაზარზე "აშშ-ის პოზიციების გამაგრების, გაფართოებისა და განვითარების," "ახალშექმნილი აგრარული ბაზრების მხარდაჭერის" პროგრამები. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს "სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი რეზერვების პროგრამას," რომლის მიხედვითაც შექმნილია ხორბლის, ბრინჯის და სიმინდის 4 მლნ ტონას მოცულობის მქონე რეზერვი, საიდანაც ხდება სხვა ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარება მარცვლეულით. თვით აშშ-ში სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება აღნიშნული კანონით გათვალისწინებული დახმარება, რომელიც დაბალშემოსავლიან ფენებს გაეწევათ. მოსახლეობის ამ კატეგორიას უსასყიდლოდ ეძლევა ე.წ. "სასურსათო ტალონები," რომლითაც მათ გარკვეული თანხის სხვადასხვა სურსათის შეძენა შეუძლიათ.

აშშ-ის აგრარული პოლიტიკა ნათლად მეტყველებს, რომ აქ სასურსათო სისტემის განვითარება და სასურსათო უზრუნველყოფა განიხილება არა მხოლოდ როგორც საკუთარი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება, არამედ, აგრეთვე, როგორც იარაღი სხვა ქვეყნების სასურსათო დამოკიდებულების შექმნისა და მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის; "სასურსათო იარაღი" უძლიერესი ინსტრუმენტია პოლი-

ტიკური ხელოლისა, ხოლო სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა - ეროვნული ინტერესების პრიორიტეტი.

იაპონიაში სახელმწიფოს მიერ სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემით დაინტერესებას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1898 წელს იაპონიის სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მინისტრი ტანი ტატეკი ამბობდა: "სასურსათო დამოუკიდებლობა უფრო გადაუდებელი საქმეა, ვიდრე დამოუკიდებლობა სამხედრო თვალსაზრისით"[31].

საერთოდ კვებას იაპონიაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რაც აიხსნება არა მხოლოდ ერის ჯანმრთელობაზე ზრუნვით, არამედ, აგრეთვე, მისი ტრადიციებითა და რეალური შესაძლებლობებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად კვებაზე საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით იაპონელები ხარჯავენ თავიანთი შემოსავლების დაახლოებით 16%-ს.

ამჟამად იაპონელები ვარაუდობენ, რომ ქვეყანამ, რომელიც თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რასაც მისი ბუნებრივი შესაძლებლობები იძლევა. ასეთი მიდგომა სრულად აისახა ამ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ 1942 წელს მიღებულ კანონში "სურსათზე კონტროლის შესახებ" და მთავრობის მიერ გატარებულ აგრარულ პოლიტიკაში.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის, როგორც ეროვნული სასურსათო სისტემის უზრუნველმყოფი დარგის, როლი უკვე მრავალი წელია, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ იაპონია ითვლება მსოფლიოში სრულფასოვანი სასურსათო უზრუნველყოფის მაღალი დონის მქონე ერთ-ერთ განვითარებულ სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის ხარისხი ერთ-

[31] ჯანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 80 გვ.

ერთი ყველაზე დაბალია განვითარებული სახელმწიფოთა შორის, ეს არსებითად კომპენსირდება მარცვლეულის სტაბილური მარაგებით, ბრინჯისა და კვერცხის წარმოებით და თევზის პროდუქტების გარანტირებული საიმპორტო შესყიდვებით. ამის გამო იაპონიის მცხოვრებთა კვების რაციონში უსრუნველყოფილია ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცილების ოპტიმალური თანაფარდობა.

იაპონია იმყოფება საკუთარი სასურსათო სექტორის აქტიურად დამცავ სახელმწიფოთა პირველ რიგებში. აქ ხელისუფლება არეგულირებს ბრინჯის, ქერის, ხორბლის ფასებს და ამ პროდუქციით ვაჭრობას. იაპონიის სურსათის სააგენტოს აქვს მარცვლეულის იმპორტის სიდიდის განსაზღვრის ექსკლუზიური უფლება. აქ, ფაქტობრივად, აკრძალულია ქვეყნისათვის უმთავრესი სტრატეგიული მარცვლეულის ბრინჯის იმპორტი და ქვეყანა მასზე მოთხოვნილებას 100 პროცენტით იკმაყოფილებს, თუმცა, ეს მეტად ძვირი უჯდება. ინარჩუნებს რა ამ პროდუქტზე შიდა ფასებს ბრინჯის მსოფლიო ფასებთან შედარებით, რვაჯერ უფრო მაღალ დონეზე, იაპონიაში სახელმწიფოს მიერ დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მინიმალური და მაქსიმალური ფასები. მინიმალური ფასების გაანგარიშება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გათვალისწინებით. აქ ფართოდაა დანერგილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო სტრუქტურები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს უხდიან იმ თანხაზე რამდენიმეჯერ მეტს, ვიდრე თვითონ სთავაზობენ მომხმარებელს, აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საცალო ფასები რამდენადმე მაღალია მსოფლიოს ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

გარდა აღნიშნულისა, იაპონიაში გავრცელებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა პირდაპირი დოტირების სისტემა, რაც სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროგრამებ-

ის განხორციელებას ემსახურება, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში ბრინჯის წარმოების შემცირების ხარჯზე სხვა სახის მარცვლეულის წარმოების ზრდას ისახავს მიზნად. მაშასადამე, იაპონიაში, სადაც ჭარბობს საშუალო და წვრილი ფერმები, შეინიშნება მთავრობის აქტიურად ჩარევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. კერძოდ, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ფინანსური დახმარების სხვადასხვა სახეებმა უკანასკნელ პერიოდამდე, ეთოს სპეციალისტთა გაანგარიშებით, შეადგინა ფერმერთა შემოსავლების დაახლოებით 70 %[32]. აშშ-ში ეს მაჩვენებელი 35%-ია, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში - 50%-ს უახლოვდება.[33]

იაპონიაში აგრარული სექტორისადმი მიმართული მძლავრი პროტექციონისტური პოლიტიკის მთავარი დადებითი შედეგია ის, რომ ამ ქვეყანამ, თავისი მწირი ბუნებრივ-კლიმატური პირობების ფონზე, სურსათით თვითუზრუნველყოფის საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. სამაგიეროდ, სოლიდურმა ფინანსურმა დახმარებამ, კონკურენციის შესუსტებამ, უცხოური პროდუქციისათვის ადგილობრივი ბაზრის ღახურვამ მეტად არაეფექტური გახადა იაპონიაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რის გამოც იგი პროდუქციის თვითღირებულებით და ეფექტიანობის მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკურად განვითარებული სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამიტომ ბოლო წლებში იაპონიის მთავრობა ცდილობს იმგვარად წარმართოს აგრარული სექტორისადმი დახმარება, რომ ამან გაზარდოს ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა.

ამრიგად, იაპონიის ხელისუფლება, მტკიცედ ატარებს რა სასურსათო სექტორის პროტექციონიზმის პოლიტიკას, ღიად ცნობს იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის სასურსათო

---

[32] Рущой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. - Журнал "АПК: экономика, управление", Москва, 1997, №2, с. 10.

[33] Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность: международные и внутренные аспекты. Москва, 2002, 368 с.

მომარაგების მდგომარეობაზე დიდადაა დამოკიდებული ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აშშ-ისა და იაპონიისაგან განსხვავებით, ევროკავშირის ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხასით გატარებული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანი, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ამ ქვეყნების აგრარული სექტორი რეგულირდება ორ დონეზე: ჯერ ერთი, ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, და მეორე, თვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით. ამჟამად ამ გაერთიანებაში სასურსათო სექტორისადმი გაწეული დახმარების ძირითადი სიმძიმე ცენტრალურ სტრუქტურებზე გადადის.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ეროვნული სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის განსაკუთრებით სრულყოფილი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა აქვს გერმანიას, საფრანგეთსა და შვედეთს, რაც საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში[34].

გერმანიაში ჯერ კიდევ 1955 წელს იქნა მიღებული კანონი "გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ", რომელიც მიზნად ისახავდა დარგისათვის მრეწველობის ანალოგიური მეურნეობრიობის პირობების შექმნას. მასში პირდაპირ იყო მითითებული, რომ სახელმწიფო ვალდებულია სურსათით მოსახლეობის მომარაგებას განიხილავდეს, როგორც სტრატეგიულ ამოცანას. 1979 წელს მიღებულ კანონში "სასურსათო მომარაგების შესახებ" კი კიდევ უფრო მკაცრ ფორმებში ჩაიწერა სახელმწიფოს ვალდებულებები სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში. გერმანიის ცალკეულ მიწებზე მიღებულია საკუთარი კანონები "სოფლის მეურნეობისა და სასურსათო მომარაგების შესახებ".

---

[34] Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html, ბოლოს გადამოწმდა - 19.12.2010

საფრანგეთში "სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობის უზრუნველყოფის შესახებ" კანონის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს დაკანონებული ეროვნული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება. აქ ჯერ კიდევ 1960 წელს იქნა მიღებული კანონი "სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა მაქსიმალურად კეთილსასურველი პირობების შექმნას ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთათვის, ბაზრიდან უსარისკო სამამულო და იმპორტირებული პროდუქციის ამოღებას, ქვეყანაში სურსათის დემპინგური ფასებით მასობრივი შემოტანის დაუშვებლობას. 1964 წელს მიღებულ იქნა კანონი "სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შესახებ", რომელიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სტიმულირებაზე. 1962 წლის კანონი "სოფლის მეურნეობის ორიენტაციის შესახებ" კი მოიცავს სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად მიმართულებებს.

შვედეთში, ჯერ კიდევ 1940 წელს მიღებული კანონის - "სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გასაღების რეგულირების შესახებ" - თანახმად, კვების პროდუქტების კომისიების მიერ რეგლამენტირებულია სურსათის ხარისხი, მისი დაცვა მწარმოებლებისა და გამსაღებლების მხრიდან. 1947 წლის კანონი "სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციის შესახებ" თავისი შემდგომი დამატებებით, მიმართულია სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერაზე და სასურსათო ნედლეულის იმპორტის შეზღუდვაზე კვოტების, ბაჟების და სხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისას სახელმწიფო ამოდის იმ დებულებიდან, რომ ფერმერთა შემოსავლები იყოს არანაკლები კვალიფიციურ სამრეწველო მუშათა საშუალო ხელფასის დონისა. ყოველივე ეს მიმართულია ქვეყნის სტაბილ-

ური სასურსათო თვითუზრუნველყოფისა და მისი სასურსათო უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევისაკენ.

ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმების ფართო სპექტრი შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად გაერთიანდეს: პირდაპირი რაოდენობრივი რეგულირება, ფასებით რეგულირება და საბაჟო რეგულირება. სამივე ჯგუფის ინსტრუმენტების ეროვნულობა დაკონკრეტებულია საყაჭრო წესებში, რომლებიც ცალკეული სახის სასურსათო პროდუქტების მიხედვით დგება. ევროკავშირის წევრი ქვეყნები იყენებენ აგრეთვე აგრარული სექტორის რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის პროგრამულ მიდგომას. მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობითაც მიიღწევა ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება. თუ რაოდენ მთამბეჭდავი შეიძლება იყოს შედეგები, ამას ჰოლანდიის მაგალითიც ადასტურებს.[35]

გარკვეულ ინტერესს იწვევს ევროკავშირის სახელმწიფოთა პოზიცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო-ში). მათი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის გატარებაში, განსაკუთრებით, ფერმერული მეურნეობებისადმი ფინანსური მხარდაჭრის საკითხებში, არაერთხელ ქცეულა საერთაშორისო კრიტიკის მთავარ ობიექტად. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სიდიდე ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ფერმერზე გაანგარიშებით დიდად არ განსხვავდება ამ მაჩვენებლისაგან აშშ-ში. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ აშშ-ში ამ მხარდაჭერის ძირითადი ვექტორი მიმართულია ექსპორ-

[35] უნდა შევნიშნოთ, რომ ჰოლანდიაში, რომელიც გამოირჩევა მცირე მიწიანობითა და შედარებით სოლიდური მოსახლეობით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის, ღორის, ფრინველის ხორცის, კარაქის, ყველის, კვერცხის, კარტოფილის, შაქრისა და ახალი ბოსტნეულის მიხედვით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი შეადგენს, შესაბამისად: 119, 279, 188, 287, 353, 252, 332, 154, 194 და 207 პროცენტს. კოლუაშვილი ჰ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემიდან - სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბილისი, 1999, 93-94 გვ.

ტის სტიმულირებაზე, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში პრეფერენციებს ფერმერთა პირდაპირი მხარდაჭერა. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ ამჟამად ევროკავშირი აშშ-სა, ავსტრალიისა, კანადისა და სხვა ქვეყნებისაგან მოითხოვს სახელმწიფოებრივი საექსპორტო სუბსიდიების გაცემის შემცირებას და სახელმწიფო ორგანიზაციების მეშვეობით სურსათით ვაჭრობის პრაქტიკაზე უარის თქმას.

ზემოთ განხილული მაგალითები მოტანილია იმ განვითარებული ქვეყნების მიხედვით, რომელთაც გააჩნიათ შედარებით დასრულებული კონცეპტუალური მიდგომა აქვთ სასურსათო სისტემის განვითარების პრობლემის და მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართ. მათგან საქართველომ ბევრი რამ უნდა ისწავლოს.

ამჟამად საქართველოს სასურსათო კომპლექსის ტრადიციულად წამყვანი დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია არსებობს და მის ბაზაზე შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობა უკვე მიმდინარეობს. აგრარული რეფორმის დაწყებიდან დღემდე მიღებულია და ფუნქციონირებს სამ ათეულზე მეტი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას აღნიშნულ სფეროში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში მიწის რეფორმა დაიწყო პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებში, სამოქალაქო ომის, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითების ფონზე და სათანადო საკანონმდებლო, ტექნიკური, მეთოდოლოგიური თუ ადმინისტრაციული ბაზის გარეშე. შედეგად, რეფორმის პროცესში მოხდა ჰქონდა მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული ბევრი დარღვევა.

მიწის პრივატიზაციამ, უძრავი ქონების ბაზრისა და მიწის მართვის ახალი ფორმების ჩამოყალიბებამ გამოი-

წვია მიწასთან დაკავშირებული ინფორმაციის ახალი საკადასტრო სისტემის შექმნის მნიშვნელოვანი მოთხოვნილება. დღეს მიწის რესურსებსა და მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ სწორი ინფორმაციის ფლობა ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, მიწის სპონტანური პრივატიზაციის შემდეგ.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული სასურსათო სისტემას განვითარების მთლიანი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა კომპლექსის ყველა დარგის ერთიანი სქემით განვითარებას, ქვეყნის სასურსათო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების გზით სასურსათო უსაფრთხოების მისაღები დონის უზრუნველყოფას.

სასურსათო სისტემის ნორმატიულ ბაზას, კანონის თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, რომელთა სხვადასხვა თავებსა და განყოფილებებში დაფიქსირებული და განმტკიცებულია სასურსათო სფეროს სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები.

თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ სასურსათო სისტემის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების რეალური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია "სასურსათო სისტემის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება. ამ საქმეში სხვა ქვეყნებს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ.[36]

დასახელებული კანონი უნდა შემუშავდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, ქმნიდეს

[36] საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე, ანალოგიური კანონი ფუნქციონირებს 1999 წლიდან.

მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის აუცილებელ საკანონმდებლო გარანტიებს.

კანონში საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ქვეყნის სასურსათო სისტემის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში და ამით, საფუძველი ჩაეყაროს სასურსათო სექტორის აღდგენას, მოსახლეობისათვის აუცილებელი და ხელმისაწვდომი კვების პროდუქტებით ქვეყნის ბაზრის გაჯერების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შექმნას.

კანონის შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას და მის ადგილობრივ ორგანოებს, სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო ბაზრის სახელმწიფოებრივი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა მიენიჭოთ აუცილებელი უფლებამოსილებანი. კერძოდ, ეს უნდა შეეხოს სასურსათო სისტემის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის, სახელმწიფო სასურსათო რეზერვების მართვის, აგრეთვე სურსათის წარმოების აუცილებელი და ფაქტიური დონეების ბალანსის შედგენის საკითხებს.

3.3. სურსათით უზრუნველყოფის სტაბილიზაციური პოლიტიკა და სასურსათო ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირება

ქვეყნის სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს ქმნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი სასურსათო კომპლექსი. ამიტომ მისი მდგრადი განვითარების სათანადო სახელმწიფოებრივ მხარდაჭერასა და სტიმულირებას განსაკუთრებული

მნიშვნელობა აქვს. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სასურსათო კომპლექსის მაკროეკონომიკური რეგულირების მოქნილი სისტემის ქმედითი გამოყენებით, თვითრეგულირებისა და რეგულირების მექანიზმის ოპტიმალური შეთანაწყობით.

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასურსათო კომპლექსის მაკროეკონომიკური რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, რომელთა ხანგრძლივობა 3-5 წელია და მოიცავენ, როგორც საკუთრივ წარმოების სფეროს, ასევე წარმოებით ურთიერთობათა სხვა მხარეებსაც.

ასეთი პროგრამის სახით, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგვევლინოს საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრის ფორმირების პროგრამა. მასში გათვალისწინებული უნდა იქნას ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების განსაზღვრული დონის მიღწევას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერას, სურსათზე გარანტირებული ფასების დადგენა-შენარჩუნებას, ეკოლოგიური პრობლების გადაჭრას და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც აუცილებელია სასურსათო ბაზრის ფორმირებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის.[37]

სადღეისოდ სასურსათო კომპლექსის მაკროეკონომიკური რეგულირების ასეთი პროგრამების არარსებობა დღის განრიგში აყენებს მუშაობის გააქტიურების აუცილებლობას მათი შემუშავების მიმართულებით.

აქ მთავარი ორიენტირებია: დასახული მიზნების მიღწევა, სასურსათო ბაზრის სტაბილურობა, რყევების თავიდან

---

[37] ამასთან, პროგრამაში ასახულ უნდა იქნას როგორც სახელმწიფო ბიუჯეტური დაფინანსების მოცულობები, ასევე სხვადასხვა სახის შეღავათები და სტიმულები მასში მონაწილე სამეურნეო სუბიექტებისათვის.

აცილება, კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, დასაქმების დონის ამაღლება, სასურსათო კომპლექსის სისტემაში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილური ზრდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში სასურსათო რესურსების ფორმირება უნდა განხორციელდეს უპირატესად კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებით. ამასთან, რეგულირებისათვის სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს რეზერვების ფორმირების მექანიზმი მწარმოებელთაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვით.

ამ მიზნით ათვისებულ უნდა იქნას განვითარებულ ქვეყნებში მწარმოებელთა მხარდაჭერის აპრობირებული ფორმები და მეთოდები (სუბსიდია, დოტაცია, ექსპორტის დაკრედიტება) იმ ზომით და იმ ფარგლებში, რაც დაშვებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დოკუმენტებით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებითა და წესდებით, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით. ამასთან, რეგულირებისათვის ფართოდ არ უნდა იყოს გამოყენებული არაპირდაპირი სუბსიდირების მექანიზმები. ამ ფორმების გამჭვირვალობა და მიზნობრიობა განპირობებულ უნდა იქნას შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროგრამებით.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, შესაბამისი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ფარგლებში, შესაძლებლობათა არსებობის კვალობაზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერის, სასურსათო კომპლექსის დარგებში დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, რომელთა დაფინანსება განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

სასურსათო კომპლექსის საბაზრო რეგულირების მექანიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასები და ფასწარმოქმნის პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა

და სურსათზე. ფასები, ერთი მხრივ, ასტიმულირებენ მიწოდების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, გავლენას ახდენენ მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, მისთვის მეტად ან ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიან სასურსათო საქონელს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითად სახეობაზე ფასების გათავისუფლება მოხდა 1992 წლის თებერვალსა და ივლისში განხორციელებული ფასების ლიბერალიზაციის მეორე რაუნდის შედეგად. მთავრობის კონტროლის ქვეშ დარჩა მხოლოდ პურის, რძის და ზოგიერთი საზოგადოებრივი მომსახურების ფასები. 1995 წლის დასაწყისისათვის სასურსათო პროდუქტებიდან მხოლოდ პური და რძე იყიდებოდა ფიქსირებული ფასებით, ე.წ. „რეკომენდებული ფასები" გამოიყენებოდა სახელმწიფო მაღაზიებში გაყიდულ ბევრ სასურსათო საქონელზე (ჩამოსასხმელი ღვინო, ლუდი, მინერალური წყალი, ძეხვის სხვადასხვა სახეობა, ხილი და დაკონსერვებული ბოსტნეული). ამასთან, აღნიშნული ფასები საზოგადოდ 30-80%-ით უფრო დაბალი იყო ანალოგიურ პროდუქტებზე კერძო მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ დადგენილ ფასებთან შედარებით.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასწარმოქმნის მკვეთრი სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება და გატარება. ასეთი კონცეფცია გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე გარანტირებული, ხოლო სურსათზე კი - ზღვრული საბაზრო ფასების დადგენას. ასეთმა ფასმა უნდა დაფაროს წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოს გაფართოებული კვლავწარმოების პირობები.[38]

ქვეყნის სასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სათანადო საბიუჯეტო დაფინანსებას. დღეისათვის

[38] ამასთან, წლის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ყოველთვიური ინდექსაცია, მატერიალურ რესურსებსა და მომსახურებაზე ფასების, კრედიტისათვის სარგებლისა და სხვა პირობების ცვალებადობასთან დაკავშირებით.

სასურსათო კომპლექსის დარგთა საბიუჯეტო დაფინანსება ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში წარმოების სტაბილურობას; გამოყოფილი საბიუჯეტო საშუალებები აშკარად არასაკმარისია სასურსათო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია სასურსათო კომპლექსის მიმართ გატარებული საფინანსო პოლიტიკის გარდაქმნა, საბიუჯეტო საშუალებათა ძირითადი ნაწილის მიმართვა ცენტრალური და რეგიონული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების დაფინანსებაზე. სასურსათო კომპლექსის ფინანსური მხარდაჭერა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: საბიუჯეტო ასიგნებანი მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებზე; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება; დოტაციები პროდუქციასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; ასიგნებანი დაზღვევაზე; ბანკების სესხების ნაწილობრივი კომპენსაცია.[39]

სასურსათო კომპლექსის დარგთა სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტების დღეისათვის მოქმედი სისტემა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ახალ ეკონომიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის სასურსათო მეურნეობის საკრედიტო მოთხოვნებს. აღნიშნული ვაკუუმის შესავსებად საჭიროა დროებითი, მეტნაკლებად ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება სასურსათო კომპლექსის საკრედიტო რესურსებით უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე პირობებში ობიექტურად უნდა განისაზღვროს კრედიტების განთავსების წესი; შემუშავდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამის კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობათა პრინციპები, თანამშრომლობის მექანიზმები. საჭიროა სეზონურ დაკრედიტებასთან ერთად ფართოდ იქნას გამოყენებული გრძელვადიანი დაკრედიტების ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორიცაა

[39] ამასთან, აგროსასურსათო სექტორის დაფინანსებისათვის ფართოდ უნდა იქნას მოზიდული არასაბიუჯეტო ფონდების სახსრები, მათ შორის, საკრედიტო რესურსები.

ლი'სინგი. ეს უკანასკნელი დიდ როლს შეასრ'ულებს მოწყობილობათა ტექნოლოგი'ური მოძველებისაგან დაცვა'ში.

სასოფლო-სამე'ურნეო ნედლე'ულისა და სა'ურსათის ინდივიდ'უალურ მწარმოებელთათვის კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდის დამატებით მექანი'სმს წარმოადგენს ადგილობრივი საკრედიტო კავშირების შექმნა. საქართველოში მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდის დახმარებით 1995 წლიდან დაიწყო სოფლად გლეხთა საკრედიტო კავ'შირების ჩამოყალიბება. 2007 წლისათვის საქართველო'ში სულ რეგისტრირებ'ული იყო 171 საკრედიტო კავშირი 1540,5 ათასი ლარის საპაიო კაპიტალით. გლეხთა საკრედიტო კავ'შირების ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს აგრეთვე ევროკავ'შირის RARP-1 პროექტი, რომლის ფარგლებში უკვე შექმნილია 7 საკრედიტო კავშირი, რომლებზეც ევროკავ'შირის საპარტნიორო ფონდიდან გაცემულია 1.9 მლნ ლარის კრედიტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საშუალოვადიან პერიოდ'ში შენარჩ'უნებულ უნდა იქნას საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს მოსალოდნელი ნეგატი'ური გამოვლინებებისაგან დაზღვევის წინასწარი კონტროლის გაძლიერებას გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკ'ურენტ'ული საკრედიტო ბაზრის ჩამოყალიბების კვალობაზე, რაც ხელის'უფლების აქტი'ური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს. ამასთან, ინტენსი'ურად უნდა წარიმართოს სასურსათო კომპლექსში თვითდაკრედიტების სისტემის ფორმირება, საწყის ეტაპზე სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებით, შემდგომ'ში კი – ეტაპობრივად ამ კავშირების რეგიონ'ული ასოციაციების, და საბოლოო'დ, ქვეყნის მას'შტაბით ერთიანი სასოფლო დაკრედიტების კოოპერაცი'ული ორგანიზაციის შექმნით.

ქვეყნის სასურსათო კომპლექსის განვითარება და ამ სფეროში დასაქმებ'ულთა შემოსავლების სტაბილ'ურობა დიდადაა დამოკიდებ'ული სადაზღვევო სისტემის მწყობრ

და გამაროულ მეშაობაზე. ცნობილი მიზეზების გამო საქართველოში 1991 წლიდან გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახელმწიფო დაზღვევა და ეს ფუნქცია გადაეცა კერძო სადაზღვევო კომპანიებს. ამჟამად ფერმერული მეურნეობები არც თუ ისე ხალისით მონაწილეობენ კომერციულ დაზღვევაში ფულადი საშუალების უკმარისობის, სადაზღვევო შენატანების მეტისმეტად მაღალი განაკვეთებისა და არახელსაყრელი სადაზღვევო პირობების გამო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთიანი სახელმწიფო-კომერციული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება სადაზღვევო გასაცემლებში ბიუჯეტის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე. ამასთან, აუცილებელია დამკვიდრდეს სავალდებულო დაზღვევა, უწინარეს ყოვლისა, სარისკო წარმოებაში, სადაზღვევო ბაზარზე შესაბამისი კერძო კომპანიებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნით. სადაზღვევო საქმის განვითარება უნდა გახდეს გრძელვადიანი ინვესტირებისათვის შინაგანი დანაზოგების წარმართვის მნიშვნელოვანი საფინანსო არხი.

სურსათით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფის მიღწევაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სასურსათო ბაზრის რაციონალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

სასურსათო ბაზრის მაკროეკონომიკური რეგულირების მიზანი ზოგადად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: სამამულო წარმოების ხარისხიანი სასურსათო პროდუქტებით მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისი დონის ფასების მიხედვით ეფექტიანი, ეკონომიკურად მისაღები მომარაგებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა. ასეთი პირობები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებისას.

სასურსათო ბაზრის პროდუქციის მიწოდების მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემა, უწინარეს ყოვლისა,

მიმართული უნდა იქნას შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიმწვდომისაკენ: სასურსათო კომპლექსის მდგრადი განვითარებისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება; მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხიან სასურსათო პროდუქტებზე სოციალურად მისაღები ფასებით; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ბაზრების დაცვა საგარეო ბაზრის მხრიდან „ჩაგვრისაგან", საბაზრო სივრცის ინტეგრირება; გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, სასურსათო ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ძირითადი მიმართულებია: სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ სარეალიზაციოდ წარდგენილი მთელი სასურსათო პროდუქციის შეუფერხებელ შეძენაზე;[40] სახელმწიფო გარანტიები მწარმოებელთა მიერ ჩაბარებული სასურსათო პროდუქციის ანაზღაურებაზე გარანტირებული, წინასწარ დათქმული ფასებით; სასურსათო პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რაციონალური გამოყენების ტექნოლოგიათა სრულყოფის დაფინანსება და შეღავათიანი დაკრედიტება.

სასურსათო ბაზრის საქმიანობაში ჩარევისათვის აუცილებელი მარაგების არსებობის შემთხვევაში თვით სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული რეზერვების დაგროვებით. იმავდროულად პროდუქციის შეძენის გარანტია განამტკიცებს მწარმოებელთა რწმენას, იცავს მათ გაკოტრებისაგან, ასტიმულირებს წარმოების განვითარებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, იწვევს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

---

[40] სახელმწიფოს მიერ პროდუქციის შეძენის გარანტია არ გამორიცხავს მწარმოებელთა უშუალო გასვლას ბაზარზე. გარანტია გულისხმობს, რომ თუ მწარმოებელი ამა თუ იმ მიზეზით მიზანშეწონილად არ ჩათვლის პირდაპირ მიმართოს საბაზრო არხებს, სახელმწიფო იძლევა გარანტიას მიიღოს მისი პროდუქცია გარანტირებული (შესასყიდი ან გირავნობის) ფასებით.

პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროდუქციის გასაღებაზე სახელმწიფო გარანტიის რეალიზების შემდეგი ორი ფორმის გამოყენება:

- საკონტრაქტო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს წლის დასაწყისში ხელშეკრულების გაფორმებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვაზე, ფიქსირებული დონის გარანტირებული ფასებით;
- სასურსათო პროდუქციის მიღება გირაოდ გარკვეული ვადით და ანგარიშწორებისას საგირაჟო ფასების გამოყენება.[41]

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა დაცვა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ნება სურვილით აირჩიონ საკუთარი პროდუქციის რეალიზების ფორმები, სახელმწიფო გარანტიების შემოთავაზებული სისტემა კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში სასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალურ ტერიტორიულ გადაადგილებას და ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას.

ამასთან დაკავშირებით, დღეისათვის არსებითად მოსაგვარებელია საკითხი პროდუქციის გასაღების სახელმწიფო გარანტიებზე კვოტების შესახებ. სასურსათო კომპლექსის ინტერესების თვალსაზრისით, პროდუქციის მიღების ნებისმიერი შეზღუდვა არასასურველია. იგი ასევე მიუღებელია სახელმწიფოებრივი პოზიციიდანაც, რამდენადაც ანელებს სახელმწიფო სასაქონლო მარაგების დაგროვების ტემპებს. თუმცა, ზოგიერთი სახეობის დოტირებული პროდუქციის მიხედვით საბიუჯეტო შესაძლებლობებმა შეიძლება მოითხოვოს შესაბამისი შემზღუდავი კვოტების შემოღება. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაეყრდნოთ რეგიონული დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც ასახავს სასურსათო კომპლექსის დარგთა რაციონალური ტერიტორიული გადაადგილების (განლაგების) მოთხოვნებს.

---

[41] თანამედროვე პირობებში სასურსათო პროდუქციის მიღება გირავნობის პრინციპით მთლად სასურველი არ არის, რამდენადაც ქვეყანაში გირავნობითი ურთიერთობები ჯერ კიდევ არაა სრულფასოვნად ათვისებული.

შრომის ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პირობების საფუძველზე ერთიანი სასურსათო ბაზრის ფორმირებისათვის აუცილებელია: საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის ერთიანი ფასწარმოქმნის სტრატეგია და მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე ფასების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები; სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება.

დღეისათვის ძირითადი ყურადღება გადატანილი უნდა იქნას ერთიანი სახელმწიფო სასურსათო ფონდის ფორმირებაზე, რომლის სიდიდეც ეფექტურ გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო ბაზარზე. სასურსათო ბაზრის საქმიანობაში ეფექტური ჩარევისათვის სახელმწიფო უნდა ფლობდეს კრიტიკული მასის მქონე სასაქონლო მარაგებს. რუს სპეციალისტთა გაანგარიშებით, ამისათვის საკმარისია იმ პროდუქტის სასაქონლო მოცულობის 50-55%, რომლის მიმართაც ხორციელდება სახელმწიფებრივი რეგულირება[42].

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია შემუშავდეს საჭირო მოცულობებით ფონდების შეკვების უზრუნველმყოფი ეკონომიკური მექანიზმი. თანამედროვე პირობებში გამოირიცხება მწარმოებლებზე გარე-ეკონომიკური ზეწოლის შესაძლებლობა. სახელმწიფო და რეგიონულ ფონდებში სასურსათო პროდუქციის მიწოდების კონტრაქტი უნდა იყოს ეკონომიკურად მიმზიდველი. მისი გაფორმებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მწარმოებელთა დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გათვალისწინება, რაც, ბუნებრივია, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საბაზრო მექანიზმის მოქმედებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, მიწოდე-

[42] Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобальной продовольственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html.

ბის მხარდაჭერის პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოთხოვნის მხარდაჭერასა და რეგულირებას მომხმარებელთა შემოსავლების სტაბილიზაციისა და ამაღლებისათვის.

ფასების ლიბერალიზების შედეგად ქვეყანაში შექმნილი პარადოქსული სიტუაციის გათვალისწინებით, მთლიანად სასურსათო კომპლექსის მიხედვით, მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე.[43] შესაძლოა საცალო ფასების შეზღუდვის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ცალკეული სახეობის სასურსათო პროდუქტების გაყიდვა ფიქსირებული საცალო ფასებით;
- ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის გაყიდვა რეალიზაციის ყველა არხის მიხედვით, ზღვრული საცალო ფასებით;
- სასურსათო პროდუქტების გაყიდვა „მცურავი" ფასებით (მათი მინიმალური და მაქსიმალური დონეების ფარგლებში);[44]
- საცალო ფასების რეგულირება სასურსათო ბაზარზე ინტერვენციის გზით.

სასურსათო ბაზრის რეგულირების ზემოაღნიშნული მეთოდებიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებს ყველაზე მეტად შეესაბამება სასაქონლო ინტერვენციის მეთოდი. იგი შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს ნორმალური კონკურენტული გარემო და კომპენსირდეს კონკრეტულ სიტუაციაში საბაზრო ინფრასტრუქტურების არასაკმარი-

---

[43] უნდა შევნიშნოთ, რომ საცალო ფასების დონის შეზღუდვა გამოდის წმინდა საბაზრო საშუალებათა არსენალიდან. მისი გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფრო „რბილი" საშუალებები სასურველ შედეგს არ იძლევა.

[44] „მცურავი" ფასები, ისევე როგორც ფიქსირებული და ზღვრული ფასები, რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და ინდექსირდეს ამა თუ იმ პროდუქტზე მოთხოვნის რეალური ცვლილების შესაბამისად.

სი სიმტკიცე და მობილურობა. სასაქონლო ინტერვენციის დროული განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს საკმარისი სასურსათო მარაგები.

განვითარებული სასურსათო ბაზრებისა და ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, აგრეთვე, ჩვენი დაკვირვებანი ახლად წარმოქმნილ საკუთარ ბაზარზე შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საცალო ვაჭრობისა და მოხმარების დონის რეგულირება მეტად რთულია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საინტერვენციო მარაგებიდან (სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან) სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის წესებს. ისინი უნდა იყოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული და აუცილებელია ჩაიდოს მათში შემდეგი ძირითადი პირობები:

- სახელმწიფოს მხრიდან სასაქონლო ინტერვენციის გასატარებლად, სასურსათო პროდუქციის საინტერვენციო მოცულობები არ უნდა იყოს მისი რეალიზაციის საერთო ოდენობის 45-50%-ზე ნაკლები;
- სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან პროდუქციის რეალიზაციის ფასები, ერთი მხრივ, უნდა იყოს გარანტირებულ ფასებზე 30-40%-ით მაღალი, ხოლო მეორე მხრივ, არ უნდა იყოს საბაზრო ფასებზე არსებითად დაბალი;
- სახელმწიფო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს, რათა მომხმარებლები და საეჭრო ფირმები ფლობდნენ ინფორმაციას არსებული რესურსების შესახებ.

სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სასაქონლო მარაგების რეალიზაციის მოცულობები მიზანშეწონილია გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღლებისას, რათა დაცულ იქნას მომხმარებელთა ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი შემცირების შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ამ სიტუაციაში

მიზანშეწონილია მისი შესყიდვა, რათა დაკმაყოფილდეს მწარმოებელთა ინტერესები. ამრიგად, სახელმწიფო მარაგებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ არღვევს საბაზრო პირობებს და ხელს უწყობს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის რეგულირება საცალო ფასების შეზღუდვის გზით გათვლილია ყველა მომხმარებელზე, როგორც მდიდრებზე, ასევე ღარიბებზე.

არ გამოვრიცხავთ რა სახელმწიფო კონტროლს საცალო ფასებზე, მათი შეზღუდვის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების გზით, აუცილებლად მიგვაჩნია მოსახლეობის გადასდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, მისი ნაკლებუზრუნველყოფილი ფენებისათვის დახმარების გაწევის მეშვეობით. ასეთი დახმარების გაწევის ფორმები (უფასო კვების ბარათების გაცემა, უფასო კვების ორგანიზება სკოლებში, საავადმყოფოებში და სხვა სოციალურ დაწესებულებებში და ა.შ.) საკმაოდ კარგადაა ცნობილი და დიდი ხანია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებაცაა, რამდენადაც იგი ზრდის მათ პროდუქციაზე ერთობლივ მოთხოვნას და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

მთლიანად, სასურსათო კომპლექსისა და სასურსათო ბაზრის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების ზემოაღნიშნული მექანიზმების შეთანაწყობა და ეფექტიანი გამოყენება საშუალოვადიან პერიოდში (2012-2015 წწ.) შესაძლებელს გახდის ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2020 წ.) კი სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის არსებითად გადაჭრას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლის შექმნას.

3.4. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია და ეროვნული სასურსათო სისტემის განვითარება

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში მყოფი საქართველოსათვის საგარეო-ეკონომიკური სფერო მხოლოდ შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა ხარჯზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება კი არა, არამედ მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის ჩართვის ერთ-ერთი მიმართულებაცაა. საბაზრო რეფორმა ქმნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სიღრმისეული გარდაქმნის პირობებს, რომლებიც წარმოადგენენ მისი საერთო სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია კრიზისული მდგომარეობის სწრაფად და ეფექტიანად დაძლევა და სასურსათო კომპლექსის რაციონალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირები იქცა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად.

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მოწესრიგება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისა და აგრარული სტრატეგიის რეფორმირების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ძირითადი სახეებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მისაღწევად აუცილებელია მისი საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება და ოპტიმალური გამოყენება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგარეო ვაჭრობის ლიბერალურმა რეჟიმმა და სამამულო საქონელმწარმოებელთა ფინანსური მხარდაჭერის შემცირებამ განაპირობა ქვეყნის სასურსათო ბაზრის დაბალხარისხიანი და იაფფასიანი იმპორტული სასურსათო პროდუქტებით გაჯერება,

განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში, სადაც თავმოყრილია ძირითადი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ეს ხელსაყრელ სამომსახურო სასურსათო პროდუქტების გასაღების შესაძლებლობებს და საშიშროებას უქმნის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეისათვის, თავისი ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალით, ტექნიკური შეიარაღებით, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით საქართველოს სასურსათო კომპლექსი არაკონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე. ასეთ პირობებში საჭირო ხდება ისეთი საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ფორმირება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო კომპლექსის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანას და მისი პოზიციების განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე. ამასთან, მსოფლიო სასურსათო ბაზართან საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები უნდა დარეგულირდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, როგორც საკუთარ საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის, ასევე შიდა სასურსათო ბაზრის გაჯერების თვალსაზრისით.

ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში სასურსათო სიტუაციის დასტაბილიზება ფაქტობრივად შეუძლებელია სასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, საიმპორტო მოწოდებათა დაფინანსების საკითხის მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის ექსპორტისა და იმპორტის საბაჟო რეგულირების განხორციელების გარეშე. ამასთან, აუცილებელია ამოვიდეთ იქიდან, რომ საიმპორტო შესყიდვების უზრუნველყოფა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირებისათვის. ნედლეულის და სურსათის დანარჩენი ნაწილის საიმპორტო შესყიდვა კი უნდა განხორციელდეს ქვეყნის სასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

პროდუქციის ამ ნაწილის იმპორტისათვის შეიძლება გამოყ-

ენებულ იქნას დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროები (საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გამოყოფილი კრედიტების ჩათვლით). ამასთან, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს გარანტად უცხოელი პარტნიორების წინაშე სესხების დაბრუნების საკითხში. ამგვარი სახელმწიფო გარანტიების მისაღებად სასურსათო კომპლექსის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უძრავი ქონების (იმპორტით შეძენილი საქონლის ჩათვლით) დაგირავების ფორმა.

საგულისხმოა, რომ სურსათის მრავალი სახის წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ იმპორტით შეძენილი ნედლეულისა და მასალების გამოყენებას ემყარება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება: ხორბალს, შაქრის ლერწამს, ყავას, რძის ფხვნილს, ხღვის პროდუქტებს, ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს. ჩვენი აზრით, აღნიშნული სახის სასოფლოსამეურნეო და სასურსათო ნედლეულის იმპორტი კვლავ მისაღები იქნება უახლოესი მომავლისათვის.[45]

ნიშანდობლივია ისიც, რომ საკუთარი ნედლეულის უკმარისობის გამო, საქართველო იძულებულია ყოველწლიურად იმპორტით შეიძინოს დიდი რაოდენობით ხორბალი და სხვა მარცვლეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი, თევზი, რძე და რძის ნაწარმი, საკვები ზეთი, ბოსტნეული, ხილი და სხვა კვების პროდუქტები.[46]

---

[45] ამას ორმხრივი სარგებლობა ექნება ჩვენი ქვეყნისათვის: ჯერ ერთი, შეივსება აღნიშნული სასურსათო ნედლეულის დანაკლისი; და მეორეც, სამამულო საწარმოებში იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავების ეკონომიკური ეფექტიანობა უფრო მაღალია, ვიდრე იმპორტით შეძენილი ანალოგიური მზა პროდუქციისა. საწარმოთა სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფასთან ერთად, წლის განმავლობაში ბიუჯეტში შემოსავლები იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებიდან ბევრად უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ანალოგიური მზა პროდუქციის იმპორტით შეძენისას.

[46] საგულისხმოა, რომ საქართველოში კვების პროდუქტების იმპორტი 2003-2008 წლებში 79.1%-ით გაიზარდა. სილაგაძე ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 69-71

ჩვენი აზრით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აღნიშნული პროდუქტების იმპორტით შეძენის გაგრძელება მიზანშეუწონელი იქნება. ამიტომ უკვე უახლოეს პერსპექტივაში, სურსათით თვითუზრუნველყოფის საკითხის დარეგულირებით, თანდათანობით უნდა შემცირდეს ზემოდასახელებული პროდუქტების იმპორტი, რამდენადაც ქვეყანას გააჩნია მათი ადგილობრივი წარმოების გაზრდის რეზერვები და შესაძლებლობანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნას იმპორტირებული სურსათის მოცულობის შემცირებაზე, განსაკუთრებით, იმ ასორტიმენტული ჯგუფების მიხედვით, რომელთა საკმარისი ოდენობით წარმოებაც ჩვენთან სავსებით შესაძლებელია. იმპორტის შემცირებისას უნდა შემუშავდეს მისგან თანდათანობით გათავისუფლების სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელება, ბუნებრივია, დაასტიმულირებს სურსათის შიდა წარმოების განვითარებას.

ამ მიზნით, ყოველწლიურად უნდა დაზუსტდეს იმპორტის მოცულობები სამამულო ნედლეულისა და სურსათის ჩამოყალიბებული ბალანსის, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების შესრულების აუცილებლობის გათვალისწინებით. ამასთან, უნდა დაიხვეწოს იმპორტის სტრუქტურა, მასში ახალი ტექნოლოგიების, მანქანებისა და მოწყობილობების შეძენაზე ლიცენზიების ხვედრითი წილის ამაღლების მიმართულებით.[47]

ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში არანაკლები როლი განეკუთვნება სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტს, როგორც ეროვნული

[47] ამ თვალსაზრისით, საქართველოსათვის გარე სამყაროსთან თანამშრომლობის ყველაზე ხელსაყრელ სფეროდ გვესახება ლიცენზიათა პაკეტის შეძენა, განსაკუთრებით, მცირე მექანიზაციის საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების მოწყობილობების წარმოებაზე.

ინტერესების რეალიზებისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნის მნიშვნელოვან საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ექსპორტის მოცულობა, ბიზნესგარემო და ქართველი ექსპორტიორების სამუშაო პირობები კვლავ გაუმჯობესებას მოითხოვს. კერძოდ, მოსაგვარებელია საბაჟო და საკარანტინო სამსახურებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გარკვეულ ბარიერებს უქმნიან ქართული ექსპორტის განვითარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ სასურსათო პროდუქტების ექსპორტის წყალობით მაღლდება სასურსათო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობა და იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტიდან ამ ნედლეულისაგან სამამულო საწარმოებში გამოშვებული მზა სასურსათო პროდუქტების ექსპორტზე მასიურად გადასვლას. ამასთან, სასურსათო პროდუქტების საექსპორტო მიწოდებათა ეფექტიანობის ამაღლების, ექსპორტიორებისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით მისანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ექსპორტიორთა ცენტრალური დარგობრივი გაერთიანების შექმნა. ამ გაერთიანების უმთავრეს ამოცანად გვესახება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ექსპორტის ძირითად მიმართულებათა დადგენა და საექსპორტო მიწოდებათა ეფექტურობის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოესი მომავლისათვის საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს უნდა შეადგენდეს სურსათის საექსპორტო ბაზის ეფექტიანი განვითარება, მისი საბაზრო და სასაქონლო ნაკადების ფორმირება იმ ქვეყნებში, საიდანაც შეგვეძლება მაქსიმალური მოგებისა და სარგებლის მიღება, სასურსათო უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა. მოცემულ მოთხოვნათა შესრულება ხელს შეუ-

წყობს ისეთი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იქნება სამამულო საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერაზე, ერთი მხრივ, იმპორტირებული სურსათის ექსპანსიისაგან მათი დაცვით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელ მწარმოებლებთან ინტეგრაციული და კოოპერაციული კავშირების სტიმულირებით, რაც პოზიტიურად აისახება ეროვნული საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე.

საქართველოს, როგორც ვმო-ს სრულუფლებიან წევრ-ქვეყანას, უფლება აქვს არასამართლიანი კონკურენციისაგან თავის დასაცავად გამოიყენოს ანტიდემპინგური და ე.წ. საკომპენსაციო გადასახადების სისტემა წინასწარ გამოვლენილი და დამტკიცებული ფაქტების საფუძველზე. ეს ნიშნავს იმას, რომ დემპინგური ფასით ან სუბსიდირებული საქონლის იმპორტისას მას შეუძლია მიიღოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები და დაიცვას ეროვნული ბაზარი არასამართლიანი კონკურენციისაგან.

გარდა ამისა, სუბსიდირებულ იმპორტთან კონკურენციის გაწევის მიზნით საქართველოს შეუძლია გაატაროს სპეციალიზაციის ძირითადი დარგების მხარდამჭერი პოლიტიკა, სპეციალური სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და სუბსიდირების გზით. ასევე შეუძლია საგადასახადო შეღავათების დაწესება სასაქონლო აგრარული პროდუქციის წარმოებაზე, შეუძლია გააფართოოს საბაჟო შეღავათები სოფლის მეურნეობის პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო საშუალებების იმპორტზე, ანუ გამოიყენოს პირდაპირი სუბსიდირების მეთოდი იმ რაოდენობრივ ფარგლებში, რაც არ ეწინააღმდეგება ვმო-ს რეკომენდაციებს.

საქართველოს ასევე მიეცა უფლება განახორციელოს სასურსათო სექტორის კონკრეტული დარგების მიზნობრივი მხარდაჭერა, საწარმოო ხარჯების პირდაპირი სუბსიდირება, მტკიცე სახელმწიფო შესასყიდი ფასების დაწესება და ა.შ.

ემო-ს შეთანხმების თანახმად, მათ გამოყენებაზე წინასწარ დადგენილია რაოდენობრივი შეზღუდვები. ფინანსური მხარდაჭერის ზღვრული სიდიდე მიბმულია ექსპორტის მოცულობასთან, ამიტომ ამ უკანასკნელის ზრდის კვალობაზე პროპორციულად გაიზრდება კონკრეტული დარგებისადმი ფინანსური მხარდაჭერის აბსოლუტური სიდიდე. ამ კონტექსტში საყურადღებოა ისიც, რომ მხარდაჭერის საერთო ვალდებულებებში არ ითვლება ის დახმარება, რომელიც მიმართულია არა რომელიმე კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებაზე, არამედ მთლიანად აგრარული სექტორის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში დახმარების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულების 5%-ს განვითარებულ ქვეყნებში და 10%-ს განვითარებად ქვეყნებში.

მხარდაჭერის საერთო ვალდებულებების გამოთვლისას პოლიტიკური ზემოქმედების ზომები მრავალ კატეგორიად იყოფა და სხვადასხვა ფერის ყუთების სახელითაა ცნობილი. მათ შორისაა ე.წ. "ქარვის ყუთი", "ლურჯი ყუთი" და "მწვანე ყუთი". აგრარული სექტორისათვის განსაკუთრებით "მწვანე ყუთია" საინტერესო, რამდენადაც ის გულისხმობს პირდაპირი ანაზღაურების სხვადასხვა სისტემას, რომლის მიხედვითაც ხდება ფერმერთა სუბსიდირება წარმოებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების გარეშე. კერძოდ, ეს გადაწყვეტილებებია: საქონელმწარმოებლის პირდაპირი ანაზღაურების პროგრამა; მიწების კონსერვაციის პროგრამა; გარემოს დაცვის პროგრამა; სასურსათო დახმარება მოსახლეობის გარკვეული ფენისათვის; ფერმერთა შემოსავლების დაზღვევა; რეგიონული დახმარების პროგრამა; გარკვეული სახის საინვესტიციო დახმარებები; კვლევა, სწავლება, კონსულტირება; მარკეტინგული ინფორმაცია; სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გარკვეული სახის დახმარებები და სხვა. ასეთი პროგრამები არ გულისხმობს მწარმოებელთა პირდაპირ მხარდაჭერას, ამიტომ მათზე ემო-ს შემზღუდავი

ვალდებულება არ ერცელდება. განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული ვალდებულებები ითვალისწინებს ამ ქვეყნებში არსებული ჯერ კიდევ მაღალი ტარიფების შემცირებას.[48]

ვმო-ს წინაშე ალებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში, მოქმედებს რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმი:

- ჩვეულებრივი – რომელიც ხორციელდება ვმო-ს არაწევრი ქვეყნების მიმართ;
- უპირატესი ხელშეწყობის – რომელიც ხორციელდება ვმო-ს წევრი ქვეყნების და აგრეთვე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებთანაც დადებულია შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება;
- პრეფერენციული – რომელიც, თავის მხრივ, იყოფა: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმად და პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმად, ერცელდება საქართველოს ექსპორტზე ზოგიერთი ქვეყნის მიერ.

დღეისათვის საქართველო უკვე 30 ქვეყნის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) ბენეფიციარია. ეს სტატუსი საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის 25–მა წევრმა ქვეყანამ, აშშ-მ, შვეიცარიამ, კანადამ, იაპონიამ და თურქეთმა. თითოეულ ამ ქვეყანას აქვს პრეფერენციათა სისტემის საკუთარი სქემა, რომელიც ბენეფიციარებს მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს საბაჟო გადასახადისგან. მაგალითად, აშშ-ს პრეფერენციულ საეჭრო რეჟიმში მოქცეული საქონელი საერთოდ თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია. ამ ქვეყნის GSP-ის სისტემა 4600-ზე მეტი დასახელების საქონელს მოიცავს, რომელთა შორის საკმაოდაა წარმოდგენილი

[48] დღეისათვის საქართველოს სატარიფო სისტემა მთლიანობაში საკმაოდ ლიბერალურია სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით. საბაჟო ტარიფები იმპორტზე ვარირებს 0%-დან 12%-მდე დიაპაზონში. ემოს მონაცემების მიხედვით, აქ მოქმედი საშუალო არითმეტიკული ტარიფი 7,2%-ს შეადგენს. მაშინ როცა მსოფლიო მასშტაბით ეს მაჩვენებელი 30-40%-ის ფარგლებში მერყეობს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ჯგუფებიც.

ვმო-ში გაწევრიანებით საქართველომ დააფიქსირა "ბმული სატარიფო დონეები" და მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკური ვალდებულებების განრიგი. ამასთან, საქართველომ შეინარჩუნა უფლება გაზარდოს საბაჟო ტარიფები განსაკუთრებით მგრძნობიარე პროდუქტებზე (ნატურალური წვენები, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და სხვ.). ამის გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ". აღნიშნული უფლების გამოყენებით, საქართველოს მთავრობამ უკვე განახორციელა საბაჟო განაკვეთების ზრდა ქვეყანაში იმპორტირებულ ზოგიერთ სასურსათო პროდუქტზე, რაც სრულად შეესაბამება ვმო-ს შეთანხმებებს.

ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველომ არ უნდა შემოიღოს რაიმე საიმპორტო შეზღუდვები და ბარიერები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ობიექტურად აუცილებელი ხდება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და ა.შ.

ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ მიიღო "ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" ამ ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანასთან, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ქვეყნის მიმართ საგარეო ვაჭრობაში რაიმე ფორმით არ იქნება გამოყენებული დისკრიმინაციული პირობები. ამასთან, საქართველოზე ვრცელდება ყველა ის შეღავათი, რაც მიენიჭება ნებისმიერ "მესამე ქვეყანას", ანუ "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" თანახმად, მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, მიანიჭონ სხვა წევრი ქვეყნების პროდუქციას არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე მინიჭებული აქვს ამ რეჟიმის მიმცემ სახელმწიფოში ნებისმიერი სხვა ქვეყნის ანალოგიურ პროდუქციას.

ვმო-ში გაწევრიანების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა შიდა ბაზრის დაცვის უფრო ეფექტური სისტემა.

ამასთან, ექსპორტის ხელშეწყობის მი'ნით, ქვეყანა'ში გა'ქმე-ბ'ულია საბაჟო გადასახადი ექსპორტ'ზე. ამგვარი ლიბერა-ლ'ური სისტემა ნოყიერ ნიადაგს ქმნის საქართველოს საგარეო-ეკონომიკ'ური კავშირების ოპტიმიზაციისათვის.

ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ განვლილ პერიოდ'ში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საჟარო ურთიერთობები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან, როგორც აბსოლუტ'ურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში. ამავე პერიოდში ქართულ-მა უალკოჰოლო სასმელებმა გზა გაიკაფა ევროპ'ულ ბაზარზე, რასაც გარკვეული სტიმ'ული ევროკავშირის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის მინიჭებ'ულმა პრეფერენციულ რეჟიმ-მა მისცა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ვმო-ს წევრობა არ ნიშნავს ქვეყანა'ში არსებ'ულ ეკონომიკ'ურ სიძნელეთა ავტომატ'ურად დაძლევას. ის არ იძლევა საექსპორტო ბაზრების მოპოვები-ს გარანტიებს, თ'უმცა წევრობა იძლევა დამატებით შესა-ძლებლობებს რთ'ული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელ-თა რეალიზაცია ამ შესაძლებლობათა გამოყენებაზეა დამოკ-იდებ'ული. მართალია, განვლილი მცირე პერიოდი არ იძლ-ევა წევრობის შედეგის სრულფასოვანი და ყოველმხრივი ანალიზის საშუალებას, მაგრამ წევრობის ბევრი დადებითი სოციალ'ური, ეკონომიკ'ური და პოლიტიკ'ური შედეგი უკვე ნათელია. კერძოდ, შეიქმნა მყარი საფუძველი მსოფლიოს ერთიან სავაჭრო სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტე-გრაციისათვის, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ეკონომი-კ'ური და პოლიტიკ'ური სტაბილ'ურობის მიღწევას არა მარ-ტო საქართველოში, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასია-ში[49].

აგრარ'ულ სფეროში საქართველოს საგარეო-ეკონომი-კური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს უც-ხო'ური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის სასურსათო კო-მპლექსის დარგებში.

---

[49] კოლუა'შვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2010, 209 გვ.

თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესი ქვეყნის სასურსათო სექტორში ჯერ კიდევ დაბალი ინტენსიურობით ხასიათდება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასპექტით ორგანიზაციულ-სამართლებრივი სახის მრავალი საკითხი უკვე მოგვარებულია.[30] ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საქართველო კაპიტალის ერთერთი ყველაზე ახალგაზრდა იმპორტიორი სახელმწიფოა.

უახლოეს მომავალში საინვესტიციო აქტივობის ამაღლებამ შესაძლებელი უნდა გახადოს ქვეყნის სასურსათო კომპლექსის დარგთა ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების ტემპების დაჩქარება, მორალურად მოძველებული მოწყობილობათა რაოდენობის შემცირება, ფონდუსრუნველყოფისა და ფონდუკუგების მაჩვენებელთა გაუმჯობესება, წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის გაზრდა.

საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების პოლიტიკა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის წარმოების გადიდებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას. ამიტომ საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს მიზანმიმართული, რომელიც კაპიტალურ დაბანდებებს, უწინარეს ყოვლისა, მიმართავს სასურსათო კომპლექსის განვითარების განმსაზღვრელ საწარმოო ობიექტებზე, ფერმერულ მეურნეობათა მხარდაჭერაზე.

საინვესტიციო საქმიანობის ამაღლებას სამეწარმეო სტრუქტურების მხრიდან შეიძლება ხელი შეუწყოს ფინანსური ლიზინგის გაერცელებამ,რომელიც ითვალისწინებს დროებით თავისუფალი ან მოზიდული საშუალებების მიმართვას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული ვადით გადასაცემ ქონებაში ინვესტირებაზე.

[30] პრაქტიკულად უკვე შექმნილია ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს კანონებით: "უცხოური ინვესტიციების შესახებ", "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", "საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ".

საქართველოს სასურსათო სექტორში ინვესტიციათა მოზიდვის გააქტიურებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და სურსათზე დამატებული ღირებულების გადასახადის შემცირება 10%-ის ფარგლებში. ამასთან, საჭიროა გარკვეული შეღავათები დაუწესდეს ფერმერებს საწვავ-საცხები მასალების, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, კომბინირებული საკვების, თესლისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას. ამ მიზნით, ვფიქრობთ, დადგა დრო, ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიმუშაოს და პარლამენტში განსახილველად შეიტანოს საკანონმდებლო აქტი "სოფლად ინვესტიციების შესახებ", რომელშიც აისახება ახალი კონცეფცია საინვესტიციო პოლიტიკის, გარანტიებისა და ინვესტიციათა დაცვის სფეროში.

საქართველოს სასურსათო კომპლექსის განვითარების მხარდასაჭერად, საინვესტიციო საქმიანობა აგებული უნდა იქნას FAO-ს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი სახელმწიფოების (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია) საინვესტიციო საქმიანობის, მათი თანადგომისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გათვალისწინებით. ეს შესაძლებელს გახდის, არა მარტო გამოვლინდეს უცხოელ ინვესტორთა რეალური ინტერესები კონკრეტული პროექტებისადმი, არამედ, აგრეთვე, აქტიურად დაახლოვდეს ისინი სამამულო სურსათის მწარმოებელთა მოთხოვნებთან.

ამრიგად, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, აგრარულ სფეროში ქვეყნის საგარეოეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნებთან, რეგიონულ და სუბრეგიონულ გაერთიანებებთან დადებულ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს. ახალი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისას

მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ეროვნული სასურსათო კომპლექსის განვითარების ინტერესები. ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ქვეყანაში ტრადიციულად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის შემოტანის მოწესრიგებასა და თანდათანობით შემცირებაზე, საკუთარი საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასა და გამოყენებაზე, ტრადიციულ ბაზრებზე პოზიციების აღდგენასა და ახალ ბაზრებზე გასვლა-დამკვიდრებაზე, საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელების ხელშეწყობაზე.


თავი 4. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის ანალიზი ხილ-ბოსტნეულის მაგალითზე

4.1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის ზოგადი მიმოხილვა


მიწის დამუშავება საქართველოში სამეურნეო ცხოვრებისშესაბამისად, ისტორიისა და კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-სოციალური მნიშვნელობა არ შემცირებულა, მეოცე საუკუნეში განვითარებულმა მოვლენებმა დარგს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. შედეგად, სოფლის მეურნეობის განვითარება არსად შეფერხდა, არამედ მისი ცალკეული ნაწილების დეგრადირებაც კი მოხდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ეკონომიკის ცენტრალიზებული, სახელმწიფოს მიერ მართული სისტემის გაუქმების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო სექტორისა და ეკონომიკის სხვა დარგებისგანვითარებამ თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე ტრანსფორმირების პროცესს ფეხი ვერ აუწყო. შედეგად, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი, განსხვავებული ტიპის გამოწვევების წინაშე დადგა.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახული. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს ის აუცილებელი წინაპირობები მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების სახით, რომელთა საფუძველზეც, შესაძლებელია, სასოფლო-სამეურნეო სექტორი ქვეყანაში ღირებულების შექმნის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად იქცეს, სხვადასხვა ფაქტორის გამო დარგის სრული პოტენციალის ათვისება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.



წყარო: საქსტატი[51];



წყარო: FAOSTAT[52]

ეკონომიკური საქმიანობის საკვანძო მონაცემები	2012
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	26,138.9
მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი)	4,497.6
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	5,811.7
სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი)	2,160
სასოფლო-სამეურნეო საკარგული (ფართობა მთლიან მიწის ფართობთან)	35.50%
აგრარული სექტორის მთლიანი გამოშვება (ფართობა ქვეყნის მთლიან გამოშვებასთან)	16.10%
სოფლის მეურნეობის პროდუქტის ექსპორტი (ფართობა მთლიან ექსპორტთან; 2011 წელი; *ალკოჰოლური სასმელის გათვლით*)	17%

წყარო: საქსტატი, FAOSTAT


საქართველოში 21 განსხვავებული კლიმატური ზონა გვხვდება, რაც პოტენციურად დივერსიფიცირებული პროდუქტის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. დღეისათვის მი-

[51] საქსტატი – www.geostat.ge

[52] Food and Agriculture Organization; Statistics; http://faostat.fao.org/

წის 35.5% (2,469 ათასი ჰა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულს წარმოადგენს[53] და მოსახლეობის 47% (2,16 მილიონი ადამიანი) სოფლად ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორის ეფექტურობა ძალიან დაბალია, ხოლო ქართული პროდუქტისაექსპორტო ბაზრებზე ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებკონკურენტუნარიანი. სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება, მცირე ზომის ფერმები ვერ უზრუნველყოფენ წარმოების მაღალეფექტიანობას. ადგილობრივი ფერმერების წინაშე მრავალი განსხვავებული ბარიერი იქმნება როგორც ქართულ ბაზარზე იმპორტირებული დაბალფასიანი პროდუქციის სახით, ისე განუვითარებელი ინფრასტრუქტურის, კვალიფიკაციის დაბალი დონის, ტექნოლოგიებისა და სხვა რესურსების ნაკლებობის ან არარსებობის გამო. შედეგად, სასოფლო-სამეურნეო სექტორი კარგავს თავის როლს როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და იმპორტის ჩანაცვლების, ისე საექსპორტო პროდუქტის შექმნის თვალსაზრისითაც, რაც აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნეგატიურ სავაჭრო ბალანსზე(სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტი მუდმივად აჭარბებს ექსპორტს).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავაჭრო ბალანსი (2009-2012 წწ.)



[53] Food and Agriculture Organization; Statistics; http://faostat.fao.org/

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება მხოლოდ მოსაელიანობის მოცულობის გაზრდით არ შემოიფარგლება; აუცილებელია პროდუქციის რეალიზაცია და მიღებული შემოსავლის დარგის განვითარებაში დაბანდება. რეალიზაციის საჭირო მასშტაბის მიღწევა - პროდუქციის მხოლოდ ქართულ ბაზარზე გაყიდვით - ბაზრის სიმცირისა და მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით შეუძლებელი ხდება, რაც ზრდის ექსპორტის მნიშვნელობას დარგის განვითარების კუთხით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის ექსპორტს ქართული სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საგაჭრო ბალანსი ეკონომიკის ამ დარგში პერმანენტულად ნეგატიურია. გარდა ამისა, 2006 წელს რუსეთის ბაზრის ჩაკეტვამ გამოააშკარავა ქართული სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და საექსპორტო ჯაჭვის დახვეწის აუცილებლობა.

4.2. საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანიები

ქართული ნაწარმის ექსპორტის ანალიზისას ყურადღება გავამახვილეთ ხილისა და ბოსტნეულის რამდენიმე მნიშვნელოვან და, ექსპორტის მოცულობის თვალსაზრისით, წამყვან პროდუქტზე. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველო ექსპორტს ძირითადად ახორციელებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც სავაჭრო მოთხოვნები მეტ-ნაკლებად ლიბერალურ ფორმას ინარჩუნებს ამ დრომდე.

ექსპორტის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს ექსპორტის ფრაგმენტულობას, რაც გულისხმობს ექსპორტის არსებული მაჩვენებლების შენარჩუნების პრობლემას საექსპორტო ქვეყნებთან. ანალიზისას გვხვდება ქვეყნები, სადაც

კონკრეტულ წელს ადგილი აქვს ექსპორტს მაშინ, როცა მომდევნო წელს ექსპორტის მაჩვენებელი წელს უტოლდება და სხვა.

ექსპორტის ანალიზისას ბუნებრივად გამოიკვეთა საექსპორტოდ მნიშვნელოვანი ქვეყნები, მათ შორის: უკრაინა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ბელორუსიადა სხვა. წლიდანწლამდე ქართული პროდუქტის (კონკრეტულად ჩვენი ანალიზისას განხილული პროდუქციის ჩამონათვალი) საექსპორტო მოცულობის 2/3-ზე მეტი სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის. შესაბამისად, ექსპორტის ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ ქვეყნებზე გავამახვილებთ.

განვიხილავთ მწვანილის, ციტრუსისა და ხილის ექსპორტის მონაცემებს. დაწვრილებით დამატებითი ინფორმაცია

ქვეყანა	2009		2010		2011		2012	
აზერბაიჯანი	1,337,530	კგ	1,287,889	კგ	1,663,031	კგ	1,679,991	კგ
უკრაინა	1,902,628	კგ	2,169,300	კგ	1,998,206	კგ	2,089,320	კგ
რუსეთი	277,800	კგ	0	კგ	0	კგ	0	კგ
რუმინეთი	73,860	კგ	41,875	კგ	94,350	კგ	42,530	კგ
ბელარუსი	28,500	კგ	690,666	კგ	1,436,190	კგ	2,888,275	კგ
მოლდოვა	49,440	კგ	66,420	კგ	40,860	კგ	30,190	კგ
ლატვია	62,963	კგ	64,658	კგ	36,789	კგ	28,242	კგ
ესტონეთი	14,920	კგ	17,341	კგ	19,424	კგ	0	კგ
გერმანია	75	კგ	0	კგ	0	კგ	0	კგ
ბულგარეთი	0	კგ	66,450	კგ	0	კგ	0	კგ
ლიტვა	0	კგ	4,050	კგ	22,580	კგ	29,093	კგ
პოლონეთი	0	კგ	1,300	კგ	0	კგ	21,600	კგ
ჩეხეთი	0	კგ	50	კგ	355	კგ	0	კგ
სომხეთი	0	კგ	0	კგ	52,900	კგ	14,785	კგ
ნიდერლანდები	0	კგ	0	კგ	24	კგ	0	კგ
ყაზახეთი	0	კგ	0	კგ	0	კგ	10,296	კგ

ფერების დატვირთვას რაც შეეხება: წითლად შეფერილი მონაცემები ექსპორტის მაჩვენებლების გაუარესების ხაზგასმის მიზნითაა მოცემული; ანალოგიურად, ყურადღების გასამახვილებლად, მწვანედაა შეფერილი საექსპორტო მაჩვენებლების დადებითი ტენდენცია (განსაკუთრებით იმ ქვეყნების მიმართულებით, სადაც ექსპორტი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და კონკრეტული წლების განმავლობაში-100%-ითაც კი მცირდება: მაგ., 2011 წელს პოლონეთის შემთხვევა და სხვ.).

შეგიძლიათ იხილოთ დანართში (იხილეთ: ქართული ნაწარმის ექსპორტის ანალიზი).

მწვანილის ექსპორტის ანალიზი

განვიხილოთ მწვანილის ექსპორტი 4 წლის განმავლობაში (2009, 2010, 2011 და 2012 წლებში).

შეჯამების სახით:

♦ იხილეთ ცხრილი ექსპორტირებული მწვანილის საერთო მოცულობებისა და საექსპორტო ქვეყნების მიხედვით.

ქვეყანა	2010/2009	2011/1009	2012/2009	2010	2011	2012
აზერბაიჯანი	-3.7%	24.3%	25.6%	-3.7%	29.1%	1.0%
უკრაინა	14.0%	5.0%	9.8%	14.0%	-7.9%	4.6%
რუსეთი	-100.0%	-100.0%	-100.0%	-100.0%		
რუმინეთი	-43.3%	27.7%	-42.4%	-43.3%	125.3%	-54.9%
ბელარუსი	2,323.4%	4,939.3%	10,084.3%	2,323.4%	107.9%	101.1%
მოლდოვა	34.3%	-17.4%	-38.9%	34.3%	-38.5%	-26.1%
ლატვია	2.7%	-41.6%	-55.1%	2.7%	-43.1%	-23.2%
ესტონეთი	16.2%	30.2%	-100.0%	16.2%	12.0%	-100.0%
გერმანია	-100.0%	-100.0%	-100.0%	-100.0%		
ბულგარეთი					-100.0%	
ლიტვა					457.5%	28.8%
პოლონეთი					-100.0%	
ჩეხეთი					610.0%	-100.0%
სომხეთი						-72.1%
ნიდერლანდები						-100.0%
ყაზახეთი						

♦ იხილეთ ცხრილი საექსპორტო მაჩვენებლების პროცენტული ცვლილებების ანალიზის მიზნით:

♦ პირველი 3 სვეტი იძლევა მონაცემების (ექსპორტის მოცულობის კგ) პროცენტულ ცვლილებებს საბაზისო 2009 წელთან შედარებით (2010/2009, 2011/2009, 2012/2009);


♦ ბოლო 3 სვეტი ექსპორტის მოცულობის პროცენტული ცვლილებაა წლიდან წლამდე (2010/2009, 2011/2010, 2012/2011).

უკრაინის მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წელს ქართული მწვანილის ექსპორტის მოცულობის დონე 2009 წელთან შედარებით +9.8%-ითაა გაზრდილი, ხოლო 2011 წელთან შედარებითმხოლოდ +4.6%-ით.


ანალოგიურად, აზერბაიჯანში 2012 წელს ქართული

მწვანილის ექსპორტის მოცულობის დონე 2009 წელთან შედარებით +25.6%-ითაა გაზრდილი, ხოლო 2011 წელთან შედარებით მხოლოდ +1.0%-ით.

- იხილეთ: წლების განმავლობაში ექსპორტის სრული



მწვანილის ექსპორტი




მოცულობისა და შესაბამისი ღირებულების, ექსპორტირებული ერთეული კილოგრამის საშუალო სარეალიზაციო ფასისა და ექსპორტის ტენდენციის ამსახველი ცხრილები:


მწვანილის ექსპორტის საერთო მოცულობა წლიდანწლამდე იზრდება: +12.2% (2010/2009), +60.4% (2011/2010) და +26.8% (2012/2011).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია ექსპორტირებული 1 კგ მწვანილის საშუალო სარეალიზაციო ფასი წლების მიხედვით.

ღირებულების მხრივ მკვეთრი გადახრები არ ფიქსირდება ($0.55-$0.80 დიაპაზონი).

მწვანილის ექსპორტის ანალიზისას ყურადღება გავამახვილეთ იმ ქვეყნებზე, სადაც საექსპორტოდ გაგზავნილი პროდუქციის წლიური მოცულობა აღემატება 10,000





კგ-ს.

არსებულმონაცემებზე დაყრდნობითმწვანილის ექსპორტი მკვეთრად იზრდება ბელარუსში; ზრდა სტაბილურია აზერბაიჯანსა და უკრაინაში. ქართული მწვანილის ექსპორტის მოცულობის მხრივ ერთპიროვნული ლიდერები არიან: ბელარუსი, უკრაინა და აზერბაიჯანი. მწვანილის ექსპორტზე გატანა მეტნაკლებად სტაბილურად სდება: რუმინეთში, მოლდოვასადა ლატვიაში. ამ ქვეყნებში 2009-2012 წლების ჩათვლით ექსპორტზე გატანილი მწვანილის მოცულობა მერყეობს: 28,242 - 2,888,275 კგ-ის ფარგლებში.

მწვანილის ექსპორტის მოცულობა ფრაგმენტულია: ბულგარეთში, ლიტვაში, პოლონეთში, სომხეთსა და ყაზახეთში. ესტონეთში 2009-2011 წლების ნათელით ფიქსირდება მწვანილის გატანა ექსპორტზე, თუმცა 2012 წელს ექსპორტის მაჩვენებელი 0-ს გაუტოლდა.

ციტრუსის ექსპორტის ანალიზი


ციტრუსების ანალიზისას განვიხილეთ ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის ექსპორტი 2009-2012 წლების (ნათელით) განმავლობაში.

დაწვრილებით (ცალკეული პროდუქტის ექსპორტის ანალიზი) შეგიძლიათ, იხილოთ დოკუმენტის დანართში ექსელის ფაილებად.

ქვეყანა	2009	2010	2011	2012
სომხეთი	260,049 კგ	113,436 კგ	10,000 კგ	25,751 კგ
გერმანია	14,850 კგ	0 კგ	0 კგ	0 კგ
უზბეკეთი	18,100 კგ	58,380 კგ	0 კგ	54,755 კგ
ბელარუსი	1,500,057 კგ	965,122 კგ	839,150 კგ	1,787,729 კგ
უკრაინა	41,669,551 კგ	24,462,041 კგ	11,336,056 კგ	13,553,441 კგ
აზერბაიჯანი	9,500,492 კგ	9,261,909 კგ	1,263,684 კგ	684,474 კგ
ყაზახეთი	294,806 კგ	134,409 კგ	232,911 კგ	338,969 კგ
ჯიბუტი	205,319 კგ	0 კგ	0 კგ	0 კგ
მოლდოვა	116,120 კგ	192,900 კგ	114,275 კგ	204,408 კგ
ჩეხეთი	37,439 კგ	0 კგ	0 კგ	0 კგ
ესტონეთი	0 კგ	0 კგ	40 კგ	0 კგ
ყირგიზეთი	0 კგ	0 კგ	40,300 კგ	21,000 კგ
ავსტრია	0 კგ	0 კგ	0 კგ	18,470 კგ
რუსეთი	0 კგ	0 კგ	0 კგ	19,300 კგ
პოლონეთი	0 კგ	0 კგ	0 კგ	14,000 კგ

შეჯამების სახით:

- იხილეთ ცხრილი ექსპორტირებული ციტრუსის საერთო მოცულობების მიხედვით;
- იხილეთ ცხრილი საექსპორტო მაჩვენებლების პროცენტული ცვლილებების ანალიზის მიზნით.
- პირველი 3 სვეტი იძლევა მონაცემების (ექსპორტის




მოცულობის - „კგ“) პროცენტულ ცვლილებებს საბაზისო 2009 წელთან შედარებით (2010/2009, 2011/2009, 2012/2009);

♦ ბოლო 3 სვეტი ექსპორტის მოცულობის პროცენტული ცვლილებაა წლიდან წლამდე (2010/2009, 2011/2010, 2012/2011).

უკრაინის მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წელს ქართული ციტრუსის ექსპორტის მოცულობის დონე 2009 წელთან შედარებით -67.5%-ით შემცირდა, ხოლო 2011 წელთან შედარებით გაიზარდა +19.6%-ით.

ანალოგიურად, სომხეთის მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წელს ქართული ციტრუსის ექსპორტის მოცულობის დონე 2009 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით შემცირებულია -90.1%-ით, ხოლო 2011 წელთან შედარებით შეინიშნება +157.5%-იანი ზრდა.


♦ იხილეთ: წლების განმავლობაში ექსპორტის სრული



მოცულობისა და შესაბამისი ღირებულების, ექსპორტირებული ერთეული კილოგრამის საშუალო სარეალიზაციო ფასისა და ექსპორტის ტენდენციის ამსახველი ცხრილები:

ციტრუსის ექსპორტისას, გავამახვილოთ ყურადღება, რომ


ციტრუსის ექსპორტი



ექსპორტის საერთო მოცულობა 2009-2011 წლებში მცირდება, მხოლოდ 2012 წელს შეინიშნება ზრდა: -23.0% (2010/2009), -56.4% (2011/2010) და +39.3% (2012/2011).


ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია ექსპორტირებული 1 კგ ციტრუსის საშუალო სარეალიზაციო ფასი

ციტრუსის ექსპორტი



წლების მიხედვით.

ღირებულების მხრივ მკვეთრი გადახრები არ ფიქსირდება ($0.25-$0.45 დიაპაზონი):



ციტრუსის ექსპორტის ანალიზისას, ყურადღება გავამახვილეთ იმ ქვეყნებზე, სადაც წლიური ექსპორტის მოცულობა აღემატებოდა 10,000 კგ-ს.

ექსპორტის მოცულობის ანალიზისას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ციტრუსის ექსპორტი საერთო ჯამში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, 2009-2011 წლების განმავლობაში ციტრუსის ექსპორტი იკლებს, სასიკეთო ძვრები შეინიშნება 2012 წელს, როცა ექსპორტის მონაცემები ზრდას იწყებს.

2010 წელს ქართული ციტრუსის ექსპორტი მცირდება: გერმანიაში (-100%), ჯიბუტსა (-100%) და ჩეხეთში (-100%) 2009 წლის მონაცემებთან შედარებით. 2010 წელს ციტრუსის ექსპორტი იზრდება მხოლოდ: მოლდოვასადა უზბეკეთ'ში (შესაბამისად: +66.1% და +222.5%). 2010 წელს ციტრუსის ექსპორტი მცირდება: სომხეთში (-56.4%-ით), ბელარუსში (-35.7%-ით), უკრაინაში (-41.3%-ით), აზერბაიჯანსა (-2.5%-ით)და ყაზახეთში (-54.4%-ით).

2011 წელს, 2010 წლისგან განსხვავებით, ციტრუსის ექსპორტი არ ხდება უზბეკეთში (-100%). ექსპორტი შემცირებულია:

სომხეთში (-91.2%-ით), ბელარუსში (-13.1%-ით), უკრაინაში (-53.7%-ით), აზერბაიჯანსა (-86.4%-ით) და მოლდოვაში(-40.8%-ით). 2011 წელს ექსპორტი გაიზარდა ყაზახეთში (+73.3%-ით).

2011 წელს ექსპორტზე სამი წლის განმავლობაში პირველად გაიყიდა ციტრუსი ყირგიზეთის მიმართულებით (40,300კგ).

2012 წელს, 2011 წლის მონაცემებთან შედარებით, ციტრუსის ექსპორტი აღარ მომხდარაესტონეთის მიმართულებით (-100%), ექსპორტის მოცულობა შემცირდა აზერბაიჯანსა და ყირგიზეთში (შესაბამისად, -45.8% და -47.9%). ქართული ციტრუსის ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (+157.5%-ით), ბელარუსში (+113.0%-ით), უკრაინაში (+19.6%-ით), ყაზახეთსა (+45.5%-ით) და მოლდოვაში(+78.9%-ით). 2012 წელს ექსპორტზე ციტრუსის გატანა მოხდა / 2009-2012 წლების მანძილზე პირველად/ ავსტრიაში, რუსეთ-

ქვეყანა	2009	2010	2011	2012
სომხეთი	260,049 კგ	113,436 კგ	10,000 კგ	25,751 კგ
გერმანია	14,850 კგ	0 კგ	0 კგ	0 კგ
უზბეკეთი	18,100 კგ	58,380 კგ	0 კგ	54,755 კგ
ბელარუსი	1,500,057 კგ	965,122 კგ	839,150 კგ	1,787,729 კგ
უკრაინა	41,669,551 კგ	24,462,041 კგ	11,336,056 კგ	13,553,441 კგ
აზერბაიჯანი	9,500,492 კგ	9,261,909 კგ	1,263,684 კგ	684,474 კგ
ყაზახეთი	294,806 კგ	134,409 კგ	232,911 კგ	338,969 კგ
ჯიბუტი	205,319 კგ	0 კგ	0 კგ	0 კგ
მოლდოვა	116,120 კგ	192,900 კგ	114,275 კგ	204,408 კგ
ჩეხეთი	37,439 კგ	0 კგ	0 კგ	0 კგ
ყირგიზეთი	0 კგ	0 კგ	40,300 კგ	21,050 კგ
ავსტრია	0 კგ	0 კგ	0 კგ	18,470 კგ
რუსეთი	0 კგ	0 კგ	0 კგ	19,300 კგ
პოლონეთი	0 კგ	0 კგ	0 კგ	14,000 კგ

სა და პოლონეთში, ამავე წელს ციტრუსის ექსპორტი, ერთი წლის გამოტოვებით, განახლდაუზბეკეთის მიმართულებითაც.

ქვეყანა	2009		2010		2011		2012	
აზერბაიჯანი	1,217,922	აზ	962,247	აზ	1,156,075	აზ	588,425	აზ
უკრაინა	5,041,760	აზ	5,657,769	აზ	5,025,436	აზ	5,758,389	აზ
ბელარუსი	578,035	აზ	189,368	აზ	222,850	აზ	1,200,024	აზ
მოლდოვა	83,810	აზ	170,257	აზ	86,680	აზ	146,293	აზ
ლიტვა	15,433	აზ	0	აზ	0	აზ	0	აზ
სომხეთი	32,500	აზ	49,700	აზ	9,000	აზ	480	აზ
საბერძნეთი	15,540	აზ	0	აზ	0	აზ	0	აზ
ყაზახეთი	2,900	აზ	100,422	აზ	124,433	აზ	436,365	აზ
იტალია	5	აზ	0	აზ	12	აზ	0	აზ
უზბეკეთი	100	აზ	1,500	აზ	0	აზ	0	აზ
ერაყი	0	აზ	7,500	აზ	0	აზ	19,404	აზ
თურქეთი	0	აზ	0	აზ	0	აზ	6,660	აზ
ნიდერლანდები	0	აზ	0	აზ	0	აზ	20	აზ

ხილის ექსპორტის ანალიზი

შეჯამების მიზნით:

ქვეყანა	2010/2009	2011/1009	2012/2009	2010	2011	2012
აზერბაიჯანი	21.0%	5.1%	-51.7%	-21.0%	20.1%	-49.1%
უკრაინა	12.2%	-0.3%	14.2%	12.2%	-11.2%	14.6%
ბელარუსი	-67.2%	-61.4%	107.6%	-67.2%	17.7%	438.5%
მოლდოვა	103.1%	3.4%	74.6%	103.1%	-49.1%	68.8%
ლიტვა	-100.0%	-100.0%	-100.0%	-100.0%		
სომხეთი	52.9%	-72.5%	-98.5%	52.9%	-81.9%	-94.7%
საბერძნეთი	-100.0%	-100.0%	-100.0%	-100.0%		
ყაზახეთი	3,352.8%	4,190.8%	14,947.1%	3,352.8%	23.9%	250.7%
იტალია	-100.0%	140.0%	-100.0%	-100.0%		-100.0%
უზბეკეთი	1,400.0%	-100.0%	-100.0%	1,400.0%	-100.0%	
ერაყი					-100.0%	
თურქეთი						
ნიდერლანდები						

♦ იხილეთ ცხრილი ექსპორტირებული ხილის საერთო მოცულობების მიხედვით:

იხილეთ ცხრილი საექსპორტო მაჩვენებლების პროცენტული ცვლილებების ანალიზის მიზნით:

უკრაინის მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წელს ქართული ხილის ექსპორტის მოცულობის დონე 2009 წელთან შედარებით +14.2%-ით გაიზარდა, ხოლო 2011 წელთან შედარებით შემცირდა -11.2%-ით.

აზერბაიჯანის მონაცემებზე დაყრდნობით, 2012 წელს ქართული ხილის ექსპორტის მოცულობის დონე 2009


წელთან შედარებით -51.7%-ით შემცირდა, ხოლო 2011 წელთან შედარებით +20.1%-ით გაიზარდა.

ბელარუსის შემთხვევაში: 2012 წელს ქართული ხილის ექსპორტის მოცულობის დონე 2009 წელთან შედარებით +107.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2011 წელთან შედარებით ნაზრდმა +438.5% შეადგინა.

◆ იხილეთ: წლების განმავლობაში ექსპორტის სრუ-


2009	2010	2011	2012
6,988,005 კგ	7,138,763 კგ	6,624,486 კგ	8,156,060 კგ
$2,214,799.26	$3,030,953.17	$3,164,395.19	$4,301,072.77
$0.32	$0.42	$0.48	$0.53
	36.9%	4.4%	35.9%

ხილის ექსპორტი




ლი მოცულობისა და შესაბამისი ღირებულების, ექსპორტირებული ერთეული კილოგრამის საშუალო სარეალიზაციო ფასისა და ექსპორტის ტენდენციის ამსახველი ცხრილები:

ციტრუსის ექსპორტისას, გავამახვილოთ ყურადღება, რომ ექსპორტის საერთო მოცულობა იზრდება: +36.9% (2010/2009), +4.4% (2011/2010) და +35.9% (2012/2011).



ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულია ექსპორტირებული 1 კგ ხილის საშუალო საექსპორტო ღირებულება წლების მიხედვით. ღირებულების მხრივ მკვეთრი რყევები

ხილის ექსპორტი (2009-2012 წწ.)



არ ფიქსირდება ($0.30-$0.55 დიაპაზონი):

ხილის ექსპორტის ანალიზისას, ყურადღება გავამახვილეთ იმ ქვეყნებზე, სადაც წლიური ექსპორტის მოცუ-

ლობა აღემატებოდა 10,000 კგ-ს მაინც.

ექსპორტის მოცულობის ანალიზისას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ხილის ექსპორტი სრდადი ტენდენციით ხასიათდება.

2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, ხილის ექსპორტი აღარ მომსდარა: ლიტვაში (-100%), საბერძნეთსა და იტალიაში (შესაბამისად, -100%); ექსპორტის მოცულობა შემცირდა აზერბაიჯანსა (-21.0%) და ბელარუსში (-67.2%); ექსპორტის მაჩვენებლები გაიზარდა: უკრაინაში (+12.2%), მოლდოვაში(+103.1%), სომხეთში (+52.9%), ყაზახეთსა (+3,362.8%) და უზბეკეთში (+1,400.0%). 2010 წელს დაფიქსირდა ხილის ექსპორტზე გატანა ერაყის მიმართულებით (7,500კგ).

2011 წლის მდგომარეობით, ხილის ექსპორტის მოცულობა შემცირდა: უკრაინაში (-11.2%), მოლდოვასა(-49.1%) და სომხეთში (-81.9%); ხილის ექსპორტი, 2010 წლისგან განსხვავებით, აღარ განხორციელებულა: უზბეკეთსა და ერაყში (-100%); ქართული ხილის ექსპორტის მაჩვენებლები გაიზარდა: ბელარუსში (+17.7%), ყაზახეთსა (+23.9%) და აზერბაიჯანში (+20.1%).

2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, ქართული ხილის ექსპორტი შემცირდა: აზერბაიჯანსა (-49.1%) და სომხეთში (-94.7%); ქართული ხილის ექსპორტი აღარ განხორციელებულა (2011 წლისგან განსხვავებით): იტალიაში. ქართული ხილის ექსპორტის მაჩვენებლები იზრდება: უკრაინაში (+14.6%), ბელარუსში (+438.5%), მოლდოვასა(+68.8%) და ყაზახეთში (+250.7%). 2012 წელს, ერთი წლის გამოტოვებით, ექსპორტი ისევ განახლდაერაყის მიმართულებით (19,404კგ). ამავე წელს, პირველად 4 წლის განმავლობაში, განხორციელდა ექსპორტი თურქეთისა და ნიდერლანდების მიმართულებით (შესაბამისად, 6,660კგ და 20კგ[34]).

[34] ეს მხოლოდ საბაჟოზე დაფიქსირებული მონაცემებია; არ გამოვრიცხავთ, რომ ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა სინამდვილეში გაცილებით მეტი იყოს.

4.3. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო სექტორის ზოგადი მიმოხილვა

სასოფლო-სამეურნეო წარმოება და კვების მრეწველობა საბჭოთა კავშირში ორგანიზებული იყო, ფუნქციონირებდა და იმართებოდა არასაბაზრო, ანუ ცენტრალური დაგეგმვის პრინციპებსა და პროცედურებზე დაყრდნობით. არ არსებობდა მიწაზე კერძო საკუთრება. მიწა საერთო სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციულ ფორმებს „კოლმეურნეობები" (ფორმალურად მეწარმე-გლეხების ნებაყოფლობითი გაერთიანება) და „საბჭოთა მეურნეობები" (სახელმწიფო საკუთრების საწარმო ერთეული) წარმოადგენდა. თუმცა სასოფლო-სამეურნეო სექტორში, ზოგიერთი მომსახურების მსგავსად, დაშვებული იყო კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის ცალკეული ელემენტები. მაგალითად, მოსახლეობის ერთი ნაწილი საკვები პროდუქტების გარკვეული სახეობით მარაგდებოდა კერძო მწარმოებლების მიერ, ე.წ. „საკოლმეურნეო ბაზრების" ქსელის მეშვეობით. ეს ბაზრები,ფაქტობრივად, წარმოადგენდა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის გასაღებისათვის ორგანიზებულ საცალო ქსელს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრიმიტიული წესებით ფუნქციონირებდა. როგორც აღვნიშნეთ, დისტრიბუციის მოცემული სისტემის მეშვეობით მოსახლეობა მარაგდებოდა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეული, ძირითადად გადაუმუშავებელი,პროდუქციით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მომარაგების საბჭოთა სისტემას კიდევ რამდენიმე მახასიათებელი ჰქონდა:

- აღნიშნული „საკოლმეურნეო ბაზრებით" მოსახლეობის მომარაგების წილი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განსხვავდებოდა. ყველაზე მაღალი წილი მოდიოდა კავკასიისა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებზე. რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსიასა და ბალტიისპირეთში ეს მაჩვენე-

ბელი ბევრად დაბალი იყო;

◆ ოფიციალურად „საკოლმეურნეო ბაზრების“ სექტორი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მხოლოდ შეზღუდულ ნომენკლატურას უწევდა დისტრიბუციას და ამასთან, კერძო მწარმოებლების განკარგულებაში სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ძალიან მცირე ნაწილი (ოფიციალურად მხოლოდ ე.წ. საკარმიდამო ნაკვეთები) იყო. ამ საკარგულების მწირი რესურსის ათვისება ეფექტიანად მიმდინარეობდა. მათზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია კი საკოლმეურნეო ბაზრებზე მიმდინარეობდა (შიდა მოთხოვნის შესაბამისად).

◆ საბჭოთა კავშირში საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ამიტომ კერძო სექტორი საექსპორტო სასაქონლო წარმოებაში პრაქტიკულად არ მონაწილეობდა, ხოლო რესპუბლიკათა შორის სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის ურთიერთგაცვლა განიხილებოდა არა ექსპორტ-იმპორტის სახეობად, არამედ ცენტრალიზებულად დაგეგმილი მომარაგების ფორმად.

„პერესტროიკის“ დასასრულს და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა ეკონომიკის მთლიანად საბაზრო რელსებზე გადაყვანის ამოცანასთან ერთად დღის წესრიგში დადგა სასოფლო-სამეურნეო სექტორის რეფორმირების საკითხიც. ეს ეხებოდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო სექტორს, ისე კვების მრეწველობას. დაშვებულ იქნა მიწაზე კერძო საკუთრება და დაიწყო მისი პრივატიზაცია, დაიშალა „კოლმეურნეობები“, „საბჭოთა მეურნეობები“ და სასოფლო წარმოების წამყვანი სუბიექტი კერძო მეწარმე, ანუ „ფერმერი“ გახდა. პრივატიზება შეეხო კვების მრეწველობის საწარმოებსაც. გაუქმდა სახელმწიფო მონოპოლია საგარეო ვაჭრობაზე, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა შორის ყოველგვარი საქონლის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო საქონლის გაცვლა, საგარეო ვაჭრობის

საგნად იქცა.

ისევე როგორც ეკონომიკის ყველა სხვა სფეროში, მსგავსმა რადიკალურმა ცვლილებამ სასოფლო-სამეურნეო სექტორშიც რეფორმის საწყის ეტაპზე წარმოების დაცემა და წარმოებული პროდუქციის მკვეთრად შემცირება გამოიწვია. თუმცა იმ რესპუბლიკებში, სადაც ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადაწყობა სწრაფად და ეფექტურად წარიმართა, ეს დანაკარგი მოკლე დროში იქნა კომპენსირებული და სოფლის-მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდა დაიწყო. მაგალითად, რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი ხორბლის მსხვილი ნეტექსპორტიორები გახდნენ, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ხორბალს მუდამ დიდი რაოდენობით იძენდა. საფუძველი შეექმნა სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქციის ინტენსიურ ურთიერთგაცვლას. შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა პროდუქციის ხარისხზეც.

საბჭოთა კავშირში კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის საკმაოდ მკაცრი სისტემა მოქმედებდა. იგი მთლიანად სახელმწიფოს მიერ იყო ცენტრალიზებულად მართული. საბჭოთა ეკონომიკის რეფორმირების ფონზე ეს სისტემაც დეგრადირდა, ხოლო ზოგიერთ ახალ სახელმწიფოში საერთოდ გაუქმდა, მაგალითად, საქართველოში. ხოლო უკრაინაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცენტრალიზებული სახით იქნა შენარჩუნებული, მისი ეფექტურობა მკვეთრად შემცირდა. უკანასკნელ პერიოდში ამ სფეროშიც შეინიშნება ზოგიერთი დადებითი ტენდენცია: საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, პროდუქტის ხარისხის კონტროლის მექანიზმების შემუშავება/დაცვა და სხვა.

დადებითი ტენდენციები განპირობებულია:

- ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, ხოლო,
- მეორე მხრივ, მათ ბაზრებზე ტრეიდერებისა და სა-

ცალო მოვაჭრე ქსელების სახით ორგანიზებული, მსხვილი კერძო მოთამაშეების გაჩენით.

დღეს უკრაინისბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაყიდვის 3 ძირითადი არხი არსებობს, ესენია:

1. ღია ბაზრები, იგივე საკოლმეურნეო ბაზრები;
2. ტრეიდერები;
3. ქსელები.

◆ ღია, საკოლმეურნეო ბაზარი არის ტრადიციული ბაზარი, იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა საბჭოთა კავშირის დროს. გამომდინარე იქიდან, რომ ღია ბაზრების შემთხვევაში არ ხორციელდება მონაცემების აღრიცხვა, შეუძლებელია, ზუსტად განისაზღვროს, რა პროდუქტი იყიდება, რა სახითა და რა ფასად. ურთიერთობა მყიდველსა და გამყიდველს შორის არის ექსკლუზიური და გაუმჭვირვალე. რეალიზაცია არ ფიქსირდება. წვრილ მებითუმეებთან ვაჭრობა უპრეტენზიოა, რადგან არ არსებობს წინასწარ გაწერილი შესღუდვები სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის შესახებ.

◆ ტრეიდერები წარმოადგენენ ორგანიზებულ, მსხვილ ვაჭრებს, რომლებიც არ ფლობენ საკუთარ სარეალიზაციო პუნქტებს, ისინი აბანდებენ თანხებს ყიდვა-გაყიდვის პროცედურებში, ადებენ მარჟას შესყიდულ პროდუქციას, ემსახურებიან ბევრ საცაჭრო ქსელს კომპლექსური და დიდი ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდებით;

◆ საცაჭრო ქსელებიც წარმოადგენენ ორგანიზებულ, მსხვილ მოვაჭრებს - ტრეიდერთა ჯგუფებს, რომლებიც ფლობენ საცალო გაყიდვების პუნქტს, ან პუნქტთა ქსელს და ახორციელებენ შესყიდვებს სხვადასხვა მიმწოდებლისგან. ქსელი უშუალოდ უკავშირდება მომხმარებელს და, რიგ შემთხვევაში, თავადაც ასრულებს ტრეიდერის როლს. ტრეიდერები და ქსელები თვისობრივად ერთიდაიმავე ტიპის სუბიექტებს წარმოადგენენ, განსხვავება მხოლოდ საკუთარი მაღაზიების ქონა-არქონაშია. მიმწოდებლების მი-


მართ არსებული მოთხოვნების თვალსაზრისით ქსელები და ტრეიდერები ერთ ჭრილში შეიძლება, იქნეს განხილული, ვინაიდან მათი საყაჭრო მოთხოვნები იდენტურია. საკოლმეურნეო ბაზრებისგან განსხვავებით, ტრეიდერებს გარკვეული მოთხოვნები აქვთ. მოთხოვნებს შორისაა: მომარაგების სტაბილური მოცულობა, სარეალიზაციო პროდუქციის გარკვეული/მიმზიდველი სასაქონლო სახე, ხარისხის გარკვეული დონე, პროდუქტის სტანდარტიზებული, ტრანსპორტაბელური შეფუთვა და პროდუქციის კონსიგნაციით შეძენის პირობა.

4.4. უკრაინის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა

სოფლის მეურნეობა უკრაინის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სექტორია, რაც ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის სიუხვეს ეფუძნება. უკრაინის მთლიანი ფართობის დაახლოებით 71% (32.5 მილიონი ჰა) სასოფლო-სამეურნეო საყარგულს წარმოადგენს, რაც სოფლის მეურნეობას უკრაინის ეკონომიკისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენს. 2010 წლისათვის სოფლის მეურნეობის სექტორი მთლიანი დასაქმების 15.8%-ს მოიცავდა და წარმოადგენდა ქვეყნის მშპ-ის 8.2%-სა და მთლიანი საქონლის ექსპორტის 14.5%-ს.

	2009	2010	2011
მოსახლეობა	46,053,300	45,870,700	45,706,100
მეშ ერთ სულ მოსახლეზე, მუპ($)	6,210	6,580	7,040
მშპ (მიმდინარე ფასებში,$)	117,227,769,792.00	136,418,622,767.00	165,245,009,991.00
მშპ-ის ზრდის ტემპი (წლიური %)	-15	4	5

წყარო: მსოფლიო ბანკი



წყარო: მსოფლიო ბანკი[55]

უკრაინის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალო წლიური იმპორტ-ექსპორტი, 2008-2010

იმპორტირებული პროდუქცია			ექსპორტირებული პროდუქცია		
	მლნ. აშშ დოლარი	აგრ. იმპ. წილი		მლნ. აშშ დოლარი	აგრ. ექს. წილი
თამბაქო	269	5.80%	მზესუმზირას ზეთი	1,658.5	36.10%
პალმის ზეთი	266.3	5.70%	ხორბალი	1,382.4	7.70%
ფორთოხალი, ჩანდარინი	141.9	3.00%	ქერი	943.8	6%
ბანანი	130.2	2.80%	რაფსი	803.4	5.10%
მთლიანი სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტი	4,662.1	100%	მთლიანი სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტი	9,218.7	100%

შენიშვნა: არ მოიცავს ცხოველური ნაწარმის იმპორტსა და ექსპორტს


წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია[56]

როგორც ზედა განაწილება გვიჩვენებს, უკრაინის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის მესამედი 2008-2010 წლების განმავლობაში მზესუმზირის ზეთის ექსპორტზე მოდიოდა, რასაც ხორბლისა და ქერის ექსპორტი მოსდევდა. იმპორტის თვალსაზრისით პროდუქტთა წილობრივი განაწილება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის იმპორტში მეტ-ნაკლებად თანაბარია.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა ინარჩუნებს პოზიტიურ საექსპორტო ბალანსს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით

[55] მსოფლიო ბანკის მონაცემები,
World Bank Data: http://data.worldbank.org/country/ukraine

[56] Food and Agriculture Organization; Statistics; http://faostat.fao.org/



წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია[57]

ვაჭრობის კუთხით (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტი აჭარბებს იმპორტს). ექსპორტის მკვეთრი ზრდა შესამჩნევია 2006 წლის შემდეგ, რაც უკრაინის საექსპორტო პროდუქტის წარმოების მოცულობის ზრდამ და მსოფლიო ფასების მომატებამ გამოიწვია. 2008 წელს უკრაინა გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ხოლო 2011 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის იმპორტ-ექსპორტის პოზიტიურმა ბალანსმა დაახლოებით 6.4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა.

4.5. უკრაინა-საქართველოს ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულის ჭრილში

მას შემდეგ, რაც 2006 წელს ქართულმა საექსპორტო პროდუქტმა რუსეთის სახით ყველაზე მსხვილი გასაღების ბაზარი დაკარგა, საექსპორტო პროდუქციით, კერძოდ, კიხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობის ძირითადმა მიმართულებამ უკრაინის ბაზრისკენ გადაინაცვლა. მომდევნო ცხრილი

[57] Food and Agriculture Organization; Statistics; http://faostat.fao.org/

გვინდა საქართველოდან უკრაინაში ექსპორტირებული ხილისა და ბოსტნეულის განაწილებას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში:

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია, გამ-

პროდუქტი	2010			2011			2012		
	რაოდ. (ტონა)	მთლიანი იმპორტის წილი	საშუალო ფასი USD/MT	რაოდ. (ტონა)	მთლიანი იმპორტის წილი	საშუალო ფასი USD/MT	რაოდ. (ტონა)	მთლიანი იმპორტის წილი	საშუალო ფასი USD/MT
კარტოფილი	140	1%	290	-	-	-	-	-	-
თეთრთავა კომბოსტო	8,072	37%	499	1,336	1%	220	-	-	-
სტაფილო	590	3%	248.5	-	-	-	-	-	-
ჭარხალი	66	1%	238.7	-	-	-	-	-	-
ატმისა და ვაშლატის	56	<1%	970	36	<1%	1,230	616	1%	1,000
ქლიავი	-	-	-	-	-	-	18	<1%	-
მანდარინი	28,693	15%	419.2	10,843	6%	385	13,445	8%	594.2
ლიმონი	-	-	-	19	<1%	350	-	-	-
ხახვი	878	13%	3,976.8	1,136	20%	3,790.6	1,397	23%	4,620
მწვანილი	2,161.96	8%	-	2,031.91	7%	-	1,502.6	6%	-

წყარო: www.fruit-inform.com[58]

ოვყოთ პროდუქტის ორი კატეგორია:

- პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის პროდუქტები, რომლებიც 2010-დან 2012 წლის ჩათვლით არარეგულარულად მიეწოდებოდა უკრაინის ბაზარს, ან კონკრეტული პროდუქტი, რომლის წილიც უკრაინის მთლიანი იმპორტის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს, ესენია: კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ლიმონი;
- მეორე ჯგუფი კი შედგება იმ პროდუქტთაგან, რომლებიც მოცემული პერიოდის განმავლობაში რეგულარულად მიეწოდებოდა უკრაინის ბაზარს და კონკრეტულ სეგმენტში უკრაინის მთლიანი იმპორტის საგრძნობ წილს მოიცავდა (აგრეთვე, შეგვიძლია, გამოვყოთ თხილი, მაგრამ ეს პროდუქტი ცალკე განხილვის საგანია). მეორე ჯგუფს განეკუთვნება

[58] Russia and Ukraine Fruit & Vegetable yearbook 2012: Fruit Inform Analytical Consulting Agency: www.fruit-inform.com

თეთრთავა კომბოსტო, ატამი და ვაშლატამა (მათი წილი მთლიანი იმპორტისა უმნიშვნელოა, მაგრამ ამ პროდუქტთა შემთხვევაშიც აშკარააბასრის წილის კლების ტენდენცია), მანდარინისა და მწვანილის სხვადასხვა სახეობა.


2010-2012 წლამდე მეორე ჯგუფის პროდუქტთა უმეტესობაში გამოყლინდა ნეგატიური ტენდენცია, რომელიც მოცემული ხილისა და ბოსტნეულის უკრაინული იმპორტის წილის კლებაში გამოიხატება. იმ მიზნით, რომ ეს სურათი ნათელი გახდეს, განვიხილოთ ცალკეული პროდუქტის მაგალითი.

თეთრთავა კომბოსტო

უკრაინაში თეთრთავა კომბოსტოს იმპორტიორი ქვეყნების განაწილება, იმპორტირებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით

	2010			2011		
	ქვეყანა	მოცულობა(MT)	წილი	ქვეყანა	მოცულობა (MT)	წილი
1	პოლონეთი	11,502	53%	პოლონეთი	4,851	30%
2	საქართველო	8,072	37%	თურქეთი	2,206	14%
3	ბელარუსი	721	3%	მაკედონია	2,018	12%
4	მაკედონია	491	2%	ირანი	1,897	12%
5	მოლდოვა	288	1%	ნიდერლანდები	1,388	9%
6	სომხეთი	200	1%	საქართველო	1,336	8%
7	აზერბაიჯანი	102	0%	სირია	601	4%
8	უზბეკეთი	100	0%	ესპანეთი	557	3%
9	თურქეთი	96	0%	პორტუგალია	426	3%
10	ირანი	93	0%	უზბეკეთი	297	2%
11	ლიტვა	40	0%	რუსეთი	220	1%
12	პორტუგალია	30	0%	ეგვიპტე	107	1%
13	ყირგიზეთი	20	0%	იტალია	105	1%
14	ნიდერლანდები	13	0%	საფრანგეთი	5	0%
	სხვა	*24*		სხვა	*132*	
	სულ	21,792		სულ	16,146	


◆ 2010 წელს უკრაინის მიერ იმპორტირებული თეთრთავა კომბოსტოს რაოდენობის მიხედვით საქართველო



მეორე ადგილზე იყო; ამავე წელსმარტსა და აპრილში ქართული პროდუქტის ფასი საშუალო საბაზრო ფასზე მაღალი იყო. მიწოდება წლის განმავლობაში არ იყო მუდმივი, პროდუქტი მხოლოდ სეზონის 4 თვის განმავლობაში იყო წარმოდგენილი უკრაინის ბაზარზე;

- 2011 წელს ქართული პროდუქტის რაოდენობამ მეორე პოზიციიდან მე-6-ზე გადაინაცვლა; პროდუქტის ფასმა საშუალო საბაზრო ფასზე დაბალ ნიშნულს მიაღწია;
- 2012 წელს თეთრთავა კომბოსტოს მიწოდება ბაზარზე აღარ ფიქსირდება.

მანდარინი



	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
თურქეთი	51,48%	58,04%	37,13%	42,59%	40,35%	47,81%	47,05%	46,17%
საქართველო	25,59%	10,93%	25,15%	16,66%	27,78%	18,21%	5,96%	5,96%
ესპანეთი	8,10%	8,05%	11,29%	15,41%	10,62%	10,35%	18,78%	21,48%
პაკისტანი	0,00%	7,43%	8,27%	11,35%	6,14%	6,99%	11,47%	13,88%

საშუალო ფასის განაწილება (USD/MT)



	2010	2011	2012
თურქეთი	747,13	593,86	907,29
ესპანეთი	974,00	764,09	1083,67
საქართველო	419,25	385,33	594,25
საშ. ფასი	795,04	662,63	949,00

ნეგატიური ტენდენცია გვხვდება მანდარინის შემთხვევაშიც. 2005 წლიდან მოყოლებული საქართველოდან იმპორტირებული მანდარინის რაოდენობა მხოლოდ თურქულ პროდუქტს თუ ჩამოუვარდებოდა, 2010 წლიდან კი სურათი რადიკალურად შეიცვალა.

♦ 2011 წლის მონაცემებით ქართულმა პროდუქტმა რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, 2012-ში კი მეცხრე ადგილი დაიკავა და მთლიანი ბაზრის 6%-ზე ნაკლები მოიცვა;

♦ თვალსაჩინოა აგრეთვე მიწოდებული პროდუქციის რაოდენობის მკვეთრი, წლიური, ციკლური ცვალებადობა და წლის განმავლობაში არარეგულარული მიწოდება - უკრაინის ბაზრის მომარაგება მხოლოდ სეზონზე ხორციელდებოდა;

♦ თეორთავა კომბოსტოს მსგავსად, მანდარინის შემთხვევაშიც ქართული პროდუქტის ფასი საშუალო საბაზრო ფასზე მუდმივად ნაკლებია;

გადაუმუშავებელი, მალფუჭებადი პროდუქტის, კერძოდ,კი ხილისა და ბოსტნეულის იმპორტის წილის კლება მიუთითებს იმას, რომ ქართული პროდუქტი არაკონკურენტუნარიანია უკრაინის ბაზრის ცვალებად გარემოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ გარდამავალ პერიოდში, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე იყო, ქართული პროდუქტის რეალიზაციას დაბრკოლება

არაორგანიზებული ბაზარზე რეგულაციისა და სტანდარტთა მოთხოვნის სახით არ ექმნებოდა. ღია ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეალიზება ჯერ კიდევ ხორციელდება, მაგრამ დღეისათვის, ტრეიდერებისა და სავაჭრო ქსელების სახით ახალი მსხვილი მოთამაშეების გაჩენის შედეგად მოთხოვნის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაურეგულირებელი და არაორგანიზებული ბაზრიდან ორგანიზებულ. საბითუმო ბაზარზე გადაინაცვლა, სოლო ეინაიდან ქართველი მეწარმეები, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ახერხებენ ორგანიზებული ბაზრის საბაზისო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საავაჭრო ქსელების თაროებზე ქართული ნაწარმი მწირადან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც, საბოლოოდ, რეალიზაციის მკვეთრ ვარდნასა და ქართული ნაწარმის ბაზრის წილის კლებას განაპირობებს.

4.6. კონკურენტუნარიანობის პრობლემის განხილვა და ანალიზი

ჩვენი ბაზრის მასშტაბებიდან გამომდინარე, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარების დონე მცირეა, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარება ექსპორტის განვითარების გვერდის ავლით წარმოუდგენელია.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ექსპორტის ჭრილში ქვეყანას ორი ძირითადი ამოცანა აქვს:

- საექსპორტო ბაზრებზე არსებული პოზიციების შენარჩუნება და ზრდა;
- საექსპორტობაზრების დივერსიფიკაცია.

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდესი ნაწილის ექსპორტი ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, საავაჭრო მოთხოვნები არის შედარებით ლიბერალური: დსთ-ის ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციის გატანა უფრო მარტივია, რადგან ექსპორტზე შეტანილი

პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ არის მკაცრად რეგლამენტირებული; დსთ-ის ქვეყნები ჯერჯერობით არ ითხოვენ ხარისხის დამადასტურებელ სერთიფიკატებს (იგულისხმება პროდუქციის ხარისხის, შემადგენლობის, ქიმიკატების, სასუქების კონტროლი და სხვა). ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე დსთ-ის ქვეყნების მხრიდან არ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება ხარისხის დამადასტურებელ სერთიფიკატებს, ბუნებრივია, არ გვაძლევს საშუალებას, გამოვრიცხოთ, რომ ადრე თუ გვიან მათი არსებობა შესაძლოა, დადგეს დღის წესრიგში. თავისთავად ცხადია, საქართველო არ უნდა ცდილობდეს საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ დსთ-ის ქვეყნებში გატანას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გეოგრაფიული დივერსიფიკაციაც, თუმცა იმის გამო, რომ მოცემული მომენტისთვის სავაჭრო მოთხოვნები დსთ-ის ქვეყნებში არის მეტ-ნაკლებად ლიბერალური, სასურველია, არ დავკარგოთ და პირიქით, გავიმყაროთ პოზიციები უკვე არსებულ საექსპორტო ბაზრებზე.

ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის მქონე ქვეყნის მაგალითს წარმოადგენს უკრაინა, სადაც სავაჭრო მოთხოვნების კრიტერიუმები არ არის მკაცრი. საჭირო დოკუმენტთა სია მოიცავს ფიტოსანიტარულ სერთიფიკატებს მცენარეული წარმოშობის პროდუქტზე და ვეტერინარულს ცხოველური წარმოშობის პროდუქტზე.

უკრაინის ბაზარი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის შემდეგი მიზეზების გამო:

♦ დღეს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთ-ერთი მთავარი და მსხვილი საექსპორტო ბაზარი სწორედ უკრაინაა.

♦ უკრაინაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები შედარებითი ლიბერალიზმით გამოირჩევა, რაც აადვილებს საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის პროცესს.

თუ დღეს ვერ ვახერხებთ მარტივი სავაჭრო მოთხოვნების დაკმაყოფილებას უკრაინაში, ბუნებრივია, ვერ

შეეძლებთ ბევრად უფრო რთული საეაჭრო მოთხოვნების პირობების სათანადო დონეზე დაცვას სხვა საექსპორტო ქვეყნებთან მიმართებით, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება ქართული ექსპორტის დაბალ მაჩვენებლებში.

ბოლო 2 წლის განმავლობაში უკრაინის საექსპორტო ბაზარზე საქართველო პოზიციებს თმობს თურქულ მანდარინსა და მწვანილთან, ბერძნულ და ესპანურ ატამთან და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის ბაზარი ჩვენი ექსპორტის განვითარებისთვის მნიშვნელოვან როლსასრულებს, საჭიროა, ზუსტად განვსაზღვროთ ის პრობლემები და ფაქტორები, რომლებიც ჩვენს კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას.

უკრაინაში ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდა 2006წელს დაიწყო. უკრაინის ბაზრით დაინტერესება მეტწილად გამოიწვია რუსეთთან საეაჭრო ურთიერთობების შეწყვეტამ.

2006წ-დან 2010წლის ჩათვლით უკრაინაში ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის მაჩვენებლები იზრდება, ხოლო 2011 წელს ექსპორტი მნიშვნელოვნად იკლებს.

აუცილებელია 2011 წლამდე არსებული საექსპორტო მაჩვენებლების შენარჩუნება და ზრდა უკრაინაში, მით უფრო, რომ საქართველო ამ დროისთვის უკვე ფლობს უკრაინაში ვაჭრობის გამოცდილებას.

უკრაინის ბაზრის შესწავლამსაყურადღებო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა: ქართული ექსპორტის მოცულობა იკლებს, რის შესაძლო მიზეზადაც თავად უკრაინის ბაზრის სტრუქტურული ცვლილება შეიძლება მივიჩნიოთ; უკრაინელმა მომხმარებლებმა არაორგანიზებული საკოლმეურნეო ბაზრიდან ორგანიზებულ, მსხვილ საეაჭრო ქსელებში/სუპერმარკეტებში გადაინაცვლეს. გარდა უშუალოდ უკრაინის ბაზრის სტრუქტურული ცვლილებისა, ფაქტია, ქართული საექსპორტო პროდუქტი ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს, არ არის კონკურენტუნარიანი და, შედეგად, კარგავს კიდეც ბაზრის წილს უკრაინაში.

საერთო დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტრეიდერებისა და ქსელური ვაჭრობის როლი იზრდება უკრაინაში ღია ბაზრების შემცირების ხარჯზე. ქსელური ვაჭრობის განვითარებამ, თავის მხრივ, გაამკაცრა სავაჭრო მოთხოვნები, რადგან ქსელი აღარაა ბაზარი - ადგილი, სადაც ყველა ყველაფერს ყიდის. ქსელი ცალკე აღებული ბიზნესია, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს, მას აქვს ურთიერთობა ბანკთან. ქსელი მოიპოვებს და სტატისტიკურად ამუშავებს მონაცემებს რეალიზაციის შესახებ, რადგან მისი უმთავრესი მიზანი მოგების მაქსიმიზაცია. ბუნებრივია, მოგების მაქსიმიზაცია, როგორც საქმიანობის ამოსავალი წერტილი, საკოლმეურნეო ბაზრის შემადგენელი პირების საქმიანობის მთავარ მოტივაციას შეადგენს, მაგრამ საკოლმეურნეო ბაზრისგან განსხვავებით, სადაც უამრავი მონაწილეა, ტრეიდერისა და ქსელური ვაჭრების შემთხვევაში პროცესი ბევრად კომპლექსური და მასშტაბურია.

ტრეიდერი (ქსელი) თავს უყრის სხვადასხვა დასახელების, ფასის, ბრენდის პროდუქციას კომფორტაბელურ შენობაში, სწორი მენეჯმენტით ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და სტიმულირებას უწევს სხვადასხვა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას.პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას ტრეიდერი სხვადასხვა მეთოდით ცდილობს-ის ფლობს ბერკეტს/ძალაუფლებას, ვაჭრობის პროცესში ისარგებლოს კონსიგნაციით, რაც გულისხმობს პროდუქციის შესყიდვის თანხის გადახდას მომავალში (3 თვე, 4 თვე და სხვა), ბუნებრივია, კონსიგნაციით ვაჭრობა აისახებაფულის ღირებულებაზე დროში დაუმცირებს შესყიდული პროდუქციის თვითღირებულებას ტრეიდერს, ამასთან, მას აქვს ურთიერთობა რამდენიმე მსხვილ მიმწოდებელთან, რომლებიც გარკვეულისახის შეღავათებს სთავაზობენ მას. შეღავათები, ბუნებრივია, განპირობებულია ბაზარზე არსებული უამრავი სხვა კონკურენტი მიმწოდებლის არსებობით. კონკურენციის პირობებში, მიმწოდებლები მზად არიან, წავიდნენ სხვადასხვა სახის დათ-

მობაზე ტრეიდერის ლოიალურობის შესანარჩუნებლად.

თუ დია ბაზარზე მომხმარებელთა ნაკადმა იკლო, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ არ ხდება პროდუქციის რეალიზაცია ქსელებში? პასუხი მარტივია, ქსელებში, დია ბაზრებისგან განსხვავებით, საკმაოდ მოთხოვნები გამკაცრებულია. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. იმისათვის, რომ ქსელის მენეჯმენტმა (ტრეიდერებმა) მიიღოს გადაწყვეტილება ქსელში კონკრეტული მიმწოდებლის პროდუქციის მოთავსების შესახებ, აუცილებელია, მიწოდებული პროდუქცია იყოს კონკურენტუნარიანი.

განვიხილოთ კონკურენტუნარიანობის განმაპირობებელი ფაქტორები:

1. მოცულობა;
2. ფასი;
3. ხარისხი;
4. ურთიერთობების მოსახერხებელი ფორმა (საკმაოდ ურთიერთობის ლეგალურ ჩარჩოში მოქცევა, ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილება).

განვიხილოთ კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ცალკეული ფაქტორი:

მოცულობა: მოცულობა კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მოცულობა გულისხმობს სარეალიზაციოდ მიწოდებული პროდუქციის დიდ რაოდენობას, რომლის მიწოდებაც ხდება სტაბილურად, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით. ქსელი, როგორც წესი, შეღგება რამდენიმე მაღაზიისგან, რომლებიც უნდა მომარაგდესმეტ-ნაკლებად ერთნაირი სახის პროდუქციით. თავისთავად ცხადია, ტრეიდერი უპირატესობას მიანიჭებს მსხვილ მიმწოდებლებს, რათა მიღებული პროდუქციის მოცულობა მარტივად და უპრობლემოდ გადაანაწილოს არსებულ მაღაზიებს შორის, შექმნას საჭირო მარაგები პროდუქციის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და ა.შ.

ტრეიდერისთვის, როგორც ცალკე დამოუკიდებელი

ბიზნეს ერთეულისთვის, სასურველი და ნაკლებხარჯიანია, ამასთან ნაკლებრისკიანიც, ჰქონდეს ურთიერთობა რამდენიმე მსხვილ მიმწოდებელთან, ნაცვლად ბევრი წვრილი მეწარმისა, რომლებიც ფრაგმენტულად და არაგეგმიურად აწვდიან საკუთარ პროდუქციას. ფრაგმენტული და მცირე მიწოდება უძვირებს ტრეიდერს სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულებას და, შედეგად, უმცირებს კონტრიბუციას. ბუნებრივია, სხვა არსებული ალტერნატივის პირობებში, უკრაინელი ტრეიდერი არჩევანს შეაჩერებს იმ მიმწოდებელზე, რომელიც უზრუნველყოფს დიდ მოცულობას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკითა და მიწოდების მიმზიდველი პირობებით. ეს, თავისმხრივ, საშუალებას მისცემს, უკეთ დაგეგმოს საკუთარი ბიზნესსაქმიანობა.

ხარისხი: ხარისხი აისახება ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებში, რომელთა დაკმაყოფილებაც უწევს პროდუქციის რეალიზატორს:

- ხილის/ბოსტნეულის ვიზუალური ფორმა;
- გემობრივი თვისებები;
- ფუჭებადობის კოეფიციენტი (ვარგისიანობის ვადა);
- შეფუთვის სტანდარტიზაცია და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა;
- ხარისხისა და ღირებულების ფარდობა

ქსელის მენეჯმენტი ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს მომხმარებლების პრიორიტეტების, უპირატესობების გათვალისწინებით. დგება მაღაზიების მიხედვით მოთხოვნადი პროდუქტების ანალიტიკა.

ბუნებრივად გაჩნდა მოთხოვნა, რომ პროდუქტი იყოს კატეგორიზებული კონკრეტულ საფასო სეგმენტებად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხილის ხარისხს, ვიზუალურ ფორმას. ტრეიდერის მიზანია, კომერციულად მომგებიანი პროდუქციის რეალიზაცია მოხდეს ქსელში. მალფუჭებადი და საეჭვო წარმოშობის პროდუქცია რისკის მატარებელია, რადგან თუ დროულად ვერ მოხერხდა მისი რეალ-

იზაცია და, შედეგად, ტრეიდერს გაფუჭებული პროდუქტის მოშორება მოუხდა თაროდან, რომელშიც ფული უკვე გადახდილი აქვს, ეს მისთვის ზარალია, რომელსაც მაქსიმალურად აარიდებს თავს. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტაბილურ და სანდო მიმწოდებლებთან კონტაქტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრეიდერს ხარისხიანი პროდუქციითა და სტაბილური მიწოდებით.

წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ის იძენს ისეთ პროდუქტს, რომლის შენახვის ვადაც ესადაგება მის მაღაზიებში სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით პროდუქციის საშუალო რეალიზაციის პერიოდს (ბრუნვას). ტრეიდერს სჭირდება ზუსტი მოცემულობა-ვარგისიანობის ვადა კონკრეტული პროდუქტისთვის.

ვარგისიანობის ვადაზე დაყრდნობით, ის სწორად განსაზღვრავს, რა პერიოდულობით, რა რაოდენობითდა სად, რომელ მაღაზიაში უნდა იყოს წარმოდგენილი.

ხილ-ბოსტნეულში მარკირების პროცესი ძალიან რთულია; ხილის ვარგისიანობის ვადა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. არსებობს (გამოცდილებაზე დაყრდნობით) ზოგადი სტანდარტი, კონკრეტული ხილი რა პირობებში რამდენ ხანს ძლებს.ტრეიდერი ფლობს სტატისტიკურ მონაცემებს, რის საფუძველზეც გადაწყვეტილების მიღების პროცესი უმარტივდება. მან იცის, კონკრეტული ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანა პროდუქციის რა ხარისხობრივი მაჩვენებლის გარანტად ეელინება.

ფასი: ქართული ხილისა და ბოსტნეულის ფასი ხშირად საშუალო საბაზრო ფასზე დაბალ ნიშნულს აღწევს. ქართველი მეწარმეების გარკვეული კატეგორია, რომელიც არ არის დარეგისტრირებული იურიდიულ პირად, პროდუქტის უკრაინის ბაზარზე გასატანად და ლეგალური ბიუროკრატიის თავიდან ასაცილებლად, იყენებს ლოჯისტიკური კომპანიების მომსახურებას. საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ლოჯისტიკური კომპანია ფიქტიური დოკუ-

მენტების საფუძველზე ახდენს ქართველი მეწარმის საქონლის ექსპორტს, განაბაჟებს მას და ასაღებს უკრაინელ შემსყიდველზე/ტრეიდერზე. განბაჟების დოკუმენტების გარეშექართველი მეწარმე კარგავს 20%-იან ჩათვლად გადასახადს, რაც ,საბოლოო ჯამში, პროდუქტს უძვირებს ტრეიდერს, რომელსაც ჩათვლადი გადასახადის დოკუმენტირებულად დადასტურებული ფორმა არ აქვს და,შესაბამისად, დღგ-ის ჩათვლას ვერ ახერხებს. ის იძულებული ხდება გააძვიროს შესყიდული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი, რაც, ბუნებრივია, ქართულ პროდუქციას მისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის. გარდა ჩათვლადი გადასახადისა, სარეალიზაციო ფასზე გავლენას ახდენს ექსპორტის ღირებულებათა ჯაჭვის ცალკეულ რგოლში ოპტიმიზაციის განუხორციელებლობა/არარსებობა.

ურთიერთობის ფორმა: ქართველი მეწარმეები, ხშირ შემთხვევაში, არიან დაურეგისტრირებელი ფიზიკური პირები, რომლებიც სხვადასხვა არალეგალური გზით ახორციელებენ ქართული ნაწარმის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანასა და რეალიზაციას. უმეტესად ქართულ და უკრაინულ მხარეთა შორის სავაჭრო ურთიერთობა არ ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე. ურთიერთობის ეს ფორმა მიუღებელია ტრეიდერისთვის, რომელსაც სჭირდება ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტაციის აღწერა ბუღალტრული აღრიცხვიანობის მიზნით. გარდა ამისა, კონკურენტული უპირატესობის ჭრილში მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ტრეიდერისთვის კონსიგნაციით ვაჭრობის შეთავაზება, რისი უზრუნველყოფაც, რიგი მიზეზების გამო (იხილეთ, „პრობლემები“), ვერ ხერხდება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგში არსებული მდგომარეობა, დარგის განვითარების შემაფერხებელი გარემოებები/ფაქტორები და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც აისახება დარგის დაბალ წარმადობაზე, ექსპორტის

კლებად მოცულობასა და არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ფუნდამენტურ პრობლემას, რომელთა ნეგატიური შედეგი ვლინდება ღირებულებათა ჯაჭვის ცალკეულ ეტაპზე.

პრობლემებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ:

- სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების ერთიანი გეგმის არარსებობა:
  - არ არის შესწავლილი ქართული სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა; არ არის შეფასებული საწარმოოპოტენციალი და სპეციფიკა (მიწოდების მხარე);
  - არ არის შესწავლილი პოტენციური სარეალიზაციო ბაზრები (მოთხოვნის მხარე).
- მიწათმფლობელების - სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ფერმერებისა და, შესაბამისად, წარმოების ფრაგმენტაციის მაღალი დონე;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა;
- ინფრასტრუქტურის გაუმართაობა/არარსებობა;
- პროცედურული სახელმძღვანელოებისა და სტანდარტების არარსებობა;
- დარგის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების დაბალი ჩართულობა ან არარსებობა:
  - სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობა/უფუნქციობა (პროცედურული და პროდუქტის ხარისხის სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და მარაგების აღრიცხვის სისტემები, სავაჭრო დავების გადაწყვეტის მექანიზმები, საბაზრო ინფორმაციის მოგროვების სისტემებიდა ა.შ.);
  - კერძო ინსტიტუტების - სადაზღვეო და საბანკო სისტემების - ჩართულობის დაბალი დონე;

ზემოაღნიშნული პრობლემების გამოვლინებები და შედეგები განხილულია ღირებულებათა ჯაჭვის თითოეული ეტაპის ჭრილში – 1. წარმოება, 2. შეგროვება და დაფასოება, 3. ლოჯისტიკა, 4. რეალიზაცია.

4.7. წარმოება

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასაწყის ეტაპზევე არასწორად წარიმართება. მეწარმეთა დაბალი კვალიფიკაციის, ხარისხიანი შემავსებლებისა და აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობის შედეგად ფერმერთა უმრავლესობა ვერ იცავს ხილისა და ბოსტნეულის წარმოების ტექნოლოგიურ ციკლს, სურათს კი მეწარმეთა მაღალი ფრაგმენტაცია, საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის არარსებობა და დაუგეგმავი წარმოების პროცესი აუარესებს. მრავალ წვრილ ფერმერად დაშლილ დარგში ვერ შეირჩევახილისა და ბოსტნეულის მოკრეფის სწორი პერიოდი. მოკრეფისას ყურადღება არ ექცევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: პროდუქტის შაქრიანობა, ტემპერატურა და პირველადი გადაზიდვისათვის აუცილებელი გადარჩევის, დაფასებისა და შეფუთვის მეთოდები, რაც პროდუქციის ხარისხზე ნეგატიურად აისახება.

ქართული ხილისა და ბოსტნეულის დაბალი კონკურენტუნარიანობის ფაქტორების ფორმირება წარმოების ეტაპზე, როგორც აღვნიშნეთ, განპირობებულია დარგში არსებული, რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული, ფუნდამენტური პრობლემით, ესენია:

1. შეუსწავლელიმოთხოვნა და, შესაბამისად, დაუგეგმავი მიწოდება: დღეისათვის ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სამიზნე სეგმენტი დაუდგენელია.ერთი მხრივ, არ არის შესწავლილი ის საექსპორტო ბაზრები, სადაც უკვე ხდება ქართული პროდუქტის შეტანა, ხოლო, მეორე მხრივ - ის პოტენციური ბაზრები, სადაც,შესაძლოა, რომ არსებობდეს მოთხოვნა ქართულ პროდუქტზე. სარეალიზაციო ბაზრებზე არსებული მოთხოვნის შესახებ ისეთი კრიტიკული ინფორმაციის არქონა, როგორიც მისი მოცულობა, ციკლურობა, ხარისხისა და სტანდარტების მოთხ-

ოვნებია, შეუძლებელს ხდის არამარტო წარმოების, არამედ მთლიანად ღირებულებათა ჯაჭვის თითოეული ეტაპის ეფექტურ დაგეგმვას. შედეგად, მიწოდება ოპორტუნისტული და არასტაბილური ხდება.ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც,რომ დაუგეგმავი მიწოდების პირობებში ვერ ხერხდება იმ ხელსაყრელი გარემოებების წარმატებით გამოყენება, რომლებიც ქართული პროდუქტის საბაზრო წილის ზრდას შეუწყობდა ხელს. მაგალითად,საექსპორტო ჯაჭვში არსებული სხვადასხვა პრობლემის გამო (მოცემულ შემთხვევაში ეს ძირითადად ეხება ლოჯისტიკურ სირთულეებს) ვერ ხერხდება დროული ექსპორტი იმ პროდუქტებისა, რომელთა საადრეო მოსავალიც მოდის საქართველოში, შედეგად, იკარგება ის უპირატესობა, რომელსაც ქართული პროდუქტი მოიპოვებდა, თუ მას სეზონის დაწყებამდე შეიტანდნენ სარეალიზაციო ბაზრებზე.

2. კერძო სასოფლო-სამეურნეო საკარგულებისა, წარმოების მაღალი ფრაგმენტაცია და მისი გავლენა მასშტაბის ეკონომიურობის ეფექტზე: უკანასკნელი მონაცემებით საქართველოში 700,000-ზე მეტი ფერმაა და საშუალოდ თითოეული 1,6 ჰა სასოფლო-სამეურნეო საკარგულს მოიცავს[39]. ფრაგმენტაციის მაღალი დონე არის მთავარი გამომწვევი მიზეზი როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისა, ასევე მის მომდევნო ეტაპებთან დაკავშირებული უამრავი პრობლემისა. წარმოების ჭრილში არსებული პრობლემებია:

2.1 შეზღუდული კომუნიკაცია, სტანდარტებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების არარსებობა: დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო დარგში წარმოდგენილია მრავალი-წვრილი, არაკოორდინირებული, არაორგანიზებული და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მეწარმე. ეს გარემოება დამატებით მნიშვნელობას სძენს იმ პროცედურული სახელმძღვანელოებისა და სტანდარტების არსებობას, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სასოფლო-სამეურ-

[39] Food and Agriculture Organization; Statistics; http://faostat.fao.org/

ნეო პროდუქტის საბაზისო ხარისხისა და მოცულობის უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, დღეს მსგავსი ტიპის პროცედურული სტანდარტები და სახელმძღვანელოები არ არსებობს, ხოლო ფერმერთა კვალიფიკაციისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე. საბოლოოდ, ნეგატიურად აისახება დარგის წარმადობასა და პროდუქტის ხარისხზე. გარდა ამისა, მაღალი ფრაგმენტაციის გარემოში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მეწარმეთა ინფორმირებულობის გაზრდა, სტანდარტების დანერგვა და კონტროლი ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ნიადაგის ხარისხის შემოწმება და შემზადება, ხარისხიანი თესლისა და ნერგების, ეფექტური სარწყავი ტექნოლოგიებისა და შემავსებლების გამოყენება, ზრდის პერიოდში მოსავლის ხარისხის კონტროლი, მოსავლის აღებისა და შეფუთვის სწორი მეთოდით წარმართვის პროცესები.ამ ფაქტორებს კი საწყის ეტაპზეც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხილისა და ბოსტნეულის სარეალიზაციო კონკურენტუნარიანობის მახასიათებლების ჩამოყალიბებაში.

2.2 მცირე მოცულობის, არაერთგვაროვანი ნაწარმისა და შეგროვების ლოჯისტიკის სირთულეები: ზემოაღნიშნული მიზეზების გამოხილისა და ბოსტნეულის მოყვანა მრავალი წვრილი ფერმერის მიერ არაორგანიზებულად, არაკოორდინირებულად და სტანდარტული ნორმების დარღვევით ხორციელდება, რაც წარმადობას მნიშვნელოვნად ამცირებს. ამავე დროს, სხვადასხვა ფერმერის მიერ ინდივიდუალურად მოყვანილი ხილი და ბოსტნეული არაერთგვაროვანია, რაც პროდუქტის სტანდარტულკატეგორიებად დაყოფას ართულებს. ლოკალური შესაგროვებელი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო პროდუქციის შეგროვების პროცესი ძვირდება დამატებითი ტრანსპორტირების ხარჯების გამო. დამატებითი ტრანსპორტირება, ხშირ შემთხვევაში, ხილისა და ბოსტნეულის მექანიკური დაზიანების მიზეზი ხდება, რაც ძირითადად საბრუნავი ტარის ან არ-

ქონით, ან არასწორი გამოყენებით არის გამოწვეული. მეწარმეებმა ხშირ შემთხვევაში ან არ იციან, კონკრეტული ტიპის პროდუქტის გადასაზიდად რა სახის საბრუნაო ტარა გამოიყენება, ან საერთოდ არ მიუწვდებათ მასზე ხელი, ეს კი პროდუქტის ვარგისიანობის პერიოდს მნიშვნელოვნად ამცირებს და ჩაბარებისას პროდუქტის მკაცრი ინსპექტირების აუცილებლობას წარმოშობს, რაც დიდი პარტიების მიღების შემთხვევაში მყიდველისთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

2.3 მაღალი ფრაგმენტაციის პირობებში მასშტაბის ეკონომიურობის ეფექტისდაკარგვა:სასოფლო-სამეურნეო დარგში დასაქმებული კადრების დაბალი ორგანიზებულობა და კვალიფიკაცია, დაუგეგმავი და გაუკონტროლებელი წარმოების პროცესი, ხარისხიანი შემაკავებლებისა და აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა, საბოლოო ჯამში, წარმოების პროცესის სხვადასხვა საფეხურზე თავისთავად გამორიცხავს მასშტაბის ეკონომიურობის ეფექტის მიღწევას.

2.4 ეფექტური სადაზღვევო და ფინანსური რესურსების ალოკაციის მექანიზმების შექმნის სირთულე: მეურნეობის გამსხვილება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ახალი ჯიშების შემოტანა მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, წვრილ ფერმერებს კი საბრუნავი თანხა არ გააჩნიათ. მაღალი რისკების გამო სასოფლო-სამეურნეო სექტორს საბანკო სისტემა ხელს არ უწყობს და გაუმართავი ინფრასტრუქტურის პირობებში დარგი უცხოელი ინვესტორებისთვისაც ნაკლებად მიმზიდველი ხდება. ამავე დროს, არ არსებობს სადაზღვევო მექანიზმები, რაც აგრეთვე დარგის მაღალი რისკიანობით არის გამოწვეული. მაღალი რისკი კი ამშემთხვევაში განპირობებულია არამარტო სექტორის არაორგანიზებულობითა და სტრუქტურული გაუმართაობით, არამედ ისეთი ეგზოგენური ფაქტორებითაც, როგორებიცაა: კლიმატური პირობები და ბუნებრივი რესურსები.

4.8. შეგროვება და შეფუთვა

ხილისა და ბოსტნეულის შეგროვების, დახარისხებისა და შეფუთვის ეტაპზე გვხვდება მრავალი პრობლემა, რომლებიც მოცემული პროცესების ან არაეფექტურად წარმართვას განაპირობებს, ან სრულიადაც აფერხებს მათ, რაც,საბოლოო ჯამში, ქართული საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფაქტორებზე ნეგატიურად აისახება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხოვნის წინასწარ დაუდგენელი მოცულობის მიზეზით ვერ ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და შემდგომი დამუშავების პროცესების დაგეგმვა. დაგეგმვის გარეშე კი არაეფექტიანად წარიმართება შეგროვების, დახარისხების, შეფუთვისა და გადაზიდვის პროცესები. შეუძლებელი ხდება სატრანსპორტო და შესაფუთი საშუალებების აუცილებელი რაოდენობის უზრუნველყოფა, შედეგად, სეზონის ყველაზე აქტიურ პერიოდში იქმნება გადაჭარბებული მოთხოვნა, რაც, დეფიციტური მიწოდების პირობებში, იწვევს ფასების ზრდას: 1. სატრანსპორტო საშუალებებზე; 2. შესაფუთ მასალებზე; 3. მუშახელზე და სხვა. შეგროვებისა და შეფუთვის ეტაპზე არსებულ ძირითად პრობლემებს წარმოადგენს შემდეგი:

1. აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა/გაუმართაობა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მომდევნო პროცესებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ორი ძირითადი ტიპი შეგვიძლია გამოვყოთ, ესენია:

ლოკალური ინფრასტრუქტურა - საშემგროვებლო პუნქტები, სადაც ხდება პროდუქციის შეგროვება, დახარისხება, შეფუთვა და მარკირება;

ცენტრალური ან რაიონული ინფრასტრუქტურა - შესანახი პუნქტები, სამაცივრე მეურნეობები, სადაც ხდება შეფუთული პროდუქტის შენახვა რეალიზაციისა თუ ტრანსპორტირების პროცესის დადგომამდე. დღეს ან არ არსებობს, ან გაუმართავია ორივე ტიპის ინფრასტრუქტურა.

1.1 არ არსებობს ხილისა და ბოსტნეულის ლოკალური საშემგროვებლო პუნქტები; ახლადმოკრეფილი ხილისა და ბოსტნეულის გადაადგილება შორს მდებარე საშემგროვებლო პუნქტში ზრდის პროდუქტის მექანიკური დაზიანებების ალბათობას და ამცირებს მისი ყარგისიანობის ხანგრძლივობას;

1.2 საშემგროვებლო პუნქტებში ხშირად არ ხორციელდება პროდუქტის გადარჩევა და დაკალიბრება, რის შედეგადაც ვერ ხერხდება უვარგისი ნაწარმის ხარისხიანისგან გაცალკევება და ხარისხის მიხედვით პროდუქტისკატეგორიზება, რაც შესყიდვისას საბოლოო საშუალო ფასს ამცირებს და რეალიზაციის პროცესში ქმნის ფასის დიფერენცირების სირთულეს.

1.3 არ ხორციელდება პროდუქციის სტანდარტული სახით შეფუთვა. ის შესაფუთი საშუალებები, რომლებსაც დღეს მეწარმეები იყენებენ, უმეტეს შემთხვევაში, ამცირებს ტვირთის მობილურობას და ვერ უზრუნველყოფს პროდუქტის დაცულობის ხარისხს, რაც გადაზიდვისას პროდუქტის დაზიანების ალბათობას ზრდის. საერთაშორისო ტვირთგადამზიდი საშუალებები - ბორნები, კონტეინერები-გათვლილია პალეტიზებულიტვირთის ტრანსპორტირებაზე, ხოლო ვინაიდან ქართული პროდუქტის პალეტიზებაარ ხორციელდება, სატრანსპორტო საშუალებების დივერსიფიცირება შეუძლებელი ხდება. ამავე დროს, მიმღები ქვეყნების გადამზიდი მექანიზებული ინფრასტრუქტურაც მორგებულია პალეტიზებული საქონლის მიღებაზე, რასაც საქართველოდან მიწოდებული არასტანდარტულად შეფუთული პროდუქცია ვერ ერგება. შედეგად, გადაადგილებისა და გადაზიდვისთვის დამატებითი ადამიანური რესურსი ხდება საჭირო, რაც, აგრეთვე, ზრდის ხარჯებსა და პროდუქტის დაზიანების რისკს, რაც, ბუნებრივია, მყიდველისთვის ქართულ პროდუქტს ნაკლებად მიმზიდველს ხდის.

1.4 არაეფექტურად ხორციელდება მიკროშესაფუთი საშუალებების უტილიზირება - მიკროშესაფუთი საშუალებე-

ბის (სტანდარტული ზომისსხვადასხვა მასალისგან დამზადებული ყუთები, რომლებიც პალეტის ზომაზეა მორგებული) დასამზადებლად აუცილებელი ნედლეულის - მუყაოსა და ფანერის იმპორტირება ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნიდან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოშიცაა შესაძლებელი მოცემული ნედლეულის მოპოვება და საწარმოო ხაზის შექმნაც, რაც შეამცირებდა შეფუთვის ხარჯებს;

2. კვალიფიცირი ადამიანური რესურსის დეფიციტი, პროცედურული სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების არარსებობა: ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის არარსებობის/გაუმართაობის გარდა, ღირებულებათა ჯაჭვის სხვა ეტაპების მსგავსად, შეგროვებისა და დაფასოების ეტაპზეც გვხვდება კვალიფიციური და გამოცდილი მუშახელის დეფიციტი. არ არსებობს მკაფიო სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც გადანაწილდებოდა ფუნქციები. დასაქმებული კადრები არა სპეციალიზაციის, არამედ აუცილებლობის მიხედვით ნაწილდება.ამავე დროს,არ არის შემუშავებული ის პროცედურული სტანდარტები, რომლებიც ეფექტიანობისა და ხარისხის გარკვეულ დონეს უზრუნველყოფდა, შედეგად კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შეგროვებისა და დაფასოების ეტაპზე იზრდება ხარჯები, პროდუქციის დაზიანების რისკი და, საბოლოოჯამში, ხდება ეფექტიანობის შემცირება.

4.9. ლოჯისტიკა

ლოჯისტიკის ამოცანაა წინასწარ შეთანხმებული კონკრეტული ხარისხის პროდუქციის დათქმულ დროშიდათქმულ ადგილზე ეფექტიანად მიწოდება უზრუნველყოს.

ლოჯისტიკასთან დაკავშირებული პრობლემების ძირითადი გამომწვევი მიზეზი გაყიდვების გეგმის არარსებობაა. ვინაიდან წარმოების გეგმა არ არის წინასწარ გაწერილი, ბუნებრივია, ლოჯისტიკის გამართვაც სათანადო

დონეზე შეუძლებელი ხდება. ქაროული წარმოშობის პროდუქტს სეზონის დაწყებამდე არ გააჩნია გარანტირებული მყიდველი, ე.ი. წინასწარ ხარისხის, მიწოდების პერიოდულობისა და რეალიზაციის ადგილის დაგეგმვა შეუძლებელი ხდება.

ლოჯისტიკის რგოლი (თვისობრივად ტრანსპორტირების ეტაპი) სეზონურ ხასიათს ატარებს და მეტწილად ლოჯისტიკის პრობლემა თავს იჩენს პროდუქციის თავმოყრასთან ერთად, როცა ჩნდება საერთაშორისო და ადგილობრივი გაყიდვის ვალდებულება და,შესაბამისად,მოკლე ვადაში უნდა მოესწროს დაკრეფილი მოსავლის ტრანსპორტირება და რეალიზაცია.

მოკლე ვადაში ტრანსპორტირების აუცილებლობას შესანახი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა/არარსებობა იწვევს. ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს პროდუქციის ეტაპობრივი და გეგმიური ექსპორტირება, რეალურად ყოველწლიურად ექსპორტში ჩაბმული სუბიექტების ლოჯისტიკის ძირითად ამოცანას შეადგენსხილის საბოლოო გაფუჭების ვადამდე მისი რეალიზაციის მოსწრება. როგორც უკვე ვახსენეთ, პროდუქტის შენახვისუნარიანობა მცირეა და წინასწარი სარეალიზაციო გეგმაც არ არის გაწერილი, შესაბამისად, ხილის კრეფის დასრულებიდან ყველა ექსპორტიორი სუბიექტი ცდილობს, მარტივად მოხვდეს სარეალიზაციო ბაზარზე. გადაზიდვის მსურველთა დიდი რაოდენობისა და შეზღუდული სატრანსპორტო საშუალებების საფუძველზე იქმნება გადაჭარბებული მოთხოვნა ტრანსპორტსა და ადამიანურ რესურსზე (იგულისხმება მუშახელი). ყველა ფერმერი/მწარმოებელი მზადაა, გადაიხადოს საბაზრო ფასზე მეტიპროდუქტის გაფუჭების რისკის შესამცირებლად როგორც სატრანსპორტო საშუალებაში, ისე დამხმარე ადამიანურ რესურსში. საბოლოოდ, შემცირებული მოგების მარჯა აზიანებს, ისევ და ისევ, ფერმერს/მწარმოებელს.

გარდა შესანახი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა/

არარსებობისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გადასაზიდი რეფკონტეინერებისა და მანქანების გაუმართაობაც. დამატებით, არსებობს რისკი, რომ ტრანსპორტირების უზრუნველმყოფმა პირმა, საწვავის დაზოგვის მიზნით, ტრანსპორტირების პროცესში გამორთოს მაცივარი, რაც დაარღვევს ტემპერატურულ რეჟიმს და, ბუნებრივია, ასახვას პოვებს სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხზე.

ლოჯისტიკის მიმართულებით შეგვიძლია გამოვყოთ 2 ძირითადი პრობლემა:

- მოუწესრიგებელია ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა;
- ვერ ხერხდება სატრანსპორტო საშუალებების დივერსიფიკაცია.

1. ლოჯისტიკის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა:

1.1 არ არსებობს/გაუმართავია ლოჯისტიკური ცენტრები;

1.2 არსებული მიმღები პავილიონები არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიით, შედეგად, არ/ვერ ხდება პროდუქციის შენახვისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა.

2. სატრანსპორტო/გადასაზიდი საშუალებების დივერსიფიკაციის პრობლემა:

2.1 პალეტიზაციისადა, ზოგადად, სტანდარტული შეფუთვის არარსებობის შედეგად არ/ვერ ხდება სატრანსპორტო საშუალებების დივერსიფიკაცია. სატრანსპორტო საშუალებების დივერსიფიკაციის პრობლემის ამოსავალი წერტილი, სახოგადად, სატრანსპორტოდ ვარგისი საშუალებების დეფიციტია;

2.1.1 პალეტიზაციის არარსებობის გამო არ/ვერ ხდება საკონტეინერო გადაზიდვებით სარგებლობა.

2.2 არ არსებობს კონკურენცია ტვირთგადამზიდი საშუალებების ბაზარზე;

2.2.1 საექსპორტო სეზონზე, მოცულობის წინასწარი გეგმის არარსებობის პირობებში, მკვეთრად მატულობს

სატრანსპორტო საშუალებებზე მოთხოვნა ლიმიტირებული მიწოდების ფონზე. მოთხოვნის რაოდენობის ხრღა, თავისთავად, აძვირებს სატრანსპორტო საშუალების მომსახურების ღირებულებას. ტრანსპორტირების მაღალი ღირებულება, თავისმხრივ, აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში;

2.2.1.1 გემით გადაზიდვა: ვინაიდან არასეზონურ პერიოდში კომერციული რენტაბელობა დაბალია, გემის მფლობელი არ არის დაინტერესებული აქტიური სეზონის მოლოდინში დამატებითი გემი ჩააყენოს პორტში, პირიქით, ის არსებულ სიტუაციაში ერთგვარ მონოპოლისტადაც გვევლინება, რომელიც ვერ აუდის რა გადასაზიდი ტვირთის მოცულობებს სეზონური პიკის დროს, მოთხოვნის დასარეგულირებლად ზრდის საკუთარი მომსახურების ფასს, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის გადაზიდული ტვირთის თვითღირებულებას.

2.2.1.2 მანქანით გადაზიდვა: მანქანის შემთხვევაც გემის ანალოგიურია. ბუნებრივია, როცა ავტოგადამზიდი საშუალებები დეფიციტური ხდება, მომსახურების ღირებულება მატულობს და იზრდება გადასაზიდი პროდუქციის თვითღირებულება.

3. დეფიციტური მუშახელის პრობლემა: საექსპორტო სეზონზე ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურისა და შეფუთვის გაუმართაობა იწვევს მოთხოვნის ზრდას მუშახელზე, რომელიც იღებს მონაწილეობას პროდუქციის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში. მოთხოვნის ზრდა უცვლელი მიწოდების პირობებში ზრდის მუშახელის მომსახურების ღირებულებას (მუშახელი ხდება დეფიციტური), რაც თავისთავად აისახება სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულებაზე.

4. ხანმოკლე საექსპორტო პერიოდი: ვინაიდან სატრანსპორტო საშუალებების დივერსიფიკაცია ვერ ხერხდება (1. წარმოების წინასწარი გეგმის არარსებობის გამო; 2. სტანდარტული შეფუთვის არარსებობის გამო) და, ამასთან,

არაა მოწყობილი შესანახი პავილიონები, სადაც საექსპორტოდ გამზადებული პროდუქციის დაყოვნება იქნება შესაძლებელი. გადაზიდვისათვის განკუთვნილი პერიოდი ხანმოკლეა. დაკრეფილი და საექსპორტოდ გამზადებული პროდუქცია ვერ ინახება პავილიონში შესაბამისი პირობების არარსებობის გამო (ტემპერატურა, ტენიანობა, შეფუთვა და სხვ.) და, ბუნებრივია, ვერ ხერხდება პროდუქციის ეტაპობრივი გადაზიდვების უზრუნველყოფა. გადაზიდვის პერიოდის ზრდა, შემნახველი პავილიონების გამაროვის შედეგად, შეამცირებდა გადაზიდვის ხარჯებს, რადგან სატრანსპორტო საშუალებების უცვლელი რაოდენობის პირობებში გაიზრდებოდა მათი ექსპლუატაციის რაოდენობა დროში.

5. საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემები: ვინაიდან ქართველი მწარმოებლები/ფერმერები არ არიან დარეგისტრირებული იურიდიულ პირებად, ექსპორტზე პროდუქციის გატანის ოპტიმალური და აპრობირებული მეთოდია სატრანსპორტო კომპანიებთან დაკავშირება და მათი, როგორც ექსპორტიორი კომპანიების, გამოყენებით პროდუქციის საექსპორტო ბაზარზე შეტანა. საექსპორტო ღირებულებათა ჯაჭვში ახალი რგოლის ჩართვა (გადამზიდი-ექსპორტიორები) საბაჟო პროცედურების გამართვის მიზნითაძვირებს სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულებას და,შედეგად, ნაკლებად მიმზიდველს ხდის ქართულ პროდუქტს უცხოელი მყიდველისთვის.

4.10. გაყიდვები

გაყიდვა საექსპორტო ღირებულებათა ჯაჭვის საბოლოო რგოლს წარმოადგენს. ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ წინმსწრებ რგოლში დაშვებული შეცდომა თავს სწორედ რეალიზაციის პროცესშიიჩენს.

ქართული პროდუქტის ექსპორტი და რეალიზაცია

მეტწილად ქართული ლოჯისტიკური კომპანიების სახელს უკავშირდება, ისევდაისევ იმ მიზეზით, რომ ფერმერები არ არიან იურიდიულად დარეგისტრირებული პირები და საბაჟო პროცედურების გაცლას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ.

რეალიზაციის არსებული სქემით მწარმოებელს მოგების იმდენად მცირე მარჟა რჩება, რომ არ აქვს მოტივაცია და განვითარების საშუალება, შესაბამისად,წარმოების განვითარების ტემპებიც შენელებულია. საექსპორტო ღირებულებათა ჯაჭვში სწორედ მწარმოებელია ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი.

ამას გარდა, ფინანსური გარემო, რომელშიც უწევს ფერმერს/მწარმოებელს ოპერირება, არაკეთილგანწყობილია მის მიმართ. ფინანსური სექტორი არაა დაინტერესებული სოფლის მეურნეობისდაფინანსებით, ვინაიდან ეს სფერო მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული როგორც ცალკე, დამოუკიდებლად აღებული ბიზნესი, ხარჯები ძალიან დიდია, შემოსავალი კი - მცირე.

ქართველ მწარმოებლებს არ აქვთ კონსიგნაციით გაყიდვის შესაძლებლობა, რადგან, სულ მცირე, ხელშეკრულების ეს ფორმა იურიდიულად რეგისტრირებულ პირებს შორის უნდა დაიდოს. გარდა ამისა, თავს იჩენს მეორე, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაც-ფერმერი მუდმივად დგას საოპერაციო ლიკვიდურობის პრობლემის წინაშე. მან მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მიიღოს რეალიზაციის შედეგად თანხა, რათა შეძლოს წარმოების პროცესის ციკლის თავიდან დაწყება,შესაბამისად, ბუნებრივია, ცალკე ფერმერი, მესამე დამოუკიდებელი რგოლის ჩარევის გარეშე, თავისი ინიციატივითა და სურვილით, კონსიგნაციის პირობებს ვერ შესთავაზებს მყიდველს. ბანკები კი, თავის მხრივ, საბრუნავ კაპიტალს არ უფინანსებენ ფერმერებს, რადგან, როგორც უკვე ვახსენეთ, სოფლის მეურნეობის სექტორი მაღალ რისკთან ასოცირდება.

განვიხილოთ გაყიდვის პროცესში არსებული ძირითადი პრობლემები:

1. მოუწესრიგებელი საეაჭრო ურთიერთობები და ლეგალური ბარიერები: ექსპორტის დღეს არსებული სქემის უარყოფითი მხარე ისაა, რომ ქართველი ფერმერი კარგავს 20%-იან ჩათვლად გადასახადს, რაც საბაჟოზე რჩება და უსაბუთო მოვაჭრისთვის თვითღირებულების შემადგენელ ხარჯად იქცევა. ისედაც მძიმე კონკურენტულ პირობებში (თურქეთი, ესპანეთი, ისრაელი), პროდუქციის 20%-ით გაძვირება წამგებიანია როგორც მიკრო - მეწარმის დონეზე, ისე მაკრო - ქართული პროდუქტის დონეზე. ქართველი მეწარმეები, მოუწესრიგებელი საეაჭრო ურთიერთობების შედეგად, კარგავენ შემოსავლის ნაწილს. წვრილ ფერმეროა გარკვეული კატეგორია, რომელიც არ არის დარეგისტრირებული იურიდიულ პირად, პროდუქციის უკრაინის ბაზარზე გასატანად და ლეგალური ბარიერების თავიდან ასაცილებლად, იყენებს ლოჯისტიკური კომპანიების მომსახურებას. როგორც აღმოჩნდა, რეგისტრირებული ექსპორტიორები მხოლოდ და მხოლოდ ლოჯისტიკური კომპანიებია. გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ლოჯისტიკურიკომპანია, ფიქტიური დოკუმენტების საფუძველზე, ახდენს ქართველი მეწარმის საქონლის ექსპორტს, განაბაჟებს მას და ასაღებს უკრაინელ შემსყიდველზე, რომელიც, თაყისმხრივ,წარმოადგენს საბროკერო კომპანიას და მის სახელზე გაფორმებულ ქართულ პროდუქტს გადასცემს ქართველ მეწარმეს უკრაინის შიგნით განბაჟების დოკუმენტების გარეშე, რის შედეგადაც ქართველი მეწარმე კარგავს 20%-იან ჩათვლად გადასახადს და ასაღებს პროდუქციას არალეგალურად საკოლმეურნეო ბაზრებზე.

2. განბაჟებასთან დაკავშირებული პრობლემები: საქართველოდან უკრაინაში ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განბაჟება ხდება ფიქსირებული ტარიფით, რაც ნიშნავს იმას, რომ ცალკეული პროდუქ-

ტის შემთხვევაში წინასწარ არის დაფიქსირებული გასაყიდი ფასი, საიდანაც ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის ათვლა. ეს ფაქტი ქართველი ექსპორტიორისთვის, შესაძლოა, იქცეს გარკვეულ ბარიერად, როდესაც მას სურს პროდუქტის დაფიქსირებულ ფასზე უფრო ძვირად გაყიდვა (თუ გამყიდველისა და მყიდველის შესაბამისი სავაჭრო პასუხისმგებლობები კონტრაქტით არ არის წინასწარ გათვალისწინებული).

3. ქართულ პროდუქტზე ფასების იძულებითი შემცირება: პროდუქციის მოკლე დროშირეალიზაციის მიზნით (ფუჭების თავიდან ასაცილებლად) ქართველი მწარმოებლები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, რასაც ქართულ ხილ-ბოსტნეულზე ფასის მკვეთრი ვარდნა მოსდევს. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ფერმერები, რომელთაც გაუსაღებელი პროდუქცია გაფუჭების ზღვარზე აქვთ, მზად არიან, ფასი მინიმუმამდე დაიყვანონ ზარალის შემცირების მიზნით, რაც ნეგატიურად აისახება მთლიანად ქართული პროდუქციის ფასზე.

4. დარღვეული საექსპორტო ციკლი: წარმოებისა და ლოჯისტიკის ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო პროდუქციის შენახვა, სათანადო დონეზე დამუშავება და შეფუთვის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. წარმოებისა და ტრანსპორტირების პროცესი ქაოსურია. პროდუქციის ჩატანა საექსპორტო ქვეყანაში ხდება დაგვიანებით, როცა ბაზარზე უკვე დაბალი ფასებია, დაბალი ფასებით კი (ხშირ შემთხვევაში თვითღირებულებაზე დაბალი სარეალიზაციო ფასი), ბუნებრივია, ვერ ხდება გაწეული ხარჯების დაფარვა და,შედეგად, ზარალდება მწარმოებელი/ფერმერი.

5. პრობლემა საბრუნავ კაპიტალთან დაკავშირებით:

5.1 საოპერაციო ლიკვიდურობის პრობლემა: საბრუნავი კაპიტალის არარსებობის პირობებში საექსპორტო ჯაჭვის ყველა მონაწილე ცდილობს, რაც შეიძლება მოკლე დროში მიიღოს შემოსავალი საოპერაციო ხარჯების დაფარვისა

და მიმდინარე ოპერაციების დაფინანსების მი'სნით. საბრ'უნავი კაპიტალი, რომელიც ასე მნიშვნელოვანია წარმოების უწ;ყვეტად ფ'უნქციონირებისთვის, არ არსებობს. საბრ'უნავი სახსრების არარსებობა უმთავრესი პრობლემაა, რადგან.ბუნებრივია, ფულადი სახსრების დეფიციტის პირობებში მწარმოებელი/ფერმერი ფიზიკურად ვერ იწყებს წარმოების ახალი ციკლისთვის მზადებას.

5.2 კონსიგნაციით ვაჭრობის პირობების შეთავაზების პრობლემა:ქსელისადა ტრეიდერისთვის არსებითად მნიშვნელოვანია გადასდის მოქნილი პირობების შეთავაზება. კონსიგნაციით ვაჭრობისა და მიმზიდველი საკადასახადო სისტემის არარსებობის გამო მნიშვნელოვნად მცირდება მყიდველის დაინტერესება ქართული პროდუქციის მიმართ.

დასკვნა-რეკომენდაციები

ნაშრომში იკვეთება შემდეგი დასკვნები:

1. სასურსათო სისტემას რეალურად შესწევს ძალა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის, არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით;

2. სასურსათო წარმოების **სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები და პროცესები**, შესაძლოა, იქცეს მნიშვნელოვან ფაქტორად ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და სურსათის წარმოების მოცულობის გაზრდისათვის;

3. სწორი, თანმიმდევრული ნაბიჯები სასურსათო სისტემის **განვითარების მიმართულებით** შესაძლებელის გახდის, ქვეყნებმა უზრუნველყონ სიღარიბის დაძლევას და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზაცია.

4. სასოფლო-სამეურნეო კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის მიზნით აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგში კოოპერირების პროცესს და ფერმერებსა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის მიზანმიმართულ თანამშრომლობას.

5. მნიშვნელოვანია რეგიონების მიხედვით ტრადიციული გადამამუშავებელი მცირე და საშუალო საწარმოების რეაბილიტაცია და განვითარება, რომლებიც შეასრულებენ „შუამავლის" ფუნქციას საფინანსო ინსტიტუტებსა და ფერმერებს შორის.

6. უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში გადაღგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები განხილული საკითხების სიღრმისეული შესწავლისა და კომპლექსური ანალიზისათვის. იმისათვის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დონ-

ეზე ნათელი გახდეს სასურსათო სისტემის, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ძლიერი ინსტრუმენტის როლი, საჭიროა ნაშრომში მოყვანილი საკითხების სიღრმისეული კვლევა, შესწავლა და ანალიზი.

7. სასურსათო სისტემა და მისი განვითარება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და სტაბილიზაციისათვის.

8. სწორი პოლიტიკის შემუშავებით და თანმიმდევრული რეალიზებით მსოფლიო სასურსათო ბაზარზე, შესაძლებელია მიღწეულ იქნას ბაზრის განვითარების სტაბილიზაცია და ხელი შეეწყოს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევასა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი შედეგების შემცირებას.

9. სასოფლო-სამეურნეო კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის მიზნით აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გატარდეს თანმიმდევრული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სურსათის მწარმოებელთა ინტერესების დაცვას როგორც საქართველოს ბაზარზე, ისე პროდუქციის ექსპორტირებისას.

10. საწვავის ფასების ზრდა პირდაპირ გავლენას ახდენს აგროპროდუქტების ფასებზე. ქვეყნებმა საერთო ძალისხმევით უნდა შეუშალონ ხელი საწვავის ფასებით მანიპულირებას, რათა შენარჩუნდეს და უზრუნველყოფილი იყოს სტაბილური ფასები სურსათზე.

11. განვითარებად ქვეყნებში საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან სასურსათო ბაზრის სტიმულირება და მხარდაჭერა, რათა აღნიშნულმა დარგმა შესძლოს განვითარება და სტაბილიზაციის მოპოვება.

12. საჭიროა სადაზღვევო კომპანიების და ბანკების აქტიური ჩართულობა სოფლის მეურნეობის დარგში, ადდეკვატურ ფასებში უნდა გაიცეს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის მიკრო კრედიტები, სახელმწიფოს მხარ-

დაჭერით ბანკების მიერ უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის დარგისათვის განკუთვნილი პაკეტები. ამით შესაძლებელი იქნება ბაზრის განვითარების სტაბილიზაცია რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში სიღარიბის დაძლევას.

13. ქვეყნის სასურსათო სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად აუცილებელია მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც, იმავდროულად, შექმნის ხელსაყრელ პირობებს სასურსათო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

14. საქართველოში დღეისათვის არ არის შემუშავებული სასურსათო კომპლექსის განვითარების მთლიანი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედებოდა კომპლექსის ყველა დარგის ერთიანი სქემით განვითარებას, ქვეყნის სასურსათო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების გზით სასურსათო უსაფრთხოების მისაღები დონის უზრუნველყოფას. დღემდე აღნიშნული საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნა ხორციელდებოდა არათანმიმდევრულად, ფრაგმენტული ნორმატიული აქტების მიღების გზით, რომლებიც სასურსათო სექტორთან დაკავშირებული ურთიერთობების მხოლოდ გარკვეულ, ვიწრო სპექტრს არეგულირებენ.

15. შესამუშავებელია ერთიანი კონცეფცია, სადაც მთლიანობაში იქნება გააზრებული სასურსათო კომპლექსის ყველა დარგის შეთანხმებული განვითარების ამოცანები და, რომელიც იმავდროულად კოორდინირებული იქნება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიასთან. შესაბამისად, შემდგომ სრულყოფას საჭიროებს არსებული საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზა, ცალკეული სამართლებრივი აქტების სტრატეგიული ამოცანების ადეკვატური კანონებით შევსების თვალსაზრისით.

16. თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ სასურსათო სექტორის განვი-

თარებისა და სასურსათო უსაფრთხოების რეალური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია "სასურსათო სისტემის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება.

17. ქვეყნის სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს ქმნის ძლიერი და მაღალეფექტიანად ფუნქციონირებადი სასურსათო კომპლექსი. ამიტომ ეს უკანასკნელი, აგრარული პოლიტიკის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარე ეტაპზე და პერსპექტივაშიც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამასთან, საშუალოვადიან პერიოდში (2013-2015 წწ.) ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში (2020 წ.) კი ტრადიციული და ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდება, რათა საექსპორტო შემოსავლებმა უზრუნველყოს არა მარტო სურსათზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება, არამედ აგრეთვე სხვა საჭიროებებისათვის უცხოური ვალუტის რესურსების ფორმირებაც.

18. აღნიშნულ პრიორიტეტულ ამოცანათა გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს სასურსათო კომპლექსის ოპტიმალურ მაკროეკონომიკურ რეგულირებას. აქ მთავარი ორიენტირები უნდა იყოს: დასახული მიზნების მიღწევა, სასურსათო ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფა, კონკურენტული გარემოს შექმნა და შენარჩუნება, სოფლის მეურნეობასა და მთლიანად სასურსათო კომპლექსში დასაქმების დონის ამაღლება და დასაქმებულთა შემოსავლების სტაბილური ზრდა.

19. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, სასურსათო კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმების ოპ-

ტიმალური შეთანაწყობის გზით, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელს გახდის ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი - სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის არსებითად გადაჭრას და ქვეყნის დამოუკიდებლობის მყარი საფუძვლების შექმნას.

20. სურსათით ქვეყნის მოსახლეობის საიმედო უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასურსათო ბაზრის მთავარი კომპონენტების - მიწოდებისა და მოთხოვნის რაციონალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებას.

21. სასურსათო ბაზრის პროდუქციის მიწოდების სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულ უნდა იქნას შემდეგი მიზნების მიღწევაზე: სასურსათო კომპლექსის განვითარებისათვის სტაბილური პირობების უზრუნველყოფა, სახელმწიფო და რეგიონული სასურსათო ფონდების ფორმირება, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხარისხიან სასურსათო პროდუქტებზე სოციალურად მისაღები ფასებით.

22. სასურსათო ბაზრის პროდუქციაზე მოთხოვნის რეგულირების შესაძლო ვარიანტებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საცალო ფასების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს სასაქონლო ინტერვენციის მეთოდს, რომლის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს საკმარისი სასურსათო რესურსები.

23. მიზანშეწონილია სახელმწიფო სასურსათო რესურსებიდან სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობები (საინტერვენციო მოცულობები) გაიზარდოს საცალო ფასების მკვეთრი ამაღლებისას, რათა დაცულ იქნას მომხმარებელთა ინტერესები. საცალო ფასების მკვეთრი ვარდნის შემთხვევაში სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს პროდუქცია. ასეთ სიტუაციაში, მწარმოებელთა ინტერესების დაცვის

მიზნით, უფრო მართებული იქნება მისი შესყიდვა. სახელმწიფო რესურსებიდან სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის აღწერილი მექანიზმი არ დაარღვევს საბაზრო პირობებს, პირიქით, იგი ხელს შეუწყობს სასურსათო ბაზრის სტაბილურობას.

24. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სურსათზე საცალო ფასების შეზღუდვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებასთან ერთად, აუცილებელია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირებაც, მისი ნაკლებუზრუნველყოფილი ფენებისათვის დახმარების გაწევის გზით. მოსახლეობის ამგვარი მხარდაჭერა, სოციალური მიმართულების გარდა, მწარმოებელთა მხარდაჭერის ღონისძიებასაც წარმოადგენს, რამდენადაც იგი ზრდის ერთობლივ მოთხოვნას მათ პროდუქციაზე და შესაბამის გავლენას ახდენს ფასებზე.

25. ეროვნული სასურსათო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგება, გაფართოება და ოპტიმალური გამოყენება. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისა და აგრარული სტრატეგიის რეფორმირების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია სასურსათო სფეროში ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები დაეფუძნოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნებთან, რეგიონულ და სუბრეგიონულ გაერთიანებებთან დადებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებზე. ახალი სახელშეკრულებო დოკუმენტების გაფორმებისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ეროვნული სასურსათო კომპლექსის განვითარების ინტერესები. ძირითადი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნას ქვეყანაში ტრადიციულად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის შემოტანის მოწესრიგებასა და თანდათანობით შემცირებაზე, საკუთარი საექსპორტო პოტენ-

ციალის ამოქმედებასა და გამოყენებაზე, ტრადიციულ ბაზრებზე პოზიციების აღდგენასა და ახალ ბაზრებზე გასვლა-დამკვიდრებაზე, საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელების ხელშეწყობაზე.

26. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2000 წლის ივნისში – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო-ში) საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღებით. ამ ორგანიზაციის წევრობა, ხელს შეუწყობს ქვეყნის სრულ ინტეგრაციას მსოფლიო სავაჭრო სისტემაში, ქართული საექსპორტო პროდუქციის პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საერთაშორისო ბაზრებზე, საქართველოსთან ვაჭრობაში დისკრიმინაციულ ქმედებათა თავიდან აცილებას, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეფექტურ ამოქმედებას.

სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს. ამ მიზნით საჭიროა იმ კრიტიკული ინფორმაციის მოპოვება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სასოფლო-სამეურნეო სექტორის წინსვლისთვის საჭირო ამოცანების დასახვა. აუცილებელია, გვქონდეს ინფორმაცია მოთხოვნისა და მიწოდების მხარეების შესახებ.

- ქართული სასოფლო-სამეურნეო სექტორის როგორც არსებული მდგომარეობის, ისე მისისაწარმოო პოტენციალის კვლევა;
- უცხოური სარეალიზაციო ბაზრების კვლევა.

ადგილობრივი ბაზრების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდება იმის დადგენა, თუ რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქარგულებს ვფლობთ, არსებული რესურ-

სის რა რაოდენობაა ათვისებული და რა რაოდენობის ექსპლუატაცია ხდება ეფექტიანად; რამდენი ადამიანი ცხოვრობს სოფლად და რამდენია დასაქმებული სოფლის მეურნეობის სფეროში; რა სახის, სტანდარტის, საფასო კატეგორიის ხილი/ბოსტნეული მოგვყავს რაიონების მიხედვით და პროდუქტის რა პოტენციური რაოდენობის მოყვანაა შესაძლებელი; კვლევის შედეგად გამოვლინდება, დარგის რომელ სფეროშია ადამიანური რესურსების დეფიციტი და რა ეტაპებზე არ არსებობს შესაბამისი სტანდარტები და ინფრასტრუქტურა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაო, საბოლოო ჯამში, ემსახურება მიზანს დავადგინოთ, წარმოების რა პირობებია დღეს და არსებული პირობების გათვალისწინებით როგორ, რა ფორმით არის შესაძლებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის დონის ამაღლება.

ადგილობრივი კვლევების პარალელურად აუცილებელია საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და დამუშავება. ერთი მხრივ, აუცილებელია არსებულ მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების მუდმივი მონიტორინგი, ხოლო ,მეორე მხრივ, დასადგენია ქართული პროდუქტის პოტენციური საექსპორტო, სარეალიზაციო ბაზრები. საჭიროა სავაჭრო მოთხოვნების იდენტიფიცირება და ქართული წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების შესაბამის სავაჭრო სტანდარტებზე გადაწყობა. საერთაშორისო ბაზრების კვლევა დაგვეხმარება, განვსაზღვროთ ქართული პროდუქტის მიზნობრივი სეგმენტი, მივიღოთ ინფორმაცია საექსპორტო მოცულობისა და საექსპორტო ბაზარზე არსებული შესაბამისი სარეალიზაციო ფასების შესახებ.

სამიზნე ბაზრების მოთხოვნებისა და ქართული სასოფლო-სამეურნეო სექტორის შესწავლის შედეგად უნდა შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. უნდა შეიქმნას ერთიანი განვითარების გეგმა, რომელშიც დეტალურად გაიწერებაის ტაქ-

ტიკურისვლები, რომლებიც შექმნის და დახვეწს ინტელექტუალურ,ადამიანურრესურსსა და მატერიალურ-ტექნიკურ-ბაზას. მოცემული გეგმის შემუშავებისა და აღსრულების პროცესში მთავრობასა და საჯარო სექტორთან ერთად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო სექტორში მოღვაწე უცხოელი ექსპერტებისა და სპეციალისტების ჩართვაც. მათთან თანამშრომლობის ფარგლებში უნდა მოხდეს:

◆ აუცილებელი ინფრასტრუქტურის გეოგრაფიული და ფუნქციური განაწილების დაგეგმვა: ხილისა და ბოსტნეულის შესაგროვებელი, დასახარისხებელი, შესაფუთი და შესანახი ინფრასტრუქტურის შექმნის გეგმა უნდა იყოს თანმხვედრი საერთო სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების გეგმისა. ცალკეული ობიექტების გეოგრაფიული და ფუნქციური განაწილება უნდა უზრუნველყოფდეს კოორდინირებულ მუშაობას.

◆ სტრუქტურის, სახელმძღვანელოებისა და პროცედურების შემუშავება: უნდა შემუშავდეს ღირებულების შექმნის ჯაჭვის თითოეული ეტაპის (წარმოება, შეგროვება/შეფუთვა, ლოჯისტიკა) სტრუქტურა, შეიქმნას პროდუქტსა და ადგილობრივ სპეციფიკაზე მორგებული სახელმძღვანელოები და გატარდეს შესაბამისი პროცედურები, რაც მიმართული იქნება პროცესების გამჭვირვალობაზე, ეფექტიანობის გაზრდასა და ოპერაციების მიღებული სტანდარტებისა და ნორმების მიხედვით წარმართვაზე;

◆ ადამიანური რესურსის შექმნა, კვალიფიკაციის ამაღლება და ზედამხედველობა: მოცემულ სტრუქტურაში უნდა გადანაწილდეს კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, შეიქმნას სხვადასხვა რგოლი და თითოეული რგოლის ფუნქციები იტვირთოს პასუხისმგებელმა პირმა. ადგილობრივ მოსახელობაში საჭირო კადრების მოძიების შემდეგ უნდა მოხდეს მათი გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება - დაკისრებული როლის შესრულებისა და არსებული ინფრასტრუქტურის სწორად და ეფექტურად უტილიზირების კუთხით. გადამზადების შემდგომ ისინი ჩაე-

რთველებიან წარმოების პროცესში, რაც მათ საწყის ეტაპზე პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას მისცემს, შემდეგ კი თითოეულ რაიონზე ერთი უცხოელი სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ შესაძლებელი იქნება გამართული, სტანდარტიზებული საწარმოო პროცესის სრული ციკლის განხორციელება.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესის წარმართვა მოიაზრება USAID-ის EPI-ის პროექტთან თანამშრომლობის ფარგლებში. EPI ჩართულია ქართველი გლეხებისა და სოფლის მეურნეობაში მოქმედი მეწარმეებისათვის სხვადასხვა ტიპის ტრენინგების ორგანიზებაში და არაერთხელ განუხორციელებია მსგავსი ტიპის აქტივობები. PI-ის პროექტთან კოლაბორაციისა და მათი გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შესაძლებელია უფრო მასშტაბური და მდგრადი გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

რეკომენდაცია:

მეწარმეთა გაერთიანება.

შედეგი: მოცულობის ზრდა.

პროდუქტის სტანდარტიზაცია და ფასების დიფერსიფიკაცია.

ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის მოგროვების შესაძლებლობა.

მასშტაბის ეკონომიურობის მიღწევა.

საგარეო და საშინაო ბაზრების კვლევა დაგვეხმარება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე მოთხოვნის მოცულობის, სტანდარტისა და ციკლურობის დადგენაში, რაც, თავის მხრივ, გააადვილებს გაყიდვების გეგმის ჩამოყალიბებას. გაყიდვების გეგმის შესაბამისი მოცულობის მიღწევა შესაძლებელია ფრაგმენტული წარმოების კოლექტიური წარმოებით ჩანაცვლების შედეგად. კოლექტიური წარმოების გარეშე ერთიანი მოცულობის (ხილი/ბოსტნეული) რაოდე-

ნობის მიღწევა საკმაოდ რთულია. მოცულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს რეალიზაციის პროცესში. კოლექტიური წარმოება და ერთიანი მოცულობის ხელშეწყობა ამცირებს სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულებას და, საერთო ჯამში, ხელს უწყობს წარმოების, შეფუთვის, ლოჯისტიკისა და გაყიდვის ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე მასშტაბის ეკონომიურობის მიღწევას. კონსოლიდაციის შედეგად შესაძლებელი ხდება ექსპორტის ჯაჭვის თითოეული რგოლის ეფექტური ფუნქციონირება და მოგების მაქსიმიზაცია, პირველ რიგში, თავად მწარმოებლისათვის.

ფრაგმენტაციის აღმოფხვრა გადაწყვეტსწარმოების პროცესისა და პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემების მნიშვნელოვან რაოდენობას. ამ მიმართულებით კი, პირველ რიგში, მეწარმეთა გაერთიანებაა საჭირო. საწყის ეტაპზე გაერთიანება, შესაძლოა, მოხდეს ნებისმიერ იურიდიულ ან იდეოლოგიურ საფუძველზე. შესაძლოა, ჩამოყალიბდეს არაფორმალური ჯგუფი, რომელიც კოოპერატივის წესებით იმუშავებს, შედეგად კი მეწარმეები თავიანთი პროდუქტის გაზრდილ სარეალიზაციო ფასს მიიღებენ. საბოლოო ჯამში, მეწარმეთა მჭიდროდ შეკავშირებულ და ორგანიზებულ კოოპერატივებად გაერთიანება გახდება შესაძლებელი.

მეწარმეთა გაერთიანების გარდა, სამომავლოდ, აგრეთვე, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემდგომი დამუშავებისა და რეალიზაციის პროცესებში ჩართული რგოლების-გადამზიდავთა, შემფუთავ-დამფასოებელთა, ლოჯისტიკაში ჩართული მეწარმეებისა და გამყიდველების გაერთიანებების, ასოციაციების, კოოპერატივების-ჩამოყალიბება, მაგრამ საწყის ეტაპზე მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ მწარმოებელთა გაერთიანებაზე, რათა მოგების მარჟის კონცენტრირება მოხდეს არა გაყიდვაში, არამედ წარმოებაში. ეს მიდგომა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საწყის ეტაპზე სწორედ მწარმოებელთა დაინტერესება და წახალისებაა საჭირო, რათა მათ ჰქონდეთ სურვილი და მოტივაცია, ინტენსიურად დაკავდნენ სოფ-

ლის მეურნეობის სფეროში.

♦ მეწარმეთა გაერთიანების ლეგალური შედეგები: გაერთიანების ჩამოყალიბების საფუძველზე შეიქმნება ლეგალური ბაზაც, გლესები დარეგისტრირდებიან იურიდიულ პირებად.

გაერთიანება უზრუნველყოფს ბულალტრული აღრიცხვიანობის მოწესრიგებას. დარეგულირდება დაბეგვრის საკითხებიც, დაიბეგრება ორგანიზაცია (კოოპერატივი) და არა მისი ცალკეული წევრი; შედეგად, აღრიცხვისა და დაბეგვრის წარმართვა გამარტივდება სახელმწიფოსთვის, რამდენადაც ეს პროცესები არა იდივიდუალურ, არამედ ორგანიზაციულ დონეზე განხორციელდება. ამავე დროს, კოოპერატივებში გაწევრიანებულ, დარეგისტრირებულ მეწარმეებს არ მოუწევთ სამართლებრივ და საგადასახადო პროცედურებთან ინდივიდუალურად გამკლავება. მათ პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების სწორად შესრულების კოორდინირებასა და ადმინისტრირებას ორგანიზაცია გაუწევს.

♦ ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის მოგროვების საშუალება: მეწარმეთა გაერთიანება გააადვილებს და უფრო ორგანიზებულს გახდის კომუნიკაციის პროცესს. შედეგად, შესაძლებელი გახდება ინფორმაციის გაცვლა როგორც გლეხებს შორის, ისე გლესებსა და მთავრობას შორის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ცოდნის აკუმულირებას, გამოცდილების ურთერთგაზიარებას და ა.შ. გაერთიანება გაამარტივებს ერთიანი სტრატეგიის შემუშავების, დაგეგმვისადა განხორციელების პროცესს. ინფორმაციის ორგანიზებული გაცვლის არხების ჩამოყალიბების შედეგად შესაძლებელი გახდება წარმოებისა და გაყიდვების პროცესების ტენდენციების დასადგენად აუცილებელი მონაცემების დროულად და ეფექტურად მოპოვება, მათი გაანალიზება და შემდგომი ეფექტური დაგეგმვა. გაერთიანების შედეგად უფროგამარტივდება საერთო სურათის დანახვა, წარმოების ჯაჭვის თითოეულ რგოლში პრობლემებისა და არაეფექ-

ტიანობის გამოვლენა, მნიშვნელოვან დეტალებზე ყურადღების გამახვილება, საერთო სტრატეგიას მორგებული ტაქტიკური ნაბიჯების შემუშავება, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ხელმისაწვდომი ინფორმაციის პირობებში ფერმერები ადარ მიიღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ინდივიდუალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ გადაწყვეტენ პრობლემებს დამოუკიდებლად და არაკოორდინირებულად, რაც ხშირია ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში. გაერთიანების შედეგად სოფელი, კოოპერატივი სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს მიიღებს კოორდინირებულად და შეთანხმებულად, რაც ხარჯისა და შედეგის თვალსაზრისით ბევრად ეფექტური და ეფექტიანია. გამარტივდება მეთოდოლოგიისა და სტანდარტების დანერგვის პროცესი, რადგან ისინი დაინერგება კოოპერატივების დონეზე და არა ინდივიდუალურად, ფერმერებთან.

◆ წარმოებისპროცესის გაუმჯობესება:

მოცულობის ზრდა - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი, რომელიც გაერთიანებას მოჰყვება, არის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის მოცულობის გაერთიანება და გაზრდა პროდუქტის კოორდინირებულად მოყვანისა და კონსოლიდირებულად მოგროვების საფუძველზე.

სტანდარტიზებული პროდუქტი – მოცულობის მიღწევის გარდა არსებითია იმის ცოდნა, რამდენად ერთგვაროვანი და სტანდარტიზებულია პროდუქტი. ცალსახად, მოცულობის მიღწევა არ გულისხმობს სტანდარტიზებულ მოცულობას, რაც კონკურენტუნარიანობის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. თუ ჩვენი მიზანია პროდუქტის ექსპორტზე გატანა, აუცილებელია, უზრუნველვყოთ სტანდარტიზებული პროდუქციის მიწოდება. ამ მიზნი პროდუქტის მოყვანა, გადარჩევა და დახარისხება უნდა მოხდეს წინასწარ გაწერილი სტანდარტების შესაბამისად, რის შედეგადაც პროდუქტის სხვადასხვა საფასო კატეგორიად დაყოფა გახდება შესაძლებელი.

ამ პროცესის ეფექტიანად წარმართვა და გაკონტროლება ინდივიდუალური ფერმერის დონეზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია;

პროდუქტის კატეგორიების ფასის დიფერსიფიკაცია პროდუქტის სტანდარტულ კატეგორიებად დაყოფის პრაქტიკის დანერგვა შესაძლებელს გახდის ფასების დიფერსიფიკაციას. განსხვავებული სტანდარტის მქონე ხილის/ბოსტნეულის სარეალიზაციო ფასი განსხვავდება. პროდუქტის სტანდარტიზაცია და,შედეგად, ფასების დიფერსიფიკაცია გაამარტივებს რეალიზაციის პროცესს როგორც ფერმერებისთვის (გამარტივდება მათი ანაზღაურების განაწილება, კონკრეტული სტანდარტის მქონე ხილი/ბოსტნეული წინასწარ ცნობილ საფასო კატეგორიაში ჯდება), ისე პოტენციური მყიდველებისთვის. ყიდვა-გაყიდვის პროცესი გახდება პროგნოზირებადი, სტაბილური და ლეგალურად გამართული.

მასშტაბის ეკონომიურობის ეფექტი – ზემოაღნიშნული თითოეული ფაქტორი-გაზრდილი მოცულობა, სტანდარტულ კატეგორიებად დაყოფილი პროდუქტი, დიფერსიფიცირებული ფასი, კვალიფიციური, კოორდინირებული და ერთ მიზანზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი – ჯამში წარმოების თითოეულ საფეხურზე ზრდის პროცესის ეფექტიანობას, ამცირებს ხარჯებს და საბოლოო შედეგად მასშტაბის ეკონომიურობის ეფექტის მიღების საშუალებას იძლევა. რაც, საბოლოოდ, ქართული ნაწარმის თვითღირებულების შემცირებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხდის შესაძლებელს.

რეკომენდაცია

შესაგროვებელი, დასახარისხებელი, შესაფუთი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

შედეგი: აღრიცხვიანობის სისტემის გამარტივება

შესაგროვებელი, დასახარისხებელი, შესაფუთი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

სატრანსპორტო საშუალებების დიფერსიფიკაცია.

ლოჯისტიკასთან დაკავშირებული პრობლემების უმთავრესი გამომწვევი მიზეზი, როგორც ვახსენეთ, გაყიდვების წინასწარი გეგმის არარსებობაა. ყინაიდან წარმოების გეგმა არაა წინასწარ გაწერილი, ბუნებრივია, ლოჯისტიკის სათანადო დონეზე გამართვა შეუძლებელი ხდება. ლოჯისტიკის ნაწილში მოვიაზრებთ წარმოების შემდგომ ეტაპებს (შეგროვება, დაკალიბრება, დაფასოება, ტრანსპორტირება) რეალიზაციის ჩათვლით.

ლოჯისტიკის დაგეგმარებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, წინასწარ გაიწეროს პროდუქციის მიღებისა და მისი რეალიზაციის ზუსტი გრაფიკი.

◆ შესაფუთი ინფრასტრუქტურის მოწყობა: აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს შესაფუთი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის გეოგრაფიულად ოპტიმალური მდებარეობა, რათა დროულად მოხდეს ყველა რაიონის უზრუნველყოფა შესაფუთი მასალებით არსებული მოთხოვნის შესაბამისად. სასურველია, საქართველოშივე მიკროშესაფუთი მასალების დამზადება. მიკრშესაფუთ მასალებში მოვიაზრებთ სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ სტანდარტული ზომის ყუთებს, რომლებიც პალეტის სტანდარტზეა მორგებული. ყუთების დასამზადებლად აუცილებელი ნედლეულის – მუყაოსა და ფანერის – იმპორტირება ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნიდან, მაშინ, როცა საქართველოშივეა შესაძლებელი მოცემული ნედლეულის მოპოვება და საწარმოო ხაზის შექმნაც, რაც, საბოლოო ჯამში, შეამცირებდა შეფუთვის ხარჯებს.

◆ პალეტიზაციის, როგორც შეფუთვის სტანდარტის, შემოღება და დანერგვა: პროდუქციის პალეტიზაციის არარსებობა ზღუდავს სატრანსპორტო საშუალებების ეფექტურად გამოყენებისა და მათი დივერსიფიცირების შესაძლებლობას. ყველა სტანდარტული საერთაშორისო სატრანსპორტო საშუალება (ბორანი, ვაგონითუ კონტეინერი) მორგებულია სტანდარტული ზომის პალეტებზე. ბუნებრივია, პალეტიზაციის სტანდარტის შემოღებაშესაძლებელს გახდის სატრანსპორტო საშუალებების დივერ-

სიფიკაციას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გადაზიდვის ხარჯებს სატრანსპორტო საშუალებებს შორის კონკურენციის გაზრდის შედეგად. გარდა სატრანსპორტო საშუალებებს შორის კონკურენციის გაზრდისა (რაც ბუნებრივად დაწევს ფასს სატრანსპორტო საშუალებებზე), პალეტიზაციის სტანდარტის დანერგვა დადებითად იმოქმედებს პროდუქციის ხარისხზეც, რადგან შემცირდება ტრანსპორტირებისას პროდუქციის მექანიკური დაზიანების მაჩვენებელი.

♦ რეკომენდებულია, მოეწყოს ლოკალური დასაკალიბრებელი ინფრასტრუქტურა:

მნიშვნელოვანია, რომ პროდუქციაგადაირჩეს და დაფასოვდეს/დაკალიბრდეს უშუალოდ ავტოტრანსპორტში ჩატვირთვამდე, ე.ი. პროდუქტი დაფასოვდეს სოფელშივე, შესაბამისად, სასურველია, გადარჩევისა და დაფასოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა ადგილზევე მოეწყოს. სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქციის იქვე გადარჩევა უზრუნველყოფს სატრანსპორტო ხარჯების შეკვეცას. ამავე დროს, შესაძლებელი გახდება ამ პროდუქტის დაინტერესებული ბიზნესებისათვის (მაგ: კონცენტრატისა და სხვა გადამამუშავებელი საწარმოები) მიწოდების ორგანიზება, ეს კი დამატებითი შემოსავალის წყარო გახდება.

♦ მარაგებისთვის განკუთვნილი საწყობების პროგრამული უზრუნველყოფა და საწყობებისთვის სპეციალური ზედამხედველების გადამზადება: საწყობების არსებობა გააადვილებს მარაგების აღრიცხვის პროცესს-რა მოცულობის პროდუქტის გაიტანეს ექსპორტზე, რას უტოლდება მარაგების ნარჩენი ღირებულება და ა.შ.

წარმოების მაღალი ფრაგმენტულობის პირობებში მარაგების ზუსტი აღრიცხვა რთულია. მოცულობის უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბებული კოოპერატივები ბუნებრივად მოხსნის აღრიცხვიანობის პრობლემას, რადგან მარაგები აღიწერება, პირობითად, ერთ სიერცეში, საგანგებოდ მარაგებისთვის აშენებულ საწყობებში, სპეციალურად

გადამისადებული კაღრის ზედამხედველობის პირობებში.

◆ შესანახი ინფრასტრუქტურის გამართვა: პროდუქტი სოფლის დონეზე ნაკლებად იყიდება, ამიტომ შესანახი ინფრასტრუქტურა (სამაცივრე ინფრასტრუქტურა) უნდა მოეწყოს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ფოთში, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

• ფოთში მოგრიდება ხილი და ბოსტნეული და შემდეგ დაიგეგმება დისტრიბუცია ქუთაისის, თბილისის და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქების მიმართულებით.

• ფოთის სამაცივრე საწყობშივე გადაირჩევა ექსპორტზე გასატანი პროდუქციის საერთო მოცულობა.

• სამაცივრე ინფრასტრუქტურა პროდუქციის შენახვის დროს გაახანგრძლივებს. ფოთის სამაცივრე ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს საექსპორტოდ გამზადებული პროდუქციის გადაზიდვის პერიოდულობის გახანგრძლივებას, რაც გულისხმობს დაკრეფილი და საექსპორტოდ გამზადებული პროდუქციის დაყოვნებას პაკილიონში საჭირო პირობების გათვალისწინებით (ტემპერატურა, ტენიანობა, შეფუთვა და ა.შ.) და შედეგად პროდუქციის ფუჭების კოეფიციენტის შემცირებას.

შესაბამისი სამაცივრე ინფრასტრუქტურის არსებობა შექმნის გადაზიდვის გრაფიკის უფრო ხანგრძლივ პერიოდზე განაწილების შესაძლებლობას, რაც, საერთო ჯამში, ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს, ვინაიდან დღის წესრიგში აღარ დგება პროდუქციის უმოკლეს ვადაში გადაზიდვის აუცილებლობა ლიმიტირებული სატრანსპორტო საშუალებების პირობებში.

◆ ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესების სტანდარტიზება: მნიშვნელოვანია პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებებზე ჩატვირთვისას დაზიანების რისკის მინიმიზაცია, რაც გულისხმობს მოცემული პროცესისათვის მექანიზებული ინფრასტრუქტურის შექმნას ან/და შესაბამისი ადამიანური რესურსის გადამზადებას.

საბრუნაო კაპიტალის უზრუნველყოფა.

შედეგი: ფერმერის ოპერაციული ლიკვიდურობის ზრდა. კონსიგნაციით ვაჭრობის შესაძლებლობა.

ღღეისათვის ფერმერებისა და ბანკების ურთიერთობა ორივე მხარისათვის მაღალი რისკის მატარებელია, რაც შეგვიძლია განვიხილოთ ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან ფერმერებისთვის ხელსაყრელი პროდუქტების შეთავაზების არარსებობის უმთავრეს მიზეზად.

უმთავრესი პრობლემა საბრუნაო კაპიტალის არარსებობაა. ბანკის დაინტერესება ნაკლებია, რადგან სოფლის მეურნეობა მაღალი რისკის მატარებელია, შესაბამისად, ფულადის სახსრების მოძიების ალტერნატიულები ფერმერისთვის მცირეა.

ფერმერს სჭირდება ფულადი სახსრები პროდუქტის რეალიზაციიდან მოკლე დროში, რათა დაიწყოს მზადება წარმოების ახალი ციკლისთვის. ოპერაციული ლიკვიდურობის მიღწევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფერმერისთვის. ძალიან ხშირად ფულადი სახსრების უქონლობა აფერხებს წარმოების პროცესს, რადგან ფერმერის მთელი სახსრები ხმარდება მოსავლის მიღებას, შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს. რეალიზებული პროდუქტის ღირებულების ამოღების შეყოვნება (განსაკუთრებით ექსპორტის პირობებში) მძიმე ვითარებაში ამყოფებს ფერმერს. სასურველია, ფერმერთა ჯგუფი (იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს წარმოების ერთიანი პროცესი) პირდაპირი ან ირიბი გზით სწორედ სახელმწიფომ უზრუნველყოს საბრუნაო კაპიტალით.

ზოგადად, საბრუნაო ფული შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად:

- მოსახლეობისგან პროდუქციის შესასყიდად საჭირო ფულადი რესურსები;
- შეფუთვისა და გადაზიდვისთვის საჭირო სახსრები.

ჩვენი დაშვებით, ორიენტაცია არის აღებული იმ კლიენ-

ტებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქონელს საერთაშორისო საგაჭრო ტერმინების DAP-ის პირობით ყიდულობენ. ეს კი გულისხმობს იმას, რომ რეალიზატორის მოვალეობებში არ შედის საბაჟო პროცედურების ხარჯის გაწევა, მისი პასუხისმგებლობა მოიცავს გადაზიდვის, შეყუთვის, ზოგადად, შიდა ლოჯისტიკასთან დაკავშირებული ხარჯების უსრულყოფას.

რეალიზაციის სრული პროცესი 3 მთავარ ნაწილად შეგვიძლია წარმოვადგინოთ: გლეხებისგან პროდუქციის შესყიდვა, შეყუთვა და ტრანსპორტირების უსრულყოფა.

ქვემოთ წარმოდგენილია რეალიზაციის 3 შესაძლო სქემა (მწარმოებლებისთვის/ფერმერებისთვის საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფის შესაძლო ალტერნატივები).

- რეალიზაციის პირველი სქემა: რეალიზაციის პირველი სქემის გათვალისწინებით, შესაძლებელია, სახელმწიფომ ფერმერებისგან შეისყიდოს პროდუქტი და შეყუთვის/ტრანსპორტირების მენეჯმენტზე პასუხისმგებლობა სრულად აიღოს საკუთარ თავზე. ამ სქემის მიხედვით ფერმერს, თავისთავად, საბრუნავი კაპიტალის პრობლემა ეხსნება, რადგან სახელმწიფო შესყიდვის პროცესშივე (მანამ, სანამ რეალურად მოხდება პროდუქტის ექსპორტირება და მყიდველიც თანხას გადაიხდის) უსდის გასამრჯელოს. თუმცა თავს იჩენს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: ფერმერი არ გრძნობს პასუხისმგებლობას და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ორიენტირს გაყიდვების ზრდაზე აკეთებს, ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი შეასყიდვინოს სახელმწიფოს, განურჩევლად სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა.

- რეალიზაციის მეორე სქემა: არასაიმედო პარტნიორობის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, ფერმერი თავად იყოს დაინტერესებული საექსპორტო ხარისხის უზრუნველყოფითა და პროდუქციის საბოლოო რეალიზაციით (ექსპორტზე გატანა და არა სახელმწიფოს მიერ შესყიდვა ადგილზე). რეალიზაციის მეორე სქემის მიხედვით,

სახელმწიფო შეისყიდის პროდუქციას ფერმერებისგან, მაგრამ თანხას არ გადაიხდის პროდუქციის ინსპექციის დასრულებამდე. წინა სქემის ანალოგიურად, შეფუთვისა და ტრანსპორტირების მენეჯმენტი სახელმწიფოს პრეროგატივაა. შეფუთვისა და გადაზიდვის შემდგომ, როდესაც შემსყიდველი კომპანია ხელს მოაწერს შესყიდვის დოკუმენტს და მომზადდება ინსპექტორის დასკვნა გაფუჭებული პროდუქტის რაოდენობის შესახებ, შესაძლებელი იქნება ფერმერებისთვის რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება, ხოლო შემსყიდველისთვის პროდუქციის კონსიგნაციით გადაცემა/რეალიზაცია. პროცესში უკვე სახელმწიფოს სახსრები იწყებს მიმოქცევას. სწორედ სახელმწიფო უნაზღაურებს ფერმერებს პროდუქციის ღირებულებას, თავად კი ანაზღაურებას ელის უშუალოდ მყიდველისგან, რომელსაც კონსიგნაციით მიჰყიდა პროდუქტი. ეს სქემა ფერმერებისთვის საბრუნავი კაპიტალის პრობლემას ხსნის. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, თუ პროდუქტი ადგილზე ჩატანისას გაფუჭდა შეფუთვის ან ტრანსპორტირების დროს დაშვებული შეცდომების მიზეზით, თანხას მოიკლებს შუალედური რგოლი (სახელმწიფო), ხოლო თუ პროდუქტი დაზიანებული აღმოჩნდა არასწორი საწარმოო პროცესის გამო, თანხას მოიკლებს ფერმერი. ამ სქემასაც აქვს ნაკლოვანი მხარეები, არსებობს გარანტია, რომ ფერმერები დაელოდებიან ინსპექციის დამთავრებას მოთმინებით და არ მოითხოვენ თანხის ანაზღაურებას პროცესის დასრულებამდე.

♦ რეალიზაციის მესამე სქემა: თანასოფლელების ბაზაზე, შესაძლოა, შეირჩეს რამდენიმე ყოფილი ექსპორტიორი, რომლებიც ისედაც მზად იყვნენ, ექსპორტზე გაეტანათ პროდუქტი და ამ მიზნით უწევდათ ფულისსესხება ფერმერებისგან პროდუქტის შესაძენად, შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად. შესაძლოა, მათთვის რეალიზაციის ქვემოთ მოცემული სქემა საინტერესო აღმოჩნდეს: წინა სქემის ანალოგიურად, ექსპორტიორს საკ-

უთარი სახსრებით მოუწევს ფერმერებისგან პროდუქციის ყიდვა, რაც ავტომატურად გულისხმობს, რომ ექსპორტიორი პასუხისმგებელია ხილზე/ბოსტნეულზე (პროდუქტზე). მისი თანამონაწილეობა ამ პროექტში განისაზღვრება ზუსტად იმ თანხით, რომელიც საჭიროა ხილის შესასყიდად. სახელმწიფოს/შუალედური რგოლის პასუხისმგებლობაა შეფუთვისა და ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მესამე სქემის ანალოგიურად, თუ ექსპერტი დაადგენს, რომ პროდუქტი ექსპორტიორის მენეჯმენტის ბრალეულობით გაფუჭდა, თანხა ექსპორტიორს დააკლდება, ხოლო თუ პრობლემა ტრანსპორტირებასა და შეფუთვას ეხება, მაშინ შესაბამისი თანხით სახელმწიფო იზარალებს.

სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, განსაზღვროს ექსპორტიორის მოგების მარჟა. სახელმწიფო საკუთარი თანხისალტერნატიულ ღირებულებად განიხილავს ბანკის საპროცენტო ღირებულებას (აქ იგულისხმება მოჭრილი თანხა ანაზღაურების სახით, როგორც შეფუთვისა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხების უზრუნველყოფის ღირებულება/ხარჯი), ე.ი. კონკრეტულ საბრუნავ თანხას დაერიცხება ბანკში არსებული წლიური პროცენტი შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით (თვეზე გაანგარიშებით). საბრუნავი კაპიტალის გაძვირება უზრუნველყოფს სქემის მზაობას სამომავლოდ ბანკის ჩართულობისთვის. როცა სახელმწიფო გამოვა სქემიდან, დიდი ალბათობით, სწორედ ბანკი ჩაანაცვლებს მას საბრუნავი კაპიტალის საშუალების უზრუნველყოფის მიზნით. ექსპორტიორი/ფერმერი არ უნდა იყოს დამოკიდებული „უფასო“ ფულზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს ბანკით ჩანაცვლების პროცესი იქნება მტკივნეული და არ გამორიცხავს სქემის ნგრევას.

დროთა განმავლობაში ექსპორტიორი/ფერმერი ბუნებრივად გახდება კოოპერატივის ლიდერი, რომელსაც დაუგროვდება სამუშაო გამოცდილება და მარტივად შეძლებს მენეჯმენტის სირთულეებთან დამოუკიდებლად გამკლავებას.

რეკომენდაცია

საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის მექანიზმების ორგანიზება.

შედეგი: შემუშავებული მექანიზმების მდგრადობის უზრუნველყოფა.

სასურველია, ინფრასტრუქტურის შექმნაში კერძო ინვესტორმა არ მიიღოს ფინანსური თანამონაწილეობა. ფინანსური რესურსის მოძიება და დაბანდება არ უნდა განხორციელდეს კერძო ინვესტორის მიერ, რადგან, სავარაუდოდ, კერძო ინვესტორისთვის საკუთარი კაპიტალდაბანდების უკუგების მაქსიმიზაცია გაცილებით პრიორიტეტული იქნება, ვიდრე, ვთქვათ, სოფლის განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა.

კერძო ინვესტიციით აშენებული ობიექტები, შესაძლოა, არ ან ვერ ჩაეწეროსქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო სტრატეგიაში. შესაბამისად, გამოსავალი სახელმწიფოს ჩართულობაშია.

სახელმწიფომ საერთო სტრატეგიის შესაბამისად უნდა აღჭურვოს სოფლები აუცილებელი ინფრასტრუქტურით და ექსპერტთა ჯგუფთან თანამშრომლობის ფარგლებში გადაამზადოს/კვალიფიკაცია აუმაღლოს სოფლის მეურნეობაში ჩართულ ადგილობრივ მოსახლეობას.

მოსამზადებელი პერიოდის ამოწურვის შემდგომ (პირობითად, 5 წელი), სახელმწიფომ ინფრასტრუქტურა უნდა გადასცეს კოოპერატივს/ფერმერთა ჯგუფებს. იმ დროისთვის კოოპერატივებს ექნებათ აუცილებელი ცოდნა ინფრასტრუქტურის ეფექტიანად გამოყენებისათვის და შეძლებენ, დამოუკიდებლად აწარმოონ სტანდარტიზებული, ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტი. მანამ, სანამ კოოპერატივები/ფერმერთა ჯგუფები დამოუკიდებლად შეძლებენ თავიანთი პროდუქტის ექსპორტზე გატანას, რეალიზებასა და საჭირო მარკეტინგული ღონისძიებების უზრუნველყოფას, რეკომენდებულია, ეს როლი სახელმწიფომ იტვირთოს.

სასურველია, სახელმწიფოსთან ერთად პროცესში ჩაერთოს მესამე მხარეც (როგორც დამოუკიდებელი რგოლი), მაგ., საერთაშორისო ორგანიზაცია. მესამე რგოლის არსებობა უზრუნველყოფს შემუშავებული სქემის მეტნაკლებად სტაბილურ ფუნქციონირებას. პოტენციურ საერთაშორისო ორგანიზაციად განიხილება SAID.

დასკვნის სახით, რეკომენდებულია, საექსპორტო ღირებულებათა ჯაჭვის ფუნქციონირება დამოკიდებული იყოს (საწყის ეტაპზე მაინც) სახელმწიფო სტრუქტურასა და საერთაშორისო ორგანიზაციაზე.

დასკვნა

დოკუმენტში მოყვანილი პრობლემების აღმოფხვრის ძირითადი საშუალება მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორობაა. პარტნიორობა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას სწორად და ოპერატიულად. სტრატეგია კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დარგში ჩართული სუბიექტების კეთილდღეობას და ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

საწყის ეტაპზე სოფლის მეურნეობის მიზანი ვერ იქნება კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ყველა იმ პროდუქტის წარმოებისა და რეალიზების ჭრილში, რომლის პოტენციალიც აქვს ქვეყანას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ მიმართულებებს, რომლებშიც ამ ეტაპზე გვაქვს შესაძლებლობა, მოვიპოვოთ შედარებითი უპირატესობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა, კერესელიძე დ, ეროვნული ეკონომიკადა გლობალიზაცია. თბ. 2005. გვ. 380.

2. სასურსათო სისტემაში მმართველი კადრების მომზადება, კ. კამილკოვი, სასურსათო ეკონომიკა, №9, 2008.

3. ბერიძე ზ. სასურსათო ბაზრის ფორმირება და განვითარება საქართველოში. - საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2010, №4 (10), გვ. 75-78.

4. გაგნიძე ნ., ქოქაშვილი ნ., როსტიაშვილი მ. სასურსათო უსრუნველყოფის და უსაფრთხოების გლობალური პრობლემები საქართველოში. - საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2010, №4 (10), გვ. 86-88.

5. გეგენავა ლ., ლაჭყებიანი თ., შოშიაშვილი ლ. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, №6, გვ. 59-60.

6. გვარიშვილი ა, თეთვაძე ბ, სასურსათო სისტემის განვითარების, როგორც კრიზისის დაძლევის ხელშემწყობი ფაქტორი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი 2011.

7. დათაშვილი ვ, თეთვაძე ბ. - მსოფლიო სასურსათო ბაზრის განვითარების თავისებურებანი და საქართველო აგროპროტექციონალიზმის პირობებში, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა, №2, თბილისი, 2012.

8. დათაშვილი ვ. ტექნოკრატია თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს ეკონომისტთა ასოცია-

ცია. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" №1 თბილისი 2012წ.

9. დათაშვილი ვ. ტექნოკრატია და გლობალიზაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა" №1 თბილისი 2012წ.

10. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

11. ვანიშვილი მ., სანაძე მ. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება: არსი, ფაქტორები და მასშტაბები. - სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", 2000, №3, გვ. 60-70.

12. ვანიშვილი მ., სანაძე მ. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდურ-ორგანიზაციული ასპექტები. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", 2000, №5-6, გვ. 3-10.

13. ვანიშვილი მ., ქავჯაია ქ., ჯუღელი გ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები (რუსულ ენაზე). - საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2009, '4 (4), გვ. 126-129.

14.ვანიშვილი მ., ჯუღელი გ. გლობალური სასურსათო უსაფრთხოება: არსი, პრობლემები, გადაწყვეტის გზები. - საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2009, №1 (1), გვ. 81-85.

15. ვანიშვილი მ., ჯუღელი გ. სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები. რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, 4, გვ. 61-63.

16. ვანიშვილი მ., ჯუღელი გ., უჯარაშვილი მ. გლო-

ბალური სასურსათო პრობლემების წარმოშობის ისტორიული წანამძღვრები და მისი გადაწყვეტის პერსპექტივები. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა", 2008, 3-4, გვ. 197-204.

17. თეთვაძე ბ. აგრარული სტრატეგია და სასურსათო სისტემის განვითარების ძირითადი ორიენტირებისამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", 2012, გვ. 56.

18. ინტერნეტ-ჟურნალი ამბიონი, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება. http://www.ambioni.ge/saqartvelos-sasursato-usafrtxoeba/

19. კ. ღურწკაია, ინვესტირების ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოში. ჟურნალი ეკონომიკა. 2011 №9/10, გვ. 58-62.

20. კენინი მ, KODEX ALIMENTARIUS და მისი დანერგვის პროცესი საერთაშორისო ბაზარზე. ჟურნალი ეკონომიკა და მართვა, №12, 2008. გვ. 17.

21. კოზმავა ზ., ეკონომიკური დიპლომატიის არსი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი, თბილისი, 2010.

22. კოღუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004, 280 გვ.

23. კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი "მაკრო მიკრო ეკონომიკა", 1999, №9-10, გვ. 43-46.

24. კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემიდან - სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბილისი, 1999, 138 გვ.

25. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. ვმო-ს რაუნდები და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა. რეფერირებადი სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი "ბიზნესი და კანონმდებლობა", 2010, №6, გვ. 33-38.

26. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2010, 221 გვ.

27. კურსი აგრობიზნესის მენეჯმენტში მწარმოებელთა ასოციაციებისათვის - სასურსათო სისტემა და ვაჭვი. FAO – სოფლის მეურნეობის მართვა, მარკეტინგი და ფინანსური მომსახურება, სოფლის ინფრასტრუქტურისა და აგრო-მრეწველობის სამმართველო, რომი, 2009.

28. ლემონჯავა პ.ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბ. 2011წ. გვ. 311.

29. ლესტერ რ. ბრაუნი და სხვა. სასიცოცხლო ნიშნები. თბილისი: მეცნიერება, 1998, 298 გვ.

30. მდგომარეობა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზრებზე, FAO – http://www.fao.org/publications/soco/en/

31. მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი, 1998, 30 გვ.

32. ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება: ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, 440 გვ.

33. სასოფლო-სამეურნეო მიწის საბაზრო ფასის განსაზღვრა აშშ-ში, ბონდარენკო ტ. ეკონომიკა, ვაშინგტონი, 2007, №3.

34. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა კრიზისის პირობებში, ეკონომიკა და მენეჯმენტი, 2008, №12.

35. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი. http://www.parliament.ge/files/budget-off/publications/econmachv/2011/january/01-2011.pdf

36. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2010. 92 გვ.

37. საქართველოს სოფლის მეურნეობის 2009-2011 წლების განვითარების სტრატეგია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისი, 2009.

38. საქართველოს სოფლის მეურნეობის 2011-2021 წლების განვითარების სტრატეგია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისი, 2011.

39. სახელმწიფო ცვალებად სამყაროში, მსოფლიო განვითარების ანგარიში, მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, 1997.

40. სილაგაძე ა. საქართველოს სოფლის მეურნეობის

განვითარების შესახებ. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" მასალები, თბილისი, 25 მარტი, 2011 წ. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები)", 2011, სპეციალური ნომერი 1 (13), გვ. 69-71.

41. სურსათის დაუცველობის მდგომარეობა მსოფლიოში, – http://www.fao.org/publications/soco/en/

42. სურსათისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, – http://www.fao.org/publications/sofa/en/

43. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი – http://www.geostat.ge/cms/http://www.geostat.ge/cms/site-images/-files/georgian/methodology/saaresebominimumisgaangarisheba.pdf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 25.01.2011.

44. ჩიკვაიძე თ. საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები საქართველოში. - შრომების კრებული "საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში". I ტომი. თბილისი, 1996, გვ. 61-85.

45. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). ნაწილი II. თბილისი, 1999, 315 გვ.

46. ჯუღელი გ., ვანიშვილი მ. სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები. - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "ინოვაციები ბიზნესში (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები)" მასალები, 16-17 აპრილი, ბათუმი 2010, თბილისი: უნივერსალი, 2010, გვ. 256-258.

47. ჰეიდი ჩოუ - ბრიტანეთში მდებარე არასამთავრობო ჯგუფის „მსოფლიო განვითარების მოძრაობის" (World Development Movement) კამპანიის ოფიცერი, http://www.wdm.org.uk/about/heidi-chow

48. Арссиенко А.И. Сытые и голодные в современном мире,

http://forum.bakililar.az/index.php?showtopic=1980.

49. Балабанов В.С., Борисенко Е.Н. Продовольственная безопасность: международные и внутренные аспекты. Москва, 2002, 393 с.

50. Боев В.Р., Румянцев Е.Е., Дадалко В.А. Продовольственная безопаносеъ СНГ: Выбор альтернативы на пороге XXI века. Москва-Минск, 1998, 444 с.

51. Бурдуков П.Т., Саетгалиев Р.З. Россия в системе глобалъной продоволъственной безопасности, http://www.duel.ru/publish/burdukov/glob.html.

52. Даташвили В, Тетвадзе Б, Хиникадзе Т - Бизнес-Процессы и их оценка, Социальная Экономика #4, Актуальные Проблеми 21го Века, Тбилиси, Июль-Август 2011.

53. Дзарасов С., Пилиев С. Продовольственная безопасность России. – Журнал 'Экономисти", 1996, №8, с. 23-34.

54. Илъина З.М., Мирочицкая И.В. Рынки селъскохояйственного сырья и продоволъствия. Минск: Наука, 2000, 226 с.

55. Максаковский В.П. Глобальная продоволъственная проблема и его географические аспекты, http://geo.1september.ru/articlef.php?ID=200201908

56. Максаковский В.П. Пути решения глобальной продоволъственной проблемы, http://geo.1september.ru/articlef.php?ID=200203707

57. Руцкой А. Радугин Н. Продовольственная безопасность: зарубежный опыт. - Журнал "АПК: экономика, управление", Москва, 1997, №2, с. 7-14.

58. Agricultural Science and Technology Indicators. 2008.

59. Agăicultural policies „Market and Trade", OECD. Paris, 1996, 98 p.

60. FAO Report Conference. Rome, 1979, 39 p.

61. Resolution of the UN Ceneral Assembly (XXIX) Session. New - York, 1977, 31 p.

62. Datashvili Vakhtang, Tetvadze Besik, Gvarucidze Akaki – Agro-food System Development, As Stabilizing Factor for World's Economy, Georgian Technical University, International Secientific-Practical Conference, Tbilisi, 15-16 April, 2011.

სარჩევი

შესავალი ——— 3

თავი 1. სასურსათო სისტემა ძვეძნების მსოფლიო-სამეურნეო პოზიციირების სტრუძტურაში

1.1. საერთაშორისო შრომის გადანაწილების ფაქტორები მსოფლიო სასურსათო მარკეტინგში ——— 10

1.2. მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციები, სასურსათო მარკეტინგის არსი და როლი მათი განვითარების პროცესში ——— 20

1.3. სასურსათო მარკეტინგის განვითარება, როგორც მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის წინაპირობა და მისი ხელისშემშლელი ფაქტორები ——— 27

1.4. სახელმწიფოს მიზნობრივი პროგრამები და არსებული რესურსების ოპტიმიზაცია, როგორც სასურსათო ბიზნესის განვითარების მექანიზმი ——— 33

1.5. გლობალური სასურსათო მარკეტინგის კომპონენტები, როგორც ეკონომიკური არასტაბილურობის ნეგატიური შედეგების შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორი ——— 38

თავი 2. მსოფლიო სასურსათო ბაზრის განვითარება სტაბილიზაციისა და ანტიძრიზისულ ღონისძიებათა რეგიონალიზაციის პირობებში

2.1. მსოფლიოში სურსათით ვაჭრობა და აგროპროტექციონიზმის ესკალაცია ——— 41

2.2. სურსათის ბიზნესის ლიბერალიზაციის პერსპექტივები და შედეგები ——— 54

2.3. მსოფლიო სასურსათო ბიზნესის ინოვაციური მოდერნიზაცია ——— 60

2.4. სასურსათო ბიზნესი, როგორც საერთაშორისო ინტეგრაციის საფუძველი. გლობალური და ადგილობრივი განსაზღვრებები ——— 68

2.5. საქართველოს სასურსათო ბიზნესის პოტენციალი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროცესში ——— 83

თავი 3. საქართველოს სასურსათო ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის კონტექსტში

3.1. სასურსათო ბიზნესის განვითარების ძირითადი ორიენტირები და სტრატეგია — *98*

3.2. სასურსათო ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა — *105*

3.3. სურსათით უზრუნველყოფის სტაბილიზაციური პოლიტიკა და სასურსათო ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირება — *119*

3.4. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია და ეროვნული სასურსათო სისტემის განვითარება — *132*

თავი 4. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის ანალიზი ხილ-ბოსტნეულის მაგალითზე

4.1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის ზოგადი მიმოხილვა — *145*

4.2. საქართველოს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომპანიები — *148*

4.3. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო სექტორის ზოგადი მიმოხილვა — *162*

4.4. უკრაინის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა — *166*

4.5. უკრაინა-საქართველოს ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულის ჭრილში — *168*

4.6. კონკურენტუნარიანობის პრობლემის განხილვა და ანალიზი — *173*

4.7. წარმოება — *182*

4.8. შეგროვება და შეფუთვა — *186*

4.9. ლოგისტიკა — *188*

4.10. გაყიდვები — *192*

დასკვნა-რეკომენდაციები — *197*

გამოყენებული ლიტერატურა — *220*

ვახტანგ დათაშვილი, ბესიკ თეთვაძე
სასურსათო პოლიტიკა. 228 გვ.

გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“
თბილისი, 2013 წ.

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14

ტექნიკური რედაქტორი: ნანა სახეჩიძე

კორექტორი: თინა ცისკარიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი:
ზურაბ წერეთელი

E-mail:
social_economica@mail.ru;
besik_atabagi@yahoo.com